# თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული

# IV

მთავარი რედაქტორი

**რამაზ აბესაძე**

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

**ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, გ. პაპავა, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი**

**თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა**

**თბილისი 2011**

*UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)*
*ბ - 121*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება აქტუალურ სამეცნიერო და ქვეყნის საჭირბოროტო ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

**რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს**
**და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე**

© თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
**გამომცემლობა**
**2011**

**ISSN 1987 – 6904**
**შტრიხკოდი 9771987690003**

# PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

# IV

Editor-in-chief

**Ramaz Abesadze**

Scientific-Editorial Board

**N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, G. Papava, V. Papava, R. Sarchimelia**

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU**

**TBILISI 2011**

*UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)*
*ბ – 121*

**The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to actual scientific problems and the problems vital for country economy.**

**The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.**

**The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information**

**© Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU**

**2011**

**ISSN 1987 - 6904**
**შტრიხკოდი 9771987690003**

*რამაზ აბესაძე*

# პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და თავისებურებები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკაში ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის აღდგენამდე შეიმჩნეოდა კრიზისული მოვლენები (ამავე კრებულში იხ. სტატია რ. აბესაძე, ნ. არევაძე – "საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე"). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლის, მსოფლიო ბაზარზე ჩვენი ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობის, ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის ძირეული გარდაქმნის (ტრანსფორმაციული პროცესების) გამო. ტრანსფორმაციული პროცესები შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით. პირველი, თვით ეკონომიკაში, მის დარგებში მიმდინარე ცვლილებებისა და მეორე, რეფორმების გატარების შედეგად მომხდარი ინსტიტუციური ცვლილებების მიმართულებით. თუმცა ეს ორი პროცესი, რასაკვირველია, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია – რეფორმების სწორი გზით წარმართვას მოსდევს დადებითი ძვრები ეკონომიკაში და პირიქით.

ორივე ნიშნის გათვალისწინებით საქართველოში შეიძლება გამოიყოს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შემდეგი პერიოდები:

**ეკონომიკური დაცემა,** რომელიც თავისთავად მოიცავს **სამანეთო ზონაში ყოფნისა** და **კუპონის** პერიოდს იგი გრძელდებოდა რეფორმების დაწყებიდან 1995 წლამდე.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. ამასთან, არა **სტაგნაციის**, არამედ **სტაგფლაციის** პირობებში, რომელიც გამოწვეული იყო ფასების სწრაფი ზრდით არა მხოლოდ ნედლეულზე, არამედ პროდუქციის ყველა სახეობაზე ერთდროულად, წინა სისტემა-

ში არსებული ფარული ინფლაციის გამო. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე ადგილი ჰქონდა აქამდე უცნობ ფენომენს – **ფარული ინფლაციით გამოწვეულ ტრანსფორმაციულ სტაგფლაციას,** რასაც მოსდევს სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავება, რაც საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა [1]. ეკონომიკური დაქვეითების მხრივ განსაკუთრებით მძიმეა 1991–1994 წლები, როდესაც ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ სირთულეებს შინაომები და შეიარაღებული კონფლიქტები აძლიერებდა. ზემოთ აღნიშნულ წლებში საქართველოში მკვეთრად შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობაწინა წლების მიმართ: 1991 წელს – 21,1; 1992 წელს – 44,9; 1993 წელს – 29,3; ხოლო 1994 წელს – 10,4 პროცენტით. საერთოდ, მშპ-მ 1994 წელს 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,5 პროცენტი შეადგინა. კიდევ უფრო მეტად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა: 1991 წელს – 23; 1992 წელს – 46; 1993 წელს – 37; ხოლო 1994 წელს – 39 პროცენტით. 1994 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 16 პროცენტის ტოლი იყო.[1] აღნიშნულ წლებში თითქმის განახევრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, კატასტროფულად შემცირდა მშენებლობის მასშტაბები. მკვეთრად დაეცა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე. ისე, როგორც მთელ ეკონომიკაში, ენერგეტიკაშიც დაიწყო ნგრევითი პროცესები. 1994 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავება ორჯერ შემცირდა, თითქმის შეწყდა ქვანახშირის წარმოება, კრიტიკულ დონემდე დაეცა ნავთობის მოპოვების მოცულობა, სატყეო მეურნეობამ და მშენებლობამ პრაქტიკულად შეწყვიტა ფუნქციონირება, არაგადახდისუნარიანობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება. საქართველო მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა მოიცვა.

---

[1] აქ და შემდეგშიც, სადაც მითითება არ იქნება, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, კატასტროფულად გაუარესდა მოსახლეობის სოციალური პირობები. აღნიშნულ წლებში მკვეთრად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო საქონელზე (ინფლაციის ტემპებმა წელიწადში საშუალოდ 8500% შეადგინა): ცალკეულ წლებში კი ინფლაციის ტემპი გაიზარდა: 1992 წელს – 25-ჯერ, 1993 წელს – 92-ჯერ, ხოლო 1994 წელს – 120-ჯერ. ამავე წელს მუშაკთა მინიმალურმა ხელფასმა 1989 წლის ანალოგიური მაჩვენებლის – 1,65; საშუალო ხელფასმა – 1,64; პენსიის სიდიდემ – 1,64 პროცენტი შეადგინა, რაც აბსოლუტური სიდიდით, შესაბამისად 1,78; 5,02 და 1,78 დოლარით გამოისახებოდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს წინაშე იდგა ორი დიდი ამოცანა: პირველი – სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მეორე, – რეფორმების გატარება ახალ ეკონომიკურ წყობილებაზე გადასასვლელად. საკუთარი გამოცდილება, ბუნებრივია, ამ მიმართულებებით მას არ ჰქონდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო შეცდომების დაშვება. სამწუხაროდ, რეფორმების გზაზე არაერთი როგორც გაუაზრებელი, ისე გააზრებული შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც შეანელა საქართველოში რეფორმების განხორციელების ტემპი და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. შეცდომები განსაკუთრებით ტრანსფორმაციის სწორედ პირველ ეტაპზე იქნა დაშვებული. ეკონომიკურ გარდაქმნებზე ასევე ნეგატიური გავლენა იქონია შინაომებმა, პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობის არსებობამ (სხვადასხვა პოლიტიკურ და კლანურ დაჯგუფებათა ინტერესები, შინაომი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომი, ლტოლვილებისათვის სოციალური დახმარების გაწევა, ყაჩაღობა, რეკეტი, კორუფცია და მრავალი სხვა). ამ ეტაპზე სახელმწიფო ძირითადად მხოლოდ სხვა ქვეყნების დახმარების, სხვადასხვა სესხებისა და კრედიტების ხარჯზე ახერხებდა უკიდურესად გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ნაწილობრივ შემსუბუქებას.

სახელმწიფოს არ გააჩნდა მეცნიერულად დასაბუთებული რეფორმების გატარების სტრატეგია. ეკონომიკური რეფორმების მოდელის შერჩევისათვის საქართველოში დიდი შრომა არ გაწეულა, რადგანაც რეფორმები დაიწყო პირდაპირ რუსული ვარიანტის მიხედვით. ძირითად აქცენტი აღებული იქნა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილიზაციაზე, მაშინ, როდესაც ქვეყანას თავდაპირველ ეტაპზე არც მაკროეკონოიკა და არც ფინანსები გააჩნდა, რის გამოც, რეალური გარდაქმნების გატარება შეუძლებელი გახდა [3].

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა იყო საქართველოს დარჩენა სამანეთო ზონაში, რაც, ბუნებრივია, საკუთარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლეოდა. არადა, საქართველომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორედ საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის მქონე ქვეყნის გზა – "შოკური თერაპიის" გზა აირჩია. "შოკური თერაპიის" მეთოდის რეალიზაცია სახელმწიფო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო ინსტიტუტების მიზანმიმართულ გამოყენებას მოითხოვს. მგვარი ინსტიტუტების არ არსებობის პირობებში "შოკური თერაპიის" მეთოდის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია და ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული [4; გვ. 334]. ამ შეცდომის გამოსწორება მოხერხდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მიერ ფულის ერთეულების მოწოდების შეწყვეტის გამო შემოღებული იქნა გარდამავალი ვალუტა – კუპონი. მაგრამ, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) შედეგად მოხდა კუპონის გაუფასურება, რასაც ჰიპერინფლაცია მოჰყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე გარდაქმნების განხორციელების პროცესში დაშვებული იქნა სტრატეგიული ხასიათის მეთოდოლოგიური შეცდომები. ეკონომიკური რეფორმები ერთმანეთისაგან იზოლირებულად განხორციელდა. მათ

კომპლექსური, თანამიმდევრული ხასიათი და ერთიანი მეთოდოლოგა არ ჰქონდა [6].

მიუხედავად ამისა, ეკონომიკური განვითარების ახალ ეკონომიკურ წყობაზე გადასვლის თვალსაზრისით არაერთი ღონისძიება გატარდა: მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, შეიქმნა საკუთარი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო სისტემა, მოხდა სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და საბინაო სექტორის რეფორმა, განხორციელდა მცირე პრივატიზაციის პირველი ეტაპი, და სხვ.

**სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის დასაწყისი.** ამ პერიოდს მიეკუთვნება 1994 წლის მეორე ნახევარი და 1995 წელი. ხანგრძლივი ეკონომიკური დაქვეითების შემდეგ, რასაც თან ახლდა ჰიპერინფლაცია, უმუშევრობის მაღალი დონე და უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური, კრიმინოგენური და სოციალური პრობლემები, როგორც ქართველ ეკონომისტთა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის) მიერ შემუშავებული, თვისებრივად ახლებურად გააზრებული პროგრამის საფუძველზე იწყება ახალი პოლიტიკის გატარება რეფორმების განხორციელებაში. შედეგად, მოხერხდა კუპონის ინფლაციის მოთოკვა, რითაც მომზადდა პირობები ეროვნული ვალუტის – ლარის შემოსაღებად. ლარის შემოღების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა ინფლაცია და დამყარდა სტაბილური საცვლელი კურსი ეროვნულ ვალუტასა და აშშ დოლარს შორის. შედეგად, პირველად რეფორმების განმავლობაში, შეჩერდა ვარდნა და დაიწყო ეკონომიკური ზრდა – 1995 წლის განმავლობაში მშპ 2,6%-ით გაიზარდა.

**დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა.** ეს პერიოდი მოიცავს 1996-1997 წლებს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორი პოლიტიკის (არსებითად "შოკური" თერაპიის) გატარებას ეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარება, ეკონომიკური დაცემის შეჩერება, ზრდის ტენდენციის ჩამოყალიბება, ხოლო შემდეგ ეკონომიკის სწრაფი ზრდა მოჰყვა. 1996-1997 წლებში მთლიანი

შიდა პროდუქტი საშუალოდ 11%-ით იზრდებოდა მყარი ეროვნული ვალუტისა და ინფლაციის დაბალი ტემპების პირობებში. განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შეივსო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკანონმდებლო ბაზა, ძირითადად დამთავრდა მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზება, განხორციელდა მიწის საკუთრების ტრანსფორმაცია, გაძლიერდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; გაუმჯობესდა ფულად-საკრედიტო სისტემა, გათავისუფლდა ლარის საცვლელი კურსი და მისი რეგულირება მიენდო საბაზრო კანონებს, გაუმჯობესდა საინვესტიციო პირობები და სხვ.

**ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და სოციალური პირობების გაუარესება. საქართველოს მიერ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის შეძენა.** იგი იწყება 1998 წლიდან და გრძელდება 2004 წლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპები, 2003 წლის გამოკლებით, დაბალია (საშუალოდ 3-4%), ხოლო სოციალური პირობები გამწვავებული (საბიუჯეტო კრიზისის გამო არ გაიცემა ხელფასები და პრემიები, სახეზეა ენერგეტიკული კრიზისი), ეცემა ვალუტის კურსი, იზრდება ინფლაციის ტემპები.

ამ ეტაპზე ნეგატიური პროცესების განვითარების ძირითადი მიზეზი მდგომარეობდა ეკონომიკური რეფორმების დამუხრუჭებაში, რაც, თავისთავად, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობით იყო განპირობებული.

კონომიკასა და სოციალურ სფეროში არსებულ სიძნელეებს მოჰყვა პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა, შედეგად კი ვარდების რევოლუცია მოხდა.

ამ პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ საქართველო გახდა **ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა.** 1998 წლის 10 დეკემბერს ბაქოში სანგაჩალის ტერმინალიდან "დასავლეთის მიმართულების" ნავთობსადენში ჩაიტვირთა პირველი ნავთობი და ამით აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმმა დაიწყო კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირება ბაქო-სუფსის მიმართულებით. 1999 წლის

იანვრის პირველ კვირას ნავთობი საქართველოში შემოვიდა.

**სოციალური პირობების გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. საქართველოს მიერ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის გაძლიერება.** ეს ეტაპი იწყება ვარდების რევოლუციის შემდეგ და გრძელდება რუსეთ-საქართველოს ომამდე (2004 წლიდან 2008 წლის 8 აგვისტომდე). ამ პერიოდის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდის წლიურმა ტემპებმა 9-10 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ მთლიანად 42,6 პროცენტით გაიზარდა, აღმოიფხვრა საბიუჯეტო და საფინანსო კრიზისი (სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, გასტუმრებული იქნა საპენსიო და სახელფასო დავალიანებები და ა.შ.); დაძლეულ იქნა ენერგეტიკული კრიზისი (ქვეყნის მთელ მოსახლეობას და ეკონომიკას ელექტროენერგია და გაზი შეუფერხებლად მიეწოდებოდა); ეკონომიკაში საშუალო წლიური ხელფასი 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, გაუმჯობესდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა (შეკეთდა საქალაქო და საავტომობილო გზების უდიდესი ნაწილი, აშენდა ახალი გზები და კიდევ უფრო სტაბილური გახდა მაკროეკონომიკური გარემო, გაუმჯობესდა ბიზნესის კეთების პირობები (მოხდა საგადასახადო კოდექსის გამარტივება და ლიბერალიზაცია, ლიცენზიერებისა და ნებართვების გაცემის პროცედურების გამარტივება და სხვ.), გაღრმავდა პრივატიზების პროცესი, კიდევ უფრო გაძლიერდა საბანკო სექტორი და ა.შ.

ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი ის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი. 2005 წლის მაისში "თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენის მეშვეობით დაიწყო აზერბაიჯანიდან "აზარი-ჩირაგი-გიუნეშლის" საბადოდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება. იგი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია. მისი მშენებლობა 4 მლრდ აშშ დოლარი დაჯდა. იგი მსოფლიოში ყველაზე გრძელი (სულ 1768 კმ, აქედან აზერბაიჯანზე – 443, საქართველოზე – 249, ხოლო თურქეთზე 1076 კმ მოდის) ნავ-

თობსადენია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველო გახდა არა მხოლოდ ნავთობის, არამედ ბუნებრივი გაზის სატრანზიტო ქვეყანა. **შაჰდენიზის გაზსადენი** (ანუ **სამხრეთ კავკასიის**, ან **ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი**) გადის შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში. სანგაჩალის ტერმინალიდან პირველი საცდელი ბუნებრივი აირი გაზსადენში ჩაიტვირთა 2006 წლის 21 მაისს. გაზის პირველი გაშვება 2006 წლის 30 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გაზსადენი ექსპლუატაციაში 2006 წლის 20 დეკემბერს შევიდა. გაზსადენი, ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, იმავე კორიდორში აშენდა, სადაც რამდენიმე წლით ადრე "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი" გაიყვანეს. გაზსადენის სიგრძე 692 კმ-ია, ხოლო წლიური გამტარობა 16 მილიარდი კუბური მეტრი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ნაკლოვანებაც: საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება, კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის.

**ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და ეკონომიკური ვარდნა. ეს პერიოდი ემთხვევა** რუსეთ-საქართველოს ომს და მსოფლიო საფინანსო კრიზისის დაწყებას. ომმა 1 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა ქვეყანას. როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტიციების შემცირების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპები 2008 წელს შემცირდა (შეადგინა მხოლოდ 1,9%), ხოლო 2009 წელს იგი უარყოფითი სიდიდე გახდა (3,9%). ამავე პერიოდში დაიწყო ლარის კურსის ვარდნა, საბანკო სექტორში წარმოშობილ შეფერხებებს მოჰყვა კრედიტებისა და, შესაბამისად, ინვესტიციების შეკვეცა, თითქმის გაკოტრების პირას მივიდა სამშენებლო ბიზნესი, გაუარესდა ქვეყნის

ეკოლოგიური სიტუაცია, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა საკურორტო მეურნეობამ და ა.შ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ ამ ორ დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას გაუძლო და უარყოფითი შედეგები ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში არ გადაზრდილა, რაშიც დიდი როლი საერთაშორისო დახმარებამაც ითამაშა.

**ეკონომიკური დაქვეითების დაძლევა და ზრდის ტენდენციის აღდგენა.** იგი იწყება 2010 წელს და გრძელდება დღესაც. მიუხედავად წინა პერიოდში არსებული სიძნელეებისა, 2010 წელს არა მხოლოდ დაქვეითება იქნა დაძლეული, არამედ ადგილი ჰქონდა ზრდასაც (6,4%). ზრდის ტემპების დაჩქარებაზე მეტყველებს ასევე 2011 წლის მაჩვენებლები. უკვე განვლილი კვარტლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტი 5,5%-ით გაიზარდა.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რეფორმების გზაზე საქართველოში ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმატებები და წარუმატებლობები. უნდა ითქვას, რომ, ობიექტურ ხელის შემშლელ პირობებთან ერთად შეცდომებიც ბევრი იქნა დაშვებული, რის გამოც, რეფორმების დაწყებიდან 20 წლის წლის განმავლობაში კი, სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა 1990 წლის მაჩვენებლების მიღწევა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ დღეისათვის განუვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა (სასაქონლო, საფონდო და შრომის ბირჟები, სადაზღვევო სერვისი, საინვესტიციო ინსტიტუტები, მარკეტინგული, ინჟირინგული, კოლსანტინგური და საინფორმაციო სამსახურები და სხვ.), არაპროგრესულია, როგორც ეკონომიკური (განუვითარებელია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, დაბალია მცირე ბიზნესის განვითარების დონე, ექპორტს რამდენჯერმე აღემატება იმპორტი და ა.შ.), ისე სოციალური სტრუქტურა (ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო ფენა, საკმაოდ დიდია უმუშევრობისა და სიღარიბის დონე და ა.შ.).

მომავალში აუცილებელია რეფორმების გაგრძელება არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით. უმუშევრობისა და ინფლაციის დონის შესამცირებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს ეკონომიკის რეგულირების არა ტრადიციული მეთოდების გამოყენებაზე, არამედ ინოვაციურ რეგულირებაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთდროულად გადავჭრათ ორივე ეს პრობლემა. სავაჭრო ბალანსის დეფიციტის აღმოსაფხვრელად საჭიროა საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლება და გამოყენება, ასევე ეროვნული წარმოების ხელისშემწყობი პოლიტიკის განხორციელება, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხოვან იმპორტულ საქონელთან შედარებით. ამ პოლიტიკის მიზანი იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ პროდუქციის უმეტესი სახეობების მიხედვით მივაღწიოთ თვითუზრუნველყოფას, საკუთარი პოტენციალის ხარჯზე, არამედ შევქმნათ გრძელვადიანი პერსპექტივების შესაბამისი ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს, როგორც ეკონომიკის ახალი, პერსპექტიული სფეროებისა და წარმოების ახალი სახეობების ათვისებას, ისე მსოფლიო მეურნეობაში მისი ინტეგრაციის გაღრმავებული ჩართვის დაჩქარებას [5]. საბაზრო მექანიზმის გაუმჯობესების მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონკურენციის გაძლიერებას, გაკოტრების შესახებ კანონის რეალურ ამოქმედებას, საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფას. ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურის ფორმირებისათვის აუცილებელია აგრარული სფეროს რეორგანიზაცია აქ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, რეალური მაღალნაყოფიერი ფერმერული მეურნეობების განვითარების გზით, ასევე მრეწველობის ინდუსტრიულ დარგთა განვითარება ახალი ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მცირე ბიზნესის განვითარება, რომელიც გაზრდის

საზოგადოების საშუალო ფენის ხვედრით წილს, რაც თავისთავად სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მაღალი ტექნოლოგიების (*hi-tech)* გამოიყენებას, რაც კარდინალურ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკაში, ცვლის რა მისი განვითარების ტენდენციებს როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში, ზრდის რა ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობის დონეს. მათ საფუძველზე, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანსაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები, იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები. იცვლება წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი როგორც წარმოებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. უმაღლესი ტექნოლოგიების დარგებიდან გამოიყოფა ელექტრონიკა (განსაკუთრებით კი მისი ქვედარგი – მიკროელექტრონიკა); ხელოვნური ინტელექტი (ისეთი მანქანების შექმნა, რომელსაც გააჩნია ცოცხალი ორგანიზმის (მათ შორის ადამიანის) ნიშნები – მსჯელობა, აღქმა, მოძრაობა და ა. შ.); ბიოტექნოლოგია (რომელიც თავისთავად ეფუძნება გენეტიკას, მიკრობიოლოგიას, მოლეკულურ და უჯრედულ ბიოლოგიას, ბიოქიმიას, ემბრიოლოგიას და ა. შ.); კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა; ნანოტექნოლოგიები; რობოტოტექნიკა; ტელეკომუნიკაციები; ფოტონიკა; ატომური ფიზიკა და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, მაღალი ტექნოლოგიების (გარედან შემოტანილი) დანერგვა, თუმცა ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს. უფრო მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია საკუთარ ბაზაზე ახალი ტექ-

ნოლოგიებისა და პროდუქციის ახალი სახეობების შექმნის სფეროში. გარკვეული ძვრები შეინიშნება ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიათა გამოყენების მიმართულებით: მიმდინარეობს ტელესაკომუნიკაციო და კორპორაციული ინფორმაციული სისტემების განვითარება, იზრდება მსოფლიო ღია ქსელების აბონენტთა რაოდენობა, ძლიერდება ქვეყნის ტელეფონიზაცია, სწრაფად იზრდება მობილური ტელეფონების მოხმარება და სხვ. ინფორმატიზაციის დონე განსაკუთრებით დიდია სახელმწიფო და საბანკო სექტორში. ვითარდება ქსელური მარკეტინგი და ა.შ. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონე დაბალია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. ჩვენ, ბუნებრივია, არ დაგვჭირდება ის დრო, რაც განვითარებულ ქვეყნებს დასჭირდა ინფორმატიზაციის მაღალი დონის მისაღწევად, ვინაიდან შეგვიძლია პირდაპირ გადმოვიღოთ მსოფლიო გამოცდილება. მაგრამ, ამავე დროს, ახალი ტექნოლოგიების გადმოღება ადეკვატური ბაზისის არსებობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, მოზიდულ იქნეს ინვესტიციები, ჩამოყალიბდეს შესაბამისი ბიზნესკულტურა (ცოდნა, აზროვნების ხასიათი, გამოცდილება, მენტალიტეტი, გამოცდილება) და ა.შ. ამ მიმართულებით საქართველოს აქვს გარკვეული უპირატესობები – ჩვენი ქვეყნის მასშტაბები პატარაა (მისი გაჯერება მაღალი ტექნოლოგიებით შედარებით მცირე დროშია შესაძლებელი) და მას დიდ დახმარებას უწევენ განვითარებული ქვეყნები [2].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** საქართველოს ეკონომიკა XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე. ჟ.: "ეკონომისტი", №1, 2009.
2. **აბესაძე რ.** მაღალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები

გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, “თსუ პაატა გუ-
გუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2011
3. **მესხია ი., მურჯიკნელი მ**. ეკონომიკური რეფორმა საქართ-
ველოში, თბილისი, “თსუ გამომცემლობა,” 1996.
4. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური
ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, “პდპ”,
2002.
5. **წერეთელი გ.** საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვი-
თარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის
მიმართულებები. წიგნში: “საბაზრო ეკონომიკის განვითა-
რების პრობლემები საქართველოში”, ტ. I, თბილისი, “მეც-
ნიერება”, 2000.
6. **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომი-
კური პრობლემები. თბილისი, 1997.

***Abesadze Ramaz***

## STAGES AND PECULIARITIES OF POST-COMMUNIST TRANSFORMATION IN GEORGIA

### SUMMARY

The article emphasized and characterizes (showing positive and negative sides) the stages of post communist transformation in Georgia, including the periods as follows: economic recession; beginning of stabilization and economic growth; speedup of economic growth; slowdown of economic growth rates and worsening of social conditions; currying out the function of transit country by Georgia; improvement of social conditions and speedup of economic growth rates; strengthening of the function of transit country; showdown of economic growth rates and economic collapse; overcoming of economic growth tendencies and reconstruction of economic growth tendencies.

*ვლადიმერ პაპავა*

# ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების როლი საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციაში

როგორც ცნობილია, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის) ფუნქციები მკაცრადაა გამიჯნული [1, 2]. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი უმთავრესად ფოკუსირებულია მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე, მაშინ, როცა მსოფლიო ბანკის პროგრამები გამიზნულია ზოგადად ეკონომიკურ რეფორმებზე, ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, ინფრასტუქტურისა და სექტორულ განვითარებაზე. მიუხედავად სფეროების ამგვარი გამიჯვნისა, არის ისეთი საკითხები, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ინსტიტუციური გარდაქმნების სფეროებს ერთდროულად განეკუთვნება, რაც, ბუნებრივია, კომპლექსურ განხილვას საჭიროებს.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავიდანვე უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ეს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის საფუძვლების ცვლილების აუცილებლობით იყო განპირობებული.

ბუნებრივია, რომ პასუხი კითხვაზე, თუ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში საზოგადოების ეკონომიკურ მოწყობაში რა ცვლილება და თან როგორ უნდა გატარდეს, ეკონომიკურ მეცნიერებას უნდა გაეცა. შამწუხაროდ, ეკონომისტები ამ ტრანსფორმაციული პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, პრინციპულად შეუძლებელი იყო, დასავლეთში მოძებნილიყო თუნდაც ერთი იმ დონის ეკონომისტი, რომელიც, ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით, პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მთავრობისათვის ყოვლისმომცველი და, იმავდროულად, მართებული რეკომენდაციების მიცემას შეძლებდა;

ბუნებრივია, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეზღუდულობის გამო, ხსენებული ტიპის ეკონომისტი, მით უფრო, ვერც კომუნისტურ სივრცეში მოიძებნებოდა. ასეთ ვითარებაში, საუკეთესო შემთხვევაში, რჩევის მიმცემი ეკონომისტის პროფესიული ინტუიციის გათვალისწინებით, ოპტიმალურთან დაახლოებულად ისეთი რჩევა შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპებისა და სხვადასხვა ქვეყანაში საბაზრო ტიპის რეფორმების გამოცდილების ცოდნას ეფუძნება.

იმ დროისათვის, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, ლეგალური გზით საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტები (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) და მექანიზმები მსოფლიოში უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო.

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში 1992 წელს გაწევრიანდა, მაშინ, როცა მათი წევრ-სახელმწიფოთა რიცხვი 170 იყო. საქართველოს წილი, კვოტა (ანუ გადაწყვეტილების მისაღები ხმა) ამ ორგანიზაციებში 0,08 პროცენტია (მაგალითად, [3, cc. 178, 191]).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში პირველად 1991 წლის ნოემბერში ჩამოვიდა. ამ პირველ შეხვედრას ურთიერთგაცნობის დატვირთვა ჰქონდა. ყოველ მომდევნო ჩამოსვლაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, თავის რეკომენდაციებს უტოვებდა. საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება (ცალკეული გამონაკლისის გარდა), სამწუხაროდ, ამ რეკომენდაციებს  და მათ ავტორებს სერიოზულად არ ეკიდებოდა [4, გვ. 259], რის შედეგადაც ქვეყანაში საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა: 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონია პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი, კონსტიტუციური და საერთოდ საკანონმდებლო ვაკუუმის, უკვე მიღებუ-

ლი კანონების არასრულყოფილების და, რაც მთავარია, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების გამო შეუძლებელი იყო საგადასახადო შემოსავლების თუნდაც მინიმალურ დონეზე მობილიზება, დროებითი ვალუტის – ქართული კუპონისადმი ჩამოყალიბდა სახელისუფლებო ნიჰილიზმი, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულის საკრედიტო თუ საბიუჯეტო ემისიამ (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების მიზნით [4, გვ. 259-260]) 1993-1994 წლებში ჰიპერინფლაცია გამოიწვია და ინფლაციამ საშუალოდ თვეში 50-70 პროცენტი შეადგინა. საქართველოს ხელისუფლების მიერ იმ დროს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ხსენებულ შედეგებს ამძიმებდა ომისათვის აბსოლუტურად მოუმზადებელი ქვეყნის საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ჯერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში.

1994 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ე. წ. "ანტიკრიზისული პროგრამა" საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობის პრინციპულად ახალ დონეზე წარმართვას ედება საფუძვლად; კერძოდ, უკანასკნელის რეკომენდაციები სასურველობის კატეგორიიდან აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა რანგში გადადის, რასაც თავისი დადებითი ეკონომიკური შედეგები მოაქვს [5].

აქედან გამომდინარე, გასული საუკუნის 90-იან წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობა საქართველოში შეიძლება ორ ეტაპად განვიხილოთ:

– ***პირველ ეტაპზე***, 1991-1994 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევს, თუმცა ეს უკანასკნელი "ურჩი ბავშვივით" მათ არად აგდებს;

– ***მეორე ეტაპზე***, 1994 წლიდან დღემდე, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისათვის აუცილებლად შესასრულებელი ხდება

იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ხშირად ცხოვრებაში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის არც ადვილი გასატარებელია და არც ყოველთვისაა მოსაწონი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი ის არის, რომ საქართველოში საფინანსო სისტემა შეიქმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა დამყარდა. უფრო კონკრეტულად კი აუცილებელია აღინიშნოს [6-12]:

1. ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესებს არეგულირებს;

2. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გზით ჰიპერინფლაციის მოთოკვა, რამაც ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა შექმნა (მიმოქცევიდან გამოიდევნა რუსული რუბლი და სტაბილურ ლარს მიენიჭა ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალების ფუნქცია);

3. პურზე ფასების გათავისუფლებით ფასების ლიბერალიზაციის პროცესის პრაქტიკულად დასრულება;

4. 1995 წლიდან მოყოლებული, პრინციპში, წლის დასაწყისიდან, პარლამენტის მიერ დამტკიცებული ქვეყნის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა;

5. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება, რომლითაც ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნქციები გამიჯნულია; ამასთან, კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის მხრიდან მარეგულირებელი ნორმატიული პარამეტრები აქვს დამტკიცებული, რომელთა საშუალებითაც საბანკო სისტემაზე სახელმწიფოს კონტროლი ხორციელდება;

6. ყოფილი სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია;

7. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;

8. უცხოური ვალების რესტრუქტურიზაციის მიღწევა და ამ გზით საქართველოსათვის საგარეო ვალების მომსახუ-

რებისა და, ზოგადად, გადახდისუნარიანი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შენარჩუნება.

აუცილებელია ხაზი გაესვას საბიუჯეტო ხარჯებში ჯანდაცვისა და განათლების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფისათვის მსოფლიო ბანკის მიდგომის მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აქტიური პოზიციის დაკავებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში მსოფლიო ბანკის პროგრამების მხარდაჭერა სისტემატურად ხორციელდება.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი, რაც საქართველოსთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობას აქვს, ისაა, რომ ხელისუფლების მხრიდან *“ხალხური თვითშემოქმედების”* ელემენტების (მაგალითად, “გაბერილი” საგარეო ვალების წარმოქმნა ხელოვნურად გაზრდილი ე.წ. საკლირინგო ფასების გამოყენებით ან ხორბალსა და ფქვილზე ადგილობრივი და იმპორტიორი მეწარმეების განსხვავებული რეჟიმით დაბეგვრა და ამ საკითხის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმების მცდელობა, ან საგადასახადო ამნისტიის ნების გამოცხადება და შესაბამისი პროგრამის შეთანხმების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარდგენა, ან ცალკეულ პიროვნებებზე “მოსარგებად” ქვეყნის საფინანსო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის “დამახინჯება”, ან სახელმწიფო ბიუჯეტის საგეგმო დავალებათა შესასრულებლად კომერციული ბანკების სესხების უშუალო გამოყენება, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს, ან გაუცემელი პენსიების ნაცვლად სხვადასხვა სახეობის პროდუქტების დარიგება და მომსახურების გაწევა და ა.შ.) გამოყენების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი; რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური ზეწოლა, მაშინ, მაგალითად, პენსიების ნაცვლად ფქვილის დარიგება (ან სხვა მსგავსი ქმედება) იქნებოდა არა ერთჯერადი აქტი საქართველოს მხოლოდ ზოგიერთ

რეგიონში, არამედ იგი საერთო ყოვლისმომცველ კანონ-ზომიერებად იქცეოდა, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსებს სრულად დაანგრევდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტების უშუალო მიმღები საქართველოს ეროვნული ბანკია და ისინი მისი რეზერვების გასაზრდელად გამოიყენება. პირველი ასეთი კრედიტი საქართველომ 1994 წლის ბოლოს მიიღო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობის შედეგად 1996-1997 წლებში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები და ინფლაციის ზომიერი დონე ჩამოყალიბდა. მაკროეკონომიკური სტაბილურობა კი ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ქვეყანაში მსხვილი საინვესტიციო პროექტები ვერ განხორციელდება.

შეიძლება უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების საქართველოში საქმიანობა მისი ეკონომიკის განვითარებისაკენ, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მყარი ფინანსური საფუძლების შექმნისაკენ, სახელმწიფო მოხელეთა საბაზრო ცნობიერების განმტკიცებისაკენ, ფსევდორეფორმატორული "ხალხური თვითშემოქმედების" აღკვეთისაკენ არის მიმართული.

ბუნებრივად უნდა იქნეს აღქმული ისიც, რომ არც ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტებია დაზღვეული შეცდომებისაგან საზოგადოდ, და კერძოდ საქართველოსთან [13-19], ისევე, როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან (მაგალითად, [20, pp. 14-19]) მიმართებაშიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვარდების რევოლუციამდე დაშვებულ შეცდომათა უდიდესი ნაწილი ფონდის მისიის წევრების მიერ საქართველოს მთავრობისადმი მიცემულ მცდარ რეკომენდაციებზე მოდიოდა [13-17], ხოლო 2004 წლიდან მოყოლებული, ამ შეცდომების არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ გარდაქმნებს, მათ შორის, დაშვებულ შეცდომებსაც, საერთაშორისო სავალუტო ფონდიცა და მსოფლიო

ბანკიც შეგნებულად მხოლოდ “ვარდისფერი სათვალით” უყურებენ და “ვარდისფრად” აღიქვამენ [18-19].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული სხვადასხვა შეცდომა განსხვავებული ბუნებისა და მნიშვნელობისაა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ შეცდომების ნაწილი საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ისინი ფონდის მიერ არა მარტო საქართველოში მუშაობისას, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც იქნა დაშვებული.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამთავრობო გუნდს, რომელსაც საწყის ეტაპზე უხდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვა, პრაქტიკულად ამის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, სიღრმისეულად ვერც ფონდის პროცედურებში ერკვეოდა, რითაც ნებსით (სავარაუდოდ თავისი საქმის გასამარტივებლად) თუ უნებლიეთ (რაც კიდევ უფრო მეტადაა სავარაუდო) საკმაოდ ოსტატურად სარგებლობდნენ (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი გადასახედიდან ასე ჩანს) ფონდიდან გამოგზავნილი მისიის წევრები: სამთავრობო მხარე ყოველი მორიგი საფინანსო ტრანშის მიღების პირობად ცალკეულ შემთხვევაში თავის თავზე ისეთ ვალდებულებებს იღებდა, რომელთა შესრულება დადგენილ ვადაში (როგორც წესი, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში) ძალზე რთული იყო; ამგვარ ვალდებულებათა აღების დროს ყოველთვის როდი იყო ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რა სირთულის ამოცანის წინაშე აღმოჩნდებოდა მთავრობა მათი შესრულებისას. რეფორმატორები ამა თუ იმ რთულად გადასაწყვეტ ამოცანებთან მიმართებაში არაპოპულარული მეთოდების გამოყენებისას, როგორც წესი, მითითებას საერთაშორისო სავალუტო ფონდსა თუ სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე აკეთებდნენ, რითაც ამ ორგანიზაციების მიმართ საზოგადოებრიობისა და განსაკუთრებით მეწარმეთა უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს [21, გვ. 12].

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველა მოთხოვნა ფიქსირდებოდა, როგორც მთავრობის განცხადება (და არა როგორც ფონდის მოთხოვნა), რის გამოც ნებისმიერ სადისკუსიო სიტუაციაში ფონდის ექსპერტები, როგორც წესი, მთავრობას ახსენებდნენ, რომ ეს მის მიერ აღებული ვალდებულებაა, ანუ მისი პოზიციაა და არა ფონდის. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეულ შეთანხმებათა ცხოვრებაში გატარების პასუხისმგებლობა თავის თავზე მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების წარმმართველ სამთავრობო გუნდს (და ისიც არა ყოველთვის ყველა მის, როგორც წესი, ფისკალურ-საბიუჯეტო ბლოკის, წევრს) ჰქონდა აღებული, მაშინ, როცა მთავრობის (და პარლამენტის) ზოგიერთ სხვა წევრს უკეთეს შემთხვევაში არც კი ესმოდა (და ალბათ არც უნდოდა, რომ გაეგო), თუ რას ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით აღებულ ვალდებულებათა შესრულება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში საეჭვო რეპუტაციის მქონე ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირის მისივე მოთხოვნით მოლაპარაკების პროცესში ჩართვა, მათ მიერ დაყენებული თუნდაც მართლა რეფორმატორული და გამართლებული საკითხის (რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რადგან უმთავრესად ასეთი შეხვედრების დროს, როგორც წესი, აშკარად მცდარი და ყოვლად მიუღებელი წინადადებები წამოიჭრებოდა, რაც, საქართველოს სახელით მოლაპარაკებაში მონაწილე პირის და ირიბად იმ სტრუქტურის, სადაც ეს პირი უშუალოდ მუშაობდა, რეპუტაციასაც დაბლა სწევდა) გატანის შესაძლებლობას (ამ პირის შერყეული რეპუტაციის გამო) საბოლოოდ ბლოკავდა, რასაც ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე არასასურველი ზეგავლენა ჰქონდა; ცალკეულ პოლიტიკოსს, თანამდებობის პირს თუ საზოგადოების რიგით წევრს მცდარი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს საქართველოს მხრიდან ფონდთან ოფიცია-

ლურ მოლაპარაკებაში მონაწილე სამთავრობო გუნდის წევ-
რებს კომპეტენტურობა და პრინციპულობა არ ყოფნიდა,
დისკუსიაში არგუმენტების მოძიების უნარი აკლდათ და რომ,
თუკი მოლაპარაკების მაგიდას თვითონ მიუჯდებოდნენ, მაშინ
წარმატებასაც მიაღწევდნენ. ასეთ პირობებში, რომ არა
ქვეყნის პრეზიდენტის და პარლამენტის ხელმძღვანელობის
მტკიცე რეფორმატორული პოზიცია, საქართველო იმ ზემოთ
მოყვანილ წარმატებებს ვერ მიაღწევდა, რაც საერთაშორისო
სავალუტო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

საქართველოს თავისი განვითარების ამ უმძიმეს ეტაპზე
ერთადერთი სწორი არჩევანი – არჩევანი ევროპისაკენ, დასავ-
ლეთისაკენ გაკეთებული უკვე აქვს [22-12]. ეს მეტად რთული
და ხანგრძლივი გზაა და ამ გზაზე წარმატების მიღწევა
მხოლოდ და მხოლოდ ევროპულ ფასეულობათა სისტემის ეტა-
პობრივი დამკვიდრებით არის შესაძლებელი. ასეთი მიდგომა
ჩვენი ყოფის ყველა სფეროს და, რა თქმა უნდა, ქვეყნის
საფინანსო-ეკონომიკურ მოწყობასაც ეხება.

ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტებს ალტერნატივა არ გააჩნია
და საერთაშორისო საფინანსო წესრიგში საქართველომ ამ წე-
სრიგით განსაზღვრული "რეციპიენტი" ქვეყნის როლი უნდა
შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო იმ
ყოველმხრივ დახმარებას ვერ მიიღებს, რაც რეალური
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად აგრერი-
გად ესაჭიროება. დასავლეთის პოლიტიკური და საფინანსო
მხარდაჭერის გარეშე დროებით დაკარგული ტერიტორიებისა
და შედარებით სუსტი ეკონომიკის მქონე საქართველოსათვის
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება პრაქტი-
კულად შეუძლებელი იქნება.

მთლიანობაში, ცალკეული შეცდომის მიუხედავად, ბრე-
ტონ-ვუდსის ინსტიტუტები საქართველოში ჯანსაღი საფინან-
სო-ეკონომიკური სისტემის შექმნის რეალური ხელშემწყობი და
საიმედო საფინანსო გარანტია. ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები
საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები არიან და ისინი

მაშინაც კი ასეთად უნდა დარჩნენ, როცა საქართველო "რეციპიენტი" სახელმწიფოს როლს თავს დააღწევს, რადგან ჩვენს ქვეყანას სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყოს, არ გააჩნია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Десять широко распространенных заблуждений по поводу деятельности Международного валютного фонда. Вашингтон, МВФ, 1991.
2. *Надлежащее управление: роль МВФ*. Вашингтон, МВФ, 1997.
3. **Смыслов Д. В.** *Международный валютный фонд: современные тенденции и наши интересы*. Москва, Финансы и статистика, 1993.
4. **გოცირიძე რ.** *ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება.* თბილისი, "ფავორიტი", 1999.
5. **ბასილია თ., ბაქრაძე პ., ბეგიაშვილი გ. და სხვ.** *ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. რეფორმის პირველი შედეგები.* თბილისი, ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრი, 1998.
6. **პაპავა ვ.** "ეკონომიკური რეფორმების ძირითადი თავისებურებანი საქართველოში". *ეკონომიკა*, 1995, № 4-6.
7. **Papava V.** "The Georgian Economy: Problems of Reform." *Eurasian Studies*, 1995, Vol., 2, No. 2.
8. **Papava V.** "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'". *Communist Economies & Economic Transformation*, 1996, Vol. 8, No. 8.
9. **Papava V.** "The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms." In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. Ed. by P. G. Hare. London, Macmillan Press, 1999.
10. **Папава В.** «О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии». *Общество и экономика*, 1998, № 2.

11. **Папава В., Беридзе Т.** «Проблемы реформирования грузинской экономики». *Российский экономический журнал*, 1994, № 3.
12. **Папава В., Беридзе Т.** «Экономические реформы в Грузии». *Российский экономический журнал*, 1998, № 1.
13. **პაპავა ვ.** *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები.* თბილისი, "იმპერიალი", 2000.
14. **Papava V.** "On the Role of the International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia". *Emerging Markets Finance & Trade*, 2003, Vol. 39, No. 5.
15. **Papava V.** *Splendours and Miseries of the IMF in Post-Communist Georgia*. Laredo, we-publish.com, 2003.
16. **Папава В.** *Международный валютный фонд в Грузии: достижения и ошибки*. Тбилиси, «Империал», 2001.
17. **Папава В.** «О некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии». *Вопросы экономики*, 2002, № 3.
18. **Papava V.** "The "Rosy" Mistakes of the IMF and World Bank in Georgia". *Problems of Economic Transition*, 2009, Vol. 52, No. 7.
19. **Папава В.** ««Розовые» ошибки МВФ и Всемирного банка в Грузии». *Вопросы экономики*, 2009, № 3.
20. **Gomulka S.** *The IMF-Supported Programs of Poland and Russia, 1990-1994: Principles, Errors and Results*. Studies & Analyses 36. Warsaw, CASE, 1995.
21. **მესხია ი.** "საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები". კრებულში: *გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში.* ტომი III. თბილისი, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1999.
22. **Gegeshidze A. M.** "A Strategic Vision for Georgia". *The Washington Times*, 2002, September 13.
23. **Rondeli A.** "The Choice of Independent Georgia". In: *The Security of the Caspian Sea Region*. Ed. by G. Chufrin. New York, Oxford University Press, 2001.

*Papava Vladimer*

# THE ROLE OF THE BRETON WOODS INSTITUTIONS IN POST-COMMUNIST TRANSFORMATION OF THE GEORGIA'S ECONOMY

## SUMMARY

The role of the Breton Woods institutions in post-Communist economic transformations of Georgia are analyzed in the paper. Remarkable achievements have been accomplished between Post-Communist Georgia and the Breton Woods institutions. There were some errors too. The Breton Woods institutions has no alternative and the existing global financial order requires that Georgia perform a role of recipient country defined by that order itself. From the very beginning of its independence, Georgia has made an exclusively right choice: to tie its future with Europe and the West. Success is achievable only by gradual adoption of the Western system of values. Without financial and political assistance from the West it will be practically impossible for Georgia to preserve its national independence, especially bearing in mind hardships of economic transition and temporarily lost territories.

*ვახტანგ ბურდული*

# საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა ეკონომიკური საქმოანობის სახეების მიხედვით და მისი სრულყოფის პერსპექტივები

**ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ტრანსფორმაციის თანამედროვე პრობლემები.** ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე ბევრად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობა და, ამდენად, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ეკონომიკის ყოველი დარგის წარმოება ხორციელდება რიგი სპეციფიკური ტექნოლოგიების ერთობლიობის საფუძველზე, რომლებიც თანდათანობით ვითარდებიან, რის საფუძველზე ხდება შრომის მწარმოებლურობის ზრდა. ჩნდება ახალი დარგებიც, დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე წარმოებაში და ხორციელდება მათი მეშვეობით წარმოებული ტექნოლოგიურად ახალი ნაკეთობების გამოყენება და გავრცელება როგორც სხვადასხვა დარგში პროდუქციის წარმოების მიზნით, ასევე მასობრივ მოხმარებაში.

ეკონომიკურ მეცნიერებაში დარგობრივი სტრუქტურის ანალიზისას სხვადასხვა ეკონომიკური საკითხის თეორიული და პრაქტიკული კვლევა უფრო ხშირად ხდება შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარებასთან ურთიერთკავშირში. მასთან, ბოლო პერიოდში, ტექნოლოგიების ერთობლიობა (ტექნოლოგიური სტრუქტურა), მათ შორის ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ კავშირებთან ერთად, განიხილება როგორც ტექნოლოგიური წყობა, რომელიც მუდმივად განვითარებას განიცდის.

თანამედროვე სტატისტიკაში დარგობრივი სტრუქტურა ხშირად განიხილება როგორც ეკონომიკის სტრუქტურა საქმიანობის სახეების მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის მსხვილ აგრეგირებულ სახეებს ხშირად ეწოდება სექტორები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა) ან სფეროები

(მომსახურების სფერო). უფრო დეტალიზებულ საქმიანობის სახეებს, მაგალითად, მრეწველობაში, ეწოდება დარგები. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აღვნიშნოთ, რომ ტერმინი "ეკონომიკური საქმიანობის სახეობა" ჩვენ გამოკვლევაში იგივეა, რაც "დარგი", რომელიც უფრო ხშირად იხმარება ეკონომიკურ ლიტერატურაში. ნებისმიერ დარგში წარმოება ხორციელდება მისთვის თვისობრივი ტექნოლოგიების ერთობლიობის მეშვეობით.

საქართველოში დარგობრივი, და შესაბამისად ტექნოლოგიური სტრუქტურის, უფრო ღრმა გაგებით, ტექნოლოგიური წყობის სრულყოფის პრობლემები დაკავშირებულია როგორც მსოფლიოში მიმდინარე საერთო პრობლემებთან (ტექნოლოგიების განვითარება, ახალი ტექნოლოგიების გაჩენა, ტექნოლოგიების და, შესაბამისად, კაპიტალის, მუშა ძალის, შრომის მწარმოებლურობის ზრდის გადადინება ქვეყნებს შიგნით და ქვეყნებს შორის, გლობალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, საბაზრო კოორდინაციის და სახელმწიფო და გლობალურ დონეზე რეგულირების პირობების ტრანსფორმაცია და სხვა), ასევე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში მყოფი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემებთან.

როგორც ვიცით, ცივილიზაციის ეკონომიკური განვითარება ხდება **ტექნოლოგიური წყობის** განვითარების საფუძველზე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ევოლუციური ან დაჩქარებული ხასიათი (ინიცირებული ეკონომიკური კრიზისების შედეგების დაძლევისა ან ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის პრობლემებით). ამასთან, სხვადასხვა ქვეყანა ტექნოლოგიური წყობის განვითარების დონის მიხედვით სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება. ამჟამად მეხუთე ტექნოლოგიური წყობა ეკონომიკური კონიუნქტურის გრძელტალღიანი ციკლის დაქვეითების სტადიაზე იმყოფება, რასაც მოჰყვა, ეკონომიკური ციკლების შემსწავლელ ეკონომიკურ თეორიებში დასაბუთებული დებულებების

შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების, სასურსათო და, ბოლოს, 2008 წელს, საერთო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი. მართალია, კრიზისის მწვავე სტადია უკვე გადალახულია, მაგრამ მას დროის ასპექტში გააჩნია საგრძნობი შლეიფი: საბაზრო ძალების მოქმედებისა და სახელმწიფო რეგულირების შედეგად დარგობრივი სტრუქტურის კორექტირების დაგვიანების გამო ჯერ კიდევ მატულობს უმუშევრობის დონე, ზუსტად არ გამოიკვეთა ახალი ტექნოლოგიების ის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ეფექტიან გამოცოცხლებას. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გაჩნდა სირთულეები სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებაში.

ეს გარეეკონომიკური ფაქტორები ახდენენ გარკვეულ გავლენას (როგორც დადებითს, ასევე უარყოფითს) საქართველოს ეკონომიკის ტექნოლოგიური წყობის ოპერატიული მოდერნიზაციისა და დარგების მიხედვით ეკონომიკური სტრუქტურის ოპტიმიზაციის შესაძლებლობებზე.

შიდა ფაქტორებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ის, რომ ტრანსფორმაციული პერიოდის დასაწყისში საქართველოს ეკონომიკის დარგების ნომენკლატურა მნიშვნელოვნად შეიკვეცა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში წარმოება საქართველოში, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებში, დაფუძნებული იყო მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომლებიც მნიშვნელოვანწილად უშვებდნენ კონკურენტუუნარო პროდუქციას, მისი სტრუქტურა საკმაო დონით დივერსიფიცირებული იყო, ზოგიერთ დარგში კი არსებობდა ტექნოლოგიურად კონკურენტუნარიანი საწარმოები.

წარმოების ჩავარდნა, რომელიც 1991 წელს მოხდა საქართველოში (ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში), ტრადიციული საწარმოო-კოოპერაციული და სავაჭრო კავშირების გაწყვეტა პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებთან გამოიწვია უმუშევრების მნიშვნელოვანი რაოდენობის გაჩენა, განსა-

კუთრებით ქალაქებში. იმ დროს გაჩენილი "ტრანსფორმაციული უმუშევრობის" [1] შედეგები დღემდე სრულად არ არის გადალახული. ეკონომიკის დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურის იმდროინდელი გაუარესება და ტექნოლოგიების რაოდენობის შეკვეცა გამოიწვია ასევე ქვეყანაში სიღარიბის დონის უკიდურესმა ზრდამ. მხოლოდ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში ეკონომიკის განვითარებასა და ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციაში გაჩნდა დადებითი ტენდენციები, მაგრამ საჭიროა მათი მნიშვნელოვანი განვითარება.

მრავალი ქვეყნის, მაგალითად, 50-იანი წლების გერმანიის, იაპონიის, ამჟამინდელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის "ვეფხვების" და, განსაკუთრებით, ჩინეთის, ინდოეთის და ბევრი სხვა ქვეყნის მაგალითიდან ჩანს, რომ გონივრული ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების შემთხვევაში შეიძლება ძალიან სწრაფი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისათვის დამახასიათებელი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველზე (მცირე ქვეყნებშიც, რომლებშიც ამისათვის არსებობს როგორც განსაკუთრებული ხელშემწყობი, ასევე ხელშემშლელი ფაქტორები).

**საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი.** საყურადღებოა საქართველოში საქმიანობის სახეების (დარგების) მიხედვით ეკონომიკური სტრუქტურის ჩამორჩენილობა (კერძოდ, იგი არ შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნებს).

მაგალითად, ძალიან მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების ხვედრითი წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაში: 2001 წ. – 52,1%, 2007 წ. – 53,4%. ამასთან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესი ნაწილი მოდის საშინაო მეურნეობებზე.

დაბალია გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში. ზოგიერთი ტრადიციული დარგის ხვედრითი წილი (მაგალითად, საფეიქრო მრეწველობა,

ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება, ავეჯის წარმოება და სხვა) თითქმის ნულოვან დონემდე შეიკვეცა. მცირეა ასევე წარმოების მოცულობა მაღალტექნოლოგიურ და საკვანძო ტექნოლოგიურ დარგებში. ამასთან, "დამამუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს მეურნეობის ყველა დარგის მოდერნიზაციისა და მოსახლეობის სამუშაო ადგილებით (რომლებიც მოითხოვენ განათლებისა და კვალიფიკაციის მაღალ დონეს) უზრუნველყოფის საფუძველს. ამის გარდა, ზუსტად დამამუშავებელ მრეწველობაში ამჟამად წარმოიშვა ყველაზე მწვავე კონკურენცია მსხვილი განვითარებადი ქვეყნების მხრიდან, რადგანაც ამ დარგის პროდუქციაზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის არა ნაკლებ 3/4-დი" [10, გვ. 91]. ე.ი. მრეწველობა, განსაკუთრებით დამამუშავებელი, წარმოადგენს ძირითად სექტორს (ტურიზმთან და სატრანსპორტო გადაზიდვებთან ერთად), რომელსაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევაში მოაქვს დიდი საექსპორტო შემოსავლები და, ასევე, გააჩნია დიდი მულტიპლიკაციური ეფექტი (მაგალითად, უზრუნველყოფს მომსახურების რიგი სფეროს განვითარებას, გამოსაყენებელი ტექნოლოგიების რეაბილიტაციის სფეროს განვითარებას, მსხვილი საწარმოები უზრუნველყოფენ მრავალი საშუალო და მცირე საწარმოს დასაქმებას).

ძალიან დაეცა წარმოება იმ დარგებში, რომლებიც დაფუძნებულია მაღალი და საკვანძო ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ასე, მაგალითად, იმ მთელი რიგი სამრეწველო დარგის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის მთელ მოცულობაში, რომლებშიც გამოიყენება მაღალი და საკვანძო ტექნოლოგიები (მანქანების და მოწყობილობის, გამოთვლითი ტექნიკის, ელექტრომოწყობილობის, სატელევიზიო აპარატურის, ავტომანქანების და ა.შ.), არ აღემატება 0,8%.

მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში კერძო სექტორში სამთავრობო შუამდგომლობის ხელშეწყობით მოხერხდა რამდენიმე თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საწარმოს დაფუძნება და ამოქმედება. მაგალითად, შეიქმნა მეტალოპლას-

ტიკების ქარხანა, საყოფაცხოვრებო ტექნიკის რიგი რთული ნაკეთობის ამწყობი ქარხანა, ნოუთბუქების ამწყობი ქარხანა და სხვა. განზრახულია ელექტრომობილების ამწყობი ქარხნის შექმნა. უკანასკნელ პერიოდში ძალიან გაუმჯობესდა მდგომარეობა ელექტროენერგეტიკაში. რამდენიმე ახალი ელექტროსადგურის ამოქმედების ხარჯზე საქართველო ელექტროენერგიის იმპორტიორი ქვეყნიდან გადაიქცა ელექტროენერგიის ექსპორტიორ ქვეყნად. დაგეგმილია კიდევ რიგი მცირე და მსხვილი სიმძლავრის ჰეს-ის შექმნა. მაგრამ გადამამუშავებელ მრეწველობაში მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნის ხელშეწყობის პოლიტიკას ჯერ არა აქვს სისტემაშექმნელი ხასიათი: ძირითადად ყველაფერი შემოიფარგლება მცირე რაოდენობის ამწყობი ქარხნის შექმნით, რაც ვერ უზრუნველყოფს საგრძნობი წვლილის შეტანას ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესებაში.

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, იმ სტრუქტურული ძვრების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების ზრდას, ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესებას ექსპორტისა და იმპორტჩანაცვლების ზრდის ხარჯზე, შიდა საქონელ- და ფულადი ბრუნვის ზრდას, წარმოებს ძალიან მცირე ტემპებით ან საერთოდ ხდება პრიორიტეტულ დარგებში დასაქმებულების რაოდენობის შემცირება. ნელა მიმდინარეობს ისეთი ზოგიერთი ტრადიციული დარგის ხვედრი წილის ზრდა, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა საქონელბრუნვის ზრდას (მაგალითად, საფეიქრო, სამკერვალო და ავეჯის წარმოების). თითქმის სრულად შეწყდა საქმიანობა ისეთ იმპორტჩანაცვლებით დარგში, როგორიცაა თევზჭერა და მეთევზეობა.

ამასთან, შიდა ბრუნვის ზრდა იმპორტჩანაცვლებითი დარგების განვითარების ხარჯზე (ისევე, როგორც ექსპორტორიენტირებული დარგების განვითარება), წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს გარანტს, რადგანაც ამ შემთხვევაში ერთდროულად

ხდება უმუშევრობის დონის შემცირება, მეწარმეთა შემოსავლების და მომუშავეთა ხელფასების ზრდა, ქვეყაში წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა ერთდროულად მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლებასთან.

ასევე, არც ისე სწრაფად იზრდება იმ მომსახურების დარგების ხვედრი წილი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ შიდასაქონელბრუნვის ზრდასა და შემოსავლების გადანაწილების უზრუნველყოფაში, ზოგიერთსაც კი (ტურიზმი, ინოვაციების სფერო) – ექსპორტული შემოსავლების მიღებაშიც.

უკანასკნელ პერიოდში სოფლის მეურნეობაშიც განვითარებაშიც გაჩნდა შეფერხებები. მიუხედავად ფასების ზრდისა, ნატურალურ გამოსახულებაში რიგი პროდუქტის წარმოება შემცირდა. შემცირდა ასევე დამუშავებული მიწის ფართობები, რისი მიზეზებიც შემდეგია: ჯერ ერთი, ხდება შიდა წარმოების გარკვეულწილად ჩახშობა იმპორტით; მეორე, სუსტი კონკურენტუნარიანობის გამო ან ისეთი საწარმოების უქონლობის გამო, რომლებსაც შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების მაღალი სტადიის უზრუნველყოფა, ქვეყნის შიდა ბაზარზე შემცირდა მოთხოვნა მატყლზე, ტყავზე, ხორცსა და ზოგიერთ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე.

სტრუქტურული დისპროპორციები, თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნების მიმართ სტრუქტურული პროპორციების შეუსაბამობა, პრიორიტეტულ დარგებში კაპიტალის დაბანდების უკმარისობა ძალიან უარყოფითად მოქმედებენ დასაქმების დონესა და მისი რაციონალური სტრუქტურის მიღწევაზე. თუმცა ამ ასპექტში პრობლემები გაუჩნდა ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც. **განვითარებადი ქვეყნები კი, ბევრი მკვლევარის აზრით, ამ პირობებში, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას, ღებულობენ გარკვეულ უპირატესობებს ეკონომიკის სტრუქტურული განახლების, მოდერნიზაციის და სწრაფი ზრდის საფუძველზე.**

იმ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის პირობებში

ეკონომიკის რაციონალურ სტრუქტურაზე თანდათანობითი გადასვლისათვის, დაემატა ისეთი რაციონალური ინსტიტუციური და ეკონომიკური პირობების შექმნის პრობლემა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ **ქვეყნის ეკონომიკაზე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის შედეგების** სერიოზული ზეგავლენის თავიდან აცილებას.

ბევრი ეკონომისტი თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისს იხილავს, როგორც განვითარებული ქვეყნების უმეტესობის ეკონომიკის რეაქციას თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისა და მასთან შეუღლებული ინსტიტუციურ-ეკონომიკური წყობის მოძველებასთან კავშირში, რაც მოითხოვს ინსტიტუციურ-ეკონომიკური მახასიათებლების გადასინჯვას როგორც ქვეყნების შიდა, ასევე საერთაშორისო ასპექტში. ამიტომ, საქართველოს ახლა გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ ქვეყნის ინსტიტუციურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი კონცეპტუალური პროგრამა შეიმუშავოს, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას, ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე მისი სტრუქტურის თანდათანობითი, მაგრამ საკმაოდ ენერგიული გადასვლის ჩარჩოებში (დასაქმების ზრდისა და მისი სტრუქტურის რაციონალიზაციის აუცილებლობის გათვალისწინებით) [9, გვ. 31].

დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის სტრუქტურის რაციონალური განვითარების თვალსაზრისით **ინსტიტუციურ ფაქტორებს**. კერძოდ, ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა ტექნოლოგიურ (დარგობრივ) სტრუქტურას და ინსტიტუტებს შორის დაიწყო ჯერ კიდევ ტ. ვებლენის მიერ XIX საუკუნის ბოლოს, XX საუკუნეში ამ მიდგომის სხვადასხვა ასპექტი განვითარებული იყო მრავალი მეცნიერის მიერ. ბოლო პერიოდში, როგორც დასავლეთში, ასევე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, გაჩნდა მრავალი გამოკვლევა, რომელშიც ინსტიტუციური კვლევა წარმოებს მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების კუთხით (იხ., მაგ., [5; 6; 12]). მაგალითად, რ. რ. ნელსონი აღნიშნავს, რომ ინსტიტუტების კომპრომისული ტექნოლოგიური

ინტერპრეტაცია გვაძლევს შესაძლებლობას, ისინი განვიხილოთ როგორც მოქმედების (საქმიანობის) ეფექტიანი ხერხები. ასევე მრავალ ნაშრომში განიხილება ინსტიტუციური თეორიის სხვა თეორიებთან სინთეზის საკითხი (კეინსიანურ, ნეოლიბერალურ, ევოლუციურ თეორიებთან). ასეთი სინთეზი აძლიერებს თეორიების მნიშვნელობას პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, რადგანაც ნიველირდება ცალკეული თეორიების ნაკლოვანებები. ინსტიტუციური ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და მისი სტრუქტურის განვითარებაზე განიხილება ჩვენს ნაშრომებშიც (იხ., მაგ., [3; 7; 8]). აქ გვინდა გავჩერდეთ რიგ ისეთ ეკონომიკის დარგობრივ-ტექნოლოგიურ სტრუქტურასთან დაკავშირებულ ასპექტზე ან ფაქტორზე, რაც ჯერ ნაკლებადაა განხილული ჩვენს ნაშრომებში.

თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის ეფექტიანობის უკმარისობა (მათ შორის საქართველოშიც) ვლინდება საწარმოო ურთიერთობების სიმჭიდროვის შემცირებაში ეკონომიკის მომიჯნავე დარგებს შორის. საქართველოში ეს, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ურთიერთკავშირებისათვის სოფლის მეურნეობასა და მისი ნედლეულის მომხმარებელი მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებს შორის (სასურსათო, რომლის საწარმოებში ხშირად უპირატესობას აძლევენ იმპორტული ნედლეულის ან საკვები სუროგატების გამოყენებას, საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმლის, რომლებშიც წარმოება ძალიან შემცირდა, ერთი მხრივ, იმპორტის ზეწოლის, მეორე მხრივ, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შეძენისა ან მისი ათვისების შეუძლებლობის გამო). საწარმოო ურთიერთობების სიმჭიდროვის შემცირება ასევე განპირობებულია მოძველებული ტექნოლოგიებით როგორც სოფლად, ასევე გადამამუშავებელ დარგებში, ურთიერთობების მოუწესრიგებლობით საქონელწაწევის სფეროში, წარმოების ინსტიტუციური ორგანიზაციის სისუსტით (ქალაქებში და, განსაკუთრებით, სოფლად), დამხმარე ორგანიზაციების (მაგალითად, სასელექციო და სანაშენო სადგურების ან ფირმების) მომსახურების იგნორირე-

ბით, რის გამოც მცირდება პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და ძნელდება მისი გასაღება.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ურთიერთმოქმედების სიმჭიდროვის გაძლიერება მეცნიერებას, ინოვაციურ და ეკონომიკის რეალურ და დამხმარე (საფინანსო, მარკეტინგის სამსახურის და სხვ.) სექტორებს შორის.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც აფერხებს ეკონომიკის დაჩქარებულ ეფექტიან დარგობრივ რესტრუქტურიზაციას წარმოადგენს ეკონომიკური რეგულირების მექანიზმის რეაგირების დაგვიანება გლობალიზაციის მუდმივად განვითარებადი პირობების ცვლილებაზე, რის შედეგადაც ხშირად წარმოების სხვადასხვა სექტორში ჩერდება ადგილობრივი საწარმოები ან რთულდება ახლების ჩამოყალიბება. ღეაგირების დაგვიანება ასევე ვლინდება კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით სამამულო ტექნოლოგიების განახლების დაგვიანებაში, საგადასახადო, საბაჟო ინსტრუმენტების გადასინჯვის დაგვიანებაში (რომელთა მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესებთან და მაქსიმალურად ხელს უწყობდეს სამამულო წარმოების დაცვას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და პროდუქციის ექსპორტის ზრდას), საერთაშორისო სტანდარტების მიმართ იმპორტირებადი პროდუქციის შესაბამისობის შემოწმების მექანიზმის სისუსტეში და ა.შ.

სტრუქტურული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შედარებით ნელი ტემპები გარკვეულ ზომებში განპირობებულია ფისკალური პოლიტიკის გარკვეული არასრულყოფილებით (მაგალითად, საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაციის უქონლობა, საგადასახადო შეღავათების სრულყოფილი სისტემის არარსებობა და სხვა). არსებული სისტემა არ უზრუნველყოფს წარმოების განვითარების, გამოსაშვები პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ინოვაციების დანერგვაზე მეწარმეთა ორიენტაციის სათანადო სტიმულირებას, საბიუჯეტო სახსრები და, ასევე, სპეციალური ფონდების სახსრები სა-

ჭირო შემთხვევებში არ გამოიყენება ექსპორტის მხარდასაჭერად (რაც მიღებულია მრავალ ქვეყანაში).

**ახლა განვიხილოთ სტრუქტურულ-ტექნოლოგიური განვითარების მოდერნიზაციის გზები.** საქმიანობის სახეების (დარგების) ჭრილში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს როგორც განვითარებადი და სწრაფად ცვალებადი გლობალიზაციის პროცესები, ასევე ქვეყანაში არსებული შიდა პრობლემები, რომელთა ნაწილი მოტანილია ზემოთ და რომლებიც გარკვეულწილად ანელებენ ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკის რაციონალური დარგობრივი რესტრუქტურიზაციის ტემპებს.

ეკონომიკის სექტორების და მათში შემავალი დარგების ჭრილში ეფექტიანი განვითარება, უპირველეს ყოვლისა, დამოყიდებულია თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებისაგან[2]. საქართველოში ეკონომიკის დარგობრივი რესტრუქტურიზაციის გზების შემუშავების დროს ტექნოლოგიური წყობის განვითარების გზების განსაზღვრისას, საჭიროა, ჩვენი აზრით, შემდეგი ძირითადი პრობლემების გამოყოფა: 1) რიგი ტრადიციული დარგის რეანიმაციისა ან ტექნოლოგიური განახლების გზების განსაზღვრა; 2) სასოფლო-სამეურნეო ფართობების სრული და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის გზების განსაზღვრა; 3) ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური დარგების და საწარმოების განვითარების გზების განსაზღვრა; 4) იმ დარგების და საწარმოების განვითარების განსაზღვრა, რომელთა წარმოება დაფუძნებულია საკვანძო ტექნოლოგიების გამოყენებაზე; 5) ქვეყანაში თანამედროვე პირობებში აქტუალური მომსახურების სფეროს დარგების განვითარების სტრატეგიისა და სტიმულირების გზების შემუშავება; 6) ქვეყანაში

[2] ამჟამად ტექნოლოგიური ბალანსი (საზღვარგარეთ გაყიდულ და შეძენილ ტექნოლოგიებს შორის) დადებითია მხოლოს აშშ-ში, დანარჩენ ქვეყნებში იგი უარყოფითია. – იხ.: [11, გვ. 39].

ინოვაციების შემუშავების და დანერგვის სექტორის განვითარების გზების განსაზღვრა.

1) **ტრადიციული დარგების რეანიმაციის ან ტექნოლოგიური განახლების დროს** საჭიროა მათში წარმოების ისეთი მოცულობის გათვალისწინება (სახელმწიფო რეგულირების და მეწარმეთა წრეებში საბაზრო კოორდინაციის მეთოდების გამოყენების საფუძველზე), რომ შესაძლებელ ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს იმპორტჩანაცვლებითი ფუნქციები და ექსპორტისათვის პროდუქციის წარმოება (ე. ი. პროდუქცია კონკურენტუნარიანი უნდა იყოს და მარკეტინგული და ბაზრებზე საქონელწაწევის სხვა ორგანიზაციების და საწარმოების ძალისხმევით გარანტირებული უნდა იქნეს წარმოებული პროდუქციის სრული მოცულობით გასაღება). წარმოების ტექნოლოგიური ბაზის უზრუნველსაყოფად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ყველაზე მისაღები გზა: მეწარმეების მიერ (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების მიერ, მაგალითად, შალის ქსოვილების წარმოებაში) უცხოური ტექნოლოგიების შესყიდვა; ადგილობრივი ძალებით ზოგიერთი სახის საწარმოო დანიშნულების ტექნოლოგიის წარმოება და ადგილობრივ მეწარმეებზე რეალიზაცია; ფრენჩაიზინგის სისტემების გამოყენება და აუტსორტინგის საერთაშორისო ქსელებში ჩართვა; ლიცენზიების შესყიდვა და ა.შ.). ტრადიციულ დარგებში უცხოური კაპიტალის მონაწილეობა მინიმალური უნდა იყოს. ტრადიციულ დარგში შედის საკვები მრეწველობა, საფეიქრო და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობა, სამშენებლო მასალების წარმოება, ფაიფურის წარმოება და მრავალი სხვა დარგი.

2) სასოფლო-სამეურნეო ფართობების და სიმძლავრეების სრული, ინტენსიური და ეფექტიანი გამოყენება უნდა ხორციელდებოდეს გონივრულ ზომებში წარმოების დივერსიფიკაციის პრინციპის გამოყენებით (როგორც უშუალოდ სოფლის მეურნეობაში, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობის მომიჯნავე დარგებში). ამასთან, უნდა ხორციელდებოდეს მიწის

ნაყოფიერების შენარჩუნების და ზრდის უზრუნველყოფის და ასევე, ნიადაგის შემადგენლობისა და სტრუქტურის გაუმჯობესების პოლიტიკა. მიზანშეუწონელია, განსაკუთრებით საქართველოსათვის დამახასიათებელი მცირემიწიანობის პირობებში, უცხოელებზე მიწის მიყიდვა (რაც, თანამედროვე პირობებში, ფაქტიურად, არც ერთ ქვეყანაში არ ხორციელდება).

სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის თანამედროვე მეთოდები ასევე გულისხმობენ განსაკუთრებული მექანიზმების გამოყოფას აგროსამრეწველო კომპლექსის ან მისი ნაწილის (მაგალითად, ბლოკის, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე) საქმიანობის რეგულირებისათვის. საქართველოს თანამედროვე პირობებში, კვების მრეწველობის გარდა, უკიდურესად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის არასასურსათო სანედლეულო დარგებისა (შალის, ტყავის, აბრეშუმის პარკის წარმოება და მიწოდება) და მრეწველობის შესაბამისი გადამამუშავებელი დარგების (საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის) კოორდინირებული განვითარების უზრუნველყოფა.

3) უკანასკნელ პერიოდში საქართველოში გაჩნდა რამდენიმე **თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საწარმო.** მაგრამ ასეთი საწარმოების უმნიშვნელო რაოდენობის პირობებში (მაგალითად, რომლებიც აწარმოებენ მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობას, ტელეკომუნიკაციურ საშუალებებს, რადიოელექტრონულ ნაკეთობებს) შეუძლებელია ქვეყნის ექსპორტ-იმპორტული სალდოს უარყოფითი მაჩვენებლის საგრძნობი შემცირება, რაც გააუმჯობესებდა ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამსახველ მაჩვენებლებს. ამიტომ, მაღალტექნოლოგიური დარგების სფეროშიც საჭიროა მათი განვითარების სტრუქტურული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს გამოსაშვებად არჩეული პროდუქციის შიდა და გარე ბაზრებზე გასაღების შესაძლებლობები. მცირე ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა მხოლოდ ადგილობრივი მეწარმეების ძალისხმე-

ვით უფრო რთულია, ვიდრე "ტრადიციული" საშუალო- და დაბალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას უცხოურ პარტნიორებთან, მაგალითად, ერთობლივი საწარმოების შექმნით, ქვეყანაში ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოწვევით, რომელთა ირგვლივ შეიძლება გაჩნდეს მრავალი ტექნოლოგიური (შემადგენელი დეტალების და კვანძების წარმოება) და მომსახურების ხასიათის ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმო. ამას ხელს შეუწყობს ასევე გლობალიზაციის პროცესში გაჩენილი ახალი მექანიზმი – აუტსორტინგი, რომლის შედეგად არსებითად იზრდება საწარმოო პროცესის ეკონომიურობა და ეფექტიანობა, მცირდება ტრანსფორმაციული (ფაქტორული) და ტრანსაქციული დანახარჯები. ზოგიერთ მაღალტექნოლოგიურ დარგში კი ადგილობრივმა მეწარმეებმა შეიძლება მიმართონ ფრანჩაიზინგულ ურთიერთობებს, განსაკუთრებით, ფრანჩაიზინგული წესების მიხედვით მასალა- და ენერგოდამზოგი სამომხმარებლო ნაკეთების წარმოების სფეროში.

4) მცირე ქვეყანაში საწარმოო **საკვანძო ტექნოლოგიების** შეძენისა და გამოყენების ეფექტიანობა დამოკიდებულია საკვანძო ტექნოლოგიების სახეობებზე. მაგალითად, საქართველოში, შეკვეთების საკმარისი ოდენობის უქონლობის გამო, სიძნელეებს განიცდიდა საწარმო, რომელიც აწარმოებდა ნაკეთობებს კოსმოსში გამოსაყენებლად. მაგრამ ქვეყანაში საკვანძო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ისეთი დარგების საწარმოების დაფუძნებას და განვითარებას, როგორიცაა ფარმაცევტიკა, ბიოტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები (გენური ინჟენერია, მოლეკულარული ბიოლოგია და სხვა დარგები), ინფორმაციული საშუალებების იმ ნაწილის გამოშვებას, რომელთა წარმოება დაფუძნებულია საკვანძო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, და ამ ტიპის სხვა საწარმოებს (მაგალითად, საკვანძო ტექნოლოგიების გამოშვება მედიცინაში გამოსაყენებლად) მცირე ქვეყნისათვის აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა. ჯერ

ერთი, მსოფლიოში სწრაფად იზრდება ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნა, მეორე, იმ დარგების უმეტესობა, რომლებიც დაფუძნებულია საკვანძო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, უშვებს ძირითადად მასალა და ენერგოდამზოგ პროდუქციას, მესამე, დარგები, რომლებიც იყენებენ საკვანძო ტექნოლოგიებს, შრომა- და ინტელექტტევადია, ამიტომ უზრუნველყოფენ მომუშავეთა დიდი რაოდენობის დასაქმებას. საკვანძო ტექნოლოგიების დანერგვა უნდა ხდებოდეს ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კოოპერაციის ბაზაზე.

5) თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის განვითარების მნიშვნელოვანი ტენდენციაა ასევე **მომსახურების სფეროს დარგების** ხვედრი წილის ზრდა. საწარმოო ტექნოლოგიების და სამომხმარებლო ნაკეთების მომსახურების (მათ შორის რემონტის) სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ განვითარებად დარგს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ მომსახურების სფეროს ისეთ დარგებს, როგორიცაა კავშირგაბმულობა (მობილური და ჩვეულებრივი ტელეფონები და სხვა), სხვა საინფორმაციო კომუნიკაციები (ინტერნეტი, ტელევიზია და სხვა). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების სფეროს დარგები იმუშავებენ მხოლოდ იმპორტირებული ნაკეთების ფუნქციონირების მომსახურების პირობებში, ისინი ვერ შეასრულებენ დადებით შედეგს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების გადაწყვეტაში, პირიქით, გამოიწვევენ ეკონომიკური კეთილდღეობის დაქვეითებას როგორც სახელმწიფოში მთლიანად, ასევე მის ცალკეულ ფენებში (კერძოდ, ამიტომ, ასეთი სიტუაციის გაჩენის ასაცილებლად საჭიროა ზემო პუნქტებში აღნიშნული მაღალ- და საკვანძოტექნოლოგიური საწარმოების შექმნის აქტიური სტიმულირება). მაგრამ მომსახურების სფეროს დარგებს შორის, როგორც ვიცით, არის დარგები, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო პოტენციალი. ამ დარგებს ძირითადად მიეკუთვნება ტურიზმი და ინოვაციების შემუშავების და დანერგვის სექტორი. რადგანაც საქართველოს ბუნებას გააჩნია მნიშვნელოვანი რეკრეაციული შესაძლებლობანი და,

ასევე, საქართველოში არსებობს ბევრი ისტორიული ღირსშესანიშნაობა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტურიზმის დაჩქარებული განვითარება.

6) მომსახურების სფეროში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს **ინოვაციებისა შემუშავების და დანერგვის სექტორი**, რომლის განაყოფები მრავალ ქვეყანაში განთავსებულია სახელმწიფო დაქვემდებარების ორგანიზაციებში, დარგებში, კორპორაციებში, სხვადასხვა სახის ინოვაციურ ცენტრებში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში. სექტორი, რომელიც აწარმოებს ცოდნებს და აქცევს მათ ადამიანის მოხმარების პროდუქტებად, არ აჩენს სტაგნაციის ნიშნებს. მისი სიმძლავრეები იზრდება გამსწრები ტემპებით. სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი დაკავებულია შრომით, რომელშიც შემოქმედებით კომპონენტს უკავია არსებითი ადგილი [11, გვ. 39]. ამ სექტორის განვითარების სტრატეგია განხილულია ჩვენს ნაშრომებში (იხ., მაგ., [4]). ამასთან, უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით, ამ სექტორს უკავია წამყვანი ადგილი, რადგანაც ის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევას და შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ იძლევა დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნების გარანტიას, მაგრამ სამუშაო ძალის გადანაწილებისა და მის მიერ ახალი ცოდნების ათვისების პირობებში.

მაშასადამე, ქვეყნის ეფექტიანი ეკონომიკური განვითარების პრობლემის გადაწყვეტა ბევრად დამოკიდებულია დარგობრივ და ტექნოლოგიურ ასპექტში რაციონალური სტრუქტურშექმნელი პოლიტიკის განხორციელებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე თანდათანობით, საკმარისად მობილურ გადასვლას თან უნდა ახლდეს ქვეყანაში წარმოების საერთო მოცულობის ზრდის მაღალი ტემპები, ამასთან უპირატესობა უნდა მიეცეს პრიორიტეტული ტექნოლოგიების განვითარებას და დანერგვას, რომელთაც გასაღების შესაძლებლობების თვალსაზრისით ხელი უნდა შეუწყონ ექსპორტის

და იმპორტჩანაცვლების ზრდას, მათ უნდა გააჩნდეთ მაღალი შრომა- და ინტელექტტევადობა, მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი და სხვა, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს შიდა და საგარეო საქონელბრუნვის ზრდას, დასაქმების დონის და ხარისხის ზრდას, მოსახლეობის ყველა ჯგუფის შემოსავლების ზრდას და, ამის საფუძველზე, მოსახლეობის კეთილდღეობის რადიკალურ ამაღლებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე". თბილისი, 2010.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2010.
3. **წერეთელი გ., ბურდული ვ.** ინსტიტუციონალიზმის ძირითად პრინციპთა პოსტკომუნისტური ქვეყნების წარმოების სტრუქტურული ორგანიზაციის სფეროში გამოყენების აუცილებლობა. კრ.: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. საქართველოს მეც. კადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი IV, თბილისი, "მეცნიერება", 2004.
4. **Abesadze R., Burduli V.** Innovative Activities and their Coordination under Advancing Globalization // The Caucasus and Globalization. Volume 3, Issue 4. CA&CC Press. SWEDEN: 2009.
5. **Boyer R.** New Growth Regimes, but Still Institutional Diversity // Socio-Economic Review. 2004, Vol. 2. #

6. **Nelson R. R.** Bringing Institutions into Evolutionary Growth Theory // Journal of Evolucionary Economics. 2002, Vol. 12, # 1-2.
7. **Абесадзе Р., Бурдули В.** Региональные аспекты ускорения темпов развития Грузии. – Общество и экономика, 2011, №7.
8. **Бурдули В.** Взаимосвязь развития технологических укладов и трансформации экономических систем. kr.: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2011.
9. **Бурдули В.** Вопросы структурной перестройки экономики и роста уровня занятости. ეკონომისტი, № 5, 2009.
10. **Клинов В.** Особенности современной динамики мирового хозяйства. Вопросы экономики, №9, 2010.
11. **Макаров В.** Об экономическом развитии и не только в контексте будущих достижений. Вопросы экономики, №3, 2008.
12. **Скворцова Г.** Структурные и институциональные факторы экономического роста. – МЭиМО, №3, 2010.

***Burduli Vakhtang***

## STRUCTURE OF ECONOMY IN GEORGIA BY KINDS OF ECONOMIC ACTIVITY AND PERSPECTIVES OF ITS IMPROVEMENT

### SUMMARY

In the article a number of structural factors conditioning of availability in the country of quite considerable level of poverty are exposed. Among these factors are following: the low pace of process of expedient economic restructuring; the availability of inside-sector disproportion; the tightness of production of intercommunication between branch of economy; the delay of reaction of mechanism of economic regulation on constantly developing of globalization conditions; the availability of considerable negative export-import balance of trade and other.

The ways of economic restructuring are proposed, taking into account the necessity of reduction of poverty level. The processes of economic restructuring are considered by the changes of structure inside aggregate economic sectors: the “traditional” branches of economy, including agriculture; the branches with high level technologies; the branches with leading edge technologies; the branches of service sector; the sphere of innovation activities.

*გიორგი ბერულავა*

# საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირების კანონზომიერებები და მისი სრულყოფის პერსპექტივები

როგორც განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ეკონომიკური ზრდის და განვითარების აუცილებელი წინაპირობები საბაზრო მექანიზმების მიკროეკონომიკურ დონეზე მუშაობის ეფექტიანობასა და ბიზნესგარემოს განვითარების დონესთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური ზრდის პროცესის გენერირება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გრძელვადიან პერსპექტივაში ერთ სულზე მოსული შემოსავლების არსებითი ზრდის ტემპების შენარჩუნება, დღეისთვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ძირითად საკითხებს შეადგენენ. საქართველოს ეკონომიკური რეფორმა, რომელიც 1994 წელს დაიწყო, მიზნად ისახავდა ძველი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის შედარებით ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლებას. გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში, საქართველოს მთავრობამ შეძლო მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა სათანადო სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების საშუალებით. თუმცა რეფორმირების პროცესი ვერ აღმოჩნდა წარმატებული როგორც ეფექტიანი საბაზრო მექანიზმების ჩამოყალიბების, ასევე გარე და შიდა საფრთხეების არსებობის პირობებში ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველმყოფი გამართული ბიზნესგარემოს შექმნის კუთხით.

განვითარების პროცესის აღორძინების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალზე ამბიციური რეფორმების პროგრამა წამოიწყო. ამ პროგრამის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციაში არსებული კორუფციის დონის შემცირების, სა-

გადასახადო და მარეგულირებელი სისტემების განარტივების, პრივატიზაციის პროცესის განმტკიცების, სახელმწიფო სექტორის მართვის გაუმჯობესების, კერძო სექტორის განვითარებისთვის შესაფერისი ბიზნეს-გარემოს შექმნის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საშუალებით. ამ რეფორმებს თან ახლდა მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალის შემოდინება და საკრედიტო აქტივობის ზრდა, რისი შედეგიც მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრ მატებაში აისახა.

ამ რეფორმებმა მაღალი შეფასებები დაიმსახურეს საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ქვემოთ განხილულია ზოგიერთი მიღწევა და არსებული პრობლემები ამ სფეროში, საქართველოს ბიზნესგარემოს შეფასებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და მისი რეფორმირების გავლენა საქართველოს ეკონომიკაში არსებულ სიტუაციაზე.

## 1. საქართველოში ბიზნესგარემოს რეფორმირების მიღწევები.

დაწყებული 2003 წლის ნოემბრიდან, ძალაუფლებაში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი რეფორმები წამოიწყო საქართველოში კორუფციასთან ბრძოლისა და მმართველობისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით.

ახალი ადმინისტრაციის ძირითადი მიზნები მოიცავდა ფისკალური დისციპლინის დამყარებას, ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების აღდგენას, რეგულირების განარტივებას ბიზნესთან დაკავშირებული ახალი კანონების შემოღებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებას. ამ ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე. განვიხილოთ რეფორმირების პროცესის სხვადასხვა ასპექტები[3].

---

[3] ბიზნესგარემოს რეფორმირების უფრო დეტალური ანალიზისთვის იხ.: **მ. თოქმაზიშვილი** და **გ. ბერულავა** (2011). *საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის საჭიროებების შეფასება: ვაჭრობა და ადამიანური განვითარება.* გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), თბილისი, აპრილი.

**საქართველოს კანონმდებლობის გაუმჯობესება**. საქართველოში კანონმდებლობის რადიკალური გაუმჯობესება იყო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების საწყისი ნაბიჯი.

***საგადასახადო კოდექსი***. ძირითადი ცვლილებები განხორციელდა მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი 2005 წლის იანვარში. ახალმა საგადასახადო კოდექსმა მნიშვნელოვნად გაამარტივა გადასახადების გადახდა. კოდექსმა გააუქმა 12 გადასახადი 21-დან. საკუთრების დარეგისტრირებისათვის პერიოდი შემცირდა 75, და დანახარჯი კი 70 პროცენტით[4]. შემცირდა აგრეთვე მეწარმეთა ფისკალური ტვირთი. პარალელურად გაუმჯობესდა გადასახადების აკრეფის პრაქტიკა. ამგვარმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა გაზრდილიყო გადასახადებიდან მირებული შემოსავლები და ბიუჯეტი. გადასახადების წილი მშპ-ში გაიზარდა 14.7 – 2000 წელს 25.8 პროცენტამდე 2007 წელს. 2007 წელს გაუქმებული იქნა სოციალური გადასახადები, რომელსაც დამსაქმებელი იხდიდა 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 12 - 25 პროცენტამდე. სამომავლოდ დაგეგმილი იქნა მისი თანდათანობით შემცირება 15 პროცენტამდე 2013 წლამდე. ძირითადი საგადასახადო რეფორმები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- დაწესდა დღგ-ის გადამხდელთა სავალდებულო რეგისტრაცია იმ მეწარმეთათვის, რომელთა ბრუნვა აღემატება 100 ათას ლარს;
- გაუქმდა მინიმალური საგადასახადო ბრუნვის აუცილებლობა ნებაყოფლობითი რეგისტრაციისათვის;
- სამართლიანი კონკურენციის სტიმულირებისათვის დღგ შემცირდა საქონლისა და მომსახურების გარკვეულ ნაწილზე. შედგა დღგ-ის გადახდის გრაფიკი. საგადასახადო კოდექსით საექსპორტო სამომხმარებლო საქონელზე ნულოვანი დღგ დაწესდა. ნულოვანი ტარიფი გავრცელდა ტრანსპორტი-

[4] Doing Business in 2006. WB&IFC, p. 1-2.

რებასა და სხვა სერვისებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო საერთაშორისო ტვირთისა და მგზავრების გადაყვანასთან, იმ ტურისტულ ცენტრებზე, რომლებიც ემსახურებოდნენ უცხოელ ტურისტებს, უცხოელი მეწარმეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირებული კაპიტალის რეაბილიტაციაზე.

ხელისუფლებამ 2011 წლის 1 იანვარიდან ახალი საგადასახადო კოდექსი შემოიღო. ახალი საგადასახადო სისტემის მთავარი პრიორიტეტები არის უკეთესი ბიზნესგარემოს ფორმირება, მეწარმეების უკეთესად დაცვა და იმ დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომელიც არსებობს მთავრობასა და ბიზნესს შორის. ამ მიზნების განსახორციელებლად ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით შემოღებული იქნა "საგადასახადო ომბუდსმენის" ინსტიტუტი.

საქართველოში ბიზნესის ახალი კლასიფიკაცია მოიცავს: მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს. მიკრო ბიზნესს შეადგენს ინდივიდუალური მეწარმეები დასაქმებულების გარეშე, რომელთა წლიურო ბრუნვა 30000 ლარზე ნაკლებია. ასეთი ბიზნესი განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. მცირე ბიზნესი, რომელსაც აქვს წლიური ბრუნვა 200000 ლარი ან ნაკლები, იხდის გადასახადს ბრუნვის 2-3 პროცენტის ოდენობით.

კლიენტებისათვის მომსახურების სისტემის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ელექტრონული სერვისები (ელექტრონული დეკლარაციები, GPRS სისტემით აღჭურვილი ახალი სალარო აპარატები, შემოსავლების სამსახურის ვებ-პორტალი) იქნა შემოღებული.

საგადასახადო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლე იყო საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსება. კანონის თანახმად, საგადასახადო ომბუდსმენი უზრუნველყოფს წლიურ ანგარიშებს გადამხდელის უფლებების დაცვის მიზნით საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტებში. ამ ინსტიტუტის მთავარი მისია არის ის, რომ დაიცვას გადამხდელის უფლებები, აღად-

გინოს გაუქმებული უფლებები და ითანამშრომლოს საზოგადოებრივ და კერძო სექტორთან.

***საბაჟო რეფორმა*** ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა იყო საქართველოში. მან გაამარტივა პროცედურები იმპორტიორებისა და სავაჭრო პარტნიორებისათვის. ახალი საბაჟო კოდექსი მიღებული იქნა 2007 წელს და ადრე არსებული 16 სხვადასხვა ტიპის საბაჟო ტარიფი დაიყვანა სამამდე. ახალი საბაჟო ტარიფები დაწესდა ნულოვანი, 5 და 12 პროცენტის ოდენობით და მან შეცვალა 1-დან 25 პროცენტამდე არსებული ტარიფები. საიმპორტო გადასახადების შემცირებამ სასოფლო სამეურნეო ნაწარმზე, სამშენებლო მასალებზე, ასევე სხვა საქონელზე, გაზარდა საქართველოს კონკურენტუნარიანობა.

***ლიცენზირება***. საქართველოში სხვა რეფორმებმა შეამცირა იმ ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა, რომელიც ბაზარზე შესვლისათვის ქმნიდნენ სავაჭრო ბარიერებს. 2005 წელს ლიცენზირების ახალი კანონი იქნა დამტკიცებული, რომელმაც 950 ლიცენზიიდან მხოლოდ 150 დატოვა. რაციონალიზებული იქნა ლიცენზიის პროცედურები და შემცირდა მისი გაცემისათვის სავალდებულო პერიოდი. შესაბამისად, ბიზნესში ჩარევის სახელმწიფო ინტერვენციის ბერკეტები მკვეთრად შეიზღუდა.

საქართველოში მკვეთრად გაიზარდა მშენებლობის წარმართვისათვის ნებართვის მთხოვნელთა რიცხვი. საკმაოდ გამარტივდა მშენებლობის ექსპლოატაციაში შესვლის ნებართვების გაცემა სპეციალური კომისიების გაუქმებით და ნებართვის გაცემის პერიოდი შემცირდა 45 - 30 დღემდე. წყლის მიმწოდებლები და ელექტროდენის მომმარაგებლები გაერთიანდნენ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში. გაადვილდა მათ მიერ დოკუმენტების მომზადების პროცესიც. ყოველივე ამის შედეგად სამშენებლო ლიცენზიის გაცემის პერიოდი შემცირდა 227-დან 98 დღემდე.

შესწორებები იქნა შეტანილი ***საპროცესო კოდექსში***. შემოღებული იქნა სპეციალიზირებული კომერციული სექციები

სასამართლოებში და აპელაციის პროცესის რეფორმების შედეგად მარტივი კომერციული დავების გადაწყვეტა დაყვანილი იქნა 375-დან 285 დღემდე.

ინვესტორთა დაცვა გაუმჯობესდა ***ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ*** კანონში კორექტივების შეტანით და იმ ხვრელების გაუქმებით, რომლებიც ნებას რთავდა კორპორატიულ ინსაიდერებს მოეხდინათ მცირე წილის მქონე ინვესტორების წილის კონფისკაცია. კორექტირებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი განმარტავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლებს, რომელთა საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს კომისია. კომპანიები ვალდებული არიან წარუდგინოს ზედამხედველობის კომისიას გარიგების შესახებ ინფორმაცია და კომპანიის წლიური ანგარიში. კანონი ასევე მოითხოვს ინტერესთა კონფლიქტი იქნეს განხილული სამეთვალყურეო საბჭოზე მათი სამართლებრივი გადაწყვეტის მიზნით.

ახალი ***კანონი გაკოტრების შესახებ*** მიღებული იქნა 2009 წელს. მან შეამცირა დაუძლურებული კომპანიების რეორგანიზაციისა და მევალეების აქტივების უკანდაბრუნების პერიოდი, რითაც გაზარდა აქტივების გამოყენების ეფექტიანობა.

**საქართველოში ბიზნესგარემოს რეფორმების შეფასება.** ბიზნესგარემოს გაუმჯობესების რეფორმებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ბიზნესის რეფორმების განვითარებაში მიღწეულ პროგრესს გამოხატავს მსოფლიო ბანკის/საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) მიერ გაკეთებული მაღალი შეფასება. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, 2007 წელს საქართველომ 178 ქვეყანას შორის 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე გადმოინაცვლა და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნის სტატუსი მიიღო.[5] 2008 წლის მსოფლიო ბანკის „ბიზ-

[5] Doing Business. Measuring Business Regulations.
http://www.doingbusiness.org/ExploreEconomies/?economyid=74#StartingBusiness

ნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, საქართველომ მე-18 ადგილი დაიკავა, 2011 წლის ამავე მოხსენების მიხედვით კი მე-12 ადგილზე გადაინაცვლა (ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

**ბიზნესის კეთების სიმარტივე საქართველოში, 2010-2011.**

| | **ბიზნესის კეთება 2011** | **ბიზნესის კეთება 2010** | **ცვლილება** |
|---|---|---|---|
| **ბიზნესის კეთება** | 12 | 13 | +1 |
| ბიზნესის დაწყება | 5 | 5 | 0 |
| ლიცენზირება/ნებართვები | 7 | 9 | -2 |
| ქონების რეგისტრაცია | 2 | 2 | 0 |
| კრედიტების მიღება | 15 | 30 | +15 |
| ინვესტორთა დაცვა | 20 | 41 | +21 |
| გადასახადების გადახდა | 61 | 61 | 0 |
| საგარეო ვაჭრობა | 35 | 31 | -4 |
| კონტრაქტები | 41 | 41 | 0 |
| ბიზნესის დახურვა | 105 | 96 | -9 |

**წყარო:** Doing of Business 2011: Making a Difference for Entrepreneurs. Available from http://www.doingbusiness.org/reports/doing-business/doing-business-2011.

ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ბოლო 2 წლის განმავლობაში ბიზნესგარემოში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა და ქვეყანამ გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა შემდეგ სფეროებში: კრედიტის მიღება, ინვესტორების დაცვა. საქართველოს რეიტინგი ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქონების რეგისტრაცია, გადასახადების გადახდა, კონტრაქტები, მშენებლობაზე ნებართვა და ლიცენზიები, უცვლელი დარჩა. საქართველოს რეიტინგი გაუარესდა შემდეგ სფეროებში: ბიზნესის დაწყება, საგარეო ვაჭრობა, ბიზნესის დახურვა. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის დახურვა და გადასახადების გადახდა არის საქართველოს ყველაზე სუსტი წერტილი.

ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიის თანახმად, საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი

ყველაზე წარმატებული რეფორმატორი ქვეყანაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის "ბიზნესის კეთების" შეფასება არ ითვალისწინებს წარმატებული ბიზნესგარემოს განმსაზღვრელ ყველა ასპექტს. კერძოდ, "ბიზნესის კეთების" მეთოდოლოგია არ მოიცავს ბიზნესგარემოს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორებიცაა ქონებრივი უფლებების სტატუსი და სამართლებრივი სისტემის მუშაობა, სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, ფუნდამენტური ინსტიტუტების სიძლიერე, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სიახლოვე დიდ ბაზრებთან.

## 2. ბიზნესგარემოს რეფორმირების გავლენა საქართველოს ეკონომიკაში არსებულ სიტუაციაზე.

საქართველოს მიერ მსოფლიო ბანკისგან მიღებული მაღალი რეიტინგი, ასევე GDP-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) რეალური ზრდის სტაბილური ტემპები მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ბიზნესის პირობების რეფორმის პროცესში.

რეფორმები, რომლებიც დაინერგა 2004-2008 წლამდე, იყო პროგრესული. მან შეცვალა ადრე არსებული პოლიტიკა, რომელიც ზღუდავდა კერძო ინიციატივას. საქართველოს სტრატეგია ორიენტირებული გახდა მინიმალური სახელმწიფოს ფორმირებასა და იმ მარეგულირებელი პოლიტიკის გაუქმებაზე, რომელიც ზრდიდა კორუფციას და ბიუროკრატიას. ეს რეფორმები მიზნად ისახავდა ბიზნესის რეგისტრაციისათვის პროცედურების გაადვილებას და ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ რეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას.

ეს ინსტიტუციონალური რეფორმები ვაჭრობისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებდა სამეწარმეო აქტივობას, რომელიც,

თავის მხრივ, ხელს უწყობდა მშპ-ს ზრდას. 2004-2008 წლებში დარეგისტრირებული საწარმოების რიცხვი 2-ჯერ გაიზარდა.

მიუხედავად საგადასახადო განაკვეთის შემცირებისა, სამთავრობო ბიუჯეტი მკვეთრად გაიზარდა. ამან საშუალება მისცა ხელისუფლებას სერიოზული რეფორმები გაეტარებინა სოციალურ სექტორში, განევითარებინა ინფრასტრუქტურა, გაეუმჯობესებინა ადამიანური განვითარების მაჩვენებლები და საბიუჯეტო ღონისძიებები მდგრადად და გამჭვირვალედ წარემართა ისეთი სფეროებისაკენ, როგორიცაა – ჯანდაცვა, განათლება და სოციალური დაცვა. ეს ღონისძიებები გრძელვადიანი მდგრადი განვითარების პირობებს ქმნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მიღწევებისა ბიზნესის კეთებაში, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა კვლავ დაბალი იყო. მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის მიხედვით, საქართველო არის მხოლოდ 90-ე ადგილზე მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის[6]. ეს ციფრი გვიჩვენებს არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების მდგომარეობას, მატერიალურ და განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროებში, მწარმოებლურობის გაზრდას და ქვეყნის სხვა უპირატესობებს. როგორც ჩანს, ბიზნესგარემოს რეფორმები არ იყო საკმარისი საქართველოში ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მწარმოებლურობის ზრდა. მწარმოებლურობა ასახავს სამუშაო ძალის განათლების დონეს და წარმატებებს ტექნოლოგიის განვითარებაში და არის ეკონომიკური განვითარების მდგრადობის კარგი საზომი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველომ აჩვენა სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდის დადებითი

[6] The Global Competitiveness Report 2009-2010. *2009 World Economic Forum.* http://www.weforum.org/documents/GCR09/index.html

ტემპები, საქართველოს ეკონომიკის ეფექტურობა კვლავ დაბალია. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) ერთ სულ მოსახლეზე რჩება ერთ-ერთ ყველაზე დაბალ დონეზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის[7]. შრომის მწარმოებლურობის ამგვარი დაბალი სიდიდე განსაზღვრავს, თუ რატომ არ არის საქართველოს ეკონომიკა კონკურენტუნარიანი და ასევე არ მეტყველებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე.

გარდა ამისა, ამჟამინდელი ეკონომიკის ზრდა არ იწვევს დასაქმების სხვადასხვა მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. დასაქმების სფეროში ძირითადი ტენდენციები რჩება სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის შემცირება და უმუშევრობის დონის ზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დასაქმების სტრუქტურამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები აღნიშნულ გარდამავალ პერიოდში. გარდამავალი პროცესის პირველი გავლენა დასაქმების ტენდენციაზე აისახება სახელმწიფოს სექტორის შემცირებულ გავლენაში დასაქმებაზე. მეორე, დასაქმების სტრუქტურაში თვით დასაქმებულთა წილი არსებითად იზრდება ოფიციალურად დასაქმებულთა წილის ხარჯზე. სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება დასაქმების სტრუქტურაში იყო გადასვლა სამრეწველო და მომსახურეობის სფეროებიდან (ფართო განმარტებით) აგრარულ სექტორში. განხილვის პერიოდში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წილი ორჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო წილი.

შრომის ბაზარზე, უკანასკნელი მოვლენების პირობებში, გასაკვირი არ არის, რომ ეკონომიკის ზრდამ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა სიღარიბესა და უთანაბრობაზე. როგორც აბსოლუტური სიღარიბის დონე – იმ მოსახლეობის პროცენ-

---

[7] **წყაროები:** Pen World Table Version 6.2, პენსილვანიის უნივერსიტეტში წარმოების, შემოსავალის და ფასების საერთაშორისო შედარების ცენტრი, მისაწვდომია: http://pwt.econ.upenn.edu/php_site/pwt62/pwt62_form.php.

ტული რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს საარსებო მინიმუმს ქვემოთ – ასევე უთანაბრობა, მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა განხილვის პერიოდში. საქართველოს კვლავ აქვს უდაბლესი მაჩვენებლები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს (CEE) და ყოფილი საბჭოთა კავშირის (FSU) რესპუბლიკებს შორის ორთავე შემთხვევაში. ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი სიტუაცია არსებობს იმ ფაქტის გამო, რომ ამჟამინდელმა ეკონომიკურმა ზრდამ სტიმული ვერ მისცა ფორმალურ დასაქმებას და ვერ შეამსუბუქა უმუშევრობის პრობლემა.

## 3. საქართველოს ბიზნესგარემოში არსებული პრობლემები.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო დროის მანძილზე საქართველოში გატარდა ბიზნესგარემოს სერიოზული რეფორმა და მიღწეულ იქნა ზრდის მაღალი ტემპები. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ხარისხი დაბალი რჩება ეკონომიკური და სოციალური მდგრადობისა და ინოვაციების მიმართებით. კერძოდ, ამგვარი ზრდა არ არის დაკავშირებული მოწინავე ტექნოლოგიურ დარგებში ინოვაციებსა და ინვესტიციებთან, მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოვებასთან, დასაქმების დონის და შემოსავლების თანაბრად განაწილების ხარისხის გაუმჯობესებასა ან სიღარიბის შემცირებასთან. ზრდის დაბალი ხარისხი მომავალში ძალზე გაართულებს მიმდინარე ტენდენციის შენარჩუნებას, განსაკუთრებით პრივატიზაციის პროცესისა და, შესაბამისად, ეკონომიკაში კაპიტალის ამ გზით შედინების პროცესის დასრულების შემდეგ. თუმცა, ეკონომიკური განვითარების პროცესის დაჩქარების ან თუნდაც, რეფორმისწინა დონის მიღწევის მიზნით, საქართველომ უნდა შესძლოს მიმდინარე ზრდის ტემპის ხანგრძლივად შენარჩუნება.

ყოველივეს მიუხედავად, იბადება კითხვა, თუ რატომ ვერ განაპირობა ასეთი ამბიციური რეფორმისტული პროგრამის განხორციელებამ მაღალხარისხიანი ეკონომიკური ზრდა? ჩვენ

ვფიქრობთ, რომ საქართველოში მდგრადი ზრდის მიღწევას ხელი ორი კატეგორიის ფაქტორებმა შეუშალა. ეს ფაქტორებია "საბაზრო ნაკლოვანებები" და "სახელისუფლებო ნაკლოვანებები".

"საბაზრო ნაკლოვანებები" ასახავს იმ ფაქტს, რომ ქართული ეკონომიკა შეჩერდა წონასწორობის დაბალ დონეზე, რომელიც ხასიათდება არასაკმარისი ინვესტიციით ინოვაციასა და ტექნოლოგიაში და შესაბამისად განვითარებისთვის უმნიშვნელო შანსებით. არც საბაზრო ძალებს, არც სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება "ჩაურევლობის" პრინციპს, არ შეუძლია უზრუნველყოს საჭირო "ბიძგი" მაღალი დონის წონასწორობისთვის და აქედან გამომდინარე მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპისთვის.

"სახელმწიფო ნაკლოვანებები" საქართველოში ძირითადად გულისხმობს პრობლემებს სამართლის ნორმების დადგენასა და დაცვაში საზოგადოებაში და სასამართლო სისტემის ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. სამართლის ნორმების უნდობლობა ხელს უშლის გრძელვადიანი ინვესტიციების სტიმულირებას ტექნოლოგიის განვითარებასა და ინოვაციებში; ასევე ვერ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა ეკონომიკური წარმომადგენელისთვის და შესაბამისად აფერხებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს ეკონომიკის ზრდის ტემპების ხანგრძლივად შენარჩუნებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა როგორც "საბაზრო", ასევე "სახელისუფლებო ნაკლოვანებების" გამოსწორება. ქვემოთ, ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია ჩვენი რეკომენდაციები, რომლის მიზანია ეკონომიკური განვითარების პროცესის შემდგომი ზრდა საქართველოში დაბრკოლებების გადალახვის გზით, რომელიც შეიქმნა როგორც "საბაზრო ნაკლოვანებების", ასევე "სახელმწიფო ნაკლოვანებების" შედეგად. კერძოდ:

- საქართველოს მთავრობამ თავი უნდა აარიდოს “ჩაურევლობის” პრინციპს და აწარმოოს ეკონომიკური განვითარების აქტიური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საწარმოო სტრუქტურების დინამიურ გარდაქმნაზე. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს: იმ სექტორების დადგენას, რომელიც წარმოადგენს სამრეწველო განვითარების საფუძველს (ეს უნდა იყოს არატრადიციულ ექსპორტზე ორიენტირებული სექტორები, რომელიც მოიცავს ახალ ტექნოლოგიებს და ცოდნას); განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ორიენტირებულია ინვესტიციების სტიმულირებასა და მოზიდვაზე მრეწველობის შერჩეულ დარგებში; უზრუნველყოფს სამრეწველო პოლიტიკის საიმედო წარმოებას, რომელიც ნიშნავს მკაცრი კონტროლის განხორციელებას საწარმოების საქმიანობაზე და დისციპლენის დამყარებას.
- მთავრობამ უნდა შექმნას ბიზნესგარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური ბაზრის მექანიზმების გამოვლენას კონკურენციის პროცესის და ახალი საწარმოების შექმნის პროცესების სტიმულირების მეშვეობით; რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ შეღწევას ბაზარზე; აქტიურად აწარმოებს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას; აღადგენს ანტიმონოპოლიურ სააგენტოებს და ანიჭებს სათანადო უფლებამოსილებას და სტატუსს, ეფექტურად აწარმოოს კონკურენტული პოლიტიკა; ადგენს მკაფიო წესებს ბაზრის წარმოებისთვის ყველა ეკონომიკური წარმომადგენლისათვის გამონაკლისის გარდა და ხელს უშლის ნებისმიერ შესაძლებლობას არაპროდუქტიულ და გამოძალვით საქმიანობებთან დაკავშირებით; გამორიცხავს ნებისმიერ შესაძლებლობას მთავრობისთვის, მონაწილეობა მიიღოს საკუთრების გადანაწილების პროცესში.
- დღესდღეობით საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის გაუმჯობესება სამართლებრივი და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებით, თუ უნ-

და მიაღწიოს გრძელვადიან ეკონომიკური განვითარების მიზნებს.

***Berulava George***

## THE PATTERNS OF BUSINESS ENVIRONMENT FORMATION AND PERSPECTIVES OF ITS ENHANCEMENT IN GEORGIA

### SUMMARY

This paper studies the microeconomic aspects of the economic development issues in Georgia with the special focus on business environment and market mechanisms. On the basis of the comparative analysis we try to find the most relevant approaches for the reforms, in order to provide sustainable rates of growth and improvement of social indicators. This conditions are necessary for Georgia to become a developed country.

***Альфред Кураташвили***

# КАПИТАЛИЗИМ И ГЛОБАЛЬНЫЕ КРИЗИСЫ

Научный анализ причин возникновения Глобальных кризисов, а также определение генетического диагноза происхождения этой социальной «болезни» имеет принципиальное значение – как для преодоления уже возникшего и существующего кризиса, так и для раскрытия теоретических основ предотвращения глобальных кризисов впредь.

Решение вышеотмеченных проблем приобретает особую значимость на фоне того, что общественные науки во всем мире – *за редчайшим исключением деятельности отдельных ученых, способных творить и конструировать качественно новые всемирно значимые научно-теоретические идеи* – находятся в глубоком кризисе.

Ведь не представляет собой секрет то, что многие, *притом даже очень известные по своему положению в научном мире представители сферы общественных наук,* занимаются в основном лишь поверхностным и односторонним (*в рамках лишь одной узкой научной дисциплины, без учета комплексного, системного обществоведческого подхода)* исследованием отмеченных проблем.

Данное явление вызвано тем, что очень мало кто способен всесторонне – комплексно – исследовать эти проблемы и, тем более, делать научно обоснованные выводы и конструировать принципиально новые научные направления и новые научные теории, которые могли бы служить научной основой эффективного функционирования общества и государства, а стало быть, и основой предотвращения глобальных кризисов впредь.

И ведь именно потому – основным результатом их «исследований» является то, что будто бы экономические кризисы – это закономерность для любой общественно-политической системы(?!).

Следовательно, вместо того, чтобы искать генетические корни происхождения экономических кризисов и заниматься углубленным исследованием теоретических основ и разработкой политико-правовых и социально-экономических механизмов их предотвращения, представители сферы науки и сферы политики в основном ищут лишь пути выхода из кризиса, ибо считают, что будто бы предотвращение глобальных кризисов вообще не представляется возможным(?!).

Однако следует учесть, что экономические кризисы – это не землетрясения, которые, видимо, *во всяком случае, на уровне современных знаний*, действительно невозможно предотвратить, *хотя землетрясения предмет отдельных исследований в сфере других наук.*

Что касается конкретно – Мирового экономического кризиса начала XXI века, то, *по моему глубокому убеждению,* он является качественно новым кризисом – притом является Всеобщим кризисом капитализма, и, *прежде всего,* кризисом развитого капитализма.

Главная специфическая особенность данного кризиса заключается в том, что он является явно выраженным результатом кризиса в мозгах – *в сознании* – тех ученых, на результаты исследований которых опирались в процессе управления обществом и государством лидеры *(и вообще власти)* ведущих капиталистических стран мира в преддверии этого кризиса.

Из вышеотмеченного, логически следует, что глубинные причины возникновения Мирового экономического кризиса в начале XXI века, так же *как и причины возникновения любого другого мирового экономического кризиса* ошибочно искать лишь в самой экономике.

Данное убеждение обосновывается мной тем, что, *во-первых,* экономикой управляет не сама экономика, а управляет ею политика, в виду чего непосредственно определяющие причины возникновения Мирового экономического кризиса в начале XXI века необходимо искать, прежде всего, в Политическом менеджменте.

*Притом здесь и далее* Политический менеджмент мной рассматривается – как государственное управление, в отличие от

некоторых других интерпретации политического менеджмента, которые мне представляются ошибочными и устаревшими взглядами в понимании менеджмента, и которые будут рассмотрены мной отдельно.

И, *во-вторых*, для эффективного управления экономикой и всеми другими сферами общественной жизни, Политический менеджмент должен основываться на соответствующие научно-теоретические идеи, способствующие указывать и освещать путь практике [1], *ибо говоря словами Леонардо да Винчи*, «Теория – полководец, практика – солдаты» [2, с.53].

Следовательно, наиболее глубинные причины возникновения мирового экономического кризиса необходимо искать в тех – так называемых «научных» идеях, на которые основывался и возможно в основном еще основывается Политический менеджмент ведущих капиталистических стран мира, и в которых начался Мировой экономический кризис в начале XXI века.

Хотя, это вовсе не означает, что будто бы нигде в мире нет ученых, на основе идей которых можно было бы эффективно управлять обществом, государством и человечеством в целом.

Однако, во-первых, обычно лидеры государств, *как мне представляется*, нередко основываются в своей деятельности не на самые прогрессивные научные идеи, имеющиеся в мире, а основываются они на идеи своих как бы «придворных» ученых, наподобие того, как у царей в прошлые века существовали придворные поэты, артисты и т.д., занимающиеся их развлечением. Но ведь научная деятельность – это принципиально иной феномен, с принципиально иными целями и задачами.

Притом свои как бы «придворные» ученые лидерам ведущих капиталистических стран мира, видимо, кажутся самыми сильными – самыми большими мыслителями, что, мягко говоря, не всегда может соответствовать действительности, и что вовсе не удивительно, ибо порой, *к сожалению*, даже лауреаты Нобелевской премии не предлагают всемирно значимые идеи.

И, во-вторых, речь здесь идет лишь о том, что лидеры ведущих капиталистических стран мира в процессе управления обществом и государством, как показывают результаты их деятельности, проявившиеся, *к примеру*, в возникновении Мирового экономического кризиса в начале XXI века, основывались на те будто бы «прогрессивные» «научные» идей, которые способствовали возникновению этого кризиса, либо они *(лидеры государств)* не основывались на научные идеи вообще(?!).

А точнее, лидеры ведущих капиталистических стран мира, видимо, руководствовались (*и возможно кое-кто из них и ныне еще руководствуется*) традиционным «букетом» критериев, свойственных капитализму: господство самоцели средств – господство денег, прибыли, капитала, господство и регулирующая роль свободного рынка в обществе и в государстве(?!).

Однако спрашивается: если не требуется регулирование и управление обществом и государством, то тогда для чего существует государственная власть?!

Не для того ли существует государственная власть, чтобы способствовать слепому функционированию общества и государства?!

И не для того ли существует государственная власть, чтобы в условиях слепого функционированию общества и государства способствовать обогащению отдельных лиц за счет экономического геноцида и экономического изнасилования народа?!

Ведь наличие вышеотмеченных критериев – наличие господства денег, прибыли, капитала, свойственных капитализму, может подтвердить любой человек, который прожил в одном из развитых капиталистических государств мира хотя бы всего несколько дней.

В связи с регулирующей ролью свободного рынка в обществе и в государстве, *на мой взгляд*, важно привести здесь слова всемирно известного американского ученого-экономиста Джона Кеннета Гэлбрейта, который еще в 1990 году писал, что «Капитализм не мог бы выжить в своей изначальной или чистой форме, но под нажимом он смог приспособиться» [3].

*Далее Джон Кеннет Гэлбрейт писал*: «…Кто говорит…о возвращении к свободному рынку времен Смита, неправы настолько, что их точка зрения может быть сочтена психическим отклонением клинического характера. Это то явление, которого у нас на Западе нет, которое мы не стали бы терпеть, и которое не смогло бы выжить. Наша жизнь смягчается и защищается правительством; для восточноевропейцев капитализм в его чистом виде был бы так же неприемлем, как он был бы неприемлем для нас» [3].

Таким образом, несмотря на безусловную важность использования рыночных отношений для эффективного функционирования общественно-государственной системы, приведенные выше слова Джона Кеннета Гэлбрейта еще раз подтверждают неприемлемость господства свободного рынка времен Адама Смита в современном развитом, или даже развивающемся, обществе и государстве.

Более того, господствующая роль рынка в общественно-государственной системе может быть лишь показателем существования слепого общества и государства.

Необходимо здесь особо отметить, что в отличие от истинного капитализма – как слепого общества и государства, в Истинно человеческом обществе и государстве – в обществе и государстве, служащем (призванным служить) интересам каждого человека, должны господствовать не рынок, не деньги, не прибыль, не капитал, а интересы народа.

Управлять же общественно-государственной системой в условиях Истинно человеческого общества и государства – должен социально нацеленный интеллект, а не рынок.

Важно обратить здесь особое внимание на то, что ведь нынешний мировой экономический кризис начался в самой развитой и могущественной капиталистической стране – в Соединенных Штатах Америки, что заслуживает специального научного анализа.

Притом, причины мирового экономического кризиса, *как уже отмечалось*, необходимо искать, прежде всего, в «научных» идеях

апологетов капитализма, которые, видимо, так зациклились на апологетике капиталистического строя, что капитализм им представляется, чуть ли ни раем, тогда как нередко они даже не понимают при этом истинной сущности капитализма, ибо находясь в плену марксистских взглядов – критерием капиталистичности им кажется наличие частной собственности и рыночных отношений, тогда как показателем капиталистичности, *по моему глубокому убеждению,* в действительности является господство денег, господство прибыли, господство капитала над человеком в обществе и в государстве.

Таким образом, несмотря на то, что реальным показателем – определяющим критерием – капиталистичности, *по моему глубокому убеждению,* является не частная собственность и рыночные отношения, а господство денег, прибыли, капитала, создается впечатление, что апологеты капиталистического строя видят в капитализме будущее(?!).

Более того, в капитализме они видят счастливое будущее человечества(?!), тогда как в действительности истинный капитализм – это лишь уродливое прошлое, которому всегда сопутствовали: господство денег, господство капитала над народом, порабощение людей, экономические кризисы и т.д.

Притом необходимо особо отметить, что пока будет существовать капитализм – будут существовать и экономические кризисы, ибо экономические кризисы – это хроническая болезнь и вечный спутник капитализма.

Отсюда следует логический вывод:

Чтобы избавиться от экономических кризисов, необходимо, *прежде всего,* избавиться от капитализма!!!

Следовательно, необходимо идти по пути строительства Истинно человеческого общества и государства на основе созданных мной теорий: на основе Философии социальной цели, Теории верховенства интересов народа и Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц!!! [1].

## ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. **Кураташвили Альфред А.** Философско-правовые основы политического менеджмента. *Управленческое право и определяющий теоретический базис правовой системы истинно человеческого общества и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.
2. **Голованов Я. К.** Этюды об ученых. 3-е издание, дополненное. Москва: «Молодая гвардия», 1983.
3. **Гелбрейт Дж. К.** Почему правые не правы. Газета «Известия», 1 февраля 1990.

***Kuratashvili Alfred***

## CAPITALIZM AND GLOBAL CRISIS

## SUMMARY

In scientific work are investigated theoretical bases of occurrence and overcoming global crises.

The author proves also the necessity of overcoming of capitalism, chronical illness of which are economic crises.

*ნანული არევაძე*

# საქართველოს მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები

საქართველოს მრეწველობას გასული საუკუნის 90-იან წლებამდე წამყვანი ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში, მასში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დარგი. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილის მიხედვით, უპირატესი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები იყო, მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციის წარმოებით (ელექტროენერგია, მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკოები და სხვა) მოსახლეობის ერთ სულზე, საქართველო უსწრებდა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი. XX საუკუნის ბოლოს, ეკონომიკის ტრანსფორმაციით განპირობებულმა კრიზისმა ბევრი დარგი მთლიანად გაანადგურა, ბევრი კი განადგურების პირას მიიყვანა. ეს პროცესი ჯერაც გრძელდება, ახლის მშენებლობა კი ძალზე ნელა ხორციელდება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2003 წლის ჩათვლით განვლილი პერიოდი საქართველოს მრეწველობაში შეიძლება დაიყოს, როგორც დაღმავალი და აღმავალი პერიოდი. აქედან, 1991-1995 წლები შეიძლება შეფასდეს როგორც კატასტროფულად დაღმავალი, როცა მრეწველობამ 1990 წელს წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 14% გამოუშვა, ისიც მხოლოდ ღირებულებითი მაჩვენებლის მიხედვით. 1996-2002 წლები კი – როგორც შედარებით აღმავალი, როცა ყოველ მომდევნო წელს, წინა წლის მიმართ, 1998 და 2001 წლების გამოკლებით, პროდუქციის გამოშვების მატება აღინიშნებოდა. 2002 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობამ 1990 წლის დონის მიმართ 19,7% შეადგინა. მ.შ. მომპოვებელ მრეწველობაში – 37,1%, გადამამუშავებელში – 16,4%.

2008 წ. საქართველოს მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა (ჩვენი გაანგარიშებით) 1990 წლის დონის (რომელიც სრულებითაც არ ყოფილა საუკეთესო) მხოლოდ 30,6% იყო. მდგომარეობა 2009 წელს კიდევ უფრო გაუარესდა (ცნობილი მოვლენების ზეგავლენით) და წინა წლის მიმართაც კი წარმოებული პროდუქციის მოცულობა 0,6 პროცენტული პუნქტით იყო შემცირებული.შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადამამუშავებელ მრეწველობაში იყო (25,4 პროცენტული პუნქტი). მაშასადამე, განვითარების ასეთი ტემპების პირობებში, კიდევ ორ ათეულ წელზე მეტი დაგვჭირდება, რომ თუნდაც 1990 წლის დონეს მივაღწიოთ. შედარებისათვის ვიტყვით, რომ თუ 1990 წელს მრეწველობა უზრუნველყოფდა ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის 22,9%-ს, მასზე მოდიოდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 30,3% და ინვესტიციების 31,5%, 2008 წელს მრეწველობამ უზრუნველყო მშპ-ის მხოლოდ 8%. დასაქმებული მუშახელის რაოდენობამ კი 85,7 ათასი კაცი შეადგინა, ანუ 1990 წელთან შედარებით 5,4-ჯერ ნაკლები, რომელთა დიდმა ნაწილმა უმუშევართა რიგები შეავსო.

მაშასადამე, XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის მახასიათებლები ჰქონდა. ახლა მან მათი უმეტესობა დაკარგა და ინდუსტრიულად სუსტად განვითარებული ქვეყანა შეიძლება ეწოდოს, რომელიც, ამავე დროს, განვითარებადი ქვეყნის ნიშნებითაც ხასიათდება. საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით, ახლა ცდილობს ადგილის დამკვიდრებას განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომლის მიღწევაც გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებითა და მის ახალ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანით არის შესაძლებელი, თუმცა ეს არც ისე იოლი საქმეა, რამდენადაც ის, რაც XX საუკუნის 90-იან წლებამდე გვქონდა, ძირითადად განადგურებული, გაძარცვულა და ჯართად არის საზღვარგარეთ გაყიდული. სწორედ ამის მაჩვენებელია ექსპორტ-იმპორტის მონაცემებიც, რომლის ექსპორტის

სტრუქტურაში გასული საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით სწორედ შავი ლითონის ჯართი იყო წარმოდგენილი.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არსებითად შეიცვალა, თუ XX საუკუნის 90-იან წლებამდე მასში უპირატესი იყო კვების მრეწველობა (36,9%), მსუბუქი მრეწველობა (22,0%), მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (15,1%), სამშენებლო მასალების მრეწველობა (5,3%) და სხვა, 2009 წელს საკვები პროდუქტების წარმოებაზე, სასმელების ჩათვლით 29,2% მოდიოდა, მსუბუქ მრეწველობაზე მხოლოდ 1,2%, ლითონის მზა ნაწარმის წარმოებაზე 1,8%, მ.შ. მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებაზე 0,7%. მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება 2,0%-დან თითქმის 17%-მდე, ანუ 8-ჯერ და შავი მეტალურგია 3,5%-დან 11,7%-მდე, ანუ 3-ჯერზე მეტად, ყველა სხვა დარგის მიხედვით მდგომარეობა გაუარესებულია.

ისტორიული გამოცდილების თანახმად, ინდუსტრიალიზაციის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი იყო ყველა ქვეყანაში, იქაც კი, სადაც ამისათვის საკმაო ფინანსური რესურსი არსებობდა, რამდენადაც ნგრევისაგან განსხვავებით, ახლის მშენებლობა იოლად არსად ჩატარებულა. მდგომარეობა ჩვენთან უფრო გართულდა 2008 წლის აგვისტოს ომისა და მძლავრი ფინანსური კრიზისის ზეგავლენით. საქართველო, რომელსაც ჯერაც არ გადაულახავს XX საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული კრიზისის შედეგები, კიდევ უფრო მძლავრ კრიზისში აღმოჩნდა, რაც ძალზე უარყოფითად აისახა მთელ ეკონომიკასა და განსაკუთრებით მის მრეწველობაზე და რომ არ ყოფილიყო დიდი მოცულობის უცხოური დახმარება, მდგომარეობა უარესი იქნებოდა. თუ საქართველომ მოკლე დროში ვერ შეძლო კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევა, კერძოდ, ახალ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საფუძველზე დაფუძნებული გადამამუშავებელი მრეწველობის სრული ციკლით ამოქმედება, ის ჯერ კიდევ დიდხანს

დარჩება განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და, შესაძლოა, მას თავი ვერც ვერასდროს დააღწიოს.

მეტად საყურადღებოა მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემაც, რომელიც ღია ეკონომიკისა და გაღრმავებული გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო ანგარიშგასაწევი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრეწველობის კრიზისამდელი დეფორმირებული სტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მიუღებელია საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავე ქვეყნისათვის. ჩვენ გვჭირდება სრულიად ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლა, რადგანაც ცნობილია, რომ ცივილიზაციების განვითარება სწორედ ტექნოლოგიური წყობის განვითარებით არის განპირობებული.

იმისი აღნიშვნაც აუცილებელია, რომ ბევრი ეკონომისტი, თანამედროვე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს განიხილავს, როგორც უმეტესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების რეაქციას ტექნოლოგიებისა და მასთან შეუღლებული ინსტიტუციურ-ეკონომიკური წყობის მოძველებულობაზე, რაც აუცილებელს ხდის გადაიხედოს ინსტიტუციურ-ეკონომიკური მახასიათებლები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპექტების მიხედვით. საქართველოში ახლა არსებობს უნიკალური შანსი, შემუშავდეს და რეალიზდეს ქვეყნის ინტიტუციურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდის ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის თანდათანობით, თუმცა საკმაოდ ენერგიულ გადასვლას თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე (დასაქმების აუცილებელი ზრდისა და მისი სტრუქტურის რაციონალიზაციის გათვალისწინებით), რითაც დაძლეული იქნება ეკონომიკის პოსტსაბჭოური დაცემისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების ყველა უარყოფითი შედეგი. ყველაფერ ამას საფუძვლად უნდა დაედოს სწორად და მიზანმიმართულად ჩამოყალიბებული და რეალიზებული სამრეწველო პოლიტიკა (დღევანდელი ტერმი-

ნოლოგიით, სტრუქტურული პოლიტიკა), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური, პოლიტიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსს, ზემოქმედებს ეროვნული ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა დონეზე და უზრუნველყოფს მრეწველობის საბაზრო ორგანიზაციის სრულყოფას (დარგობრივი სტრუქტურა, წარმოების განლაგება, ინვესტიციური აქტიურობისა და სამრეწველო საქმიანობის რეგულირება და სტიმულირება, სამრეწველო ჯგუფების ფორმირება, საშუალო და მცირე ბიზნესის წახალისება); ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია დარგებში კონკურენციის ოპტიმალური რეჟიმის დაცვა; ეროვნული ეკონომიკის საექპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის სტიმულირება; მრეწველობის განვითარების საბაზრო და სახელმწიფო კოორდინაციის ურთიერთშეხამება.

ქვეყნის მრეწველობის განვითარების შემდგომი ბედი პრაქტიკულად ჯერაც არ არის განსაზღვრული, არადა, თუ ჩვენ გვინდა ავმაღლდეთ განვითარებული ქვეყნის დონემდე, აუცილებლად უნდა გავიაროთ ინდუსტრიული განვითარების ეტაპი. სხვაგვარ გზას მსოფლიო არ იცნობს.

მრეწველობის გადამამუშავებელი დარგებიდან აუცილებელი და უპირატესი, ჩვენი აზრით, არის ელექტროენერგეტიკის განვითარება, რისთვისაც საქართველოში ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა. ამის დასტურად ისიც საკმარისია, რომ ქვეყანა ელექტროენერგიის იმპორტიორიდან მისი ექსპორტიორი გახდა და ახლა, თითქმის ერთდროულად, კიდევ რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აწარმოებს, რითაც საფუძველი ეყრება მრეწველობის გადამამუშავებელი დარგების განვითარების შესაძლებლობების გაფართოებას.

მრეწველობის სხვა დარგებიდან, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების იმ ქვედარგების უპირატესი განვითარება, რომელსაც შეუძლია ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე პრიორიტეტული დარგების ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო წარმოების საშუალებების გამოშვების უზრუნველყოფა. ამასთან ისიც გასათვალის-

წინებელია, რომ საქართველოს მანქანათმშენებლობას, განსაკუთრებით ეს ეხება ელექტრონულ მრეწველობას, აქვს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მიღწეული პოტენციალის გაძლიერების შედეგად, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედების საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია.

ასევე აუცილებლად მიგვაჩნია მეცნიერებატევადი დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ქვედარგებიდან უპირატესობა ძირითადი ქიმიისა და სამთოქიმიური მრეწველობის იმ ქვედარგებს უნდა მიენიჭოს, რომლის ნედლეული, კადრები და ნაწილობრივ საწარმოო სიმძლავრეები ქვეყანას ჯერ კიდევ გააჩნია. ასევე, მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ სამთო ქიმიის მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ნედლეულის მნიშვნელოვანი მარაგებია. კერძოდ: ანდეზიტი, ბარიტი, კალციტი, ბენტონიტური თიხები, დარიშხანი, ცეოლიტი, დიატომიტი, პერლიტი, ტალკი, ბუნებრივი საღებავები, შპატები და მრავალი სხვა, რომლის საფუძველზე წარმოებულ პროდუქციაზე მსოფლიოში გაზრდილი მოთხოვნაა დაფიქსირებული. მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ადგილობრივი ნედლეულის ქვეყნიდან გატანა დაუმუშავებელი სახით. დამოუკიდებელი საქართველო არ უნდა გადაიქცეს კოლონიური ტიპის სანედლეულო ბაზად, როგორც ეს ადრე იყო, როცა მხედველობაში მხოლოდ ცენტრის ინტერესები მიიღებოდა. ადამუშავების გარეშე დასაშვებია მხოლოდ რეკრეაციული ნედლეულის გატანა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ფასები ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. სასურველად უნდა ჩაითვალოს ნავთობ-ქიმიური მრეწველობის იმ ქვედარგების განვითარებაც, რომლის საფუძველზე მომავალში მაინც შესაძლებელი გახდება ადგილობრივი ნედ-

ლეულის საფუძველზე სრული სამრეწველო ციკლის ამოქმედება.

მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვანია შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. რამდენადაც როგორც კავკასიის, ისე სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმდებარე რეგიონებში აღნიშნული სახის პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ საქართველოს შეუძლია. ამდენად, მეტალურგიული მრეწველობა უნდა მივიჩნიოთ პრიორიტეტულ დარგად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების საქმეში.

მსუბუქი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები ქვეყანაში, ჩვენი აზრით, შედარებით ნაკლებია, რამდენადაც პრობლემატურია როგორც ნედლეული (ბამბა), ისე პროდუქციის გასაღება კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. გამონაკლისი შეიძლება იყოს ნატურალური აბრეშუმის წარმოების აღდგენის წახალისება, რომელზეც მოთხოვნა, სავარაუდოდ, არასოდეს შემცირდება, თუთის ხეების ინტენსიური გაშენების პარალელურად და სამკერვალო წარმოება, თუნდაც შემოტანილი ნედლეულის საფუძველზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობების ჩათვლით, მთლიანად განადგურებული, დატაცებული და ჯართად არის გაყიდული.

მრეწველობის დარგებიდან, ქვეყანაში ყველაზე უკეთესი პერსპექტივები კვების მრეწველობას გააჩნია, როგორც ნედლეულის მრავალფეროვანი ასორტიმენტის, ისე ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც ახლა მსოფლიოში, კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმი გახდა და რომლის მიხედვითაც საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის უპირატესობა სრულიად აშკარაა. გასათვალისწინებელია მინერალურ და სასმელ წყლებზე მსოფლიო მოთხოვნილების ნაწილის დაკმაყოფილების

რეალური შესაძლებლობაც, თუმცა მხოლოდ ჩამოსხმული სახით.

საშენი მასალების მრეწველობიდან, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებული და ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის განკუთვნილი ისეთი ქვედარგების განვითარება, რომლებიც აწარმოებენ ცემენტს, აგურს, ბლოკს, საკედლე და მოსაპირკეთებელ მასალებს და ა.შ.

ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში რამდენადმე შეზღუდულია სანედლეულო რესურსების სიმცირის გამო. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქვეყანაში ხე-ტყის ნედლეულის 90%-მდე და 600-ზე მეტი დასახელების დამხმარე მასალა რუსეთიდან შემოდიოდა. საქართველოში არსებული ტყის მასივების ძირითადი დანიშნულება კი ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი და საკურორტო ფუნქცია იყო. უკანასკნელ პერიოდამდე ტყის მასივები უკონტროლოდ ნადგურდებოდა და საზღვარგარეთ მორებად იყიდებოდა. ახლა მდგომარეობა, შესაძლოა, დამძიმდა კიდეც, რამდენადაც ტყის მასივები უკვე ბითუმად, ასეულ ჰექტრობით უცხოელებზე იყიდება ან იჯარით გაიცემა, რაც მისი სრული განადგურების ტოლფასია, რომლის დაშვებაც უკვე აღარ შეიძლება, თუ ჩვენ ვაპირებთ თუნდაც განვითარებული ტურიზმის ქვეყნად გადაქცევას.

სასურველია ყურადღების გამახვილება ტრადიციული შინამრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებაზეც, რომელზეც მსოფლიოში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და რომელსაც შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობის (განსაკუთრებით მთიან რეგიონებში) დასაქმებისათვის ხელის შეწყობა ისეთი პროდუქციის წარმოებით, როგორიცაა ხელით ნაქსოვი ხალიჩები, ფარდაგები, ნოხები, კერამიკული და მრავალი სხვა ნაწარმი.

რა თქმა უნდა, იმ დარგების ზუსტი განსაზღვრა და ჩამოთვლა, ყველა იმ მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინება, რაც მრეწველობის სამომავლო სტრუქტურისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი, შეუძლებელ საქმედ გვესახება, რამდენადაც ახლა მსოფლიოში, მისი ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების დარგობრივ სტრუქტურებში უამრავი ცვლილება ძალზე სწრაფი ტემპით ხდება, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენითა და შედეგად. რის საფუძველზეც იქმნება, როგორც პროდუქციის სრულიად ახალი სახეები ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე, ისე ახალი, სისტემაწარმომქმნელი დარგები და საწარმოები და ხდება მათი შემდგომი დივერსიფიკაცია. ამიტომ მომავალში შეიძლება ისეთი ახალი დარგებისა და ნანო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოებების განვითარება გახდეს საჭირო, რომელზეც ახლა არაფერი ვიცით. დღეისათვის კი, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოებების შესაქმნელად და ამისათვის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩასატარებლად საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია ადგილობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პერსონალისათვის განსაკუთრებული ხელის შეწყობა, საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში კი საზღვარგარეთიდან მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა, ტრანსეროვნულ კორპორაციებთან, ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით, თანამშრომლობის გზების მოძიების საფუძველზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **არევაძე ნ.** მრეწველობა პოსტსაჭოთა საქართველოში, წიგნში „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში", პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2011.

2. **ბურდული ვ.** ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების საკითხების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, 1998.
3. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002.
4. საქართველოს მრეწველობა 1985-1997 წწ. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1999.
5. საქართველოს სტატისტიკის წელიწდეული, თბილისი, 2009.
6. საქართველოს სტატისტიკის წელიწდეული, თბილისი, 2010.
7. **ჩიქავა ლ.** საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 1995.
8. **Бурдули В**. Вопросы структурной перестройки экономики Грузии и роста уровня занятости. ჟ. „ეკონომისტი“, №5, 2009.
9. **Глазьев С.** Мировой экономический кризис, как процесс технологических укладов, ж. „Вопросы экономики“, №3, 2009.

***Arevadze Nanuli***

## GEORGIAN INDUSTRY AND ITS DEVELOPMENT PROSPECTS

## SUMMARY

The paper identifies the role of industrial production in the Georgian economy forthe period of 90s of XX century, before the crisis and afterthe crisis period as well. In the research is made conclusion that forachieving high standard of living and full employment with the providing ofnational security it is essential to develop industrial production. It is unquestionablethat now is the unique period for drawing out the concept plan of economic and institutionalarrangement. This will enable the state to move on the modern technologicalappliances. In its turn the latter will decrease the negative effects caused bythe collapse of USSR and the world economic crises.

*აზიკო სისვაძე*

## ცოდნა, როგორც ბიზნესის ინტელექტუალური რესურსი

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ცოდნის კატეგორიის ეკონომიკური ასპექტების კვლევა სულ უფრო აქტუალური ხდება და შესაბამისი პუბლიკაციების რაოდენობაც იზრდება. მაგრამ ამის მიუხედავად, პრობლემის მრავალი ფუნდამენტური საკითხი ჯერ კიდევ საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. მათ შორისაა ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის, "ინტელექტუალური კაპიტალის," „ინტელექტუალური რესურსების" და "ცოდნის ეკონომიკის" პარადიგმული ხასიათის ცნებები და სხვა. ამიტომ წარმოდგენილ ნაშრომში მათ შესახებ საკუთარ ხედვას შემოგთავაზებთ.

**ცოდნა, როგორც ეკონომიკის კატეგორია.** ამჟამად, როდესაც ცოდნა წარმოების ძირითად რესურსად იქცა, მეცნიერების სხვადასხვა დარგის ინტერესი მის მიმართ მკვეთრად გაიზარდა. ცოდნის მრავალწახნაგოვან ფენომენს, თავიანთი სპეციფიკის შესაბამისად ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის  და ეკონომიკის მეცნიერებანი  შეისწავლიან. მაგრამ, რამდენადაც ცოდნის შედეგების პრაქტიკული რეალიზაცია საბოლოოდ ეკონომიკაში ხორციელდება, ამდენად, ეკონომიკის მეცნიერებამ ამ მიმართულებით თავისი პრინციპული სიტყვა უნდა თქვას.

ავტორის მიერ ცოდნის კატეგორიის ზოგადსამეცნიერო და ეკონომიკური ასპექტების სისტემურმა შესწავლამ მისი შემდეგი მახასიათებლების გამოყოფის შესაძლებლობა შექმნა:

**პირველი,** ცოდნა წარმოგვიდგება, როგორც გარემომცველი სამყაროს შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციის, ლოგიკური გააზრების, ანალიზის და განზოგადების შედეგების ასახვა რაიმე ფორმით, სადაც გამოვლენილია მისი

ობიექტების, პროცესებისა და მოვლენების არსი, შინაგანი და გარეგანი მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციური კავშირები, კანონზომიერებანი და განვითარების ტენდენციები. იგი აფართოებს ადამიანის თავისუფლების საზღვრებს და კაცობრიობის მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი პროგრესის ფუნქციას ასრულებს. ცოდნა ის პირველწყაროა, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს შემოსაზღვრული რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად შესაძლო მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობას მიაღწიონ;

**მეორე,** ცოდნის წარმოშობის და მისი უწყვეტი განვითარების წმინდა ეკონომიკური მიზეზია პერმანენტული წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ადამიანთა მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებსა და მეორე მხრივ, დაგროვილი შეზღუდული ცოდნით გაპირობებულ საწარმოო რესურსების შემოსაზღვრულ ეფექტიანობას შორის;

**მესამე,** ცოდნის კატეგორიის არსებითი ნიშნებია: სისტემურობა, ადექვატურობა, მდგრადობა, წინააღმდეგობრიობა, დილემურობა, ხარჯიანობა, სარგებლიანობა და ღირებულება;

**მეოთხე,** საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცოდნა ეროვნული მეურნეობის სპეციფიკური დარგების – განათლებისა და მეცნიერების პროდუქტად გვევლინება და შესაბამისად, არამატერიალური ინტელექტუალური დოვლათის – სამეცნიერო და საგანმანათლებლო მომსახურების ფორმას იღებს, რომელიც სამეურნეო გამოყენებისას საწარმოო რესურსად იქცევა. ამ პირობებში, ცოდნა, მისი სპეციფიკური ნიშნების მიუხედავად, ეკონომიკის სხვა ობიექტების, მოვლენების და პროცესებისათვის დამახასიათებელი თვისებებით, თავისებურებებით და კანონზომიერებებით ხასიათდება. მათ შორისაა სახმარი და საცვლელი ღირებულება, ხარჯიანობა და სარგებლიანობა, ცვეთადობა, კვლავწარმოებადობა, განახლებადობა და სხვა.

**მეხუთე**, წარმოების სხვა ფაქტორებთან და საქონელთან გენეტიკური ნათესაობის მიუხედავად, ცოდნა მრავალი

უნიკალური თავისებურებით გამოირჩევა, რაც მის განსაკუთრებულ სარგებლიანობას განაპირობებს:

– მფლობელთა მიერ ცოდნის გაყიდვის შემთხვევაში მასზე საკუთრების უფლება შენარჩუნდება, რის გამოც, საქონლისაგან განსხვავებით, ცოდნის გაცვლა ეროვნული სიმდიდრის ზრდის წყაროდ გვევლინება;

– ერთი და იგივე ცოდნის მრავალგზის გაყიდვის მიუხედავად, მისი შექმნა ან დაუფლება მხოლოდ ერთჯერად მატერიალურ-ტექნიკურ, შრომით და ფინანსურ ხარჯებს საჭიროებს, რაც ცოდნის წარმოებას და შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ ბიზნესს უაღრესად ეფექტიანს ხდის;

– წარმოების სხვა ფაქტორებისაგან განსხვავებით, ცოდნა კლებადი უკუგების კანონის ზემოქმედებას არ ემორჩილება და არა მარტო კომპენსაციას უკეთებს წარმოების ფაქტორთა კლებადი უკუგებით გამოწვეულ დანაკარგებს, არამედ შეუქცევად ეკონომიკურ ზრდას და ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს. სხვაგვარად კაცობრიობა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ, სამრეწველო რევოლუციის ეპოქაშივე, "ეკონომიკურ ხაფანგში' აღმოჩნდებოდა, რაც ცივილიზაციის პროცესს შეწყვეტდა;

**მეექვსე,** ადამიანური ცოდნის მწვერვალია ნოვატორული ცოდნა, რომელიც ინოვაციური ცოდნის შექმნის წყაროს წარმოადგენს. ასეთ ცოდნას ფლობენ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მაძიებელი ბუნების ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობის სფეროში არა მარტო ტრადიციული და უახლესი ცოდნის მთელ მარაგს ითვისებენ, არამედ პრინციპულად ახალ ცოდნასაც უმატებენ.

ცოდნის მრავალწახნაგოვანი კატეგორიის შინაგანი ბუნების განმსაზღვრელი მახასიათებლების შესწავლის შემდეგ შესაძლებლობა გვაქვს მისი, როგორც ეკონომიკის კატეგორიის განმარტება ჩამოვაყალიბოთ:

**ცოდნა ესაა ადამიანთა წინანდელი და ახლანდელი თაობების ინტელექტუალური და სამეურნეო საქმიანობის შედეგად**

**მიღებული გაცვლისათვის განკუთვნილი პროდუქტი, რომელიც ასახავს ადამიანთა აზროვნებაში დაბროვილ ობიექტური რეალობის ადექვატურ, მოწესრიგებულ და სისტემატიზებულ ინფორმაციას. იგი, როგორც საწარმოო რესურსი ხასიათდება უნიკალური სარგებლიანობით, ანეიტრალებს წარმოების ფაქტორთა კლებადი უკუგების კანონის დამანგრეველ შედეგებს და ამდენად, ცივილიზაციის მატერიალური, ზნეობრივი და სულიერი პროგრესის უმთავრეს წყაროდ გვევლინება.**

ცოდნის, როგორც უნიკალური საწარმოო რესურსის, შესახებ მოძღვრება მსოფლიოს მასშტაბით ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზეა და ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც ეკონომიკური თუ პოლიტიკური პირველობის ამბიციები აქვს, მის შეწავლას, ნოვატორული ცოდნის შექმნას და პრაქტიკულ გამოყენებას თავის პრიორიტეტთა შორის უპირველესი ადგილი უნდა მიუჩინოს.

**ცოდნისა და "ინტელექტუალური კაპიტალის" ცნებების მიმართება.** ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს დოგმად მიჩნეული თვალსაზრისი, რომლის თანახმად მეცნიერება და სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ცოდნა „ადამიანურ კაპიტალს," "ადამიანისეულ კაპიტალს" ან კიდევ სხვა ტერმინით "ინტელექტუალურ კაპიტალს" წარმოადგენს და შესაბამისად, იგი კაპიტალის, როგორც წარმოების ერთ-ერთი რესურსის (ფაქტორის) შემადგენელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. ეს ცნება ხმარებაში პირველად ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. გელბრეიტმა შემოიტანა 1968 წელს და მას აქეთ კრიტიკული ანალიზის გარეშე სხვადასხვა მოდიფიკაციით, მაგრამ უცვლელი შინაარსით გამოიყენება, მათ შორის ქართველი ეკონომისტების მიერაც [2, გვ. 11-41], [5. გვ. 88-125].

ამ მოსაზრების ძირითად არგუმენტად ის გარემოებაა მიჩნეული, რომ კაპიტალის მსგავსად ცოდნის დასაუფლებლად განსაზღვრული ინვესტიციებია საჭირო, რომელიც შემდეგ მისი მფლობელისათვის შემოსავალის წყაროდ იქცევა. ეს დასაბუთება ერთი შეხედვით თითქოს საკმაოდ მყარია, მაგრამ

პრობლემის არსში ჩაღრმავების შემდეგ სრულიად განსხვავებული შედეგი მიიღება.

საქმე ისაა, რომ წარმოების ნებისმიერი რესურსის (ფაქტორის) – სამუშაო ძალის, კაპიტალის და მიწის შესაძენად ან შესაქმნელად განსაზღვრული ოდენობის ფულადი კაპიტალის ინვესტირებაა საჭირო, რომელთაგან თითოეულს თავისი სპეციფიკური შემოსავალი მოაქვს. ყოველგვარი ინვესტიციის პირველწყაროს – ფულად სახსრებს კი ლიკვიდობისა და ფორმამონაცვლეობის უნიკალური თვისება ახასიათებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ნებისმიერ საწარმოო რესურსად გარდაქმნის უნარს ფლობს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინვესტირების შედეგად სამუშაო ძალა (შრომა) ან მიწა კაპიტალად გარდაიქმნება.

ამდენად, ცოდნისა და კაპიტალის გაიგივების იდეა საფუძველსაა მოკლებული. ცოდნა წარმოების პიროვნული ფაქტორების – სამუშაო ძალის, სამეწარმეო უნარისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის განუყოფელ თვისებას წარმოადგენს და მათგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ასევე, თვითონ ნივთობრივი ფორმის კაპიტალიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაცობრიობის მიერ დაგროვილი მატერიალიზებული ცოდნა, რაც მათ იგივეობას არ გულისხმობს.

კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს მეცნიერების მთლიანად მიკუთვნება კაპიტალისადმი. მეცნიერება, როგორც ადამიანის მოღვაწეობის უაღრესად რთული სფერო, სამ ძირითად ელემენტს მოიცავს:

პირველი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს და მკვლევართა აზროვნებაში დაგროვებულ ცოდნას, რაც მთლიანობაში ინტელექტუალური სამუშაო ძალის (შრომის) კატეგორიაში ერთიანდება;

მეორე, კვლევითი მუშაობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც მატერიალური კაპიტალის შემადგენლობაში შედიან;

მესამე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის შედეგად მიღებულ და დოკუმენტურად გაფორმებულ სამეცნიერო ინფორმაციას, კვლევით ნაშრომებს, “ნოუ-ჰაუს,” საავტორო უფლებებსა და პატენტებს, რომელთა ერთობლიობა არამატერიალურ კაპიტალს შეადგენს. სწორედ ესაა ინტელექტუალური და არა ადამიანური კაპიტალი, რომელიც შემდეგ მატერიალურ კაპიტალში – ახალ ტექნიკად, ტექნოლოგიებად და მასალებად, საბოლოოდ კი ინოვაციურ საქონლად კრისტალიზდება.

საკითხის სიცხადისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკაში ცოდნისა და მისი შედეგების მატარებელნი და მესაკუთრენი შეიძლება იყონ:

– დაქირავებული კვალიფიციური სამუშაო ძალა, მათ შორის ინტელექტუალური კაპიტალის უშუალო შემქმნელნი;

– ბიზნესმენები თავისი სამეწარმეო უნარით;

– სახელმწიფო თავისი ეკონომიკური უნარით;

– ინტელექტუალური (არამატერიალური) კაპიტალი;

– ინოვაციური მატერიალური კაპიტალი.

თითოეული მფლობელისათვის ცოდნას საკუთარი სპეციფიკური შემოსავალი მოაქვს. კერძოდ, დაქირავებულ მუშაკს მისი ცოდნის გამოყენებისათვის ხელფასს უხდიან, ბიზნესმენი იღებს მოგებას, ინტელექტუალური და ინოვაციური მატერიალური კაპიტალის მფლობელი – სარგებელს, ხოლო სახელმწიფო გადასახადებს ამოიღებს.

ამდენად, ინტელექტუალურ კაპიტალთან ცოდნის სრული გაიგივების მცდელობა საფუძველსაა მოკლებული. მეცნიერების ნებისმიერი დარგი მისი სპეციფიკური ცნებებისა და კატეგორიების მოწესრიგებული სისტემას წარმოადგენს, რომელთა აღრევას შეუძლია მისი ქაოსური მდგომარეობა და განვითარების შეფერხება გამოიწვიოს.

მაგრამ, რამდენადაც რეალურად არსებობენ ცოდნის პიროვნული თუ ნივთობრივი მატარებლები, ამდენად მიზანშეწონილია მოიძებნოს ისეთი **ზოგადი ცნება**, რომელიც აბსტრაქტული და მატერიალიზებული ცოდნის ყველა ფორმას

ასახავდა. ასეთ ტერმინად შეიძლება მივიჩნიოთ **"ინტელექ-ტუალური რესურსის"** ცნება, რომლის შემადგენელი ელემენ-ტებია ერთი მხრივ ცოდნა, ხოლო მეორე მხრივ „**ინტელექ-ტუალური კაპიტალი**." ეს უკანასკნელი წარმოადგენს არამა-ტერიალურ კაპიტალში განივთებულ ინოვაციურ ცოდნას და მატერიალური კაპიტალის იმ ნაწილს, რომლებიც ინოვაციურ პროცესებს ემსახურებიან.

**ბიზნესის ინტელექტუალური რესურსები.** ბიზნესის წარ-მოების ფაქტორებიდან ინტელექტუალური რესურსების გამო-ყოფას ის გარემოება ართულებს, რომ ისინი, ბუნებრივი რესურსების გარდა, ადამიანური ცოდნის შედეგებს წარმოად-გენენ. ამიტომ ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურული ელემენტების იდენტიფიკაციისათვის საჭიროა მოიძებნოს საერ-თო ნიშნები – კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით რესურ-სების ამ ჯგუფისადმი ამა თუ იმ მოვლენისა და ობიექტის მიკუთვნება გახდება შესაძლებელი. ასეთ კრიტერიუმებად შეიძლება მივიჩნიოთ:

– ობიექტი ან მოვლენა უნდა იყოს ინოვაციური და ნოვატორული ცოდნის მატარებელი ან მათი შედეგი;

– ექვემდებარებოდეს ღირებულებით შეფასებას;

– ხასიათდებოდეს ტრადიციულ ანალოგებთან შედარე-ბით უფრო მაღალი სარგებლიანობით;

– შეადგენდეს დამატებითი ინვესტიციებისა და ხარჯე-ბის შედეგს;

– უნდა იძლეოდეს ზემოგების მიღების საშუალებას;

– თავისი წვლილი უნდა შეჰქონდეს ფირმის გუდვილის ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ბიზნესის ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურული ელემენტები შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით დავაჯგუფოდ (იხ. სქემა):

**ბიზნესის ინტელექტუალური რესურსების სტრუქტურა**




– ადამიანური სამეურნეო ცოდნა;

– არამატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი;

– მატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი.

**ადამიანური სამეურნეო ცოდნა** ორ ელემენტს მოიცავს:

– კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც დაბანდებულია და ხმარდება ინოვაციური ცოდნის მატარებელი და ნოვა-ტორულად მოაზროვნე მაღალკვალიფიციური პერსონალის

შრომის ანაზღაურებას. ამ თვალსაზრისით ასეთი ხარჯები "ინტელექტუალურ ინვესტიციებად" შეიძლება განვიხილოთ;

– თანამშრომლების და თვითონ ბიზნესმენის კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ინვესტიციები, რომლებიც ასევე ინტელექტუალურ ინვესტიციებად გვევლინებიან;

**არამატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი** წარმოდგენილია სამეცნიერო გამოკვლევების, ინოვაციური ტექნიკური დოკუმენტაციის, ნოუ-ჰაუს, პატენტების და საავტორო უფლებების სახით.

**მატერიალური ინტელექტუალური კაპიტალი** ორი ნაწილისაგან შედგება:

– კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განსახორციელებლად;

– სამეურნეო სუბიექტის მიერ შექმნილი და სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ახალი საწარმოო მეთოდები, ნოვატორული მენეჯმენტი და მარკეტინგი, ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები.

ბიზნესის ინტელექტუალური რესურსების სარგებლიანობა საბოლოო შეფასებას ჰპოვებს ბიზნესის ისეთ არამატერიალურ აქტივში, როგორიცაა **გუდვილი.** ეს უკანასკნელი წარმოადგენს მისი ქონების ღირებულების იმ ნამატს, რომელიც წარმოიშობა ინოვაციური საქმიანობის შედეგად მისი იმიჯის და საბაზრო ღირებულების ამაღლებით, რაც თავის მხრივ დამატებითი მოგების წყაროდ იქცევა.

**„ცოდნის ეკონომიკის" ცნების კრიტიკული ანალიზი.** დასაზუსტებელია ეკონომიკის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული ტერმინიც – "ცოდნის ეკონომიკა," რომელიც 1962 წელს პირველმა ავსტრო-ამერიკელმა ეკონომისტმა ფრიცემ მახლუპმა გამოიყენა.

ამჟამად ეკონომისტთა ერთი ნაწილი ამ ტერმინს „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის" სინონიმად მიიჩნევს, მაგალითად, პროფესორი ო. ქეშელაშვილი [3. გვ. 3]. არაპირდაპირი

ფორმით ამავე თვალსაზრისს იზიარებენ პროფესორები გ. ჯოლია და დ. სეხნიაშვილი [5. გვ. 61, 47]. ეკონომისტთა მეორე ნაწილი, მაგალითად, აკადემიკოსი ლ. ჩიქავა, სამართლიანად მათ ერთმანეთისაგან მიჯნავს [4. გვ. 8-12]. მისი განმარტებით, „ცოდნის ეკონომიკა," როგორც მეცნიერული დისციპლინა შეისწავლის ცოდნის წარმოების კანონზომიერებებს, ცოდნას, როგორც სპეციფიკურ საქონელს, მის ღირებულებას, თვითღირებულებას, ცოდნის ბაზრის ფუნქციონირებას და სხვა. „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა" კი ეროვნული მეურნეობის ის სფეროა, რომელშიც ცოდნა გადამწყვეტ როლს ასრულებს და ეკონომიკური ზრდის უნმიშვნელოვანეს წყაროდ გვევლინება. ლ. ჩიქავა თვლის, რომ ამ თვალსაზრისით „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა" და "ინოვაციური ეკონომიკა" სინონიმური ცნებებია, რასაც ვეთანხმები. თუმცა სასურველი იქნებოდა, ერთი და იგივე მოვლენის აღსანიშნავად მხოლოდ ერთი ტერმინი – "ინოვაციური ეკონომიკა" გამოგვეყენებინა, რამდენადაც იგი უკეთ ასახავს შესასწავლი მოვლენის არსს.

„ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის" ტერმინთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ეკონომიკა ყოველთვის ტრადიციული ან ინოვაციური ცოდნის გამოყენებას ემყარებოდა. ალბათ დამეთანხმებით, რომ უძველეს ცივილიზაციათა მიერ გრანდიოზულ საოცრებათა შექმნა მხოლოდ იმ დროისათვის მიღწეული ინოვაციური ცოდნის გამოყენების პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ მიზანშეწონილია, ტრადიციული ან ინოვაციური ეკონომიკის შესახებ იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ რომელი მხარე სჭარბობს მასში. როდესაც ეკონომიკას ვაფასებთ როგორც ინოვაციურს, იგულისხმება, რომ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების საფუძველი უპირატესად ინოვაციური ცოდნაა.

ზოგჯერ თვითონ ტერმინი – „ცოდნის ეკონომიკა," მეცნიერებაში ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველი, როგორც

ეკონომიკის მეცნიერების ერთ-ერთი სფერო ცოდნის წარმოების კანონზომიერებათა შესახებ და მეორე, როგორც ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკური დარგი, სადაც ცოდნა იწარმოება. მაგრამ ამ თვალსაზრისითაც იგი სერიოზულ დაზუსტებას მოითხოვს. ცოდნა, საქონლისა და მომსახურების მსგავსად, განსაზღვრული პროცესის შედეგია. საქონელი წარმოების სფეროს დარგებში შრომის საგნებზე ტექნოლოგიური ზემოქმედების შედეგად იწარმოება, ხოლო ცოდნა მეცნიერებასა და განათლებაში ყალიბდება. ამდენად, წარმოება, მეცნიერება და განათლება ესაა პროცესები, სადაც საქონელი და ცოდნა იქმნება, ხოლო ეს უკანასკნელნი აღნიშნული პროცესების პროდუქტებია.

ეკონომიკის სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს მეცნიერების დარგი სახელწოდებით "საქონლის ეკონომიკა", არამედ იხმარება წარმოების ეკონომიკა, ფირმის ეკონომიკა, დარგის ეკონომიკა, ქვეყნის ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკა და სხვა. ამდენად, წარმოდგენილი დასაბუთებიდან გამომდინარე, სავსებით გამართლებული იქნება "ცოდნის ეკონომიკის" ნაცვლად „მეცნიერების და განათლების ეკონომიკის" ტერმინი დაგვემკვიდრებინა (ან თითოეული ცალ-ცალკე). შესაბამისად, „ცოდნის ეკონომიკის" გამოყენება ყველა განხილულ შემთხვევაში აზრს კარგავს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ინოვაციური განვითარება: ეკონომიკა, ინტელექტუალური რესურსები, ცოდნის მართვა. **ტ. მ. ორლოვის** რედაქციით (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 2010.
2. **სართანია ვ.** განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივები). თბილისი, 2001.
3. **ქეშელაშვილი ო.** ცოდნის ეკონომიკა (მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი). თბილისი, 2005.

4. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, 2006.
5. **ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ.** ცოდნის ეკონომიკა და მართვა. თბილისი, 2010.

***Sisvadze Aziko***

## KNOWLEDGE AS AN INTELLECTUAL RESOURCE OF BUSINESS

## SUMMARY

The article displays the essence of knowledge as of economic category. It is proved that such notions as “intellectual capital (“human capital”) and “Knowledge economy” need precise definition. It is shown that knowledge is reflected in value form not only in capital, but in other factors of production. Thus, it is expedient to use the notion “intellectual resource” instead of “intellectual capital”.

The notion “knowledge economic” reflects nether the essence of modern economy based on knowledge nor economic sphere where knowledge is product. So its use makes no sense.

*რევაზ ჯავახიშვილი*

# ადამიანის როლი წარმოებაში თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში

## 1. ადამიანისა და ადამიანისეული ფაქტორების ცნების შესახებ

ადამიანის პრობლემა ისტორიულად ყოველთვის იდგა საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრში. ძველი ანტიკური ეპოქის მოაზროვნეები ადამიანს განმარტავდნენ, როგორც ეთიკურ არსებას (სოკრატე, პლატონი) ან, როგორც საზოგადოებრივ ცხოველს (არისტოტელე), შემდგომ კი, როგორც მანქანას (ლამეტრი), მთლიანად კაცობრიობას (გოეთე), ბუნების მიზანსა და არა საშუალებას (კანტი). თანამედროვე გაგებით კი ადამიანი განმარტებულია, როგორც საზოგადოებრივი, გონიერი არსება, რომელსაც აქვს უნარი, გააკეთოს შრომის იარაღები და მათი საშუალებით დაუპირისპირდეს ბუნებას, თავისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების შესაბამისად გარდაქმნას იგი; არსება, რომელსაც აქვს ცნობიერება, დანაწევრებული მეტყველება და ქმნის კულტურას [7,79].

ადამიანისა და ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების მიმართ ყურადღება განსაკუთრებით გაძლიერდა თანამედროვე ეტაპზე – მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაღრმავების, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის ეპოქაში. შესაბამისად გაიზარდა ამ პრობლემის მეცნიერული კვლევის ინტერესებიც. თუმცა, ქართულ სინამდვილეში იგი ნაკლებადაა შესწავლილი როგორც შინაარსობრივი, ისე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ეკონომიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ პრობლემასთან დაკავშირებული ცნებები ერთმანეთისაგან სათანადოდ არაა გამიჯნული და მათ გამოსახატავად გამოყენებულია არაადეკვატური, არაზუსტი ტერმინები. მაგალითად, რუსულ

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყენებული „Человеческий фактор”-ის ნაცვლად ნახმარია ტერმინი „ადამიანური ფაქტორი”, ანუ სიტყვა „Человеческий” გადმოქართულებულია, როგორც „ადამიანური”. თანაც იგი გამოყენებულია სხვადასხვა კონტექსტში: „ადამიანური კაპიტალი”, „ადამიანური გამოყენება”, „ადამიანური კომპონენტი”, „ადამიანური რესურსი” და ა.შ. ასეთი მაგალითები ქართულ ენაზე გამოცემულ ლიტერატურაში უამრავია.

ამასთან, ზემოაღნიშნული ეკონომიკური ცნებების გამოსახატავად ქართულ სინამდვილეში გამოყენებულია სხვა ტერმინებიც: „ადამიანისეული ფაქტორი”, „ადამიანისეული კაპიტალი”, „ადამიანისეული რესურსი” და ა.შ. [8,60]. მიგვაჩნია, რომ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უკეთესია ვიხმაროთ ”ადამიანისეული ფაქტორი” და არა „ადამიანური ფაქტორი”, ვინაიდან ამ უკანასკნელს ბევრი სხვა გაგებაც აქვს და იგი არაადეკვატურად, არაზუსტად გამოხატავს აღნიშნული ცნების შინაარსს.

„ადამიანისეული ფაქტორის” ცნება მჭიდრო კავშირშია ისეთ ფუძემდებლურ ფილოსოფიურ კატეგორიასთან, როგორიცაა „სუბიექტური ფაქტორი”. მიუხედავად მათი დიდი მსგავსებისა, შინაარსობრივად ისინი ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან. „სუბიექტური ფაქტორი” რთული სტრუქტურის მქონე უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს მთლიანად სახელმწიფოს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეულ ადამიანთა საქმიანობის დონეებსა და ფორმებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს მართვის, მეურნეობრიობის სუბიექტები და ა.შ.

ადამიანისეული ფაქტორი გვიხასიათებს კონკრეტული ადამიანების საქმიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათი თვისებების, უნარის, მოთხოვნების და ინტერესების ერთობლიობას. იგი გულისხმობს ადამიანის აქტიურ ფუნქციონირებას საწარმოო, ეკონომიკურ, სოციალურ,

ორგანიზაციულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასა და ადამიანის სასიცოცხლო განწყობებს, მოტივებსა და მიზნებს შორის ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას.

სუბიექტური ფაქტორი გამოიყენება უმეტესად მსხვილი სოციალური ჯგუფების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საქმიანობის ანალიზის დროს, ადამიანისეული ფაქტორი კი – უმეტესწილად ადამიანის, როგორც სოციალური სუბიექტის, საქმიანობის დასახასიათებლად. ეს უკანასკნელი გვიხასიათებს ადამიანის ფუნქციონირების თვალთახედვით სუბიექტურ ფაქტორს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მისი აქტიურობა უშუალო გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორის როლზე, რომელიც არსებითად განსაზღვრულია ადამიანისეული ფაქტორით.

## 2. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამოძახილი საქართველოში და მისი შედეგების დაძლევის ძირითადი მიმართულებები

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საბანკო და სამშენებლო სექტორებზე, ტურიზმის განვითარებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. საბანკო სისტემა ყველაზე უფრო მგრძნობიარე და დიდი რისკების სფეროა, რის გამოც ყველაზე უფრო მეტად ზარალდება კრიზისის დროს. ქვეყნის საბანკო სექტორში კრიზისის დროს მნიშვნელოვნად შეიზღუდა სესხების გაცემა, საგრძნობლად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, სერიოზულად გამწვავდა გაცემული სესხების დაბრუნების პრობლემა, რასაც შედეგად მოჰყვა ბანკებისა და ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობის ზრდა და საბანკო დეპოზიტების მკვეთრი შემცირება, დასაქმებულ მუშათა დიდი რაოდენობის გათავისუფლება და უმუშევრობის ზრდა. მიუხე-

დავად სერიოზული დარტყმისა, ხელისუფლებისა და ეროვ-ნული ბანკის ძალისხმევით თავიდან იქნა აცილებული სისტემური პრობლემები, საბანკო სექტორმა ყველაზე მეტად გაუძლო კრიზისულ წნეხსა და მინიმალური შეფერხებით აგრძელებს საქმიანობას. ამასთან, 2010 წლიდან შეინიშნება ბანკების დეპოზიტებისა და აქტივების, გაცემული სესხებისა და მოგების ზრდა, რაც ამ სექტორის კრიზისიდან გამოსვლის მნიშვნელოვან სიმპტომებად უნდა ჩაითვალოს.

კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა მშენებლობას, შეჩერდა აქ მიღწეული აღმასვლის პროცესი, რაც განსაკუთრებით ბინათმშენებლობაზე აისახა. ფაქტობრივად შეჩერდა მშენებარე ობიექტების დიდი ნაწილი და უმუშევრად დარჩა აქ დასაქმებული ათეულ ათასობით ადამიანი. ბევრმა სამშენებლო კომპანიამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა, ხოლო ადამიანები, რომელთაც გადახდილი ჰქონდათ ბინის მშენებლობისთვის საჭირო თანხები, აღმოჩნდნენ უიმედობასა და გაურკვეველ სიტუაციაში. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში გატა-რებული ღონისძიებების შედეგად მშენებლობის სფეროში შეიმჩნევა გარკვეული გამოცოცხლება, მოხერხდა როგორც დედაქალაქში, ისე ბევრ რეგიონში საავტომობილო გზების მშენებლობის პროგრამების განხორციელება, რაც ქვეყნის სამშენებლო სექტორის კრიზისიდან გამოყვანის გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯებად უნდა ჩაითვალოს.

ეკონომიკურმა კზირისმა დიდად დააზარალა ტურისტული სექტორიც. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საგრძნობლად შეამცირა მოსახლეობის გადახდისუნარიანობა და, შესაბამი-სად, ტურისტების რაოდენობაც. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში უცხოული ტურისტების შემოსვლა 1,300 ათასიდან 680 ათასამდე, ანუ 48%-ით შემცირდა. ტურიზ-მზე კრიზისის გავლენა უცხოური ინვესტიციების შემცირებით გამოიხატა. 2007 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტი-ციებმა 2 მლრდ დოლარს გადააჭარმა, ომისა და კრიზისის გავლენით 2008 წელს კი იგი 1,564 მლრდ-მდე, ანუ თითქმის

ნახევარი მილიარდით შემცირდა. ეს ტენდეცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

2009 წლიდან ქვეყანაში შეიმჩნევა ეკონომიკური ვარდნის შენელება, რაშიც დიდი როლი შეასრულა კრიზისის ნეგატიური გავლენის შემცირებისა და ეკონომიის ფისკალური სტიმულირების მიზნით განხორციელებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ. ქვეყანაში ეკონომიური კრიზისის დაძლევისათვის საჭიროა კრიზისის შემდგომ მსვლელობაზე გულდასმითი დაკვირვება, მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული გაანალიზება და სათანადო ანტიკრიზისული პროგრამის ამოქმედება.

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიზისის შედეგების ბოლომდე დაძლევისა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის პრიორიტეტული მიმართულებების სწორად განსაზღვრას. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებად გვესახება:

1. **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელის შეწყობა.** მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოყენებული მისი თავისებურებები და უპირატესობები: საჭირო კაპიტალდაბანდებების სიმცირე; ამოქმედებისა და კვლავწარმოების ციკლის მოკლე ვადები; მაღალი მოქნილობა და მანევრირება; შრომითი და ფინანსური რესურსების სწრაფი მობილიზაცია და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა; პროფესიათა შეთავსება; შინ მუშაობა; პენსიონერთა დასაქმება და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რეალური პროდუქტის შემქმნელი და ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მსხვილი მონოპოლიების კონურენციისაგან დაცვა, საკრედიტო-საგადასახადო შეღავათებით უზრუნველყოფა და სხვ.

2. **აგროსამრეწველო სექტორის დაჩქარებული განვითარება.** იგი უნდა განხორციელდეს ამ სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, სადაც პრიორიტეტული

მნიშვნელობა მიეცემა იმ დარგების უპირატეს ზრდას, რომელთა განვითარებისათვის ქვეყანას გააჩნია სათანადო ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორები და რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკური (მათ შორის საექსპორტო) პოტენციალისა და ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში.

3. **საკურორტო-ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.** ქვეყანა მდიდარია მთისა და ზღვის საკურორტო-რეკრეაციული რესურსებით, სამკურნალო მინერალური და თერმული წყლებით, რაც სათანადოდ არაა ათვისებული და გამოყენებული. საქართველოს საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარებისათვის, თუმცა, იგი სათანადოდ არაა გამოყენებული. მის გამოსაყენებლად საქართველომ უახლოეს პერიოდში უნდა უზრუნველყოს ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების მიღწევა, ტურ-პროდუქტების გაფართოება და მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, ტურიზმის სფეროში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება და მომსახურების ავტომატიზაცია, ელექტრო-სადისტრიბუციო ქსელების მეშვეობით ავიაკომპანიების, ტურისტული სააგენტოების, სასტუმროების, ავტოგამქირავებელი ფირმების ოპერატიული ურთიერთკავშირი.

4. **საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება.** ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს ეკონომიკის რაციონალური დარგობრივი სტრუქტურისა და საგარეო ვაჭრობის პრიორიტეტების სწორ განსაზღვრას. ქვეყანამ კურსი უნდა აიღოს მაღალტექნოლოგიური და შრომატევადი დარგების განვითარებაზე, საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, მისი ღირსების და ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფაზე, რისთვისაც საჭიროა ყველა ბერკეტის ამოქმედება ასეთი პროდუქციის მწარმოებელი დარგების სწრაფი აღორძინებისათვის; საქართველოს საექსპორტო

პოტენციალის ამაღლება და მისი სრული გამოყენება ხელს შეუწყობს უარყოფითი სავაჭრო სალდოს აღმოფხვრას, ქვეყნის სავალუტო რესურსების ზრდას, ფინანსურ გაჯანსაღებასა და კრიზისის შედეგების უმოკლეს ვადაში დაძლევას.

5. **ადამიანისეული ფაქტორის როლის ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.** თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტელექტუალიზაცია. ამჟამად ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია არა ბუნებრივი და სხვა რესურსები, არამედ ადამიანი თვისებრივად გარდაქმნილი ფორმით, აღჭურვილი სრულიად ახალი ცოდნით, უნარითა და ჩვევებით. სწორედ ეს თვისებები უნდა დაედოს საფუძვლად სრულიად ახალი ტიპის სამუშაო ძალის ფორმირებას, რომელსაც თავისუფლად შეეძლება უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება საქმიანობის ყველა სფეროში. ამასთან ერთად, ადამიანისეული ფაქტორის აქტივიზაცია გულისხმობს მეცნიერების საერთოდ და, კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერების, ეკონომიკური თეორიის როლისა და მნიშვნელობის ზრდას ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში, მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირებასა და თავიდან აცილებაში, ხოლო ასეთი კრიზისების გარდაუვალობის შემთხვევაში კი, მათი რეგულირების, კრიზისებიდან დროული გამოსვლისა და მათი ნეგატიური შედეგების დაძლევის ღონისძიებათა შემუშავებაში.

## 3. ადამიანის როლი წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენების ეპოქაში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცალკეული ეტაპების მიხედვით ზოგჯერ მკვეთრად იცვლებოდა წარმოებაში ადამიანისეული ფაქტორის როლისა და ფუნქციების შესახებ მიდგომები და კონცეფციები. გასული საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა ე.წ. “უხალხო” წარმოების კონცეფცია, რომელიც

ეფუძნებოდა წარმოების პროცესში ცოცხალი სამუშაო ძალის საწარმოო ავტომატებითა და რობოტებით შეცვლას.

გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე აშკარად გამოვლინდა "უხალხო" წარმოებაზე აღებული კურსის არახელსაყრელობა, არარეალურობა და არაპროგრესულობა. ამასთან, მანმადე არსებული სამუშაო ძალის მასობრივი შემცირების ტენდენციის პარალელურად, ნათლად გამოიკვეთა კონტრდენცია, რომელიც გულისხმობდა შრომის ახალი სახეობის მუშაკებზე მოთხოვნის ზრდას. ასეთ ტენდენციას ადგილი ჰქონდა ჯერ წარმოების მოწინავე, ტრადიციულ, მოდერნიზებად და მაღალტექნოლოგიურ დარგებში, შემდგომში კი – ბანკებში, ტელეკომუნიკაციასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში. ხორციელდებოდა მაღალტექნოლოგიური დარგების ზედა ეშალონებისთვის საჭირო სამუშაო ძალის დასაქმების ზრდა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ რთულ, შემოქმედებით შრომასთან.

ამიერიდან რადიკალურად იცვლება ეკონომიკურ თეორიასა და სამეურნეო ცხოვრების პრაქტიკაში წარმოების მოდერნიზაციის პროცესში ადამიანისეული ფაქტორის ადგილისა და როლის განსაზღვრისადმი დამოკიდებულება. აშკარა გახდა, რომ, მიუხედავად თანამედროვე ეტაპზე საწარმოო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის დაჩქარებული ტემპებით განვითარებისა, ურთულესი საწარმოო ოპერაციებისა და ამოცანების გადაწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელია ცოცხალი, მოაზროვნე ადამიანის გარეშე. მხოლოდ მას ხელეწიფება თანამედროვე უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, მისი შემოქმედებითი ანალიზი, წარმოშობილი ტექნიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების არსში შეღწევა და მუდმივად ცვალებადი საწარმოო-ტექნიკური სიტუაციების განსხვავებული სცენარის პირობებში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

ახალი ეკონომიკის პირობებში სულ უფრო აშკარა ხდება წარმოებაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების, ადამიანის შემოქმედებითი უნარისა და შესაძლებლობების ფართოდ გამოყენების აუცილებლობა, რაც განპირობებულია წარმოების ახალი ტექნიკური ბაზის შესაბამისი შრომის ხასიათში მიმდინარე რადიკალური ცვლილებებით. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის პირობებში მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებისა და წარმოების მუშაკთა დახელოვნების სრულყოფის საფუძველზე. ტექნიკური პროგრესის გაღრმავების კვალდაკვალ, ამჟამად სულ უფრო ინტენსიურად ხორციელდება წარმოებიდან დაბალკვალიფიციური და მოძველებული პროფესიის მუშაკთა გამოდევნა, რის შედეგადაც არსებითად იცვლება დასაქმებულთა კვალიფიციური სტრუქტურა.

თანამედროვე პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში ადამიანისეული ფაქტორის აქტივიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება შრომის ანაზღაურების დონის ზრდა და მუშაკთა მატერიალური სტიმულირების გაძლიერებაა. ცოდნაზე გაწეული დანახარჯების ზრდას თანს სდევს მათი უკუგება, შემთხვევითი არ არის ის, რომ ამჟამად განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 80% სწორედ ცოდნაზე მოდის [3,74].

ახალი ეკონომიკის პირობებში არსებითად იცვლება თვით სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხასიათი, რაც გამოიხატება არა მხოლოდ მისი ფიზიკური, არამედ, უფრო მეტად, პიროვნული თვისებების, შრომის კულტურისა და ეთიკის კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებით. ტექნიკური პროგრესის გაღრმავებასთან ერთად, სულ უფრო ჩქარდება ადამიანის სოციალურად მომწიფების პროცესი, რაც იმით გამოიხატება, რომ ახალ ვითარებაში იგი ყოველთვის მზადაა გაუძლოს

ნებისმიერ ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვას, აქვს მაღალი გემოვნების, შემოქმედების, ინდივიდუალური თვისებებისა და შესაძლებლობების თვითრეალიზაციის უნარი. ყოველივე ეს ხელს უწყობს ახალ ვითარებაში სამუშაო ძალის სრულიად ახალი ტიპის ფორმირებას, რომელსაც ხელეწიფება ინდუსტრიულ ეპოქასთან შედარებით 3-5-ჯერ დააჩქაროს ახალი ტექნოლოგიების პროგრესი [3, №9, 92]. თანამედროვე ეტაპზე, ტექნიკური პროგრესის გაღრმავებასა და მუდმივად მოდერნიზებადი წარმოების პირობებში განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ტექნიკურ სპეციალისტებზე: ინჟინრებზე, დამპროექტებლებზე, ექსპლუატაციის სპეციალისტებზე, წარმოების ორგანიზატორებზე და სხვა, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ფირმებისა და კომპანიების წარმატებულ საქმიანობაში. გარდა ამისა, სადღეისოდ ძალზე დიდია მოთხოვნა მეცნიერ-მუშაკებზე, კონსტრუქტორებზე, გამოყენებითი მათემატიკის, ლოგისტიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ერგონომიკის სპეციალისტებზე, რომელთა წილი მთლიანად ავტომატიზებული საწარმოების პერსონალში ზოგჯერ 90%-საც კი აღწევს [5, №8, 50]. ეს ტენდენცია მომავალში უფრო გაღრმავდება, რამდენადაც წარმოებაში მეცნიერული მიღწევებისა და ინოვაციების დანერგვის, აგრეთვე, მეცნიერების ზღვარზე მყოფი მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების საფუძველზეა შესაძლებელი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და შეუფერხებელი რეალიზაცია, საწარმოო პროცესების სრულყოფა, წარმოების ეფექტურობის შემდგომი ამაღლება და მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების უზრუნველყოფა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **არჩვაძე ი.** გლობალური ეკონომიკური კრიზისი - ნიშნები და ტენდენციები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", №1, 2009.

2. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში, პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2011.
3. **მესხია ი.** ბიზნესის კრეატიულობა, როგორც გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევა, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, თსუ – მე-3 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010.
4. **მესხია ი.** გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა", №2, 2009.
5. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ჟ. „სოციალური ეკონომიკა", №1, 2011.
6. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი, 2006.
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი, 1975.
8. ეკონომიკური თეორია, თსუ, ავტორთა კოლექტივი, **გ. ადეიშვილის** რედაქციით, თბილისი, 1998; ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი, შემდგენლები – **აკად. პ. გუგუშვილი და აკად. ვ. ჩანტლაძე, პროფ. ლ. ჩიქავას** რედაქციით, თბილისი, 2010.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
10. **Богомолов О.** Взаимовлияние глобального кризиса и общественно-политической мысли, Журн. "МЭ и МО", М., №1, 2011.
11. **Вильховченко Э.** Социально-профессиональное развитие человека в производстве передовых стран. Журн. "МЭ и МО", М., № 8, № 9, 1997.
12. **Вильховченко Э.** Место человека в новейшем производстве и проблема технологического трудовытеснения в развитых странах. Журн. "МЭ и МО", М., № 5, 1998.
13. **Зайцев В.** Инновационная политика Японии. Журн. "МЭ и МО", М., № 10, 2010.

14. **Егоров С.** Человеческий фактор и экономический рост в условиях постиндустриализации. Журн. “Вопросы экономики”, М., № 5, 2004.
15. **Клейнер Г.** Системный ресурс экономики. Журн. “Вопросы экономики”, М., № 1, 2011.

***Javakhishvili Revaz***

## MAN’S ROLE IN THE INDUSTRY BY OVERCOMING WORLD ECONOMIC CRISIS AND USING NEW TECHNOLOGIES

### SUMMARY

Human and Human factors’ theoretical-methodological aspects are analyzed in this work, also world economic crisis impact on Georgian economy and determined basic directions how to overcome it. At present, it is evident to activate human factor, use its creativeness and feasibility in the industrial sector. It is conditioned by certain changes in the new technical base oriented labor. In the period of new economy essential changes are made to the labor reproduction, which is expressed in acceleration of its knowledge, personal characteristics, labor culture and ethic reproduction. At present, human social maturity process realizes fast, always ready to get over physical and mental load. Human has good taste, individual features of creative work and labor capacity, which could promote new type of labor force and they may significantly accelerate new technical and technological progress, ensure full speed of economic growth.

*რამაზ აბესაძე*
*ნანა ბიბილაშვილი*
*ციცინო თეთრაული*

# მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის კანონზომიერებები საქართველოში

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა მნიშვნელოვანწილად გვიჩვენებს თუ რა მდგომარეობაა ქვეყნის ეკონომიკაში და როგორ იცვლება იგი დროთა განმავლობაში.

უპირველესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი არის **მთლიანი შიდა პროდუქტი,** გამოთვლილი როგორც აბსოლუტური სიდიდით, ისე ერთ სულ მოსახლეზე. მართალია, იგი სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს თვისებრივ ცვლილებებს და შემოსავლების განაწილების სამართლიანობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ზრდა მაინც მეტყველებს ქვეყნის სიძლიერისა და მისი საერთო კეთილდღეობის ზრდაზე, მნიშვნელოვანი შემცირება კი – ქვეყნის სიძლიერისა და მისი საერთო კეთილდღეობის კლებაზე.

**გრაფიკი 1** [8; გვ. 7]



გრაფიკი 1 გვიჩვენებს, რომ საქართველოში ეკონომიკური დაქვეითება 1985 წლიდან დაიწყო, რის შემდეგაც (გარდა 1988 წლისა) 1994 წლამდე მშპ კატასტროფულად ეცემა. განსაკუთრებული კლება აქედან საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად რეფორმების დაწყებისა და დამოუკიდებლობის წლებს ემთხვევა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა ბევრი ობიექტური (რეფორმების სირთულე, გამოუცდელობა, პოლიტიკური და კრიმინოგენური დაძაბულობა, ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვ.) სირთულის წინაშე იდგა. თუმცა დიდი როლი ეკონომიკურ დაცემაში რეფორმების დროს დაშვებულმა როგორც უნებლიე, ისე ნებითმა შეცდომებმაც განაპირობა.

1995 წლიდან დაწყებული, 2008 წლამდე ადგილი აქვს განუწყვეტელ ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, ზრდის ტემპები ყოველთვის შენარჩუნებული არ ყოფილა (ზრდის შედარებით მაღალი ტემპები აღინიშნებოდა 1995-1997 და 2005-2007 წლებში). რუსეთთან ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამო 2008 წელს ზრდის ტემპი შემცირდა, ხოლო 2009 წელს წარმოების მოცულობა დაეცა (დიაგრამა 1). 2010 წელს მდგომარეობა გამოსწორდა – ადგილი ჰქონდა კვლავ ზრდას. 2011 წლის მონაცემები კი მეტყველებს ზრდის ტემპების დაჩქარებაზე. 2011 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 5,2 პროცენტი შეადგინა[8].

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით არათუ 1990 წლის, არამედ 1970 წლის მაჩვენებელიც არ არის მიღწეული, მაშინ, როდესაც თითქმის ყველა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ 1990 წლის დონეს წლების წინ გადააჭარბა.

[8] პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები (http://www.pbo.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1&info_id=595)

**დიაგრამა 1**

**მშპ ზრდის ტემპები საქართველოში** (%-ში)




**წყარო:** http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

საინტერესოა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის ტემპების დინამიკა (ცხრილი 1). თუ მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდება 2008 წლამდე, ერთ სულ მოსახლეზე მშპ იზრდება 2008 წელსაც და მცირდება მხოლოდ 2009 წელს. 2010 წელს ეს მაჩვენებელი ისევ მატულობს, მაგრამ 2008 წლის დონეს ვერ აღემატება. საერთოდ, 2005 წლიდან 2010 წლამდე ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის სიდიდე 76,8%-ით გაიზარდა.

**ცხრილი 1**

**საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა**

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მშპ მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ ლარი** | 9935.6 | 10868.0 | 12208.8 | 12491.4 | 12019.7 | 12771.3 |
| **მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტი** | 109.6 | 109.4 | 112.3 | 102.3 | 96.2 | 106.3 |
| **მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი** | 2689.1 | 3133.1 | 3866.9 | 4352.9 | 4101.3 | 4675.7 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი** | 1483.5 | 1763.5 | 2314.6 | 2921.1 | 2455.2 | 2623.0 |

**წყარო:** http://geostat.ge

საქართველოს **საგარეო სავაჭრო ბრუნვა** 2004-2010 წლებში, გარდა 2009 წლისა, იზრდება (ცხრილი 2). ექსპორტი და იმპორტიც იმავე კანონზომიერებას ექვემდებარება. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება წმინდა ექსპორტიც, რაც, ბუნებრივია, ნეგატიურ მოვლენას წარმოადგენს და ჩვენი ქვეყნის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს. 2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6678 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1583 მლნ აშშ დოლარი იყო (40 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 5095 მლნ აშშ დოლარი (17 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2010 წელს 3512 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (9 პროცენტით მეტი).

**ცხრილი 2**

**საქართველოს საგარეო ვაჭრობა**

(მლნ აშშ დოლარი)

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ექსპორტი** | 646.9 | 866.7 | 993.1 | 1232.4 | 1496.1 | 1134.9 | 1583 |
| **იმპორტი** | 1847.9 | 2490.9 | 3681.2 | 5214.9 | 6304.6 | 4378.1 | 5095 |
| **წმინდა ექ-სპორტი** | -1201 | -1624 | -2688 | -3983 | -4809 | -3243 | -3512 |
| **სავაჭრო ბრუნვა სულ** | 2494.8 | 3357.6 | 4674.3 | 6447.3 | 7800.7 | 5513.0 | 6678 |

**წყარო:** www.geostat.ge.

2010 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა 131-დან 138-მდე გაიზარდა. ამასთან, 2009 წელს საქართველოს 30 ქვეყანასთან

ჰქონდა დადებითი სავაჭრო სალდო, ხოლო 2010 წელს – 32 ქვეყანასთან. იმავე წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან, 2009 წელთან შედარებით, 13%-ით გაიზარდა და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 26% დაიკავა. მათ შორის: ექსპორტი 25%-ით გაიზარდა და მთლიანი ექ-სპორტის 19% შეადგინა; ძირითადი საექსპორტო პროდუქცია იყო ფეროსილიკომანგანუმი, ამონიუმის გვარჯილა, მანგანუმის ოქსიდები, იზოტოპები, უალკოჰოლო სასმელები, თხილი, ხილის წვენები, ვაშლის კონცენტრატები, მწვანილი, სოჭის თესლი. იმპორტი ამ ქვეყნებთან 10%-ით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა. საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შე-დარებით 31%-ით გაიზარდა და საქართველოს სავაჭრო ბრუნ-ვის 33% შეადგინა. ანალოგიური მაჩვენებლები ექსპორტზე შესაბამისად იყო 55 და 41%, ხოლო იმპორტზე – 24% და 30%. ძირითადი საექსპორტო პროდუქცია იყო ღვინო, სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები, მინერალური წყლები, უალკოჰოლო სასმელები, ციტრუსი, ხილის წვენები, ავეჯი, ფეროსილიკო-მანგანუმი, ელმავლის სათადარიგო ნაწილები. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა დსთ-ს ყველა ქვეყანასთან გაიზარდა.

2010 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის კვლავ ლიდერობს თურქეთი (16,5%), აზერბაიჯანი (10,6%) და უკრაინა (9,9%).

საქართველოს ექსპორტში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში კვლავ ლიდერობდა ფეროშენადნობები (16,7%), მსუბუქი ავტომობილები (14,4%) და შავი ლითონების ჯართი (6,9%). რასაკვირველია, შავი ლითონების ჯართისა და მსუბუქი ავტომობილების დიდი ხვედრითი წონა ექსპორტში ნეგატიური მოვლენაა, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ ად-გილობრივი წარმოების საქონელს.

დადებითი მოვლენაა ექსპორტში შედარებით ახალი პოზიციების მქონე პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა. მაგალითად, თვითმფრინავის სათადარიგო ნაწილების ექსპორტი 2006-2010 წლებში 6-ჯერ გაიზარდა, მედიკამენტების – 4-ჯერ, მანგანუმის ოქსიდების – 2,76-ჯერ, კოსტიუმების, პიჯაკების და ბლუზების – 10,34-ჯერ, ავეჯის – 6,33-ჯერ, ქვანახშირის – 4,6-ჯერ, ფოლადის სხმულებისა და ნაგლინის – 1,05-ჯერ. წლების განმავლობაში საქართველო დამოკიდებული იყო ელექტროენერგიის იმპორტზე. აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი ძირითადად 2006 წლიდან დაიწყო. 2006 წელს იმპორტი განხორციელდა – 27, ხოლო ექსპორტი 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. 2010 წელს მაჩვენებლები რადიკალურად შეიცვალა. ელექტროენერგიის იმპორტი შემცირდა 52.5%-ით, ხოლო ექსპორტი 17,5-ჯერ გაიზარდა. ტუალეტის ქაღალდის და სველი ხელსახოცების წარმოება 2009 წლიდან დაიწყო და პირველივე წელს ექსპორტზე გავიდა. 2010 წელს ექსპორტი 35%-ით გაიზარდა[9].

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები** საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით 2007 წელს შემოვიდა (**2,014.8 მლნ აშშ დოლარი**). იგი მნიშვნელოვნად მცირდება 2008 და 2009 წლებში. 2010 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 814.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 156,1 მილიონი აშშ დოლარით მეტია წინა წელთან შედარებით.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 2010 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების ოდენობა – 248.2 (30.5 პროცენტი), ხოლო დსთ-ის ქვეყნებიდან 91.2 მილიონი აშშ დოლარია (11,2%). დანარჩენი ქვეყნებიდან 2010 წელს

[9] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მონაცემები.

საქართველოში 475.1 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა (58,3%).

2010 წელს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: აშშ – 135,8 (16,7%), თურქეთი – 91,8 (11,3%), ნიდერლანდები – 73,4 (9,0 %), დიდი ბრიტანეთი – 59,0 (7,2%), აზერბაიჯანი – 58,0 (7,1%), არაბთა გაერთიანებული საემიროები – 55,5 მილიონი დოლარი (6,8%).

საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგების მიხედვით 2010 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა მოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობაში (228,8 მილიონი დოლარი, ანუ 28,1%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (215,1 მილიონი დოლარი, 26,4%), უძრავ ქონებაში (119,3 მილიონი დოლარი, 14,6%) და საფინანსო სექტორში (107,4 მილიონი დოლარი, 13,2%)[10].

**დიაგრამა 2**




**წყარო:** http://geostat.ge/

[10] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მონაცემები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. საქართველოში ის ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ბუნებრივია, ამ პროცესებს თან სდევდა უმუშევრობის ძლიერ მაღალი დონე.

მე-3 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობას კლების ტენდენცია აქვს. დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება მაშინაც, როდესაც ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალია. ამას განაპირობებს ის, რომ ჩვენთან ეკონომიკური ზრდის ტემპები ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს. იმისათვის, რომ დასაქმების დონე გაიზარდოს, ანუ უმუშევრობის დონე შემცირდეს, საჭიროა, ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ უსწრებდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს (წინააღმდეგ შემთხვევაში სტრუქტურული უმუშევრობის დონე გაიზრდება). მაშასადამე, ეკონომიკური ზრდა საქართველოში უმთავრესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე მიმდინარეობს.

1990 წლიდან (როდესაც უმუშევრობა საერთოდ არ იყო, თუმცა ფარული უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალი იყო) 2008 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა ნახევრდება (მაგრამ არა აქტიური უმუშევრების ხარჯზე, არამედ, ალბათ, პასიური უმუშევრების ხარჯზე და, უფრო მეტად, მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე). ამასთან, ნიშანდობლივია, რომ დაქირავებულთა რაოდენობა იკლებს (თითქმის 4-ჯერ), ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა კი იზრდება (4-ჯერ და მეტად). საერთოდ, თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე დაქირავებულებისა (1,8-ჯერ), რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების დაბალ დონესა და დეფორმირებულობაზე.

**ცხრილი 3**

**ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საქართველოში**

(ათასი კაცი)

| | 1990 | 1995 | 2000 | 2003 | 2005 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| დასაქმებულები | 100 | 97,1 | 94,5 | 88,5 | 86,2 | 83,5 | 83,1 | 83,2 |
| დაქირავებულები | 90,6 | 45,0 | 37,0 | 30,2 | 29,7 | 29,8 | 29,9 | 31,8 |
| თვითდასაქმებულები | 9,4 | 52,1 | 57,5 | 58,3 | 56,5 | 53,6 | 53,2 | 51,8 |
| უმუშევრობის დონე | – | 2,9 | 5,5 | 11,5 | 13,8 | 16,5 | 16,9 | 16,3 |

უმუშევრობის დონე 2010 წელს ოფიციალურად 16,3%-ია. ექსპერტთა აზრით, უმუშევრობის რეალური დონე საქართველოში გაცილებით მეტია (30%-ზე მეტი). შესაძლებელია ეს ციფრი ცოტა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, დასაქმების სამსახურის ფაქტობრივად არარსებობის გამო, უმუშევართა რაოდენობა შემცირებულია და ასევე ფარულ უმუშევრობას აქვს ადგილი, შესაძლებელია, უმუშევრობა საქართველოში მართლაც ოფიციალურ მაჩვენებელზე საგრძნობლად მეტი იყოს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არაპროგრესულ სტრუქტურაზე მიუთითებს ასევე დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (ცხრილი 4). მომუშავეთა ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობას მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 11 პროცენტი უკავია.

**ცხრილი 4**

**დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით** (პროცენტობით ჯამთან)

| | 2000 | 2003 | 2005 | 2007 |
|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 52,1 | 54,9 | 54,3 | 53,4 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 0,4 | 0,2 | 0,3 | 0,3 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 5,9 | 4,9 | 5,1 | 4,9 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 1,7 | 1,1 | 1,3 | 1,1 |
| მშენებლობა | 1,8 | 2,2 | 2,5 | 4,2 |
| ვაჭრობა; რემონტი | 10 | 10,9 | 10,8 | 9,9 |
| სასტუმროები და რესტორნები | 0,9 | 0,9 | 0,9 | 1,1 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 4,1 | 4,2 | 4,0 | 4,2 |
| საფინანსო საქმიანობა | 0,5 | 0,5 | 0,8 | 1,0 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა | 2,2 | 1,8 | 1,5 | 2,0 |
| სახელმწიფო მმართველობა | 6,1 | 5,0 | 4,7 | 3,8 |
| განათლება | 6,5 | 7,5 | 7,5 | 7,3 |
| ჯანმრთელობის დაცვა, სოც. დახმარება | 4,9 | 2,7 | 3,3 | 3,5 |
| კომუნალური, სოციალური მომსახურება | 2,6 | 2,5 | 2,2 | 2 |

საქართველოში უმუშევრობის არაერთი მიზეზი არსებობდა როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათისა. მათგან შეიძლება გამოვყოთ: **ეკონომიკური ტრანსფორმაცია; ეკონომიკის რეფორმამდელი მდგომარეობა და ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლა; წინა წყობილების დროს არსებული ფარული უმუშევრობა; ეკონომიკური რეფორმების დროს დაშვებული შეცდომები; გლობალიზაცია; დემოგრაფიული სიტუაცია; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები; კორუფცია; გეოგრაფიული მდებარეობა; სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლა და სახელმწიფოებრიობის აღდგენა; კრიმინოგენური სიტუაცია და ა.შ.**

სამწუხაროდ, რეფორმების გზაზე არაერთი შეცდომა იქ-ნა დაშვებული, რის შედეგადაც დღეისათვის ქვეყანაში გვაქვს დეფორმირებული ეკონომიკა უმუშევრობის მაღალი დონით [1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9].

**დიაგრამა 3**




**წყარო:** http://geostat.ge/

საქართველოს ეკონომიკაში წლების განმავლობაში ადგი-ლი ჰქონდა ინფლაციურ პროცესებს. იგი განსაკუთრებით მა-ღალი იყო დროებითი ფულადი ერთეულის კუპონის არსებო-ბის დროს, რომელიც შემოღებული იქნა 1993 წელს. ძირითადი ფულადი ერთეულის – ლარის შემოღების შემდეგ მდგომარეო-ბა ძირეულად შეიცვალა. ლარი ძირითადად მყარი ეროვნული ვალუტა გამოდგა როგორც დოლართან მიმართებაში, ისე ინ-ფლაციის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ინფლაციის დონე საქართველოს ეკონომიკაში ზოგიერთ წელს დიდი იყო, თუმცა, მას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეკონომიკაში არსე-ბული მდგომარეობის გამოხატულებაა. ბუნებრივია, მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი. სა-ქართველოში მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზმა გვიჩ-ვენა, რომ ქვეყანა ძირითადად მოუმზადებელი შეხვდა დამო-

უკიდებლობის აღდგენას, რამაც ეკონომიკის დაქვეითება და, მაშასადამე, ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლის კატასტროფული გაუარესება გამოიწვია. ნეგატიურმა სასტარტო პირობებმა დაღი დაასვა გარქმნების მთელ შემდგომ პერიოდს და, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რეფორმებამდელი დონეც კი ვერ იქნა მიღწეული. ამაში დიდი როლი ითამაშა ობიექტურმა ფაქტორებმაც, მაგრამ შეცდომებიც ბევრი იქნა დაშვებული. დღეისათვის აუცილებელია რეფორმების კიდევ უფრო დაჩქარება, რომელსაც კომპლექსური ხასიათი უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უარყოფითი საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფას, უარყოფითი სავაჭრო ბალანსის აღმოფხვრას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. ამისათვის აუცილებელია კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ბიზნესგარემო, გაძლიერდეს კონკურენცია, ამაღლდეს სამეცნიერო პოტენციალი და ჩადგეს იგი ქვეყნის სამსახურში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბილისი, "მეცნიერება," 2002.
2. **აბესაძე რ.** საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. ჟ. "ეკონომისტი", №1, 2009.
3. **ასათიანი რ.** საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. ჟ. "ეკონომისტი", №1, 2009.
4. **მესხია ი., მურჯიკნელი მ.** ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბილისი, "თსუ გამომცემლობა", 1996.
5. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, "პდპ", 2002.

6. **სანთელაძე ნ.** საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის შუქჩრდილები და მსოფლიო გამოცდილება. წიგნში: “საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები”, ტ. 4. თბილისი, 2004.
7. **ჩიქავა ლ.** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. წიგნში: გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. თბილისი, “თსუ გამომცემლობა“, 2002.
8. **ხადური ნ.** საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. თბილისი, 2010, გვ. 7.
9. **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი, 1997.

***Abesadze Ramaz***
***Bibilashvili Nana***
***Tetrauli Tsitsino***

## REGULARITIES OF DYNAMICS OF MACROECONOMIC INDICES IN GEORGIA

### SUMMARY

The article studies the peculiarities of the dynamics of macroeconomic indices, such as: GDP, foreign trade turnover, direct foreign investment and inflation levels. It is shown that the country on the whole was not ready for the reconstruction of independence that resulted in economic decrease and disastrous worsening of all macroeconomic indices. Negative starting conditions have left their imprint on the further period of transformation and in spite of some success even pre-reform level has not been achieved. Great was the role of objective reforms in this case but many mistakes were done too. At present it is necessary to speed up reforms having complex character. A special attention should be paid to the improvement of market infrastructure, eradication of negative trade balance, deve-

lopment of agriculture, attraction of foreign investments, formation of middle class in the country. For this aim it is necessary to improve more the business environment, strengthen competitiveness, increase scientific potential and place it in the service of the country.

*იზა ნათელაური*

# საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები და გზები

საქართველოს გლობალურ კონკურენტუნარიანობაში მოიაზრება მისი უპირატესობა (რეიტინგი) პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით გეოპოლიტიკაში, გეოეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ქვეყნის ინსტიტუციურ მოწყობაში, გეოგრაფიულ მდებარეობაში, ბიზნესის კეთებაში, ეკონომიკურ ზრდაში, ცხოვრების დონეში და სხვ.

2005 წლიდან მოყოლებული მიმდინარე წლის ჩათვლით ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, მსოფლიოს 183 ქვეყანასთან ერთად, იკვლევენ ავტორიტეტული საეთაშორისო ორგანიზაციები – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მსოფლიო ბანკი, განვითარებისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიტუტე. ამ ორგანიზაციებისადმი საზოგადოების ნდობის ფაქტორი დღითიდღე იზრდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ მიერ გაკეთებული დასკვნები ეფუძნება რეალურ ინფორმაციას პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში, გამოირჩევა საიმედოობის მაღალი ხარისხით, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეროვნული სახელმწიფოების მიერ წარმატებით გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

2011 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოკვლეულ გლობალური რეიტინგში პირველი ათი ადგილი შემდეგნაირად განაწილდა: ჰონკონგი, აშშ, სინგაპური, შვეცია, შვეიცარია, ტაივანი, კანადა, კატარი, ავსტრალია, და გერმანია. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ესტონეთი 33-ე, ყაზახეთი 36-ე, ლიტვა 45-ე, რუსეთი 49-ე, უკრაინა 57-ე ადგილზეა. რაც შეეხება საქართველოს, იგი 93-ე ადგილზეა და 2012 წლისთვის ნავარაუდევია მისი პოზიციის გაუმჯობესება 5 პუნქტით [http://clck.yandex.ru; http://www.economy.ge].

2011 წელს მსოფლიო რეიტინგს, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, ლიდერობენ სინგაპური, ჰონკონგი, ახალი ზელანდია, აშშ, დანია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო, კორეის რესპუბლიკა, ისლანდია და ირლანდია. 2012 წელისათვის ნავარაუდებია, რომ ადგილებს შეინარჩუნებენ პირველი ხუთი ქვეყანა, ნორვეგია და გაერთიანებული სამეფო ადგილებს გაცვლიან, მერვე ადგილს დაიკავებს ირლანდია, მეცხრეს – შვეცია, მეათეს – საუდის არაბეთი; ისლანდია გადავა მე-13 ადგილზე, კორეის რესპუბლიკა მე-15 ადგილზე. რაც შეეხებათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათი რეიტინგი 2012 წლისათვის ასე გამოიყურება: საქართველო მე-17 ადგილიდან მე-16 ადგილზე გადაინაცვლებს, ესტონეთი – მე-18-დან 24-ზე, ლატვია - 21-დან 31-ზე, ლიტვა – 25-დან 27-ზე, ყაზახეთი – 58-დან 47-ზე, სომხეთი – 61-დან 55-ზე, აზერბაიჯანი – 69-დან 66-ზე, რუსეთი – 124-დან 120-ზე, უკრაინა – 149-დან 152-ზე, მოლდოვა – 99-დან 81-ზე. მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის ისევ ბოლო ადგილებს ინაწილებენ კონგოს რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ჩადი [http://rusian.doinbusiness.org].

ბიზნეს-რეიტინგში ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი თავის მხრივ 10 ინდიკატორს აერთიანებს. 2011-2012 წლებში ამ ინდიკატორების მიხედვით საქართველოს მდგომარეობა შემდეგნაირია:

| **ინდიკატორები** | **2012** | **2011** | **რეიტინგის ცვლილება** |
|---|---|---|---|
| საწარმოების რეგისტრაცია | 7 | 8 | +1 |
| მშენებლობის ნებართვის აღება | 4 | 6 | +2 |
| ენერგომომარაგების სისტემასთან მიერთება | 89 | 91 | +2 |
| ქონების რეგისტრაცია | 1 | 2 | +1 |
| დაკრედიტება | 8 | 21 | +13 |
| ინვესტორების დაცვა | 17 | 21 | +4 |
| დაბეგვრა | 42 | 62 | +20 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საერთაშორისო ვაჭრობა | 54 | 34 | -20 |
| კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა | 41 | 40 | -1 |
| გადახდისუუნარობის დაშვება | 109 | 111 | +2 |

**წყარო:** http://rusian.doinbusiness.org.

ჩამოთვლილი ინდიკატორებიდან, საქართველოს კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობა. ამ სფეროში მდგომარეობა არასახარბიელოა, მით უფრო, რომ მოსალოდნელია გაუარესება. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსს ქრონიკულად მზარდი დეფიციტის პირობებში ობიექტური მიზეზებით გამოწვეული, ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა აქვს. იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება. მოხმარებულ მშპ-ში იმპორტი დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით არის წარმოდგენილი. სტრუქტურულად იგი ერთჯერადი მოხმარების საქონელისაგან შედგება. არც ერთი და არც მეორე მაჩვენებელი ახალი არ არის. ასეა საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. განსხვავება იმაშია, რომ იმპორტს საბჭოთა პერიოდში საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქინდა. ამჟამად კი მასზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანწილად, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ბედი. რაც შეეხება ექსპორტს, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყებისთანევე, დაიწყო აქტიური მუშაობა მისი სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაფერი დასრულდა ცნობილი მოვლენებით. დამოუკიდებელ ქვეყნებში დაიშალა ეკონომიკური სისტემები. იმპორტმა შეიძინა სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამან კი მოითხოვა ექსპორტის სანედლეულო სტრუქტურის შენარჩუნება. ამასთან, დეფიციტურმა სამომხმარებლო ბაზარმა

და მომხმარებელთა დაბალმა შემოსავლებმა არსებულ სტრუქ-ტურაში ასტიმულირა იმპორტირებული პროდუქციის დაბალი ხარისხი. კიდევ უფრო გაუარესდა იმპორტის სტრუქტურა და ხარისხობრივი მაჩვენებლები. აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოში საგარეო ვაჭრობა, როგორც რაოდენო-ბრივად, ისე სტრუქტურულად, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსაც და სტაბილურობის დამოუკიდებელ ფაქტორსაც. 2003 წელს, ხელისუფლების ერთი ჯგუფის მიერ მინიმალური ხელფასების გაზრდის ინიციატივას სწორედ სა-მომხმარებლო იმპორტის გაფართოვება ედო საფუძვლად. პერს-პექტივაში საქართველოს, მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის მსგავსად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშემწყობი საგარეო სავაჭრო კავშირები სჭირდება, რაოდე-ნობრივადაც და სტრუქტურულადაც.

კვლავ დავუბრუნდეთ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განზოგადოებულ ინდექსს. ამ ინდექსისთვის სპეციფიკურია შემდეგი ინფორმაცია: 1) სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომა-რეობა; 2) ინფრასტრუქტურის ხარისხი; 3) მაკროეკონომიკური კლიმატი; 4) ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების განვი-თარების დონე; 5) საშუალო და უმაღლესი განათლების დონე, კადრების გადამზადების დონე; 6) ბაზრების (საქონლის, მომ-სახურების, შრომის და ფინანსების) ეფექტურობა; 7) საწარ-მოების ტექნოლოგიური განვითარების დონე; 8) სამეწარმეო საქმიანობის და კომპანიების სტრატეგიული დაგეგმვის დონე და 9) ინოვაციური საქმიანობა. ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტო-რებზე დაყრდნობით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განზო-გადოებული ინდექსის ავტორებმა ქვეყნები დაყვეს სამ ჯგუ-ფად. პირველ ჯგუფში შევიდნენ ის ქვეყნები, რომელთა ეკო-ნომიკური ზრდაც ეფუძნება წარმოების ფაქტორებს; მათი სა-წარმოები ერთმანეთთან კონკურენციაში არიან ძირითადად ფასწარმოქმნის სფეროში. მეორე ჯგუფში შევიდნენ ის ქვეყნე-ბი, რომლებიც იყენებენ ეფექტურ ტექნოლოგიებს. ეფექტური ტექნოლოგიები მათ შესაძლებლობას აძლევს გაზარდონ შრო-

მის ნაყოფიერება; მესამე ჯგუფში შევიდნენ ის ქვეყნები, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ საქონელს, ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიებისა და წარმოების მეთოდების გამოყენების გზით. ონკურენტუნარიანობის ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან პირველი ჯგუფის ქვეყნებისთვის საბაზისოა პირველი ოთხი, მეორესთვის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე, მესამესთვის კი მერვე და მეცხრე ფაქტორი. კონკრეტული ქვეყნის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისთვის დამოკიდებულია აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობაზე. პირველი ჯგუფის ქვეყნებისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ ნაკლებია 2000 დოლარზე, მეორე ჯგუფის ქვეყნებისთვის 3000-9000 დოლარის შუალედშია, მესამე ჯგუფის ქვეყნებისთვის კი მეტია 17000 დოლარზე. ქვეყნები, რომლებისთვისაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2000-3000 დოლარის ან 9000-17000 დოლარის შუალედში ითვლებიან გარდამავალ ქვეყნებად პირველი ჯგუფიდან მეორეში, ან მეორე ჯგუფიდან მესამეში, შესაბამისად [5]. ბოლო ინფორმაციით საქართველოში 2012 წელს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ გაიზრდება და გაუტოლდება 2690 აშშ დოლარს [http://rusian.doinbusiness.org], რაც შეცვლის ქვეყნის სტატუსს. საქართველო გახდება პირველი ჯგუფიდან მეორეში გარდამავალი ქვეყანა.

მსოფლიო რეიტინგში საქართველოსთვის სტატუსის შეცვლას (გადასვლას პირველი ჯგუფიდან მეორეში) განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. შეიცვლება საბაზისო ფაქტორები; არსებულს – სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, მაკროეკონომიკური კლიმატი, ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების განვითარების დონე, ჩაენაცვლება ახალი: საშუალო და უმაღლესი განათლების დონე, კადრების გადამზადების დონე, ბაზრების (საქონლის, მომსახურების, შრომის და ფინანსების) ეფექტურობა, საწარმოების ტექნოლოგიური განვითარების დონე.

საქართველოს საერთაშორისო რეიტინგზე აქტიურად ზემოქმედებს ქვეყნის სოციოკულტურული გარემოს ისეთი ასპექ-

ტები, როგორიცაა დასაქმება და სიღარიბე. პოსტსაბჭოთა საქართველოში სიღარიბისა და დასაქმების არსებული მდგომარეობა, მათი ცვლილების ტრაექტორია განპირობებულია 1) გარდამავალი პერიოდის სასტარტო პირობებით, 2) საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იდეით, 3) ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებისადმი სწრაფვით.

გარდამავალი პერიოდის სასტარტო პირობებში მოიაზრება, დასაქმების კუთხით: სრული დასაქმება (უმუშევრობის არ არსებობა): შრომის ბაზრის არ არსებობა; უკიდურესად შეზღუდული მიგრაციული პროცესები, ქვეყნის შიგნითაც კი; სახელმწიფოს აქტიური როლი სიღარიბის კუთხით: საცხოვრებელი ჰქონდა ყველას იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული ნორმების მიხედვით; გარანტირებული იყო სოციალური უზრუნველყოფა – პენსიები, უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, დასვენების შესაძლებლობა და პირობები; არ იყო გაცხადებული შიმშილი და სიღატაკე; კვების რაციონი შეესაბამებოდა ნორმებს, ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი იყო  დასვენება და გართობა.

რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის იდეას, მისკენ მისწრაფვებას უკავშირდება: დასაქმებაში – სრული დასაქმების სოციალისტური მოდელიდან ეფექტიანი დასაქმების საბაზრო მოდელზე გადასვლის მცდელობა [4], შრომის ბაზრის ფორმირების დაწყება, მიგრაციული პროცესების გააქტიურება, თვითდასაქმება, უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული სოციალური ფონი; სიღარიბისა და სიღატაკის გაჩენა ქვეყანაში ეთნოკონფლიქტებით გამოწვეული დევნილობა და უსახლკარობა, უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები, შიმშილი, დასვენებისა და ჯანდაცვის შესაძლებლობის არ არსებობა;

ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება პოსტკომუნისტურ საქართველოში, ამჟამად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმის როლში გამოდის და განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა. ამ ასპექტში აქცენტირებულია, დასაქმებაში – დასაქმების დონის მაჩვენებ-

ლის ზრდა, თვითდასაქმების სტიმულირება, შემოსავლების ზრდა, მიგრაციული პროცესების კიდევ უფრო გააქტიურება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (შრომისა და საგადასახადო კოდექსები) და სხვ.; სიღარიბის დაძლევეში – საკუთარი საცხოვრებლით უზრუნველყოფა მაქსიმალურად, სოციალურად დაუცველთა გამოკვება და სამედიცინო დაზღვევა, პენსიებისა და ხელფასების გაზრდა, უმუშევართა რაოდენობრივი შემცირება, საეთაშორისო სტანდარტების დაწყებითი და საშუალო განათლება, დასვენებისა და გართობის პირობების საგრძნობი გაუმჯობესება [2].

თითოეულ ქვეყანას აქვს საკუთარი სასტარტო პირობები (გეოგრაფიული მდებარეობა, გეოპოლიტიკური უპირატესობები, გეოეკონომიკური თავისებურებები, ბუნებრივი რესურსები, ადამიანური რესურსები და სხვ.) და შეფარდებითი (კონკურენტული) უპირატესობები დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით. ლოგიკურია მათი სწრაფვა, განავითარონ ის დარგები, რომლებიც მათ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას შეუქმნის მყარ საფუძველს და დაუმკვიდრებს ღირსეულ ადგილს გლობალიზაციის პროცესით შეცვლილ თანამედროვე მსოფლიოში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** მაღალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2011
2. **ნათელაური ი.** გლობალიზაციის სოციოკულტურული გარემოს ასპექტები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებების კრებული: "საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო". თბილისი, 2011.
3. **ნათელაური ი.** მსოფლიო რეიტინგი ბიზნესის რეგულირების ინდექსის მიხედვით და დასაქმების აქტუალური პრობლემები პოსტკომუნისტურ საქართველოში. მეორე უნივერსიტეტ-

თაშორისო კონფერენციის მოხსენებების კრებული: “საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“, თბილისი, 30.11.2011.

4. **ნათელაური ი., ნათელაური ნ.** საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ჟ. „ეკონომისტი“, № 4, 2010.
5. **ნათელაური ი.** სამეცნიერო-კვლევითი ანგარიში თემაზე: “პოსტკომუნისტური საქართველოს კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე და მისი როლი უმუშევრობის დონის შემცირებაში“. სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2010.

***Natelauri Iza***

## MAIN TRENDS AND WAYS OF INCREASE OF COMPETITIVENESS IN GEORGIA

## SUMMARY

The article analyzes the indices of global competiveness in Georgia (2011-2012) based on the information of World Economic Forum and World Bank. Are estimated employment and poverty in the country from socio-cultural environment point of view taking into consideration frame-demands of world rating of competiveness.

*თინათინ ჩხეიძე*
*ზურაბ ნოზაძე*

# ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი გარემოს დამაბინძურებელი წყაროები

მრეწველობის განვითარება შეუძლებელია ბუნებრივი რესურსების (მიწის, ტყის, წყლის) გამოყენების გარეშე, მაგრამ მისი გამოყენება, უსაზღვრო ექსპლუატაცია იწვევს ბიოსფეროში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, რაც მთავრდება ნეგატიური შედეგით, ზოგჯერ კატასტროფითაც კი.

ადამიანის სამეურნეო მოქმედება, რომელმაც პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია ბიოსფეროში, დაიწყო იმ დროიდან, როდესაც მან ისწავლა ცეცხლის მიღება და გამოიყენა ტყეების გადასაწვავადაც, რათა ტყიდან ნადირი გამოედევნა და ადვილად დაეხოცა, ხოლო ტყეების მასიურ გადაწვას მოჰყვა ადგილმდებარეობის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა, ნიადაგის ეროზია, მეწყერი და ა.შ.

საზოგადოების განვითარებასა და წარმოების ზრდასთან ერთად დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა ცვლილებები ბუნებაში.

ბიოსფეროს გააჩნია უზარმაზარი რესურსი, ფართო მასშტაბებში შეინარჩუნოს ენერგია და ეკოლოგიური წონაწორობა. სწორედ ამ გარემოებამ მისცა საშუალება ეკონომიკას (მისი განვითარების გარკვეულ ზღვრამდე), არ მიექცია ყურადღება ბუნებრივი რესურსების უსაზღვრო ექსპლუატაციით გამოწვეული ცვლილებებისათვის, რადგან ბიოსფერო თვითონ ახერხებდა წონასწორობის შენარჩუნებას, მაგრამ განსაზღვრულ ზღვრამდე. თვითრეგულირება უსაზღვრო არ არის, ხოლო შეუქცევადი ცვლილებები საფრთხეს უქმნის მთელი კაცობრიობის არსებობას.

არ შეიძლება ბიოსფერო წარმოვიდგინოთ, როგორც უძირო საკუჭნაო, საიდანაც მრეწველობის განვითარებისათვის

შეგვეძლება უზომოდ და უკანდაუბრუნებლად ამოვხაპოთ რესურსები. ბიოსფეროს კომპონენტების შეცვლით არ უნდა დაირღვეს მისი ბალანსი, არ უნდა გასცდეს დადგენილ საზღვრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარის ქვეშ აღმოჩნდება კაცობრიობა.

როგორც ჩანს, ბიოსფეროში ცვლილებებმა უმაღლეს დონეს მიაღწია მეოცე საუკუნეში. დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა, რაც გამოვლინდა დიდი სიძლიერის ქარიშხლებში, წყალდიდობებსა და სხვა სტიქიურ უბედურებებში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ანთროპოგენულ ფაქტორს.

აკ. ვ. ვერნადსკიმ იწინასწარმეტყველა, რომ "ადამიანის სამეურნეო მოქმედება ღებულობს გეოლოგიურ სიძლიერეს, რომელსაც ძალუძს შეცვალოს და კატასტროფის წინაშე დააყენოს სამყარო".

დღეისათვის სახეზეა გამოფიტული ხმელეთისა და ოკეანის ბუნებრივი რესურსები. მიმდინარეობს ნივთიერებათა ბიოქიმიური ციკლის ანთროპოგენული დარღვევა.

ეკოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად, წარმოადგენს ნიადაგისა და წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საკითხები.

წყლის რესურსების საკითხის გადაჭრა ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს ზედაპირული წყლების მდგომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი გაჭუჭყიანების დონე შედარებით მაღალია. დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ:

1. სხვადასხვა საწარმოთა ჩამდინარე წყლები (მაგალითად, შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, რომლებიც შეიცავენ მინერალურ მარილებს, მჟავეებს, ფუძეებს);

2. ცელულოზა-ქაღალდის კომბინატების ჩამდინარე წყლები (ნახერხი, ხის ბოჭკო, მათი დაშლისას გამოყოფილი მავნე ნივთიერებები);

3. საღებავების, ხელოვნური ბოჭკოს და სხვა საწარმოთა ჩამდინარე წყლები;

4. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები (აზოტი, ფოსფორი, მდგრადი ქაფის წარმომქმნელი ნივთიერებები);

5. სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტები (ცისტერნების, ტანკერების, ავტომანქანების რეცხვისას);

6. წყალსატევების თბური გაჭუჭყიანება ჩამდინარე ცხელი წყლით, რომელიც შეიძლება არ შეიცავდეს მავნე ნივთიერებებს, მაგრამ წყლის ტემპერატურის მომატება იწვევს წყლის ობიექტის ფლორისა და ფაუნის ცვლილებას, რამაც შეიძლება მათი დაღუპვაც გამოიწვიოს.

საერთოდ, წყალსატევების გაჭუჭყიანება ორი სახისაა: მინერალური, რომლის წყაროებიცაა მძიმე მრეწველობის დარგთა ჩამდინარე წყლები (აბინძურებენ მჟავებით, მარილებით, ქვიშით, წიდით, მადნის ჩანართებით და ა.შ.) და ორგანული – მათი წყაროებია ფეკალური წყლები, ტყავის, ლუდის, ცელულოზა-ქაღალდის საწარმოები (აბინძურებენ ბაქტერიებით, ობის სოკოებით, ბაცილებით და ა. შ.).

წყალდაცვით ღონისძიებებში იზრდება იმ ნაგებობებისა და მოწყობილობების გამოყენების მნიშვნელობა, რომლებიც ეფუძნება წყლის ჰიდრობოტანიკური მეთოდით გაწმენდას. წყლის უმაღლესი მცენარეულობის მიზანდასახული გამოყენება წყლის გაწმენდის საქმეში რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. ბიოინჟინრულ ნაგებობებს, გამოყენებულთ სამეურნეო, ქიმიური, კვების, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ჩამდინარე წყლების სრულად გასაწმენდად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამდინარე წყლების ხარისხის რეგულირებისათვის, ახასიათებთ დაბალი ენერგოტევადობა, სჭირდებათ ნაკლები რაოდენობით კაპიტალური დაბანდებები და საექსპლუატაციო ხარჯები (სხვა სახის გამწმენდ ნაგებობებ-

თან შედარებით). მათი ტექნიკური ეფექტიანობა ნივთიერებების დაშლის პროცესში მიიღწევა. ბიოინჟინრულმა ნაგებობებმა განსაკუთრებულად დიდი როლი უნდა შეასრულონ წყალდაცვითი ღონისძიებების განხორციელებისას ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეგიონებში. ამ რეგიონების ჩამდინარე წყლების ფორმირების სპეციფიკური პირობები მაღალეფექტიანი წყალდაცვითი ღონისძიებების გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ნაგებობებში (როგორც მაგალითად, მრეწველობასა და კომუნალურ მეურნეობაში) საჭიროა მცირე ენერგოტევადი, ექსპლუატაციაში უბრალო, ეკოლოგიურად მისაღები, ტექნიკურად ეფექტიანი წყალდაცვითი გადაწყვეტილებები. სწორედ ასეთია ბიოინჟინრული ნაგებობები.

მომავალში აუცილებლად მიგვაჩნია ბიოინჟინრული ნაგებობების შექმნისა და ექსპლუატაციის შესაძლებლობების შესწავლა სხვადასხვა რეგიონებში, აგრეთვე, წმენდის პროცესების ინტენსიფიკაციის შესაძლებლობების შესწავლა ბიოინჟინრული ნაგებობებში.

არსებობს წყლის გაუსნებოვნების ოთხი ძირითადი მეთოდი:

1. ფიზიკურ-მექანიკური – თერმული, ელექტრული, მაგნიტური დამუშავება, დასხივება. სასმელი წყლის გაუსნებოვნებისათვის იყენებენ ულტრაბგერით დამუშავებას; მეცხოველეობის ჩასადინარის დეზინფექციისათვის გამოიყენება გამასხივები.

2. ფიზიკურ-ქიმიური – ფლოტაცია, კოაგულაცია, ფილტრაცია. იგი გამოიყენება წყლისაგან ორგანული და არაორგანული ნაერთების მოსაცილებლად და არ არის საკმარისი სასმელი წყლის გაუსნებოვნებისათვის. კოაგულანტად გამოიყენება ალუმინის სულფატი.

3. ქიმიური – ძირითადად ქლორირება. გამოიყენება გათხევადებული ქლორი ან აქტიური ქლორის შემცველი ნივთიერებები.

4. ბიოლოგიური – ბაქტერიოფაგის და კულტურულ ანტაგონისტების გამოყენება. ამ მეთოდს საქართველოში ჯერ ფართოდ არ იყენებენ. წყლის გაუსნებოვნების ინტენსიფიკაცია შეიძლება ამ მეთოდების კომბინირებით (მაგალითად, ფიზიკური და ქიმიური ზემოქმედების კომბინირებით).

წყლის მოხმარების შესამცირებლად სამრეწველო ობიექტებში აუცილებელია წყლის ხარჯვის ნორმირება და მკაცრი აღრიცხვა. სამრეწველო წყალმომარაგების დიდი ნაკლია ტექნიკური წყალმომარაგების სისტემის უქონლობა, რის გამოც სამრეწველო მიზნებისათვის ხშირად სასმელი წყალი გამოიყენება. წყლის დაზოგვის დიდი რეზერვია სამრეწველო საწარმოების წყალმომარაგების ბრუნვითი და განმეორებითი სისტემების დანერგვა.

წყლის ხარისხის კონტროლი უნდა დაეფუძნოს სამრეწველო საწარმოებისა და წყლების გაწმენდის მუნიციპალური სადგურების ჩამდინარე წყლების ნორმირებას ზ.დ.კ. – ის (ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია) მიხედვით. უნდა შემუშავდეს ეკოლოგიურად სახიფათო წარმოების ჩამდინარე წყლების სტანდარტები. განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები უნდა წაეყენოთ ახალ საწარმოებს, რომ შეასრულონ ყველა სტანდარტული მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის საწარმოებლად და ექსპლუატაციისათვის.

გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოფრქვევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფართო გავრცელება მოიპოვონ ტექნოლოგიურმა მეთოდებმა, რომლებმაც უნდა მოიცვან როგორც წარმოების, ისე გაწმენდის პროცესი; ფართოდ უნდა გავრცელდეს მცირე და უნარჩენო ტექნოლოგია.

წყლის დაცვის ტექნოლოგიური მოწყობილობები გულისხმობს მრავალი პროცესის გადაყვანას თხევადიდან გაზურ მდგომარეობაში, წყლის შეცვლას სხვა გამხსნელებით, ნივთიერებების კომპლექსურ დამუშავებას, ჩამდინარე წყლებიდან ძვირფასი ნივთიერებების მოპოვებას, წარმოების ჩაკეტილი ციკლების შექმნას ბრუნვითი და განმეორებითი წყალმომარა-

გებით. საერთოდ, მცირენარჩენიანი ტექნოლოგია უნდა განვითარდეს ოთხი მიმართულებით:

1. წყალბრუნვითი და ჩაუმდინარი სისტემების შემუშავება და დანერგვა გაწმენდის მაღალეფექტიანი და ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე;

2. არსებული ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა და ახალთა დანერგვა ნარჩენი გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების მინიმალურობის პირობის დაცვით;

3. წარმოების ნარჩენების მეტალიზაციის გადამუშავებისა და ხელმეორედ გამოყენების სრულყოფილი მეთოდების შემუშავება და დანერგვა;

4. ტერიტორიული სამრეწველო კომპლექსების შექმნა ნედლეულისა და ნარჩენების გამოსაყენებლად.

სამეურნეო დანიშნულებისათვის ყოველწლიურად დედამიწაზე იწვის 2 მილიარდი ტონა საწვავი, რაც ნიშნავს იმას, რომ ატმოსფეროში იფრქვევა 5.5 მილიარდი ტონა ნახშირორჟანგი. დაახლოებით 1.7 მილიარდი ტონა $CO_2$ გამოიყოფა ტროპიკული ტყეებისა და ნიადაგის ორგანული ნივთიერებების (ჰუმუსის) წვის დროს. ამას ემატება ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოფრქვეული 200 მილიონი ტონა მყარი ნაწილაკები, 200 მილიონი ტონა გოგირდოვანი აირი, 700 მილიონი ტონა ნახშირბადის ოქსიდი, 150 მილიონი ტონა აზოტის ოქსიდი, რაც მთლიანობაში 1 მილიარდ ტონა მყარ ნივთიერებებს შეადგენს.

ქვანახშირის წვის დროს გამოყოფილი გოგირდოვანი აირი ატმოსფეროს ჰაერში უერთდება წყლის ორთქლს და მიიღება გოგირდის მჟავა, რომელიც ღრუბელთან ერთად წვიმის სახით უბრუნდება დედამიწას.



$$2SO_2 + O_2 \rightarrow 2SO_3$$



$$SO_3 + H_2O \rightarrow H_2SO_4$$

გოგირდოვანი აირის წარმოქმნა ხდება ბუნებრივი გზითაც, მაგ. ვულკანების ამოფრქვევისას. აზოტის ძირითადი წყარო არის ბიოგენური ნივთიერებები. აზოტი გამოიყოფა ქვა-

ნახშირის და ნავთობის წვის დროს, ისიც გოგირდოვანი აირის მსგავსად ატმოსფეროს ტენთან შეერთებისას იძლევა აზოტმჟავიან წვიმას.



$$2\,NO + O_2 \rightarrow 2NO_2$$



$$3NO_2 + H_2O \rightarrow 2HNO_3 + NO$$

მჟავა წვიმები არღვევენ ეკოსისტემის წონასწორობას, მოსული ნალექები მჟავის სახით აუარესებს სასოფლო სამეურნეო მცენარეების პროდუქტიულობას, ჟანგავს ლითონის კონსტრუქციებს, ანგრევს შენობებს, მარმარილოს ქანდაკებებს, არქიტექტურის ძეგლებს.

მჟავე წვიმები უარყოფითად მოქმედებს მცენარეებზე. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგზე.

მიწას ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. Iგი ერთ-ერთი მთავარი ეროვნული სიმდიდრეა, რომელსაც განსაკუთრებული გაფრთხილება და დაცვა ესაჭიროება. ადამიანი ზემოქმედებს რა მიწაზე, როგორც შრომის საშუალებაზე, იყენებს მის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს. მიწათმოქმედებაში შრომის მთავარი შედეგი – მოსავალი დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქეზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, ქიმიური ნივთიერებების არსებობაზე, ე.ი. ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ნიადაგში ბინადრობენ სხვადასხვა სახის მიკროორგანიზმები, რომელთა ცხოველქმედებით იქმნება ნიადაგის ჰუმუსი (ჰუმუსი ნიადაგის ნაყოფიერების აუცილებელი შემადგენელია). მათი აქტიურობა დამოკიდებულია ნიადაგის რეაქციაზე. $P_H$-ის ცვლილება მათზე უარყოფითად მოქმედებს, როდესაც ნიადაგის $P_H$ უდრის 6.5-6.0, ბევრი მათგანი იღუპება.

მთელი რიგი ორგანიზმები და თევზები იღუპებიან, როდესაც წყლის $P_H$ = 6.0 - 5.0-ს. ბევრი თევზი იღუპება არა მარტო მჟავის პირდაპირი ზემოქმედებით, არამედ მოძრავი ალუმინით ლაყუჩების დაზიანებით. ორგანიზმში კალციუმის წინასწორობის დარღვევის გამო თევზი კარგავს პროდუქციულობას. წყ-

ლის მჟავიანობის გამო იღუპებიან წყალმცენარეები, ხავსები და ა.შ.

მჟავე წვიმები არღვევენ წონასწორობას ეკოსისტემებში, ნიადაგის ნაყოფიერება უარესდება, რის გამოც პროდუქციულობას კარგავს სოფლის მეურნეობის მცენარეულობა. მჟავე წვიმის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ტყის მცენარეები – მუხა რცხილა, ნაძვი, რომლებიც დიდი რაოდენობით იღუპებიან. ბოლო დროს ცხადი გახდა, რომ მჟავე წვიმებს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ტყის მასივებზე, რის შედეგადაც შეინიშნება ევროპაში ტყის მასივების შემცირება.

ზოგჯერ მჟავური ღრუბლები შორს მიდიან იმ ადგილიდან, სადაც პირველადი დაბინძურების წყაროა. მდენად, მჟავე წვიმის პრობლემა არ შემოიფარგლება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიით, რადგანაც ატმოსფერული დაბინძურებები დიდი მასშტაბით განიცდიან გადაადგილებას. მაგალითად, მჟავე წვიმების უმეტესობა, რომელიც ნორვეგიაში, შვედეთსა და ნიდერლანდებში მოდის, ევროპის სხვა ქვეყნებში გამოყოფილი გოგირდისა და აზოტის ოქსიდისაგან არის წარმოქმნილი.

ყველაზე მჟავე წვიმა ($P_H$ = 2.4) აღინიშნა 1974 წ. 10 აპრილს შოტლანდიაში, ასევე ნორვეგიაში ($P_H$ = 2.7) (ასეთ მჟავე წყალში ვერ მრავლდება თევზი).

მჟავე წვიმები (ზოგადად მჟავე ნალექები, როგორიც შეიძლება იყოს თოვლის, ყინულის, სეტყვის სახით) იწვევენ მნიშვნელოვან ესთეტიკურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ზარალს.

ბოლო 100 წლის მანძილზე დედამიწაზე შემცირდა ცხოველური და მცენარეული ბიომასა 7%-ით, ხოლო ცოცხალი საფარის პროდუქტიულობა 20%-ით. გადაშენების საშიშროების ქვეშ არის 25 000 მცენარეთა სახეობა, მათი გაქრობის ტემპი 100-ჯერ სწრაფია, ვიდრე ეს იყო წინა ეპოქებში.

ასევე თანდათან ეცემა ნიადაგის ნაყოფიერება. უკვე 20 მილიონი კვ კმ მიწას (ე.ი 10% მთელი ხმელეთის) დაკარგული

აქვს პროდუქტიულობა. დღეისათვის არსებული სახნავი მიწის ნახევარი იმდენადაა გამოფიტული, რომ მათი დამუშავება არარენტაბელურია. 1882 წლიდან 1952 წლამდე სახნავად ვარგისი მიწების რაოდენობა შემცირდა 50%-ით, ხოლო ნაწილობრივ შემცირებისას მთლიანად დაკარგვის საშიშროება გაიზარდა 4-ჯერ.

ტექნიკური პროგრესი ქმნის ყველა პირობას, დაკმაყოფილდეს საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, მაგრამ ამავე დროს ახორციელებს ბუნებრივი რესურსების უფრო ძლიერ ინტენსიურ ექსპლუატაციას, რითაც ორმაგად უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს გარემო ბუნებაზე.

არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ სამეურნეო საქმიანობისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტრადიციულ ექსპლუატაციას მივყავართ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიშ ზღვრამდე. ამიტომ ჩვენს დროში საჭიროა, მოხდეს გარდატეხა ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულებაში, რათა კაცობრიობა არ დადგეს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე.

მიზანშეწონილია განხორციელდეს კომპლექსური ტექნიკური ღონისძიებები ემისიებისა და ჩამდინარე წყლების გასაწმენდად. ჩამდინარე წყლების გაწმენდის პერსპექტიულ მეთოდად ითვლება გაწმენდა ბიოლენტის გამოყენებით. ამ პროცესის დროს ენერგია კი არ იხარჯება, არამედ, პირიქით, გამომუშავდება. ამავე დროს, რჩება მინიმალური რაოდენობის ნალექი. უახლოეს წლებში უნდა გადაიჭრას გაუწმენდავი წყლების ჩაშვების პრობლემა.

საქართველოში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის სრულყოფვისათვის მიზანშეწონილია წყლის რესურსების გაჭუჭყიანებისადმი დაკვირვებისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება, წარმოებაში მცირეწყლიანი და უწყლო ტექნოლოგიების დანერგვა, პირობითად სუფთა და გაწმენდილი წყლის წყალსატევებში ჩაშვების შემცირება, მათი ტექნიკური და განმეორებითი გამოყენების უზრუნველყოფით.

სარწყავად და სხვა საწარმოო საჭიროებებისათვის აუცილებელია საწარმოებმა აანაზღაურონ ბუნების დაბინძურებით მიყენებული ზარალი სავალდებულო წესით ამოღებული გადასახდელების სახით.

ავარიული შემთხვევების გამო ზღვრულად დასაშვებ სანიტარულ ნორმებზე მეტად დაბინძურებისათვის ჯარიმები რამდენჯერმე მეტი უნდა იყოს დადგენილ ნორმატივებთან შედარებით. უნდა შეიქმნას გარემოს დაცვის სარეზერვო ფონდი იმ ანარიცხების ხარჯზე, რასაც გადაიხდიან საწარმოები გარემოს დაბინძურებისათვის ჯარიმების სახით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ბუჩუკური ს.** გამოწვევები საქართველოს განვითარებისათვის, 2010.
2. **კოღუაშვილი პ.** შიმშილის პრობლემას გლობალური განზომილება გააჩნია, 2010.
3. **ჩხეიძე თ.** სასურსათო უსაფრთხოება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა, 2011.
4. **Вочинский В.** Земельные ресурсы. Ч и П. 1982, 1, стр. 56.
5. **Курытин И.М.** Охрана водных объектов от загрязнения (Шаги ускорения). Москва, 1988.
6. **Родионов А.И.** Биохимическая очистка сточных вод. Москва, 1988.
7. **Эльпинер Л.** Вода, которую мы пьем. Ч и П.1985, 3, стр.56.
8. **Яковлев С.В., Карелин Я.А., Лесков Ю.В., Воронов Ю.В.** Очистка производственных сточных вод. Москва, 1999.

*Chkheidze Tinatin*
*Nozadze Zurab*

# ENVIRONMENT POLLUTION SOURCES AS A RESULT OF ECONOMIC ACTIVITY

## SUMMARY

Technical progress creates all necessary conditions for the improvement of living conditions of society. While the technical progress enables to meet material and cultural demands of the society it also means intensive exploitation of natural resources. This ultimately leads to degradation of the natural environment.

Ecological problem caused by economic activity of man is the issue of water resource and land protection and use. Acid rains create significant damages to flora and fauna. Today we have depleted land and ocean resources. Also these processes are accompanied by the deformation of the natural bio chemical turnover. It is necessary to change the attitudes of society towards ecological problems in order to eliminate risks of global ecological catastrophe.

*თეა ლაზარაშვილი*

# სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოში

ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფო სექტორის როლი ძალზედ მნიშვნერლოვანია, განსაკთრებით კი, თუ რამდენად სწორადაა შემუშავებული სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგია.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს სახელმწიფო საკუთრებაში დიდი ადგილი უჭირავს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა სფეროებს.

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის პოლიტიკა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართვისა და საკუთრების სფეროში მიმდინარე ტენდენციებითა და ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება.

სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობა პირველ რიგში დამოკიდებულია მის სამართლებრივ და საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონი მეწარმეთა, პრივატიზაციის, გაკოტრების, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ და სხვა.

სახელმწიფო ქონების მართვა გულისხმობს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის იმ საწარმოების, დარგებისა და სექტორების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რომლებიც კერძო სექტორისათვის არაა მიმზიდველი, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია.

საზღვარგარეთის გამოცდილებას თუ გამოვიყენებთ, სახელმწიფო ქონების მართვა სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების მიხედვით ხორციელდება, იმის და მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა. ეს ორგანიზაციებია:

ჰოლდინგები, სპეციალიზებული სააგენტოები და შერეული კომპლექსური სისტემები. მართვის ორგანიზაციული მოწყობის წარმატებულად განხორციელებისათვის იგი რამდენიმე ძირითად პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ეფექტიანი მუშაობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, საწარმოს რომელი საკუთრების ფორმასთან გვაქვს საქმე. მთავარია საწარმოების ფუნქციონირებისათვის ჯანსაღი კონკურენტული გარემო-პირობების შექმნა; მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის მაქსიმალური შეხამება.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მართვაში მთავარი ადგილი და გადამწყვეტი როლი უკავია სახელმწიფო ჰოლდინგების ინსტიტუტებს (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია და სხვა), გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი სპეციალიზებულ სააგენტოებს (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და სხვა), უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში კი ასეთ ადგილს სამინისტროები და მართვის შერეული ორგანიზაციული ფორმები იკავებს.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა მართვაში არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები, კერძოდ: არ ხდებოდა არამომგებიანი საწარმოების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება; სრულყოფილად არ აღირიცხებოდა სახელმწიფო საწარმოების ქონება; არასათანადოდ ხორციელდებოდა საწარმოთა მართვის ბიზნესგეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი; საწარმოები იღებდნენ ისეთი ვალდებულებებს, რაც ვალების ხელოვნურად და დაუსაბუთებელი გაზრდით მათ გადახდისუნარიანობას ამცირებს და სხვა.

სახელმწიფო საწარმოებში აუდიტის ჩატარებამ მნიშვნელოვანი პრობლემები გამოავლინა: საწარმოების უმრავლესობა ვერ ასრულებს თავის ძირითად საწესდებო ფუნქციას, შესაბამისად, სახელმწიფო ვერ იღებს იმ შედეგს, რომლის მოლოდინიც იყო ამ საწარმოების ჩამოყალიბების დროს. რაც ამ საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიძველით ან

საწარმოს არაეფექტიანი მართვითაა განპირობებული; ბიზნეს გეგმები შედგენილია ზერელედ, არ ასახავს საწარმოს რეალურ მდგომარეობასა და შესაძლებლობებს, რაც სუსტ მენეჯმენტზე მიგვითითებს. შესაბამისად, სახელმწიფო გაცემული რესურსების ადეკვატურ ფინანსურ შედეგს ვერ ღებულობს (ეს პრობლემა გამოიკვეთა ყველა საწარმოში); უმრავლეს შემთხვევებში არ ხორციელდება საწარმოთა გამგებლობაში არსებული ქონების ფუნქციონალური გამოყენება და ჯეროვანი მოვლა-პატრონობა. საწარმოებმა თავის ძირითად საქმიანობად და, შესაბამისად, შემოსავლის წყაროდ აქციეს გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართების იჯარით და ქირავნობით გადაცემა; ფუნქციური დაუტვირთაობის პირობებში საწარმოები მაინც ინარჩუნებენ გადაჭარბებულ საშტატო რიცხოვნობას და ის მცირე შემოსავალი, რომელიც მათ გააჩნია, იხარჯება პერსონალის შენახვასა და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯებზე (აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა ყველა საწარმოში); როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ეთმობა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დაფარვას და გადასახადების კუთხით ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას [4].

საქართველოში სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანი მართვისათვის ისეთი სტრუქტურა უნდა იქნეს შერჩეული, რომელიც ყველაზე მისაღები და წარმატებული იქნება. ზემოჩამოთვლილი რომელიმე ფორმის იდენტურად გადმოტანა საქართველოსათვის არ იქნება სწორი.

ყველაზე მეტად ხელსაყრელი იქნება ქონების მართვის ისეთი შერეული ფორმის ორგანიზაციულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება საქართველოს ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს და ყველაზე წარმატებულად იფუნქციონირებს.

ქონების მართვა მოიცავს საწარმოთა რესტრუქტურიზაციას, მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. პრივატიზების აუცილებლობის შემთხვევაში კი, მათი გაყიდვა უნდა მოხდეს გაკოტრების

კანონის შესაბამისად, ყოველგვარი დარღვევების გარეშე, რადგანაც, საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც პრივატიზაციის პროცესი არასამართლიანად ხორციელდებოდა. საწარმოთა პრივატიზაცია უმეტეს შემთხვევაში რესტრუქტურიზაციამდე ხორციელდებოდა, რაც არასწორი გადაწყვეტილება იყო. რესტრუქტურიზაცია კი ძალიან ხშირად არაეფექტიანად ტარდებოდა, რომელიც გამოწვეული იყო როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია საწარმოთა რესტრუქტურიზაციისას გამოყენებული იქნეს მსოფლიო პრაქტიკაში არსებული მეთოდები და ხერხები, აგრეთვე მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები და სხვა.

რესტრუქტურიზაციამდე აუცილებელია შესწავლილ იქნეს საწარმოს კრიზისული მდგომარეობა, მკვეთრად განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს კრიზისის გამომწვევი მიზეზები. შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს ის ღონისძიებები, რომლებიც კომპლექსურად იქნება გატარებული საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. აქ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს, თუ რა მიმართულებითაა უფრო ხელსაყრელი საწარმოს ფუნქციონირება, ამის შესაბამისად საწარმოს მენეჯმენტის გაძლიერება და ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა, კვალიფიციური მუშა-ხელის მოზიდვა და სხვა.

შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ზარალიანობის შემცირებისაკენ. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საწარმოს საქმიანობის ახალი პროგრამა შემუშავდეს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ის ღონისძიება, რომელიც მთლიანად შეცვლის საწარმოს საქმიანობას და მას უფრო ეფექტიანს გახდის.

ყოველივე ამისათვის აუცილებელია მოხდეს საწარმოების კატეგორიებად დაყოფა პრიორიტეტულობის მიხედვით:

პირველ ეტაპზე ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საწარმოები უნდა განისაზღვროს, რომლებიც

თავის მხრივ დაიყოფიან მომგებიან და ზარალიან საწარმოებად;

მეორე ეტაპზე საწარმოების ფინანსური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ინვესტორებისათვის მიმზიდველი საწარმოები უნდა განისაზღვროს;

მესამე ეტაპზე განისაზღვრება ზარალიანი ან მცირე მოგების მქონე საწარმოები, რომლებიც ექვემდებარებიან გაჯანსაღებას;

მეოთხე ეტაპზე ხდება მძიმე ფინანსური მდგომარეობის მქონე უპერსპექტივო საწარმოების გამოვლენა, რომელთა რესტრუქტურიზაციასაც აზრი არ აქვს;

მეხუთე ეტაპზე ხდება განსაკუთრებული შემთხვევების მქონე საწარმოების გამოყოფა. ეს ისეთი საწარმოებია, რომლებსაც გაჯანსაღების პერსპექტივა გააჩნიათ, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზების გამო;

მეექვსე ეტაპზე ვლინდებიან მომსახურების სფეროს რეგიონულრ საწარმოები. ეს კატეგორია მოიცავს ამბულატორიული, კომუნალური და სხვა მომსახურების სფეროს საწარმოებს, რომლებიც კონკრეტული რეგიონის ან რაიონის ფარგლებში მოქმედებენ.

საწარმოთა ერთჯერადი რესტრუქტურიზაცია გამოსავალი ნამდვილად არ არის. ეს პროცესი მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს გარემო პირობებთან შესაბამისობაში.

ქვეყანაში სახელმწიფო საწარმოთა მართვის სტრატეგია გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორია ქვეყნის განვითარების დონე და საწარმოთა ეფექტიანად ფუნქციონირება, როგორია ქვეყნის მაკრო- და მიკროეკონომიკური განვითარების დონე და მასზე მოქმედი ფაქტორები.

მიკროეკონომიკური ხასიათის მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს: მოძველებული, ზარალიანი საწარმოები და მოწყობილობები, არასრულყოფილი მენეჯმენტი და მარკეტინგი, პროდუქციის დაბალი ხარისხი, პერსონალის არაკვალიფიციუ-

რობა, ან მათი მომზადების დაბალი დონე, დაბალი შრომის მწარმოებლურობა და სხვა. თუმცა თითოეულ ამ მიზეზს თავისი სუბიექტური, თუ ობიექტური ხასიათი გააჩნია.

თუ გადავხედავთ პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილებას, დავინახავთ, რომ საწარმოს ზარალიანობაში დიდი წილი ხშირ შემთხვევაში მმართველობით აპარატს ეკუთვნოდა [2].

სახელმწიფო ქონების მართვის მიზნები და ამოცანები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებით ეკონომიკაში, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს, თუ რა სახელმწიფოს ტიპია გაბატონებული ქვეყანაში და როგორი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შეხედულებებია.

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე რაც უფრო დაბალია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, მით უფრო მაღალია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და პირიქით.

სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკის რეგულირებაში განსაკუთრებულია. იგი თავისი საქმიანობით პირდაპირ თუ ირიბად არეგულირებს ბაზრის პარამეტრებს, ხელს უწყობს მწარმოებლურობის ზრდის სტიმულირებას, ფულადსაკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობას, აყალიბებს და აკონტროლებს ეკონომიკურ-სამართლებრივ ნორმებს და სხვა.

იმისათვის, რომ სახელმწიფო ქონების მართვა იყოს ეფექტიანი აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს პირველ რიგში სახელმწიფო საკუთრების ობიექტის სრული ინვენტარიზაცია, მათი აღრიცხვა  და შეფასების ისეთი სისიტემის შემუშავება, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და ა.შ.

სახელმწიფოს როლი განვითარებულ ქვეყნებში ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. აქ რეფორმების პერიოდში ძალზედ აქტიურად მიდიოდა სახელმწიფო საკუთრების დაჩქარებული პრივატიზაცია, სადაც ძალიან ბევრი შეცდობა იქნა დაშვებული.

სახელმწიფო ქონების მართვის სტრატეგია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

სახელმწიფო მართვის საკუთრებაში არსებულ საწარმოებში ინვესტორების მოზიდვა უფრო შეზღუდულია, რაც ამ საწარმოების ნაკლებ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს. ეს ხშირად სახელმწიფო საკუთრებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს და ხშირად ამ საწარმოების პრივატიზების მიზეზი ხდება.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო საკუთრებაში რჩება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციების, ინოვაციური სფეროს და ბუნებრივი რესურსების უდიდესი ნაწილი, რომ აღარაფერი ვთქვათ ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ფლობაზე. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოთა უმეტესობა საკმაოდ დიდ მესაკუთრედ გვევლინება

სახელმწიფო საწარმოების მართვის რეფორმირება საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია, უკანასკნელ პერიოდში საწარმოთა მართვის სააგენტოში წლების მანძილზე უამრავი პრობლემა იყო დაგროვილი. პრობლემების შესწავლამ დაგვანახა, რომ რეფორმების გატარება გარადაუვალია და ახალი სტრატეგიის შემუშავებაა საჭიროა, რომელიც დაგვეხმარება სააგენტოში შემავალი საწარმოები ეფექტიანი გავხადოთ. ოპტიმიზაციის სააფუძველზე მათ მომგებიან საწარმოებად გარდაქმნა უნდა მოხდეს.

საქართველოში საწარმოთა მართვის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია მმართველობის ეფექტიანობის, საწარმოთა საქმიანობის გამჭირვალეობის გაზრდა და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის პალატამ მიიჩნია, რომ სააგენტომ სახელმწიფო საწარმოთა სახელმწიფოს მართვაში შენარჩუნების მიზანშეწონილობის საკითხზე სისტემურად უნდა იმსჯელოს და შესაბამისი წინადადებებით

მიმართოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. სწორედ ამ ორი უწყების გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ-სტრატეგიული სფეროები და მხოლოდ ამ პროფილის სახელმწიფო საწარმოები დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, დანარჩენი კი დაექვემდებაროს პრივატიზებას.

ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით წამგებიანი სახელმწიფო საწარმოები დაჩქარებული წესით უნდა გაიყიდოს, მაგრამ აქაც დიდი დაფიქრებაა საჭირო. ხშირ შემთხვევაში უფრო მომგებიანი შეიძლება იყოს მათი რეორგანიზაცია და არა ლიკვიდაცია [3].

2010 წლის მონაცემებით სახელმწიფო 100%-იანი პაკეტით ფლობს 1126 საწარმოს, 51%-ზე მეთი პაკეტით – 54 საწარმოს, 51%-ზე ნაკლები პაკეტით – 24 საწარმოს.

1124 საწარმოდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიკეთვნება 1074 საწარმო, 129 – სააქციო საზოგადოებას, ხოლო 1 – საექიმო ამბულატორიას.

რეგიონული განაწილების მიხედვით კი ასეთი სურათია: 284 საწარმო მდებარეობს თბილისში, 358 – რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის რეგიონში, 111 – სამეგრელო-სვანეთში, 97 – ქვემო ქართლში, 83 – შიდა ქართლში, 81 – კახეთში, 70 – ჯავახეთში, 62 – მთიანეთში, 45 – გურიაში, 13 – აჭარაში.

ჩვენი აზრით სახელმწიფო საწარმოთა სრული პრივატიზება არ არის გამოსავალი, თანაც სახელმწიფო აუცილებლად უნდა ფლობდეს სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს თავის საკუთრებაში. ყველა შემთხვევაში სწორი იქნება მოხდეს ამ საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, მათი ეფექტური მუშაობისათვის და თუ ესეც არ გაამართლებს, მაშინ მათი პრივატიზება.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ თუკი, ამა თუ იმ, საწარმოს შენახვა სახელმწიფოსათვის აუცილებლობას წარმოადგენს, მაშინ მის წამგებიანობაზე შეიძლება არც კი იყოს ლაპარაკი.

ბევრი განსხვავებული აზრია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზარალიანი საწარმოების გასხვისების შესახებ. უმეტესობა ექსპერტების აზრით წამგებიანი საწარმოები სახელმწიფომ არ უნდა შეინარჩუნოს და სასწრაფოდ უნდა გაასხვისოს. თუმცა ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, თუ საწარმო წამგებიანია და ვალდებულებას ვერ ასრულებს, მაშინ მის მიმართ უნდა ამოქმედდეს კანონი გაკოტრების შესახებ, მაგრამ ამავე დროს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საწარმოების ფუნქციებს. ყოვლად დაუშვებელია სახელმწიფო საწარმოების ერთიანად პრივატიზება, მათი პროფილის გთვალისწინების გარეშე. ეს, კერძოდ, ეხება სამედიცინო და სოციალური სფეროს დაწესებულებებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001.
2. **პავლიაშვილი ს.** სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფისათვის. ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", №4, 2010, გვ. 129-136.
3. **პალიაშვილი ს.** პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, 2009.
4. საქართველოს კონტროლის პალატის 2009 წლის საქმიანობის ანგარიში. თბილისი, 2010.
5. საქართველოს რკინიგზა პრობლემები და პერსპექტივები. ფონდი "ღია საზოგდოება საქართველო", 2008.
6. ***www.osgf.ge***

*Lazarashvili Tea*

# EFFECTIVENESS OF STATE ENTERPRISES AND THE WAYS OF ITS INCREASE IN GEORGIA

## SUMMARY

In the article there is analyzed the role of a public sector in the economic development of a country. In particular, it is taken into account the main principles of management of state enterprises.

There is considered the main shortcomings of management of state enterprises revealed by Control Chamber.

There is noted the necessity of significant measures for the effective management of state enterprises.

We've classified state enterprises according their priorities, determined the ways of the effectiveness increase of state enterprise management, especially under their restructuring.

*მურმან კვარაცხელია*

# თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის თავისებურებები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და მისი დაძლევის გზები

ცნობილია, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი შეეხო მსოფლიო ეკონომიკის ყველა ასპექტს – წარმოებას, განაწილებას, ვაჭრობას, იპოთეკას, საბანკო სექტორს, საფინანსო ბაზრებს. ამან გამოიწვია მთლიანი მოთხოვნის შემცირება. შესაბამისად შემცირდა სამუშაო ძალის დასაქმება, გაჩერდა მრავალი, მათ შორის არაერთი მსოფლიო ბრენდის მატარებელი საწარმო. ეკონომიკური კრიზისის შედეგად მსოფლიო აქტივების კაპიტალიზაციის მაჩვენებელი 2008 წელს რამდენიმე ტრილიონი დოლარით შემცირდა. შემცირდა ასევე ეკონომიკური ზრდაც, 2008 წელს ეკონომიკური ზრდა წინა წელთან შედარებით შემცირდა 2-2.5-ჯერ. 2009 წლისათვის ეს რიცხვი უფრო გაიზარდა. ასევე შემცირდა მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, 30-იანი წლების პერიოდში ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო ტექნიკური პროგრესი. საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღების პირობებში მკვეთრად გაიზარდა პროდუქციის რაოდენობა. იმავდროულად, საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღება ზრდიდა დაუსაქმებელთა რიცხვს. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში მცირდებოდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობა, რაც შემდგომში ეკონომიკური კრიზისის განვითარების ძირითადი მიზეზი გახდა. ამ პერიოდში ჯ. კეინზის მიერ შემუშავებულ იქნა ეფექტიანი მოთხოვნის თეორია, რომლის თანახმად, ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ პროდუქციის მოცულობის ზრდა, არამედ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლება. აღნიშნული მოდელით შემუშავებულმა

და გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განვითარებულ ქვეყნებში უზრუნველყო კრიზისის დაძლევა და ეკონომიკის შემდგომი განვითარება. მაგრამ 60-იანი წლების ბოლოს განვითარებულ ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკური კრიზისის ახალმა თავისებურებებმა. კერძოდ, მოსახლეობის საკმაოდ მაღალი მსყიდველობითი უნარის პირობებში, ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები ჯერ შენელდა, შემდგომ კი მნიშვნელოვნად დაეცა.

ამასთან ერთად, კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო მოსახლეობის დანაზოგების მკვეთრი ზრდა და მისი წარმოების რეალურ სექტორში ინვესტირება, რის შედეგადაც მოხმარების უმნიშვნელო ზრდის ფონზე მკვეთრად იზრდებოდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა.

პროცესები, რომელიც ეკონომიკური კრიზისის დროს ვითარდება, სპირალურ ხასიათს ატარებს. ეკონომიკის რეალურ სექტორში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის მნიშვნელოვანი შემცირება ამცირებს საწარმოთა შემოსავლებს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ოჯახური მეურნეობების, ანუ მოსახლეობის შემოსავლებზე და განაპირობებს ცხოვრების დონის ვარდნას, რაც ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. ეს აძნელებს პროდუქციის რეალიზაციას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს შემოსავლებს.

კრიზისის საწყის ეტაპზე პროდუქციის ფასები მნიშვნელოვნად კლებულობს, ეს კი განპირობებულია პროდუქციის და მოსახლეობის შემოსავლიანობის შემცირებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის ძირითადი ფულადი რესურსი ჩადებულია ძირითად კაპიტალსა და ჭარბ პროდუქციაში.

კრიზისის განვითარების პროცესი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. საქმე ისაა, რომ ინვესტირებული თანხები ბევრად აღემატება საწარმოთა მიერ აქციების ნომინალური ჯამური ღირებულების დაფარვის შესაძლებლობებს. პროდუქციის შექმნაში ძირითადად მონაწილეობს მიმდინარე ინვესტირება, ანუ არსებული პროდუქცია მეტწი-

ლად შეიცავს მიმდინარე ინვესტირებულ თანხებს და შედარებით მცირე ოდენობით ძირითად ფონდებზე დარიცხული ცვეთის სახით მოიცავს გასული პერიოდის ინვესტიციებს. გამომდინარე აქედან, საწარმოთა აქციების ჯამური ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მისი დაფარვის შესაძლებლობებს. შექმნილი „კოლაფსური" მდგომარეობა ანადგურებს წარმოების პროცესს და მთელ წარმოებას. აქციონერთა ვალების გასტუმრებაზე მიდის შემოსავლების დიდი ნაწილი, რაც მინიმუმამდე ამცირებს რეინვესტიციის პროცესს, რის შედეგადაც მკვეთრად ეცემა პრდუქციის წარმოება.

აღნიშნულ ეტაპზე ჭარბი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად იწყება საწინააღმდეგო პროცესები, კერძოდ, უკვე ბუნებაში არსებული ფულადი რესურსების მსყიდველობით უნარს ვეღარ აკმაყოფილებს რეალიზაციაში არსებული პროდუქციის მოცულობა, ხოლო კრიზისის შედეგად მოშლილი ეკონომიკის რეალური სექტორი ვერ უზრუნველყოფს ბაზარს საკმარისი ოდენობის პროდუქციით. შექმნილ ვითარებაში იზრდება ფასები, ქვეყანაში იწყება ინფლაცია და მასთან დაკავშირებული კრიზისული მოვლენები. ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება ფულის ბრუნვის სიჩქარე – „ფულის ინფლაციური ბრუნვა", ანუ ფასების ზრდით გამოწვეული ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფოს აუცილებელი მოვალეობაა ინფლაციის საწინააღმდეგო ქმედება. მან ისე უნდა მართოს ფულადი მასა, რომ ინფლაციამ არ გადააჭარბოს ნორმას, დასაშვებ დონეს. როცა ინფლაცია უკვე მომხდარი ფაქტია, დასავლეთის ქვეყნები მიმართავენ მის დათრგუნვას. ამას ახორციელებენ ფასებზე ზღვრების დაწესებით, მაგრამ ეს ღონისძიება თრგუნავს და დროებით აჩერებს არა მარტო ინფლაციას, არამედ საქონლის მწარმოებლებსაც – მათთვის ესოდენ აუცილებელი მატერიალური სტიმული იკარგება. ეს ხელს უშლის ინვესტიციური პროცესების გაშლას და წარმოების გაფართო-

ებას. ვინაიდან ფასების მოთხოვნაზე დამოკიდებულება შესამჩნევად სუსტდება, გაუგებარია რა სახის საქონელსა და მომსახურებას საჭიროებს მოსახლეობა, რომელ დარგში უნდა წარიმართოს ინვესტიციების ნაკადები. ასეთ დროს ინვესტორები კარგავენ ორიენტაციას, ხოლო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსები აშკარად არაოპტიმალურად იქსაქსება.

დღევანდელ ვითარებაში, როდესაც გლობალური ეკონომიკური კრიზისი უკვე მეორე ფაზაში შევიდა, ეკონომიკის რეალური სექტორის ასამუშავებლად საჭიროა არაორდინალური რადიკალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის საგადასახადო და საბაჟო, ფისკალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც ხელს შეუწყობს ამ კრიზისის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

დასასრულ, თანამედროვე კრიზისს გააჩნია კიდევ ერთი ფუნდამენტური წინაპირობა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბიზნესის მიზნობრივმა ფუნქციამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. კორპორაციათა განვითარების საკვანძო ორიენტირად იქცა კაპიტალიზაციის ზრდა. სწორედ ეს მაჩვენებელი აინტერესებთ ყველაზე მეტად აქციონერებს და სწორედ ამის მიხედვით ფასდება ჩვენს დროში მენეჯმენტის ეფექტიანობაც. ამასთან, მაქსიმალური კაპიტალიზაციისაკენ სწრაფვა წინააღმდეგობაში ვარდება სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის რეალურ საფუძველთან – შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასთან. კაპიტალიზაციის ზრდა, რასაკვირველია, შრომის მწარმოებლურობას უკავშირდება, მაგრამ მხოლოდ როგორც საბოლოო შედეგი. ფინანსური ანგარიში კი აქციონერებს ყოველწლიურად უნდა წარედგინოს, ხოლო სასურველი წლიური ანგარიშგების მისაღებად, კერძოდ, კაპიტალიზაციის მიმდინარე ზრდის შესანარჩუნებლად, საჭირო ხდება არა ის, რაც უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ზრდას, არამედ – ფირმების შერწყმას და ერთის მიერ მეორის შთანთქმას,

რადგანაც აქტივების მოცულობის ზრდა განაპირობებს კაპიტალიზაციის ზრდას. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არ უნდა დაიხუროს ჩამორჩენილი საწარმოებიც, რადგან მიმდინარე პერიოდში ეს გამოიწვევს კაპიტალიზაციის შემცირებას. ყოველივე ამის შედეგად მრავალი მსხვილი სამრეწველო კორპორაციის შემადგენლობაში შენარჩუნდება ძველი, არაეფექტიანი წარმოება, რაც, ჩვენი აზრით, ნეკროეკონომიკის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის შოკი გამოიწვია. არავინ ელოდა მის ასეთ სიღრმესა და გავრცელების სისწრაფეს. თავდაპირველი რეაქცია კრიზისის მიმართ საკმაოდ ქაოსური იყო; განვითარებული ქვეყნების და მათ შორის აშშ-ს მთავრობა შეეცადა, დაემუხრუჭებინა მისი გავრცელება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პრობლემათა ორ ბლოკს: პირველი, არ დაშვებულიყო საკრედიტო სისტემის კოლაფსი, ე.ი. გადარჩენილიყო ფინანსური ინსტიტუტები; მეორე, აღკვეთილიყო ან თუნდაც შესუსტებულიყო რეცესია და თავი დაეღწიათ წარმოების ღრმა ვარდნისაგან.

აშშ-ს მთავრობამ, უფრთხოდა რა საბანკო სისტემის კოლაფსისა და დეფლაციური შოკის დადგომას, მიმართა აგრესიულ ღონისძიებებს მის შესანარჩუნებლად და მკვეთრი ნაბიჯები გადადგა საწარმოო აქტივობის სტიმულირებისკენ. უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია: ლიკვიდობის შეთავაზება; ფიზიკური პირების საბანკო ანაბრებზე გარანტიების გაფართოება; ბანკების ნაწილის გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ; რეფინანსირების განაკვეთის აგრესიული შემცირება; „სტიმულირების გეგმის“ მიღება (საბიუჯეტო ინიექციები რეალურ სექტორში მოთხოვნის შესანარჩუნებლად). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალი ქვეყნის მთავრობამ მიმართა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირებას აშშ-ს დოლარის მიმართ. ამ პოლიტიკას უნდა უზრუნველეყო საერთაშორისო რეზერვების შენარჩუნება და ასევე შიგა წარ-

მოების სტიმულირების დამატებით ფაქტორად გადაქცევა. თუმცა, ჩვენი აზრით, საკვანძო პრობლემა ისაა, რომ ამგვარ ღონისძიებებს შეიძლება მოჰყვეს სერიოზული დესტაბილიზაცია მთელი ქვეყნების მასშტაბით.

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლია აშშ-ს არსებული კრიზისის დაძლევა ფინანსური ინიექციებით.

ჯერ ერთი, მის ხელთაა მსოფლიო სარეზერვო ვალუტის საბჭდი მანქანა. დოლარის ეს სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე შეირყა ახლანდელი ფინანსური კრიზისით, არავის მხრიდან არ გამხდარა სერიოზულად საეჭვო. უფრო მეტიც, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც თავიანთ რეზერვებს სწორედ დოლარებში ინახავენ, დაინტერესებულია შეინარჩუნონ მისი შედარებითი სტაბილურობა;

მეორე, სწორედ დოლარის განსაკუთრებული სტატუსის გამო, როცა აშშ-ის ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს არ გააჩნიათ ალტერნატიული ინსტრუმენტები სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის, ფრიად საეჭვოა, გადაწყვიტონ დოლარების გადაცვლა ევროს ან იენებზე, ხელისუფლების მონეტარული პოლიტიკის მართებულობაში დაეჭვების შემთხვევაშიც კი. აი, რატომ ხდება, რომ მიუხედავად ბოლო თვეების საბიუჯეტო-ფულადი ექსპანსიონიზმისა, აშშ-ში ფულის მიმოქცევის სიჩქარე არათუ იზრდება, როგორც ამას აქვს ადგილი სხვა ქვეყნებში, არამედ, ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით მცირდება.

აშშ-ს ეკონომიკის განსაკუთრებული სტატუსისა და მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალის საფუძველზე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს პერიოდში წარმატებით იქნება დაძლეული გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს სტაბილური ეკონომიკის განვითარებისა და შემდგომი წარმატებებისათვის.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით.

ცხადია, რომ თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამოვლინდა ძირითადად ფინანსურ სფეროში, რომელიც თანდათანობით გადაიზარდა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში. ამ პროცესით ყველაზე მეტად დაზარალდა აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ქვეყნები, სადაც მომწიფდა სავაჭრო კრიზისისა და ინდუსტრიული წარმოების ვარდნის ტალღები.

ამასთან, დადასტურებულია, რომ აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მოთხოვნის ვარდნის კვალდაკვალ კრიზისი გავრცელდა "ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებშიც", სადაც მოსალოდნელი იყო წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითება, რაც განხორციელდა კიდევაც.

გარდა ამისა, კრიზისი შეეხო მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც ჩართული იყვნენ მსოფლიო ეკონომიკაში. მათ შორის სერიოზული რყევები მოხდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც დესტაბილიზაციის შედეგებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ კრიზისის სწრაფად დასრულების ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა. თუ რეალური სახე მიიღო კრიზისის მეორე ტალღამ, რაც დღევანდელ პირობებში თანდათანობით იკვეთება, არ გამორიცხავს პოლიტიკურ და სოციალურ კონფლიქტებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. The Sixth Monthly Financial Stability Report / The Bank of England, 2008.
2. Giles Ch. The Vision Thing//Financial Times. 2008.
3. Giles Ch. The Vision Thing//Financial Times. 2008.

*Kvaratskhelia Murman*

# PECULIARITIES OF CURRENT GLOBAL ECONOMIC CRISIS IN POST-COMMUNIST COUNTRIES AND THE WAYS TO OVERCOME IT

## SUMMARY

The article deals with the reasons of global economic crisis, the historical peculiarities of its origin. Are characterized the role and significance of inflation with regard for crisis phenomena, various financial ways of its overcoming. In the conclusion of the author there are emphasized some directions to overcome global economic crisis.

*ლინა დათუნაშვილი*

# მემცენარეობის განვითარების თავისებურებები საქართველოში

საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, რომლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, გეოგრაფიულმა თავისებურებებმა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულმა მრავალფეროვანმა ნიადაგურ-კლიმატურმა და ეკონომიკურმა პირობებმა. აღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ტრადიციული პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავდნენ და დღესაც განსაზღვრავენ ქვეყნის ადგილსა და როლს შრომის საერთო დანაწილებაში და წარმოადგენენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში.

ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების ფონზე აგრარული სფერო ჯერ კიდევ არ არის გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან, რაც ძირითადად, განპირობებულია მეურნეობების დაქუცმაცებულობით, მისი ექსტენსიური და ნატურალური ხასიათით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირით და მისი გამოყენების დაბალი დონით. ასეთ პირობებში მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წილი, შეზღუდულია ფერმერთა ფინანსური შესაძლებლობები. შეინიშნება სოფლად მიკროსესხების უკმარისობა და სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები არასტაბილურია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც, ზემოთ აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, მემცენარეობაში ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან (გვალვა, სეტყვა,

წვიმები, წყალდიდობა), ხოლო მეცხოველეობაში ეპიდემიური დაავადებების (ქათმის გრიპი, ღორის ცხელება) გავრცელებასთან არის დაკავშირებული, რის გამოც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-თან მიმართებაში 2000-2010 წლებში – 20,6%-დან 7,3%-მდე, ხოლო სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა ამავე პერიოდში 2127 ათასი კაციდან 2086 ათას კაცამდე შემცირდა. კლების ტენდენცია შეინიშნება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაშიც. ამ მაჩვენებელმა 2000-2010 წლებში 1139,1 ათასი კაციდან 1097,1 ათას კაცამდე იკლო. 2006-2008 წლებში შემცირდა სასოფლო მეურნეობების (ოჯახური მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო საწარმო) რაოდენობა 802 ათასი ერთეულიდან 796 ათას ერთეულამდე. ამ პერიოდში ქვეყანაში შემცირდა როგორც სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობები 942 ათასი ჰა-დან 914 ათას ჰა-მდე, ისე სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების გამოყენების მაჩვენებელიც. შესაბამისად იკლო სასოფლო მეურნეობების მიერ გამოყენებული მინერალური და ორგანული სასუქების რაოდენობამ. ცვლილებები შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობაშიც. გაიზარდა სასოფლო მეურნეობების საკუთრებაში არსებული ტრაქტორების რაოდენობა 30 ათასი ერთეულიდან 40 ათას ერთეულამდე, მათ შორის მინიტრაქტორების რაოდენობა 3,2 ათასი ერთეულით. 0,8 ათასი ერთეულით შემცირდა სატვირთო ავტომანქანების, 0,5 ათასი ერთეულით სატრაქტორო გუთნის, 2,3 ათასი ერთეულით სათიბლების, წნეხ-ამკრეფი და სხვა გადასაზიდი მოწყობილობების რაოდენობა. ასევე იკლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილმა ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავალში, რაც 2000 წელს – 15,5%-ის ტოლი იყო, ხოლო 2010 წელს 6,7% შეადგინა.

მიუხედავად სოფლის მეურნეობაში ძირითადი მაჩვენებლების შემცირების ტენდენციისა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარე ფასებში მლნ ლა-

რი) 2000-2010 წლებში 1632,7 მლნ ლარიდან 2166,8 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც, ჩვენი აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად, ინფლაციის მაღალი დონითაც არის განპირობებული, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ წლებში გაიზარდა სასურსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასი (ლარი/კგ): ძროხის ხორცის 3,71 ლარიდან 7,94 ლარამდე; ღორის ხორცის 3,64 ლარიდან 9,07 ლარამდე; ქათმის ხორცი 4,48 ლარიდან 6,71 ლარამდე; გაყინული თევზის 2,82 ლარიდან 5,19 ლარამდე; მზესუმზირის ზეთის 1,97 ლარიდან 3,35 ლარამდე; იმერული ყველის 3,22 ლარიდან 6,16 ლარამდე [2].

ზრდის ტენდენცია ფიქსირდება კარტოფილის, ხმელი ლობიოს, კვერცხის, შაქრის, ჩაისა და სხვა სასურსათო პროდუქტების ფასებშიც. ამასთან, მცირდება ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე (კგ). 2000-2010 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა ხორბლის წარმოება 11 კგ-ით; სიმინდის 35კგ-ით; კარტოფილის 18კგ-ით; ბოსტნეულის 41 კგ-ით; ხილის 29 კგ-ით; ყურძნის 21 კგ-ით; ხორცის 12კგ-ით; რძის 14კგ-ით.

ამ წლებში მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ კვერცხის წარმოება გაიზარდა 18 ცალით.

ჩვენ მიერ მოყვანილი მასალის ანალიზის მიუხედავად, მაინც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის ბუნებრივი, ნიადაგურ-კლიმატური პირობები მნიშვნელოვან რეზერვს ფლობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურისა და დარგის ფართო და მაღალეფექტიანი განვითარებისათვის, რაც ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდია ქვეყნის ცალკეული რაიონის, მხარისა და რეგიონის შესაძლებლობა სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ კულტურისა და დარგის უპირატესი განვითარების მიმართულებით და სწორედ მათი ოპტიმალური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება უნდა გახდეს აგრარული სფეროს შემდგომი განვითარების საფუძველი.

ბოლო ათი წლის განმავლობაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურაში. ამ პერიოდში გაიზარდა მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრი წილი 63,3%-დან 69,6%-მდე. 2000-2009 წლებში შემცირდა ტექნიკური კულტურების ხვედრი წილი 11,4%-დან 9,0%-მდე. გაიზარდა კარტოფილის და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ხვედრი წილი 15,2%-დან 17,5%-მდე; შემცირდა საკვები კულტურების ხვედრი წილი 10,1%-დან 3,1%-მდე; ხოლო უმნიშვნელოდ გაიზარდა სხვა კულტურების ხვედრი წილი 8,6%-დან 9,8%-მდე.

საკვლევ პერიოდში 386,4 ათასი ჰა-დან 191 ათას ჰა-მდე შემცირდა მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი. შემცირდა ხორბლის ნათესი ფართობი 105,2 ათასი ჰა-დან 50,0 ათას ჰა-მდე. შესაბამისად იკლო ხორბლის მოსავალმა 89,4 ათასი ტონიდან 48,4 ათას ტონამდე, მაგრამ ქვეყანაში იყო წლები (2001-2003), როდესაც თითქმის იმავე ფართობზე ხორბლის მაღალი მოსავალი იქნა მიღებული, შესაბამისად 306,5 და 225,4 ათასი ტონა, რასაც ხელი შეუწყო ხორბლის საშუალო მოსავლიანობის ზრდამ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ წლებში ხორბლის მაღალი მოსავლის პირობებში გაძნელდა მისი რეალიზაცია, რაც ნაწილობრივ ქვეყანაში წარმოებული ხორბლის მაღალმა თვითღირებულებამ და შესაბამისად მაღალმა ფასმაც განაპირობა, რომელიც მაღალი იყო იმპორტული ხორბლისა და ფქვილის ფასზე, რის გამო ქვეყანაში წარმოებული ხარისხიანი ხორბლის დიდი ნაწილი საფურაჟედ იქნა გამოყენებული. ამ და სხვა ფაქტორებმა გარკვეული ზომით გამოიწვია ხორბლის მწარმოებელი ფერმერების იმედგაცრუება და შემდგომ წლებშიც გავლენა იქონია ხორბლის წარმოების შემცირებაზე. შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა ხორბლის ექსპორტში, ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით შესაბამისად 26,7 ათასი ტ-დან 15,1 ათას ტ-მდე, რაც თანხაში

გამოხატული ტოლი იყო 6944 ათასი და 3248 ათასი აშშ დოლარის.

საქართველოში მნიშვნელოვან მარცვლოვან კულტურას წარმოადგენს სიმინდი, რომელიც, იმის გარდა, რომ სასარგებლო საკვები პროდუქტია, ასევე გამოიყენება საფურაჟედ და სასილოსედ, როგორც პირუტყვის საკვები. გარდა ამისა, სიმინდისაგან მიიღება გლუკოზო-ფრუქტოზული სიროფი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო, ღვინისა და სპირტის წარმოებაში. სიმინდისაგან ასევე იღებენ საკვებ ზეთს, სიმინდის ექსტრაქტს და სხვა პროდუქტებს.

ქვეყანაში 2000-2010 წლებში შემცირდა სიმინდის როგორც ნათესი, ისე აღებული ფართობი შესაბამისად 111,0 და 83,3 ათასი ჰა-თი. ასევე იკლო სიმინდის წარმოებამ 295,9 ათასი ტ-დან 141,1 ათას ტ-მდე და სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობამ 1,6 ტ-დან – 1,4ტ-მდე. ამ პერიოდში 35 კგ-ით იკლო სიმინდის წარმოებამ მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო ბოლო ორი წლის მანძილზე 1კგ სიმინდის ფქვილის ფასი 2,50-3 ლარამდე მერყეობს. 2007-2009 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა სიმინდის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 17,5 ათასი ტონიდან 5,4 ათას ტონამდე, ხოლო თანხაში გამოხატული 4,064 ათასიდან 1097 ათას დოლარამდე. როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში როგორც ხორბალზე, ისე სიმინდის კულტურაზე მოთხოვნილება დიდია, როგორც ძვირფას საკვებ და საფურაჟე კულტურაზე.

ბოლო პერიოდში მსოფლიო განვითარებული ქვეყნები მარცვლოვან კულტურებს – ხორბალსა და სიმინდს ფართოდ იყენებენ მწვავე ენერგეტიკული პრობლემის შესარბილებლად, ენერგოსაწვავის – ეთანოლის მისაღებად, რომელიც შიდაწვის ძრავებში ბენზინის ნაცვლად გამოიყენება. მსოფლიოში ბოლო წლებში ხორბლისა და სიმინდის ფასის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რაც ძირითადად აზიის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის მიერ მარცვლოვანი კულტურების მოხმარების

ზრდამ და აღნიშნული პროდუქტების დიდი რაოდენობით ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებამ განაპირობა. ენერგეტიკული მიზნებით (საწვავის მისაღებად) ამ კულტურების გამოყენება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ კულტურებზე ფასების კიდევ უფრო გადიდებას. მარცვლოვან კულტურებზე ფასების ზრდა იწვევს მეცხოველეობის პროდუქტებზე ფასების შესაბამის გადიდებას.

საქართველოში 2001-2003 წლებში მარცვლოვანი კულტურების მაღალი მოსავალი გვაფიქრებინებს ამ კულტურების წარმოებაში დიდი რეზერვის არსებობას, რომელიც ეფექტურად უნდა გამოიყენონ მარცვლეულის მწარმოებელმა ფერმერებმა. რამდენადაც მარცვლეულის წარმოება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების საფუძვლად არის მიჩნეული. ამიტომ ყველა ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ მარცვლოვანი კულტურების წარმოება საქართველოში, რათა გარკვეული ზომით დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება აღნიშნულ სურსათზე. მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად აუცილებელია, ფერმერებს გააჩნდეთ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციისათვის მყარი გარანტიები, რასაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საკონტრაქტო სისტემის დანერგვა.

წლების მანძილზე საქართველოში ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურების, მზესუმზირის, თამბაქოსა და სხვათა წარმოება. 2000 წლიდან შეწყდა შაქრის ჭარხლის, ზოგიერთი სახის ეთერზეთოვანი და ტექნიკური კულტურების წარმოება. 2001-2008 წლებში მზესუმზირის ნათესი ფართობი 43,7 ათასი ჰა-დან 29,5 ათას ჰა-მდე, მთლიანი მოსავალი 41,8 ათასი ტ-დან 15,1 ათას ტ-მდე, ხოლო საშუალო მოსავლიანობა 1 ტ-დან 0,5 ტ-მდე შემცირდა.

2007-2009 შემცირდა ქვეყნიდან მზესუმზირის თესლის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების

მიხედვით 2300 ტ-დან 417 ტ-მდე, ხოლო თანხა 1007 ათასი აშშ დოლარიდან 341 ათას დოლარამდე.

იმის გამო, რომ ქვეყანაში წარმოებულ მზესუმზირის თესლზე დაბალი იყო მოთხოვნა და მისი რეალიზაცია ფერხდებოდა, შემცირდა მისი წარმოება. უკანასკნელ პერიოდში სურათი შეიცვალა. სასურსათო პროდუქტებზე, მათ შორის იმპორტულ ზეთზე ფასების მატება ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლებას. მზესუმზირის ზეთის გამოსახდელად კახეთის რეგიონში უნდა აშენდეს მცირე სიმძლავრის საამქროები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიით იქნებიან აღჭურვილი. ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ ბიზნესმენები, რადგან ქვეყანაში წარმოებული მზესუმზირის თესლი და მისგან დამზადებული ზეთი ეკოლოგიურად გაცილებით უფრო სუფთაა, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი აღნიშნული სახის პროდუქცია.

საქართველოში წლების განმავლობაში მოჰყავთ მაღალი ხარისხის თამბაქო, რომლის ნათესები ძირითადად გაადგილებულია აჭარის მაღალმთიან, მარნეულის, ბოლნისისა და ლაგოდეხის რაიონებში. აჭარაში მოჰყავთ არომატული „სამსუნგის“ ჯიშის, ხოლო ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო. ამ კულტურის ნათესი ფართობი 2000 წელს 1,9 ათას ჰა-ს, წარმოებული პროდუქცია 1,9 ათას ტონას, ხოლო მოსავლიანობა 1 ტონას შეადგენდა. 2009 წელს ქვეყანაში შემცირდა როგორც თამბაქოს ნათესი ფართობი, ისე მოსავლიანობა და შესაბამისად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, რამაც დიდი გავლენა იქონია საქართველოდან თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან დამზადებული სიგარებისა და სიგარეტების ექსპორტზე, რომელიც 2007-2009 წლებში ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 8,42 მილიონი ცალიდან 308 ათას ცალამდე, ხოლო თანხა 59 ათასი აშშ დოლარიდან 9 ათას დოლარამდე შემცირდა.

მეთამბაქოეობა მაღალშემოსავლიანი დარგია, ამიტომ ქვეყანაში თამბაქოს მწარმოებელთა ინტერესი დარგის განვითარებისადმი დიდია. საქართველოში წარმოებული თამბაქო გამოირჩევა საუკეთესო არომატით, უხვი მოსავლით, მაღალი ხარისხითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით. მეთამბაქეობის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ამ დარგით დაინტერესებულ ბიზნესმენებზე და მათ მიერ დარგში ჩასადები ინვესტიციების მოცულობაზე.

კარტოფილის წარმოება დღეისათვის მსოფლიოში ხორბლის წარმოების შემდეგ ერთ-ერთ საპატიო ადგილზეა. იგი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტია, რაც მისი მაღალი კვებითი ღირებულებით და მრავალმხრივი გამოყენებით არის განპირობებული. კარტოფილი, როგორც ნედლეული, ფართოდ გამოიყენება სპირტისა და სახამებლის წარმოებაში. სახამებლისგან მიღებულ ბადაგსა და გლუკოზას ფართოდ იყენებენ როგორც დამატკბობელ საშუალებას წვენების, ხილ-კენკროვანთა კონსერვების, კომპოტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და სხვათა წარმოებაში. ეს კულტურა სითბოს მოყვარული არ არის, ამიტომ იგი ძირითადად მთიან რეგიონებში მოჰყავთ. ისე, როგორც სხვა პროდუქტების ფასი, კარტოფილის ფასიც გაიზარდა და 2000-2010 წლებში თითქმის გაორმაგდა 0,42 თეთრიდან 0,90 თეთრამდე.

აღნიშნულ პერიოდში კარტოფილის ნათესი ფართობი 37,3 ათასი ჰა-დან 21,2 ათას ჰა-მდე, აღებული ფართობი 34,0 ათასი ჰა-დან 20,7 ათას ჰა-მდე შემცირდა. შესაბამისად იკლო კარტოფილის წარმოებამ 302,0 ათასი ტ-დან 228,8 ათას ტ-მდე, ხოლო გაიზარდა ამ კულტურის საშუალო მოსავლიანობა 8,0 ტ/ჰა-დან 11,1 ტ/ჰა-მდე. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალი (13,8 ტ/ჰა) იყო ქვემო ქართლის რეგიონში. მსოფლიო სტანდარტების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოზე დაბალ მოსავლიანობად ითვლება, კარტოფილის მწარმოებელი ტრადიციული ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოში ფერმერები და გლეხური მეურნეობები დაბალი შემოსავლის გამო ვერ ახერხებენ საჭირო რაოდენობის მაღალი ფასის მქონე მინერალური სასუქების შეძენას, ამიტომ ქვეყანაში წარმოებული კარტოფილი შედარებით ეკოლოგიურად სუფთაა. ამის გამო მეკარტოფილეობის რეგიონებიდან დიდი რაოდენობით კარტოფილი გადის ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალ ფასად იყიდება, თბილისის ბაზრები კი გაჯერებულია შედარებით დაბალი ხარისხის იმპორტული კარტოფილით. იმის გამო, რომ მაღალია საწვავის ფასი, ქართველ ფერმერებს უჭირთ ამ პროდუქციის შორ მანძილზე სარეალიზაციოდ გადაზიდვა.

მეკარტოფილეობის შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია: კარტოფილის წარმოების ასამაღლებლად გაუმჯობესდეს კარტოფილის მაღალმოსავლიანი ჯიშებით ამ კულტურის მწარმოებელი რეგიონების მოსახლეობის უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია აღდგეს სპეციალიზებული სათესლე და სანერგე მეურნეობების ფუნქციონირება. ასევე საჭიროდ მიგვაჩნია სერვისცენტრების შექმნა, რომლებიც ფერმერისაგან მისაღებ ფასად, ადგილზე შეიძენენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის პროდუქციას და ამით შეღავათს მისცემენ მათ როგორც მატერიალური ხარჯების, ისე დროის ეკონომიის თვალსაზრისით. კარტოფილის სამრეწველო გადამუშავების თვალსაზრისით, ასევე კარტოფილის გადასაზიდი ხარჯებისა და სასაწყობო მეურნეობებში მათი შენახვით გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობთ რაციონალური და მიზანშეწონილი იქნება ამ კულტურის მოსაყვანად გამოყენებულ ფართობებზე ორგანიზებულ იქნეს კარტოფილისგან სახამებლის და სხვა სახის პროდუქციის საწარმოებლად მინი- ქარხნები ან მცირე სიმძლავრის ახალი დანადგარებით აღჭურვილი საამქროები. საქართველოდან კარტოფილის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასა-

ქონლო პოზიციების მიხედვით 2009 წელს 14894 ტონას, ხოლო თანხაში გამოხატული 128 ათას აშშ დოლარს შეადგენდა.

ბოსტნეული (პომიდორი, კიტრი, ჭარხალი, კომბოსტო, წიწაკა, ნიორი, ხახვი, მწვანილი, სტაფილო, ბადრიჯანი) ერთ-ერთი აუცილებელი საკვებია მოსახლეობისათვის. სხვადასხვა სახის ბოსტნეულს, მეტ-ნაკლები რაოდენობით ქვეყნის თითქ-მის ყველა რეგიონში აწარმოებენ. 2000-2010 წლებში ბოსტ-ნეულის ნათესი და აღებული ფართობი 46,1 ათასი ჰა-დან 24,4 ათას ჰა-მდე და 37,9 ათასი ჰა-დან 21,9 ათას ჰა-მდე შემ-ცირდა. აღნიშნულ პერიოდში იკლო ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობამ 9,3 ტ/ჰა-დან 7,1 ტ/ჰა-მდე. ნათესი ფართობის და მოსავლიანობის შემცირებამ, სხვა მიზეზებთან ერთად, გა-ნაპირობა ბოსტნეულის წარმოების 354,2 ათასი ტ-დან 175,7 ათას ტ-მდე შემცირება.

საქართველოდან ბოლო წლებში ხორციელდებოდა ძმარ-ში ან ძმრის გარეშე დამზადებული გაყინული და გაუყინავი სხვადასხვა სახის ბოსტნეულის ექსპორტი, ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით, 2007 წელს 1810 ტონა 932 ათასი დოლარის ოდენობით; 2009 წელს ქვეყნიდან სხვადასხვა სახის ბოსტნეულის ექსპორტი 579402 ტონამდე, ხოლო თანხა 2471 ათას დოლარამდე გაიზარდა, რაც დადები-თი მოვლენაა.

ბაღჩეული კულტურები სხვადასხვა ოდენობით მოჰყავთ ქვეყნის იმ რეგიონში, სადაც მისი მოყვანისათვის კარგი ბუნე-ბრივი პირობებია. ბაღჩეულის ნათესი ფართობი 2000-2010 წლებში 9,3 ათასი ჰა-დან 2,7 ათას ჰა-მდე, ხოლო აღებული ფართობი 8,2 ათასი ჰა-დან 2,6 ათას ჰა-მდე შემცირდა. მიუხ-ედავად აღნიშნულ პერიოდში ბაღჩეულის საშუალო მოსავ-ლიანობის 9,8 ტ/ჰა-დან 15,2 ტ/ჰა-მდე ზრდისა, ამ კულტურების წარმოება 80,0 ათასი ტონიდან 40,9 ათას ტონამდე შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთ რეგიონში ბაღჩეულის მო-სავლიანობის დონეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს დარ-

გის განვითარების რეზერვები, რაც უნდა გამოიყენონ ამ დარგში დასაქმებულმა ფერმერებმა.

როგორც კარტოფილის, ისე ბოსტნეულის და ბაღჩეულის წარმოების ასამაღლებლად საჭიროა მაღალი ხარისხის სათესლე და სანერგე მასალა, რაც სანერგე მეურნეობების ფუნქციონირების აღდგენით უნდა განხორციელდეს. ორი ათეული წლის წინ ქვეყანაში არსებული გარკვეული სანედლეულო ბაზის და გადამამუშავებელი საწარმოების არსებობის პირობებში საქართველოში გეგმაზომიერად მიეწოდებოდა გადამამუშავებელ ქარხნებს აღნიშნული სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც, თავის მხრივ, აწარმოებდნენ როგორც ადგილობრივი მოხმარებისათვის, ისე საექსპორტოდ სხვადასხვა სახის პროდუქციას მაღალი ხარისხის კონსერვების, წვენების, ჯემების და სხვათა სახით. საბაზრო ურთიერთობის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის გამოცოცხლებით გაიზრდება მოთხოვნა ზემოთ აღნიშნულ კულტურებზე, რაც გარკვეული სტიმული იქნება ამ კულტურების მწარმოებელი ფერმერებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და დარგის შემდგომი განვითარების მიზნით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას. ახლო მომავალში უნდა ამაღლდეს იმ კულტურებისა და დარგების ხვედრი წილი, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას სურსათზე. ამ ეტაპზე მარცვლეული კულტურების წარმოების ამაღლება ყველა დონეზე განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა მოექცეს, რამდენადაც საქართველოში გარკვეული ხელშეწყობით ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის ყველა პირობა და შესაძლებლობა არსებობს. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო წლებში მსოფლიოში გაიზარდა მარცვლეულზე მოთხოვნა და, შესაბამისად, ფასიც და ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო შეუქცევადია. ამიტომ მარცვლეული კულტურე-

ბის ადგილობრივი წარმოების გადიდებით უნდა მივაღწიოთ სურსათის ამ სახეობაზე მოსახლეობის მოთხოვნილების გარკვეული ზომით დაკმაყოფილებას.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს როლი ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის უნდა განისაზღვროს სოფლის მეურნეობის დარგებისადმი დიფერენცირებულ მიდგომაში, რაც პრიორიტეტების დადგენაში და მათზე სახელმწიფოს ხემშემწყობ ღონისძიებათა თავმოყრაში, ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში უნდა გამოიხატოს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **დათუნაშვილი ლ., დათუნაშვილი მ.** საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების რეალური მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები. სამეცნიერო შრომების კრებული. „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“. თბილისი, 2010.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008. თბილისი, 2010.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი, 2009.
4. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2009. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი, 2010.
5. **ჩხეიძე თ.** სასურსათო უსაფრთხოება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2011.

*Datunashvili Lina*

# PECULIARITIES OF PLANT-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA

## SUMMARY

In the article is analyzed the cultivated land dynamics of crops, corn and other technical cultures such as sunflower, potato, tobacco, plural melons and vegetables in Georgia for the 2000-2010 years. Main indicators used in the research include average productivities, dynamics of cultivated land and gained harvest. From the analyzing the statistical data it is evident that mentioned indicators are decreasing in time and this trend continues to be stable. For the rising of productivity in agrarian sector is presented several ways. Actual implementation of these measures according to the author will lead to higher output in agricultural sector of Georgia.

*მამუკა ხუსკივაძე*
*ლია დვალიშვილი*

# საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები ბუნების კვლავწარმოების პროცესებთან შესაბამისობაში

გასული ასწლეულის განმავლობაში ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობის ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა ეკონომიკური ზრდის კონცეფცია. კონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის დეტერმინანტს წარმოადგენდა მთლიანი შიდა პროდეუქტის ზრდა და ის მიიღწეოდა უპირატესად ბუნებრივრესურსული პოტენციალის შეუზღუდავი გამოყენებით. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ბიო-გეო სამყაროზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების მნიშვნელოვან გაძლიერებასთან დაკავშირებით, დედამიწაზე მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია. კაცობრიობა შეეჯახა ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორიცაა: ოზონის შრის შემცირება, კლიმატის გათბობა, გაუდაბნოება, ტყის ფართობებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება და ა.შ., რამაც გამოიწვია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესება, შობადობის შემცირება, დაავადებებისა და სიკვდილიანობის ზრდა და სხვა. ამ პრობლემების გააზრებამ და მოსალოდნელმა შედეგებმა განაპირობა განვითარების ახალი მოდელის ძიების აუცილებლობა, რომელსაც შეეძლებოდა პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნება და საზოგადოების შემდგომი დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა.

სწორედ განვითარების ახალი მოდელის და პრინციპების შემუშავების მიზნით 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 176 ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელმა და ლიდერმა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების

იზოლირებულად განხილვა უკვე აღარ შეიძლება ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. კონფერენციის მონაწილეებმა აღიარეს, რომ ცივილიზაციის მონაპოვარი, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ჩათვლით, გარემოს დაცვითი პრობლემების გადაჭრის გარეშე განწირულია გაქრობისათვის. ამ კონფერენციაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება კაცობრიობის განვითარების ახალ მოდელზე – მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ.

მდგრადი განვითარების მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს მისი პრინციპების ინტეგრირებას. ამასთან, არსებობს ზოგიერთი სირთულე. კერძოდ:

- მდგრადი განვითარების კონცეფცია კიომპლექსურია, ფართოა შინაარსის მიხედვით და თანამედროვე პირობებში უპირატესად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. ამიტომ საჭიროა მისი დებულებების უფრო კონკრეტიზება და პრაქტიკული განხორციელების მექანიზმების შემუშავება;

- არ არსებობს მდგრადი განვითარების დეფინიციის სტანდარტული, ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია. მაგალითად, მდგრადი განვითარება კლასიკური და ყველაზე გავრცელებული განმარტების თანახმად, არის ისეთი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისე, რომ საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. აღნიშნულ განმარტებას დარგის სპეციალისტები და ექსპერტები ხშირად უწოდებენ არაკონსტრუქციულს, ვინაიდან განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იქნება შორეულ მომავალში მომავალი თაობების მოთხოვნილებები, თითქმის შეუძლებელია. სწორედ მდგრადი განვითარების არსის ერთგვაროვანი გაგების არარსებობის გამო ჯერ-ჯერობით არ არის ჩამოყალიბებული მისი პრინციპების დანერგვის ერთიანი მექანიზმი;

- მდგრადი განვითარება არ განიხილება, როგორც შეფასებისა და რეგულირების მიზნობრივი ობიექტი, შესაბამისად არ ფორმირდება მისი მართვის ერთიანი ორგანოები;

- არ არსებობს მდგრადი განვითარების მიზნობრივი ორიენტირების ადეკვატური შეფასების საზომი.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, მდგრადი განვითარების კონცეფციამ ფართო გავრცელება პოვა. პრაქტიკულად, ბოლო წლების თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის პროგრამული დოკუმენტი შეიცავს თეზისს მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარების აქტივიზაციას, რათა თაობიდან თაობამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი და უსაფრთხოება, გადაწყდეს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების, ანუ კოევოლუციის პრობლემა.

პოსტკომუნისტური საქართველოსათვის მდგრად განვითარებაზე გადასვლა გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესებისა და ქვეყნის მსოფლიო თანამეგობრობის წევრად გახდომის სურვილის გათვალისწინებით, წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესში ეკონომიკის ზრდას ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ექსპლუატაციის ხარჯზე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე. შემდგომ ეტაპებზე ზრდისა და განვითარებისათვის საჭიროა უფრო პროგრესული მექანიზმები. აქ კი მდგრადი განვითარების მოდელი უალტერნატივოა.

მდგრად განვითარებას შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს მომავალზე, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფო პრიორიტეტების, სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიისა და ქვეყნის შემდგომი ტრანსფორმაციის პერსპექტივების განსაზღვრაში. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ განვითარებადი ქვეყნები, რომელთაც აქვთ ეკო-

ნომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა სახის პრობლემები, რთულად შეძლებენ განვითარების სტრატეგიის მორგებას მდგრადი განვითარების პრინციპებზე.

ნებისმიერ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში მდგრადი განვითარების პერსპექტივების შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში – "XXI საუკუნის დღის წესრიგი" – ასახული კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც ახასიათებენ მდგრად განვითარებას სხვადასხვა ასპექტში. ისინი დაყოფილია სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ინსტიტუციურ კატეგორიებად.

კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას და თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს აზიასა და ევროპას შორის. თუმცა პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესები მიმდინარეობს საკმაოდ რთულად, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ეკონომიკური ზრდა საქართველოში (მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე) მიიღწეოდა ძირითადად ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი მოხმარების საფუძველზე. ადგილი ჰქონდა და აქვს ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაციას და მასშტაბურ დანაკარგებს. მშპ-ის ზრდას თან ახლავს გარემოში მავნე ნივთიერებების მაღალი ემისია. ექსპერტთა შეფასებით, ქვეყნის ტერიტორიის არცთუ უმნიშვნელო ნაწილი მოქცეულია ეკოლოგიური დესტაბილიზაციის რისკის ქვეშ. მწვავედ დგას გაუდაბნოების პრობლემა. სტაციონარული და არასტაციონარული წყაროებიდან გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების საჰაერო აუზსა და წყალსატევებში მზარდი გამოშვება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ეკოლოგიური სისტემების მდგომარეობას.

საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის მისი სუსტი საექსპორტო პოტენციალი, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, საგარეო ვალის ზრდა და სხვა. ასევე უთანაბრობის გაღრმავება რეგიონების განვითარებაში.

შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილ პრობლემათა უმრავლესობას განაპირობებს ისტორიულად ჩამოყალიბებული დისბალანსი რესურსების მოხმარებასა და მათ კვლავწარმოებას შორის. რესურსები გამოიყენება არარაციონალურად და არ იქმნება პირობები მათი არათუ გაფართოებული, არამედ მარტივი კვლავწარმოებისთვისაც კი.

საქართველო არ არის მდიდარი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით, თუმცა არც ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი ტერიტორიის კლიმატური და გეოლოგიური თვისებები განაპირობებს გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნებასა და მდიდარ მინერალურ-რესურსულ ბაზას. ქვეყნის მინერალურ-რესურსული ფონდი მოიცავს 950 საბადოსა და გამოვლინებას. რესურსული ფონდის 62,8% წარმოადგენს მსხვილ (ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის) საბადოს, 30,9% – ადგილობრივი მნიშვნელობის საბადოს, 6,2% კი გამოვლინებას. ის შედგება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ქიმიური და აგროქიმიური რესურსების, მიწისქვეშა მინერალური წყლებისაგან და სხვა.

ქვეყანა მდიდარია ტყის რესურსებით და ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის ვარგის ნაყოფიერ მიწის რესურსებს. ის ასევე გამოირჩევა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარებისა და ზოგადად საექსპორტო პოტენციალის ზრდისათვის. თუმცა ძალიან დაბალია მათი გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი. ზოგიერთი გათვლებით ის არ აღემატება 25%-ს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მაგალითად, იაპონიაში ის აღწევს 39%-ს, აშშ-ში – 36%, გერმანიაში – 35%-ს. ამ პრობლემის არსებობა აქვეითებს საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას და ხელს უშლის მის გადასვლას მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე. ამიტომ საჭიროა რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამსახველი პარამეტრის გაზრდა,

რისი მიღწევაც შეიძლება შემდეგი სახის ღონისძიებების გატარებით:

- ეკონომიკის დივერსიფიკაცია, მის სტრუქტურაში მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების ხვედრითი წილის გაზრდა;
- ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვა;
- ინოვაციების სახელმწიფო მხარდაჭერა;
- მაღალი ტექნოლოგიების შემუშავების ხელშეწყობა მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტული განვითარების გზით;
- ეკონომიკის დარგების კლასტერული განვითარების უზრუნველყოფა;
- სამუშაო ძალის მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი სისტემის დანერგვა;
- სამამულო საქონელმწარმოებლების კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- საექსპორტო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;
- რესურსების მოპოვებასა და ექსპორტს შორის ბალანსის შენარჩუნება.

საქართველო ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს ცხოვრების ხარისხის მიხედვითაც, რომელიც წარმოადგენს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს. თანამედროვე პირობებში ცხოვრების ხარისხი განისაზღვრება შემდეგი შემადგენლებით: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, კეთილდღეობის დონე და გარემოს მდგომარეობა. აეროს მიერ გაანგარიშებული ცხოვრების ხარისხის ინდექსების მიხედვით საქართველო იკავებს 87 ადგილს, 5,365 კოეფიციენტით, მაშინ, როცა ლიდერს – ირლანდიას აქვს 8,333 კოეფიციენტი.

არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით. ასე მაგალითად, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2011 წელს

შეადგენს 73,7 წელს, იაპონიაში კი ეს მაჩვენებელი 83,4 წელია. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია:

- სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლებით;
- მოსახლეობის ეკოლოგიური საფრთხეების შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველყოფით;
- სიღარიბის დონის შემცირებით;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდით;
- ეკონომიკური სტიმულების შექმნით.

სხვადასხვა საერთაშორისო ცენტრებისა და ორგანიზაციების მიერ გაანგარიშებული ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის მიხედვით (მასში შედის ეკოსისტემის მდგომარეობის, ეკოლოგიური სტრესის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ეკოლოგიური ასპექტების, სოციალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების ამსახველი მაჩვენებლები და ა.შ.) საქართველო იკავებს 87-ე ადგილს 51,5 ინდექსით, მაშინ, როცა ლიდერი ქვეყნების – ფინეთის და ნორვეგიის ანალოგიური მაჩვენებლები აღწევს 73-75 ბალს. ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის გაუმჯობესება შესაძლებელია:

- გაუდაბნოებასთან და მიწის  რესურსების სხვა სახის დეგრადაციასთან აქტიური ბრძოლით;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური სისტემის ოპტიმალური მდგომარეობის შენარჩუნებით;
- ეკოლოგიურად ორიენტირებული ეროვნული ანგარიშების (ე.წ. „მწვანე“ ანგარიშების) სისტემის შემუშავებით და რეალიზაციით;
- ნარჩენების გამოყენებაზე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებასა და მცირენარჩენიანი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, აგრეთვე სპეციალური მოწყობილობების (რომლებიც ამცირებენ გარემო ბუნებაზე მავნე ზემოქმედებას) დანერგვაზე საგადასახადო შეღავათების დაწესებით;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გარემო ბუნების დაცვაზე მიმართული ღონისძიებების დაკრე-

დიტებაზე შედავათების დადგენით, გარემოსდაცვითი საქმიანობის სუბსიდირებით;

- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებისათვის გადასახადებიდან აკუმულირებული ფულადი სახსრების გამოყენების მექანიზმის სრულყოფით;

- ეკოლოგიურად სახიფათო პროდუქციის წარმოებისათვის ფინანსური სანქციების მექანიზმის, ხოლო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის შედავათებისა და სუბსიდირების სისტემის შექმნით;

- ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის (მათ შორის გარემო ბუნების გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის) ფორმირებით და ამ საქმიანობისათვის სპეციალიზებული ფირმებისა და ცენტრების შექმნით, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში ექსპერტული მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბებით.

დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში წარმოადგენს მდგრადი განვითარების კრიტერიუმს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის პერსპექტივებს.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ძირითადი თავისებურებებია: ქალაქის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი, მაღალი მიგრაცია, მოსახლეობის ათას სულზე გაანგარიშებით მიღებული საშუალო დემოგრაფიული მაჩვენებლის, ანუ პრომილეს საგრძნობი შემცირება, დემოგრაფიული დისპროპორციების ზრდა რეგიონებს შორის და სხვა.

საქართველოში მდგრადი განვითარების პერსპექტივების გასაანალიზებლად ასევე აუცილებელია მდგრადი განვითარების პოლიტიკური ბაზისის, საკანონმდებლო ბაზის, რეგიონების მდგრადი განვითარებისა და ინსტიტუციური უზრუნველყოფის შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს დოკუმენტში ”XXI საუკუნის დღის წესრიგი” შემოთავაზებული მდგრადი განვითარების კრიტერიუმები და ინდიკატორები ახასიათებს სისტემის – “ეკონომიკა-ბუნება-საზოგადოება” – ცალკეულ ასპექტებს, სადაც არ ჩანს ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებე-

ბი. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ საქართველოსთვის, ისე, როგორც სხვა ქვეყნებისათვის, შემოღებულ იქნეს დამატებითი კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომლებიც უფრო ადეკვატურად ასახავს ამ ქვეყნებში მიმდინარე რეალურ პროცესებს.

ამასთან აღსანიშნავია ის, რომ, მართალია, საქართველოს მთავრობა ახდენს მდგრადი განვითარების იდეების დეკლარირებას და საქართველო მიერთებულია მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციებს, მაგრამ დღემდე არ არის შემუშავებული მდგრადი განვითარების კონცეფცია, არ არის მიღებული ეკოლოგიური კოდექსი, რითაც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის ქვეყნებს, არამედ რუსეთს, ბელორუსიას, ყაზახეთს და უზბეკეთს.

საქართველოს მდგრად განვითარებაზე გადასვლის პერსპექტივების გაანალიზებით ცხადია, რომ ამგვარ განვითარებაზე გადასვლისათვის საჭირო იქნება არცთუ მცირე დრო და, აგრეთვე, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ეტაპობრივი გადაჭრა.

პირველ ეტაპზე საჭირო იქნება: მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, პირობების მომზადება მდგრადი განვითარების პრინციპების ჩართვისათვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა (მოსამზადებელი ეტაპი).

მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს: სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ეფექტიანი საბაზრო მექანიზმებისა და ინსტიტუტების ფორმირება, ცხოვრების ხარისხის მიხედვით ლიდერი ქვეყნების შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენებისაგან მიღებული დანაკარგების შემცირება, ქვეყნის ეკოლოგიური მდგრადობის მაღალი დონის მიღწევა (საშუალოვადიანი პერსპექტივა).

მესამე ეტაპზე კი უნდა დაკმაყოფილდეს მდგრადი განვითარების საერთაშორისო კრიტერიუმები, ანუ მიღწეული უნდა იქნეს მდგრადი განვითარება (გრძელვადიანი პერსპექტივა).

# გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება. თბილისი, ”მერიდიანი”, 2006.
2. **წერეთელი გ.** გარემო ბუნების დაცვის პროცესთა ეკონომიკური რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბილისი, "მეცნიერება", 2003.
3. **Бобылев С. Н., Гирусов Э. В., Перелет Р. А.** Экономика устойчивого развития. Изд-во Ступени, Москва, 2004.
4. **Миркин Б. М., Наумова Л. Г.** Устойчивое развитие. Уфа: РИЦ Баш ГУ, 2009.
5. «Наше общее будущее»: Доклад Международной комиссии по окружающей среде и развитию (МКОСР)". Пер. с англ./Под ред. и с послесл. **С. А. Евтеева и Р. А. Перелета.** М.: Прогресс, 1989.
6. **Перелет Р. А.** Выявление показателей устойчивого развития. Проблемы окружающей среды и природных ресурсов. ВИНИТИ, № 6, 1995.
7. Устойчивое экологобезопасное развитие. Под ред. **А. Д. Урсула**. М.: Издательство РАГС, 2001
8. **Яблоков А. В.** и др. Охрана живой природы: проблемы и перспективы. Под ред. Н. Ф. Реймерса. Москва, 1983.

*Khuskivadze Mamuka*
*Dvalishvili Lia*

# PERSPECTIVES OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA ACCORDING TO PROCESSES OF NATURE REPRODUCTION

## SUMMARY

In the work there is considered the perspectives of sustainable economic development of Georgia according to the processes of nature reproduction.

There is analyzed the criteria of sustainable economic development such as an index of life quality and an index of economic sustainability. There is elucidated the measures of improvement of these indices.

There are formulated the stages of a transition of Georgia to sustainable economic development.

*ეთერ კაკულია*

# მეწარმეობის განვითარების კანონზომიერებები საქართველოში

საბჭოური სისტემის ნიადაგზე საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია მძლავრი კერძო სექტორის (მეწარმეობის, ბიზნესის) ჩამოყალიბება.

საქართველოში პირველი და არსებითი ნაბიჯები მეწარმეობისა და ბიზნესის ფორმირების მიზნით, განსახელმწიფოებისა და პრივატიზების განხორციელების გზით გადაიდგა, რასაც სხვა ღონისძიებებთან ერთად უნდა მოჰყოლოდა ეკონომიკის კერძო სექტორის, კერძო მესაკუთრეთა და ბიზნესმენთა (მეწარმეთა) ფენის შექმნა.

ეკონომიკის კერძო სექტორის ფორმირების მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს დიდი მნიშვნელობა გააჩნდა საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. განსაკუთრებით აქტუალური იყო საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში ბიზნესსისტემის (მეწარმეობის) ფორმირება-განვითარება, რათა შესაძლებელი გახდარიყო ეკონომიკის შეზღუდული რესურსების ოპტიმალური განაწილება, პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების ამაღლება მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება და ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფა.

პირველი საკანონმდებლო რეფორმები და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მიზნით, საქართველოში რეალურად 1990 წლიდან დაიწყო. ტრადიციული ურთიერთობების რღვევა და ეკონომიკის ახალ საბაზრო რელსებზე გადაყვანა დამანგრეველი აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ქვეყნის საწარმოთა უმრავლესობა ნედლეულისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდების წყაროების გარეშე დარჩა. სიტუაციის არსებითი გაუარე-

სების მიზეზი გახდა 1992-1994 წლების პოლიტიკური დესტა-ბილიზაცია და გარედან ინექცირებული ეთნოკონფლიქტები, რომელმაც, ქვეყნის შიგნით კრიმინოგენური სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასთან ერთად, ნეგატიური ფონი შექმნა ბიზნესგარემოს და მეწარმეობის (ბიზნესის) ფორმირება-განვი-თარებისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის.

1994 წლის დასაწყისამდე საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა ვალუტის – „მანეთის“ ზონაში იმყოფებოდა და მო-კლებული იყო დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. მანეთის ზონის ნეგატიური ტენ-დენცია მაღალი ინფლაციის გამო ნეგატიურ გავლენას ახდენ-და საქართველოს ეკონომიკაზე. გართულებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები. ამ და სხვა მიზეზების გამო ქვეყნის მონეტარული სისტემა სრულ კრახამდე მივიდა. აღნიშნული პროცესი 1994 წლის შუა პერიოდამდე გრძელდებოდა. ამან გამოიწვია ის, რომ 1994 წელს, 1990 წელთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) 4-ჯერ შემცირდა, ხოლო ეროვნული შემოსავალი – 5-ჯერ. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქცია უმნიშვნელოდ აღემატებოდა 252 აშშ დოლარს და ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში 13%-ზე ნაკლები იყო. ამ დროისათვის ლიბერალური მონეტარული პოლიტიკა ითვლებოდა არსებული ინფლაციური ტენდენციის გამაძლიერებელ ფაქტორად, შესაბამისად წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 49% აღემატებოდა [11].

ეკონომიკური რეფორმების აღნიშნულ პერიოდს (1990-1994 წლის შუა პერიოდამდე), მეწარმეობის (ბიზნესის) ფორმირება-განვითარების მხრივ განსაკუთრებული წარმატებული შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა მან გარკვეული ფონი შექმნა ეკონო-მიკური რეფორმების შემდგომი განხორციელებისათვის. იგი ხასიათდება ვაჭრობისა და ფასების სრული ლიბერალიზა-ციით. გარდა ელექტროენერგიის, პურის, ბუნებრივი აირის და

სამოქალაქო ტრანსპორტის ფასებისა, ყველა სხვა სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე შეიზღუდა მთავრობის მხრიდან ფასების რეგულირება. დაიწყო ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების პრივატიზების პროცესი.

საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში (1986 წლიდან დღემდე) 1995-1997 წლები განიხილება, როგორც ეკონომიკის აღმავლობის პერიოდი. ამ დროს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესახებ. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა ეროვნული ბანკის კრედიტის ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტების ლიმიტები. ამ დროისათვის დაიწყო ფასების ლიბერალიზაციის ახალი ეტაპი, გაუქმდა ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და სხვა სამოქალაქო ტრანსპორტზე სუბსიდიები და განხორციელდა ფასების გათავისუფლება. დაიწყო პურის ფასების ეტაპობრივი ლიბერალიზაციის პროცესი. შესაბამისად შემცირდა ბიუჯეტის ხარჯების მოცულობა. პურზე სახელმწიფო მონოპოლია თანდათანობით გადადიოდა კერძო სექტორის ხელში.

ცნობილია, რომ ეკონომიკური აღმავლობა გარდამავალი ეკონომიკის საქართველოში ხანმოკლე აღმოჩნდა (1996-1998 წლის პირველი ნახევარი), 1998 წლის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში შექმნილმა საბიუჯეტო კრიზისმა პრაქტიკულად 2004 წლამდე გასტანა. ამის ძირითადი მიზეზი, წარმოების დაბალ დონესთან ერთად, განსაკუთრებით, ქვეყანაში იმ დროისათვის არალეგალური ბიზნესის არსებობა, კორუფციის მაღალი დონე, უკანონობა და ეკონომიკაში არსებული განუკითხაობა იყო. ამასთან, აღნიშნული მოვლენის პირველი რიგის ფაქტორს წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან თითქმის მთელს მსოფლიოში განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისი. გლობალური კრიზისული პროცესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი დარტყმა მიადგა

ეროვნულ ვალუტას, მისი კურსი წლის განმავლობაში თითქმის 38 პროცენტით დაეცა. [11].

წინა წლებში ჩამოყალიბებულ ერთნიშნა ციფრს გადაჭარბა ინფლაციის დონემაც. ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა უფრო დაამძიმა 2000 წელს ქვეყანაში განვითარებულმა ხანგრძლივმა გვალვებმა.

ყოველივე ამასთან ერთად, ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელ არცთუ ისე უმნიშვნელო სუბიექტურ ფაქტორს წარმოადგენდა მაშინ, და დღესაც, საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორც მთლიანად ეკონომიკის, ასევე ცალკეული სამეურნეო ერთეულების რეგულირების არასათანადო გამოცდილება, დაბალი კვალიფიკაცია და არაკომპეტენტურობა. მიუხედავად აღნიშნულისა, 1996-2000 წლებში რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა 46,7 პროცენტით, რაც გამოწვეული იყო როგორც მშპ-ის გაზრდით, ასევე მოსახლეობის მასიური გასვლით ქვეყნიდან და მისი რიცხოვნობის შემცირებით (10,4%). [11].

რეფორმის დაწყების დღიდან პირველად ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოების ტრანსფორმაცია, მათი სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლა. ამ მხრივ ეკონომიკაში კერძო სექტორის, მეწარმეობის (ბიზნესის) ფორმირება-განვითარების უმთავრეს ღონისძიებად აღიარებულია განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება; ფასების ლიბერალიზაცია, ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბება, ფისკალური პოლიტიკის გატარება, და ა.შ.

პრივატიზაციის პროცესი პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, არა მარტო კონკრეტული მესაკუთრის, არამედ ძველი საბჭოური წყობის ქონებაზე მესაკუთრის სტატუსის რადიკალურ შეცვლას გულისხმობდა, რაც, თავის მხრივ, ამ პროცესის სირთულეს განაპირობებდა. ამასთან, საქართველოში პრივატიზაციის დაწყების პერიოდს წინ უსწრებდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად

გარდაქმნის უაღრესად რთული პროცესი. ძველი სამეურნეო კავშირების მოშლას და მის საფუძველზე დაწყებულ ღრმა ეკონომიკურ კრიზისს საქართველოში დაემატა 1989 წლის 9 აპრილს რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ ქართველებზე განხორციელებული გენოციდი და 1991 წლის შემოდგომაზე გარე სახელმწიფოს მიერ ინექცირებული სამოქალაქო ომი.

აღნიშნულ ფონზე დაიწყო პრივატიზაციის პროცესი. იგი დროში გაჭიანურდა და დღესაც მიმდინარეობს. მის დაწყებას საფუძვლად დაედო 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, პრივატიზების პროცესების წარმართვა ევალებოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს. ამავე კანონით გათვალისწინებული იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფონდის არსებობა, რომელიც პრივატიზების გზით შემოსული სახსრების აკუმულირებას მოახდენდა, მაგრამ, იმ დროს არსებული ვითარების გამო, ფონდი არ შეიქმნა. აღნიშნული კანონით, სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი პრივატიზებას არ ექვემდებარებოდა და კვლავ სახელმწიფოს განკარგულებაში რჩებოდა. ეს იყო სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე სტრატეგიული დარგები, რომელთა ნუსხა პრივატიზების დაწყებამდე უნდა განსაზღვრულიყო. სახელმწიფოს განკარგულებაში რჩებოდა მსხვილი საწარმოების დიდი ნაწილი, რათა მას გარკვეული ეკონომიკური ზემოქმედება მოეხდინა ქვეყნის საშინაო და საგარეო ბაზარზე. განსაზღვრული იყო ის ობიექტები, რომლებიც პრივატიზებას ექვემდებარებოდა, ესენია: ყველა მცირე დაბალრენტაბელური და სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი საწარმოები, მათი სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით გან-

ხორციელდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის რეორგანიზაცია და შეიქმნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და პრივატიზების პროცესების უზრუნველყოფა მთლიანად მის უფლებებში გადავიდა. 1995 წელს აღნიშნულმა სამინისტრომ მიიღო ბრძანება „სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ბრძანება, 1991 წელს მიღებული კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“, 1991-1996 წლებში სახელმწიფო მეთაურის მიერ გაცემული განკარგულებები და ბრძანებები, სხვა კანონქვემდებარე აქტებთან ერთად, საფუძვლად დაედო აღნიშნული ფორმებით სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელებას.

საქართველოში პრივატიზება ფართო მასშტაბით დაიწყო 1993 წლის მარტიდან, მაგრამ მას არსებითად შეუშალა ხელი ამავე წელს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმა. ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, საპრივატიზაციო ობიექტების შესყიდვაზე თავს იკავებდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორები. ამდენად შეფერხდა კერძო სექტორის ფორმირება-განვითარება.

1993-1998 წლებში მთავრობამ განახორციელა სახელმწიფო ქონების უფასო პრივატიზება. სოფლის მოსახლეობას უსასყიდლოდ გადაეცა 1-დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, ხოლო ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობას სამემკვიდრეო მიწის ფართობიდან უსასყიდლოდ გადაეცა 0.25 ჰა მიწის ფართობი (1993). ქალაქის მოსახლეობას, შემდგომ პრივატიზაციის უფლებით, უფასოდ გადაეცა კომუნალური ბინები, ხოლო კოოპერატიული ბინები, მისი ღირებულების სრული დაფარვის შემდგომ, ხელშეკრულებითი ურთიერთობის საფუძველზე, ნოტარიული წესით, მფლობელის საკუთრებაში გადავიდა, სადაც სახელმ-

წიფოს წარმოადგენდა კოოპერატივის (ამხანაგობის) გამგეობის ხელმძღვანელი. 1995 წელს მაშინდელი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (5098736 კაცს) უფასოდ დაურიგდა 4264541 ვაუჩერი. დარჩენილი 16% ვაუჩერების თაობაზე ხელისუფლებას დღემდე არანაირი განმარტება არ მიუცია მოსახლეობისათვის. 1996 წლის პირველი ნოემბრის მონაცემებით, შრომით კოლექტივებზე შეღავათების სახით, მოსახლეობაზე ვაუჩერების და საცხოვრებელი ბინების უფასო პრივატიზების სახით გაიცა 4054 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური ქონება [12].

1992-1996 წლებში მთავრობის მიერ გატარებული პრივატიზების ხელშემწყობი ღონისძიებებიდან უნდა გამოიყოს 1992 წელს 11 აგვისტოს მიღებული მთავრობის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამების შესახებ“, სადაც განსაზღვრულია პრივატიზების მიზნები, ამოცანები, შეღავათები და შეზღუდვები, დარგობრივი და ტერიტორიული პრიორიტეტები. ეს ღონისძიებათა ერთიანი სისტემა პროგრამის სახით კარგადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აღნიშნული პროგრამა იმდენად მასშტაბურია, რომ მისი გარკვეული ნაწილი დღემდე არაა სრულად რეალიზებული. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საბჭოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულება „პრივატიზების პროცესების მოწესრიგებისა და დაჩქარების შესახებ“. მას უდავოდ საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა პრივატიზების პროცესების გაფართოების და განმტკიცებისათვის.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების უპირველესი მიზანი საკუთრების ფორმის შეცვლა და კერძო, თავისუფალი, დამოუკიდებელ მეწარმეთა (ბიზნესმენთა) ინსტიტუტის ჩამოყალიბება იყო. პრივატიზების შედეგებიდან გამომდინარე, 1994 წელს, საჭირო შეიქმნა კერძო მესაკუთრეთა (მეწარმეთა, ბიზნესმენთა) საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირება, რამაც განაპირობა 1994 წელს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიღება [5].

მეწარმეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოწყობა ითხოვს საწარმოთა დარეგისტრირების აუცილებლობას. საწარმოთა რეგისტრაციის პირობები, რომელიც მოცემულია კანონში „მეწარმეთა შესახებ“, მეტად რთული იყო და მეწარმეთა არალეგალურ საქმიანობას იწვევდა.

1991-1996 წლებში სახელმწიფო ქონების პრივატიზების სფეროში დაგროვილმა პრობლემებმა, კერძოდ იმ გარემოების გამო, რომ არსებული კანონმდებლობით ვერ მოიშალა სახელმწიფო მეურნეობა მეურნეობის რიგ სფეროში, საჭირო შეიქმნა უფრო ფართომასშტაბიანი პრივატიზების პროცესების განხორციელება. ამან განაპირობა 1997 წლის 10 მაისს, საქართველოს პარლამენტის მიერ „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ ახალი კანონის მიღება. ამ კანონით საქართველოში უფრო მასშტაბური გახდა სახელმწიფო ქონების პრივატიზება. პრივატიზებას დაექვემდებარა სახელმწიფო ქონება: საწარმოები, ამ საწარმოთა ქვედანაყოფები, რომელთა გამოყოფა შეიძლება დამოუკიდებელ საწარმოებად; ლიკვიდურობას დაქვემდებარებული ან უკვე ლიკვიდირებული საწარმოების, ან მათი ქვედანაყოფების შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებზედაც განთავსებულია სახელმწიფო ქონება; სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული საცხოვრებელი სახლები და ბინები; სახელმწიფო საკუთრებაში გადასული უმკვიდრო ქონება (საცხოვრებელი სახლები და ბინები). კანონის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. ეს კანონი არ აწესრიგებს მიწისა და სახელმწიფო საბინაო ფონდების პრივატიზების საკითხს.

1997 წლის კანონით, სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის გამოყენების პრიორიტეტული მიმარ-

თულებებია: ა) მცირე ბიზნესში წარმოების განვითარების ღონისძიებათა დაფინანსება; ბ) წარმოებაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსება; გ) პრივატიზების ორგანიზაციული ხარჯების დაფინანსება; დ) გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება. პრივატიზებიდან შემოსული თანხების განაწილების თანაფარდობა განისაზღვრებოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

1999-2000 წლებში კვლავ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა საკუთრების ტრანსფორმაციის მიზნით. ამ ეტაპზე წინა პლანზე იქნა წამოწეული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ისეთი მსხვილი ინდუსტრიული ობიექტების რეფორმირებისა და მართვის ამოცანა, როგორიცაა: ელექტროენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და ეკონომიკის სტრატეგიული დარგების სხვა ობიექტები, რომელთა გასხვისების მიზნით, პრივატიზებასთან ერთად, გამოიყენებოდა ინვესტორებზე რიგი ობიექტების მართვის უფლებით გადაცემა ხანგრძლივი ვადით, კონკურსის პირობების შესაბამისად მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ინვესტორებისათვის ამ ობიექტების შეთავაზება უმთავრესად საინვესტიციო ტენდერის მეშვეობით ხორციელდებოდა.

აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების პრივატიზების წარუმატებლობის თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მართვის შემდგომი გაუმჯობესების, რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის დაჩქარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ამ დოკუმენტის შესაბამისად შეიქმნა სახელმწიფო საწარმოების მონაცემთა ბაზა და მათი პრივატიზება ერთიანი გეგმის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო [10].

1991-2003 წლებში საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება წარიმართა სამი მიმართულებით: ღია ფასიანი,

უფასო და ფარული პრივატიზების სახით. დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორის – მიწის პრივატიზება. ამასთან, მასზე ნამდვილი პატრონის მიჩენა აუცილებლობას წარმოადგენდა, რაც პრივატიზების გზით უნდა განხორციელებულიყო. 2005 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ [12], რომელიც დროის მოთხოვნის სწორი გამოხმაურება იყო, თუმცა დაგვიანებით. კანონის მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შედეგად რეგიონებში არსებული მიწის ფონდის ათვისება, მისი რაციონალურად გამოყენება და მიწის ბაზრის განვითარების ხელის შეწყობა. აღნიშნული კანონით უსასყიდლოდ (უფასო პრივატიზება) გადაეცა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას მის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან შეთანხმებით, ეკლესიას უფლება აქვს, ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე საკუთრებაში მიიღოს იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

კანონით აკრძალულია პრივატიზებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემა. აღნიშნული კანონის წინამორბედი სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების მარეგულირებელი ღონისძიებები ითვალისწინებდა მიწების იჯარით გაცემას. ეს კანონი კი ადრე იჯარით გაცემული მიწების პრივატიზებას აწესრიგებს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ხოლო დანარჩენი მიწის პრივატიზება ხდება სპეციალური აუქციონის, ღია აუქციონის წესით. იჯარით გაცემული ნაკვეთის შესყიდვის სხვა პირობებიდან არსებითია ის რომ, თუ მოიჯარე მიწის პრივატიზების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხდის მიწის ნაკვეთისა და ამ ნაკვეთზე

განთავსებული სხვა უძრავი ქონების საფასურის 50%-ს, მაშინ საფასური სრულად გადახდილად ითვლება. იგივე პირობა ვრცელდება იჯარით გაუცემელ საპრივატიზაციო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთისა და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხები, კანონის ძალით, უნდა მოხმარდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ვფიქრობთ, სამართლიანია ვთქვათ, რომ აღნიშნული კანონი რეგიონებში სრულად ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა.

2007 წლის 11 ივლისს მიღებული „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ“ კანონის საფუძველზე გაუქმდა 1991 წელს მიღებული „კანონი, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ [8]. ასევე გაუქმდა სხვა მრავალი, პრივატიზების ხელშემწყობი სამთავრობო დადგენილებები, მთავრობის მეთაურის ბრძანებები და განკარგულებები (სულ 35 ასეთი ტიპის დოკუმენტი). ამ კანონით განისაზღვრება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები. მისი მიზანია ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. კანონში საგრძნობლად შემცირებულია არასაპრივატიზაციო ქონების სია. კანონის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ აღნიშნული კანონით საერთოდ უგულებელყოფილია მისი წინამორბედი, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონით დაწესებული სოციალური გარანტიები და შეღავათები (მუხლი 5. 1997). ასევე კანონის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ არ ხდება პრივატიზებით შემოსული სახსრების განაწილების რეგლამენტირება.

კანონში ჩადებულია სახელმწიფო საბინაო ფონდის პრივატიზება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც ითვალის-

წინებს კანონიერი მოსარგებლისათვის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას. ასევე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა ინდივიდუალური შენობა-ნაგებობები მათზე მიმაგრებული მიწით ან/და მრავალბინიანი შენობა-ნაგებობების ბინები (იხ. მუხლი 2. 4,4) [8].

სახელმწიფო ქონების პრივატიზების უზრუნველმყოფი კანონების, კანონქვემდებარე აქტების, დებულებების, სახელმწიფო მეთაურის განკარგულებების და დადგენილებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესები 1991 წლიდან დღემდე მომდინარეობს, ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების ფონზე. ამის გამო, პრივატიზების პროცესებს დიდი წვლილი მიუძღვის გარდამავალი პერიოდის პირველ ათ წელიწადში არსებულ ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებში: აქტიური მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე, ინტენსიური გარე მიგრაციული პროცესები, ღრმა საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, სახელმწიფო ბიუჯეტის მწვავე დეფიციტი, დემოგრაფიული კრიზისის გაღრმავება, თაობათა განახლების პროცესების კრიტიკულ ზღვრამდე მისვლა, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება. ჩამონათვალი შეიძლება ჩაითვალოს იმ არასრულ სიად, რაც თან გასდევდა ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზების პროცესებს. თუმცა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების ერთ-ერთ ძირითად შედეგად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ქვეყანაში ფეხი მოიკიდა კერძო სექტორმა, განვითარდა მეწარმეობა, ბიზნესი, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა მეწარმეთა და ბიზნესმენთა ფენა, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი.

პრივატიზაციის პირველადი შედეგების (პრივატიზებულ საწარმოთა რაოდენობისა და პრივატიზებიდან მიღებული

ბიუჯეტის საერთო შემოსავლების) შესახებ ინფორმაციას იძ-ლევა ცხრილი №1.

**ცხრილი №1. საქართველო: პრივატიზებული საწარმოების (ობიექტების) რაოდენობა და პრივატიზებიდან მიღებული შემოსავალი, 1995 - 2007 წწ.**

| | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრივატიზებული საწარმოები სულ, ერთეული | 1009 | 661 | 673 | 761 | 267 | 776 | 441 | 595 |
| შემოსავალი პრივატიზებიდან, მლნ ლარი | 27.2 | 13.1 | 24.5 | 23.6 | 72.7 | 419.4 | 564.5 | 643.8 |

**წყარო:** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტა-ტისტიკის დეპარტამენტი.

მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარების დონეზე – ცხრილი №2-ის მონაცემები, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლების შესა-ხებ საწარმოთა სიდიდის მიხედვით.

**ცხრილი №2. საქართველო: პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ფორმების მიხედვით** (მლნ ლარი)

| | | სულ ეკონომიკაში | მსხვილი | საშუალო | მცირე |
|---|---|---|---|---|---|
| **2002** | რაოდენობა | 3052.1 | 2396.2 | 320.9 | 291.0 |
| | % | 100 | 78.5 | 10.5 | 9.5 |
| **2003** | რაოდენობა | 3492.6 | 2774.7 | 391.1 | 326.8 |
| | % | 100 | 79.4 | 11.2 | 9.4 |
| **2004** | რაოდენობა | 4374.8 | 3486.4 | 502.1 | 386.3 |
| | % | 100 | 72.7 | 11.5 | 8.8 |
| **2005** | რაოდენობა | 5838.3 | 4583.2 | 703.9 | 561.2 |
| | % | 100 | 78.5 | 12.1 | 9.6 |
| **2006** | რაოდენობა | 7412.6 | 5930.1 | 808.8 | 588.9 |
| | % | 100 | 80.0 | 10.9 | 7.9 |
| **2007** | რაოდენობა | 9645.4 | 8089.9 | 1042.2 | 513.3 |
| | % | 100 | 83.9 | 10.8 | 5.3 |
| **2008** | რაოდენობა | 10248,4 | 8781.4 | 939.6 | 527.4 |
| | % | 100 | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **2009** | რაოდენობა | 11003.1 | 8970.3 | 1,151.5 | 881.3 |
| | % | 100 | | | |
| **2010** | რაოდენობა | 12203.0 | 10042.4 | 1100.4 | 1060.1 |
| | % | 100 | | | |

**წყარო:** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი.

მეწარმეობის (ბიზნესის) სფეროში დასაქმებულების შესახებ ლაპარაკობს მე-3-ე ცხრილში მოცემული მონაცემები, როგორც ცხრილიდან ჩანს 2010 წელს ბიზნესში დასაქმებულების რიცხვიწინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა.

**ცხრილი №3. დასაქმებულები საწარმოთა ზომის მიხედვით**

| | სულ | მსხვილი | საშუალო | მცირე |
|---|---|---|---|---|
| **1999** | 379,360 | ... | ... | 92,202 |
| **2000** | 378,055 | ... | ... | 125,807 |
| **2001** | 313,370 | ... | ... | 90,159 |
| **2002** | 301,310 | 153,546 | 74,435 | 73,329 |
| **2003** | 297,795 | 147,239 | 69,390 | 81,166 |
| **2004** | 322,7779 | 169,883 | 70,454 | 82,442 |
| **2005** | 388,946 | 200,903 | 87,628 | 100,415 |
| **2006** | 360,987 | 192,242 | 84,192 | 84,554 |
| **2007** | 361,209 | 201,748 | 91,784 | 67,677 |
| **2008** | 349,250 | 209,532 | 74,443 | 65,276 |
| **2009** | 387,463 | 223,178 | 78,198 | 86,086 |
| **2010** | 1,441.675 | 858,989 | 287,587 | 309,090 |

**შენიშვნა:** 2002 წლამდე საწარმოთა ზომის განსაზღვრისას გამოიყენებოდა განსხვავებული მიდგომა, რომელიც არ ითვალისწინებდა საწარმოთა კლასიფიკაციას მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებად.

პრივატიზების პროცესთან ერთად ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას არსებითად შეუწყო ხელი ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაციამ, საგადასახადო და საბაჟო სისტემის მოწესრიგებამ.

ქვეყნის შიდა ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან ერთად, მიზნად იქნა დასახული საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რომლის ძირითადი მიზანი ღია ეკონომიკის ფორმირება გახდა.

GATT-ის (ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური ხელშეკრულების) მოთხოვნების შესაბამისად, ეტაპობრივად მოიხსნა ყველა სავაჭრო ბარიერი. ექსპორტი გათავისუფლდა საბაჟო გადასახადისაგან და იმპორტირებულ საქონელზე იმპორტის გადასახადის განაკვეთი 12%-ის დონეზე განისაზღვრა. საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლდა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტი, რომლებთანაც გაფორმებული იყო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები. ქვეყნის შიდა ბაზარზე ფასები შესაბამისობაში მოვიდა მსოფლიო ბაზრის ფასებთან, რამაც ხელსაყრელი ფონი შექმნა შიდა ბაზარზე ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციისათვის. შეზღუდვები დაწესდა მხოლოდ იარაღით, ნარკოტიკებითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით ვაჭრობაზე და შენარჩუნდა წამლებზე ლიცენზირების სისტემა.

საბაჟო გადასახადების სისტემა ხასიათდებოდა როგორც საბაჟო განაკვეთების ნაირსახეობით, ასევე, შედარებით მაღალი განაკვეთებით, რაც ხელს არ უწყობდა ბიზნესკლიმატის მიმზიდველობას და ბიზნესის ხელშეწყობას. მაღალი საბაჟო განაკვეთები განაპირობებდა საზოგადოებრივი მომსახურების პროდუქციის ღირებულების ზრდას და დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის სიძნელეებს ქმნიდა. მიუხედავად საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების დაბალი განაკვეთებისა, რომელიც მოიცავდა 16 სხვადასხვა განაკვეთს, იგი არსებითად ხელს უშლიდა შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელებას. საბაჟო ტარიფების მრავალსახეობა ნიადაგს ქმნიდა კორუფციული გარიგებებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა კანონი „საბაჟო ტარიფების“ შესახებ.

ახალი საბაჟო კოდექსის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან, რომელიც საბაჟო ადმინისტრირების პროცედურებს შესაბამისობაში მოიყვანდა ევროპის საბაჟო წესებთან. ამან ხელი შეუწყო საქართველოსა და

ევროკავშირს, ასევე სხვა ქვეყნებს შორის საბაჟო სისტემის ჰარმონიზაციას. ახალი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებდა საბაჟო პოლიტიკის ფუნდამენტურ გადახედვას ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისა და ლეგალური ბიზნესის ფორმირების მიმართულებით, რამაც შესაბამისი შედეგები მოიტანა.

საქართველოში 1991 წლიდან დაწყებულმა მიზანმიმართულმა და მასშტაბურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი პოზიტიური კორექტივები შეიტანა ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების დინამიკასა და სტრუქტურაში.

2003 წელს განხორციელებული „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში რეფორმისტული ხელისუფლების მოსვლამ არსებითად შეცვალა ეკონომიკური და სოციალური რეფორმების მასშტაბები. რეფორმის დაჩქარებული ტემპებით განხორციელების მიზნით შემუშავდა არაერთი სტრატეგიული დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე; ეს დოკუმენტები და სამოქალაქო გეგმები მოიცავს ქვეყანაში არსებულ თითქმის ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემის მოგვარების ღონისძიებებს და პროგრამებს.

მთავრობის პოლიტიკური ღონისძიებანი ამ კომპონენტის ქვეშ ბიზნესის ხელშეწყობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებებზე იყო მიმართული. ამან ხელი შეუწყო მთავრობის რეფორმის პროგრამას, მომავალში რომ განეხორციელებინა საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, მარეგულირებელი საქმიანობის ჩარჩოების შექმნა და რეფორმის ღონისძიებების დაჩქარება, სტანდარტიზაციის სრულყოფა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხის გაუმჯობესება.

ბიზნესისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური რეგულაციების სისტემის რეფორმა. ძველი სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მომხმარებელთა უსაფრთხოებას და დამატებით ბარიერებს ქმნიდა

ბიზნესის განვითარებისათვის. რეფორმის ჩარჩოებში მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის ფარგლებშიც 2005 წელს მიღებულ იქნა: ცვლილებები და დამატებები „სტანდარტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში; ცვლილებები და დამატებები „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიცირების შესახებ“. ახალი კანონმდებლობა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და აკმაყოფილებს საერთაშორისო მიდგომებსა და გამოცდილებას ტექნიკური რეგულაციების სფეროში.

საქართველოს ახალი კანონით, „ლიცენზირების და ნებართვის“ შესახებ განისაზღვრა ლიცენზირებისა და ნებართვების მთავარი პრინციპები, კერძოდ, 900-დან 150-მდე შემცირდა საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარებოდა ლიცენზირებას. გაუმჯობესდა და გამარტივდა ლიცენზირების პროცედურები და ნებართვის გაცემის წესები. პრაქტიკაში იქნა შემოღებული „ერთი ფანჯრის პრინციპი“ და „სიჩუმე ნიშნავს თანხმობას“; ბუნებრივი რესურსების გამოყენება დარეგულირდა აუქციონის პრინციპის გამოყენებით [5].

2005 წელს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები და დამატებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც მიმართული იყო ბიზნესის დაწყების პროცედურების გამარტივებისა და პარტნიორებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ. კანონის შესაბამისად, 2000 ლარიდან 200 ლარამდე შემცირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭირო საწესდებო კაპიტალი, რაც ხელს უწყობდა ახალი კომპანიების შექმნის პროცესს. მნიშვნელოვანი და დროული იყო ღონისძიება მცირე ბიზნესის ლეგალიზების ხელშეწყობის მიმართულებით, რომლებიც არ იყო ოფიციალურად რეგისტრირებული ბიზნესრეესტრში. ბიზნესრეესტრის წარმოება დაევალა ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურს.

სამეწარმეო საქმიანობისა და მონოპოლიების რეგულირების მიზნით შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელმაც შეცვალა ანტიმონოპოლიური

სამსახური და ფასების ინსპექცია; პარლამენტმა დაამტკიცა ფინანსური რეფორმის პაკეტი, რომელიც მიმართული იყო ფინანსური სექტორის ინსტიტუტების ზედამხედველობის ინსტიტუციური მოწყობის ცვლილებისაკენ. კანონი იქნა მიღებული თავისუფალი ვაჭრობისა და ინდუსტრიული ზონის შესახებ ფოთში, რომელიც გამიზნულია მთელი ქვეყნის მასშტაბით პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველოში მიმდინარე რეფორმები შეფასდა და აღიარებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში: „ბიზნესის კეთება"; „გამჭვირვალობის ინდექსი"; „რეგიონული საინვესტიციო კლიმატი"; „ტრანსპორტი და ვაჭრობის გამარტივება"; „კორუფციის აღქმის ინდექსი" და სამი კერძო კომერციული ბანკის შეფასება Fichis-ის მიერ. ყველა ანგარიშში ასახული იყო ქვეყნის შთამბეჭდავი წარმატებები ბიზნესის წარმოების, კორუფციის შემცირების, სახელმწიფოს მიერ შესრულებული მომსახურების და ქვეყნის გადახდისუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით. რეფორმებმა და ინვესტიციებმა უზრუნველყო პოზიტიური შედეგები, რომელიც აღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ანგარიშით „ბიზნესის წარმოება საქართველოში 2006 წელს" საქართველოს მიენიჭა მე-2 ადგილი და აღიარებულ იქნა 12 ყველაზე წარმატებულ ქვეყანას შორის ბიზნესკლიმატის გაუმჯობესების სფეროში [11].

ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ხელშემშლელ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგები. ომმა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმები საგრძნობლად შეაფერხა, გაუარესდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ქვეყანას შემოემატა 26.5 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი. მსოფლიოში არსებული გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე მათი სოციალური ბიზნესის სტატ. პრობლემების მოგვარების გამო საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა,

გაეწია დამატებითი ხარჯები, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწ-ყობს ინფლაციის ზრდას [3].

ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა, რომელმაც რეალური შედეგი გამოიღო, საგადასახადო რეფორმაა. რეფორმის მიზანი იყო ბიზნესისათვის საგადასახადო ტვირთის შემცირება, საგა-დასახადო სამსახურების მოხელეებთან არაკანონიერი გარიგე-ბების შემცირება და საგადასახადო ვალდებულებების შეს-რულება. რეფორმის ეფექტი უფრო დიდი იყო მოსალოდ-ნელთან შედარებით. საგადასახადო შემოსულობების ზრდის კვალობაზე, მთავრობამ, შემოსავლების გადიდების მიზნით, წინა წლების სეკვესტრისაგან განსხვავებით, რამდენიმე საბიუ-ჯეტო ცვლილება განახორციელა. კერძოდ, 2005-2008 წლებში გადასახადების სახეების რიცხვი 23-დან 7-მდე შემცირდა. საშემოსავლო გადასახადი შემცირდა 12%-მდე. დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი ნაცვლად 20%-ისა, გახდა 18%. სოციალურმა გადასახადმა განიცადა მნიშვნელო-ვანი ცვლილება – 33%-დან შემცირდა 20%-მდე, მოგვიანებით ის გაერთიანდა საშემოსავლო გადასახადთან და მთლიანო-ბაში 25% შეადგინა, რამაც დამქირავებელს შეუმცირა საგადა-სახადო ტვირთი. მოგვიანებით მოგების გადასახადი შემცირდა 20-დან 15%-მდე. მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა იმპორტის სატარიფო განაკვეთებში, რომლის მიზანს საინვეს-ტიციო საქონლის და მანქანა-დანადგარების ექსპორტის ხელ-შეწყობა და ახალი ტექნოლოგიების შეძენა წარმოადგენდა [9].

საგადასახადო რეფორმამ შესაძლებელი გახადა საგა-დასახადო შემოსავლების ზრდა და სამთავრობო ხარჯების შესაბამისი მართვა, რამაც შეამცირა არალეგალური სექტორი. საგადასახადო შემოსავლებმა 2003 წელს შეადგინა მშპ-ს 14%, 2005 წელს – 20.8%, ხოლო 2007 წელს საგადასახადო შემო-სავლების თანაფარდობამ მშპ-სთან 25.8% შეადგინა [11].

1995 წლიდან დღემდე, რეფორმის მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომლის უმთავრესი

მიზანიც ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა, კერძოდ კი, ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის ტემპის რეგულირებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის უზრუნველმყოფი პირობების შექმნა იყო. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა მდგრადი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და ეფექტური საანგარიშსწორებო ქსელის შექმნის უზრუნველსაყოფად. ეროვნულმა ბანკმა წარმატებით გაართვა თავი როგორც ქართული ვალუტის შემოღების მოსამზადებელ სამუშაოებს, ასევე ეროვნული ფულადი ერთეულის – ლარის მიმოქცევაში მტკიცედ დამკვიდრების უზრუნველმყოფ ღონისძიებებს. მთლიანობაში კი, ეკონომიკური რეფორმების თანამიმდევრულად გატარებამ, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამ და ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეზერვების ფლობამ, ლარი ერთადერთ გადახდის საშუალებად დაამკვიდრა ქვეყანაში. მიღებულ იქნა კანონები საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის ფულად ფორმაში მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ; კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის შესახებ; უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის დადგენის წესის შესახებ; მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დეკადურად გამოანგარიშების და გადახდის წესის შესახებ; კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების, გამოყენების, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესის შესახებ და სხვა [10].

ზემოაღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში საბანკო სისტემის მდგრადობისა და საიმედოობის შემდგომ ამაღლებას. საბანკო სისტემის გარდაქმნის პროგრამამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბანკების ლიკვიდურობის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლიდან სესხების საპროცენტო განაკვეთები მცირდებოდა, მათი დონე დეპოზიტებზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო. ეროვნული ვალუტით მოზიდულ

თანხებსა და გაცემულ სესხებს შორის მარჟა 15-20 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. შემცირების ტენდენციის მიუხედავად, სესხების დადგენილი საპროცენტო განაკვეთები მაინც საკმაოდ მაღალი იყო და წლიური 30-35%-ის დონეზე რჩებოდა, რაც აფერხებდა ეკონომიკურ აგენტთა მოთხოვნას საკრედიტო რესურსებზე. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი იყო სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის [4]. დღესაც საბანკო სისტემა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საიმედო პარტნიორს არ წარმოადგენს.

მცირე ბიზნესის ლეგალიზებას და განვითარებას ხელს უწყობს საგადასახადო კოდექსში შეტანილი უახლოესი ცვლილებები და დამატებები, კერძოდ ის, რომ კოდექსში გამოიყო XII თავი [9], რომლის მიხედვით, მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან. განსაზღვრულია მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30000 ლარს. ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკურ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100000 ლარს. მცირე ბიზნესის შემოსავალი იბეგრება 3%-ით თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი საბუთები; თუ ის საქმიანობს მხოლოდ სპეციალურ სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე. დანარჩენ შემთხვევაში მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით. აღნიშნული, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში, მაგრამ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით ვერ დარეგულირდება

მცირე ბიზნესი ისე, რომ მან შეძლოს მისი შესაძლებლობების სრული გამოვლინება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოს მხრიდან, მცირე ბიზნესის კეთების ერთიანი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა მოიცვას: მცირე ბიზნესის მარეგულირებელი საკანონმდებლო პაკეტი; მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ინსტიტუტები (მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია, მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი და სხვ.). მეწარმეობის განვითარების მიზნით უნდა მოხდეს საბანკო სისტემის გაუმჯობესება ისე, რომ ერთნაირად იყოს მისაწვდომი ნებისმიერი მეწარმე სუბიექტისათვის კრედიტებით სარგებლობა. შემუშავდეს მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ერთიანი სახელმწიფო პროგრამები.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულიების მექანიზმი საქართველოში, 2009.
2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა „სამოქალაქო გეგმა ევროკავშირი-საქართველო“. 2005 წლის მარტი (ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს).
3. **პაპავა ვლ.** ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკა; ახალი გამოწვევები და ძველი შეცდომები. წიგნში საქართველო 2009: ომის შემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2010.
4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემები.
5. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. 2005 წ. 24 ივლისი.
6. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. თბ. 1994 წლის 28 ოქტომბერი (2010 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით. 2010 წ. გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“).

7. საქართველოს კანონი „საბაჟო ტარიფების შესახებ“. 2006 წლის 25 ივლისი.
8. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლის უფლების გადაცემის შესახებ“, 11 ივლისი 2007.
9. საქართველოს „საგადასახადო კოდექსი“, 22 დეკემბერი, 2004.
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმა. 2001.
11. **ჩიქოვანი ე., ბასიაშვილი დ., კაკულია ე., მურადაშვილი ზ.** სოციალური რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საქართველოში. თბილისი, 2009.
12. **ჭითანავა ნ.** სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და პრივატიზაციის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები. ჟ. „ეკონომიკა“, 1998.

***Kakulia Eter***

## REGULARITIES OF ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN GEORGIA

### SUMMARY

The article has depicted the reforms in Georgian economy since 1990 which favored the formation of private sector in the country and of producers (businessmen) stratum and the society. In particular there are discussed: denationalization, reforms held in the spheres of privatization, liberalization, monetary and fiscal policy, banking system, custom and payment systems and their positive and negative results in the formation of entrepreneurship (business). There are given opinions on the measures to be held the formation and development of entrepreneurship (business) in Georgia.

*ზურაბ რევიშვილი*

# სასოფლო შინამეურნეობების ფორმირების თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს გასაბჭოების პერიოდში (1921-1991), სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დომინირებდა სახელმწიფო საკუთრება. მიწა მთლიანად, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა. 1991 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდების საერთო ღირებულებიდან 66,5% ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების წილად მოდიოდა 27% და პირადი საკუთრება შეადგენდა 6,5%. აღსანიშნავია, რომ კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრებას ნაკლებად ახასიათებდა კოოპერაციული საკუთრების ნიშნები, რეალურად იგი სახელმწიფო საკუთრების ნაირსახეობას წარმოადგენდა. 1990 წელს საქართველოში საკარმიდამო ანუ პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა მთლიანი სახნავი მიწების 12%-ით და მრავალწლიანი ნარგავების 27%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ პირად დამხმარე მეურნეობას არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თუ სხვა წარმოების ძირითადი საშუალებების საკუთრებაში ფლობის უფლება. მთლიანად, ამ დროისათვის, პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 5,5-6%-ით (ამ მაჩვენებელში არ არის გათვალისწინებული საერთო საძოვრებით სარგებლობა) და, ამავე დროს, ამ სექტორში იწარმოებოდა რესპუბლიკაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 47% [1, გვ. 70, 73]. სწორედ პირადი დამხმარე მეურნეობა წარმოადგენდა სასოფლო შინამეურნეობების ჩამოყალიბების საფუძველს.

სსრკ-ს დაშლამ და საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა სოფლის მეურნეობაში არსებითი გარდაქმნების განხორციელების შესაძლებლობა შექმნა.

ამასთან, სასოფლო-სამეურნეო რეფორმირება მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, განკერძოების საკითხი კერძოდ, საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობისა და პრობლემატურობის გამო, მოითხოვდა მსოფლიოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკების რიგ გამოცდილებათა მეცნიერულ გააზრებას, ქვეყნისათვის მისაღები სოფლის მეურნეობის განვითარების მოდელების ფართო განხილვის საფუძველზე საუკეთესო ვარიანტის შერჩევასა და სათანადო სამთავრობო სტრატეგიის შემუშავებას.

საქართველოში მომხდარმა (1992), გარე ძალების ხელშეწყობით პროვოცირებულმა, სამხედრო გადატრიალებამ განაპირობა ქვეყნისათვის კატასტროფული, ანარქიული მოვლენები, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევ განაწილებასა და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ქონების გაუაზრებელ დაშლასა და, რიგ შემთხვევებში, ძარცვაშიც აისახა. მიწების განაწილების პროცესი, ნაჩქარევად განხორციელების გამო, მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობდა. მთლიანად განაწილების პროცესმა აჩვენა, რომ იგი საჭიროებდა თითეული რეგიონისათვის სათანადო გააზრებას და კონკრეტული მიწის რესურსების და სავარგულების გაადგილების, სარგებლობის პირობების სრულად გათვალისწინებას. ასევე, უნდა განსაზღვრულიყო სასოფლო შინამეურნეობების ოპტიმალური ზომები როგორც ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე, ხელი უნდა შეწყობოდა მათი განვითარების ხელშემწყობი პირობების, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას.

საქართველოს სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლზე გაანგარიშებით, საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 3,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (გაანგარიშებულია 2003 წ. სავარგულების მთლიან ფართობზე - 3023,5 ათას ჰა-ზე), აქედან დაახლოებით 1,38 ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,51 ჰა სათიბ-საძოვარი. ფაქტობრივად 2003 წელს (1 აპრილისათვის) სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლს, პირად

სარგებლობაში არსებული ნაკვეთების (0,15-0,25 ჰა) ჩათვლით, საკუთრებაში გადაეცა 690,1 ათასი ჰა ფართობი (საშუალოდ-0,89 ჰა); აქედან ყოფილ კოლმეურნეობათა წევრებს და სახელმწიფო მეურენობათა მუშა-მოსამსახურეების 713,1 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 632,3 ათასი ჰა; სოფლად მცხოვრებ სხვა დასაქმების სფეროების მუშაკების 59,4 ათას ოჯახს გადაეცა 57,8 ათასი ჰა. ამ პერიოდისათვის მთლიანად საქართველოში საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მთლიანი რაოდენობის 25,2%. ამასთან ერთად, 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა (საშუალოდ 11,8 ჰა) და 4,2 ათას იურიდიულ პირზე გაიცა 432,0 ათასი ჰა (საშუალოდ 102,9 ჰა) [8, გვ. 1-3; 9, გვ. 1,4].

საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, სასოფლო სამეურნეო მიწების მქონე შინამეურ-ნეობების 43,2% ფლობდა 0,5 ჰა-ზე ნაკლებს; 0,5-0,99 ჰა მიწას ფლობდა მეურნეობების 32% ე.ი. 1 ჰა-ზე ნაკლებს ფლობდა მეურნეობების 75,2%; 1-1,99 ჰა-მდე გააჩნდა მეურნეობების მხოლოდ 18,3%-ს; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა – შინამეურ-ნეობების 1,4%-ს. აღსანიშნავია, რომ სასოფლო მეურნეობების მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია, ნაკვეთები გაბ-ნეულია და მნიშვნელოვნადაა ერთმანეთს დაცილებული. აღ-წერის მონაცემებით, ერთნაკვეთიანი მეურნეობები შეადგენდა მთელი მეურენობების 33,9%-ს, 2-3 ნაკვეთიანი იყო მეურ-ნეობათა 48,8%; 4-5 ნაკვეთიანი მეურნეობა იყო მეურნეობების 13% და 6-9 ნაკვეთიანი – მეურნეობების 3,9% [10, გვ. XXIII; 3-5; 51-54, 87].

საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვნად განსხვავადე-ბიან შინამეურნეობათა საშუალო ფართობის ზომების მიხედ-ვით. თუ მთლიანად ქვეყნის კონტროლირებად ტერიტორიაზე, როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო ადგილებში, საშუ-ალოდ ერთი ოჯახური მეურნეობა სარგებლობდა 1,05 ჰა-ით (2004); რეგიონებში ეს მონაცემი შეადგენდა (ჰა-ში): აჭარის არ – 0,5; გურია – 0,82; იმერეთი – 0,64; კახეთი – 1,9; მცხეთა-

მთიანეთი – 0,99; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-0,89; სამეგ-რელო-ზემო სვანეთი – 0,71; სამცხე-ჯავახეთი – 2,21; ქვემო ქართლი – 0,95 და შიდა ქართლი – 0,9 [10, 84-86].

აღწერის მონაცემებით, საქართველოში, საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეობაზე გაანგარიშებით მოდიოდა: 3,59 წევრი, მათ შორის 15-65 წლამდე 2,3 წევრი. იგი საშუალოდ ფლობდა (ჰა-ში): 1,21 სასოფლის-სამეურნეო სავარგულს, მათ შორის 0,68 სახნავს, 0,14 მრავალწლიან ნარგავს, 0,35 სათიბ-საძოვარს და 0,05 სხვა კატეგორიის მიწას. საშუალოდ ერთი მეურნეობა ფლობდა ასევე: მსხვილფეხა (კამეჩის ჩათვლით) – 1,71 სულს, მათ შორის ფურსა და ფურკამეჩს – 1,01 სულს; ღორს – 0,7 სულს, ცხვარსა და თხას – 1,04 სულს, ფუტკარს – 0,22 სკას, ფრინველს – 13,8 ფრთას; ცხენს, ვირსა და ჯორს – 0,08 სულს [10; გვ. 39, 42, 45, 58, 61, 221, 224, 227, 259].

შინამეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია. მხოლოდ ამ მეურნეობების 2,1%-ს გააჩნდა (2004) საკუთრებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბ-ლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი); 0,16% ფლობდა კომბაინს; 2,6% – სატვირთო ავტომბილს; 8,4% – სხვა სახის ავტომობილს. ამავე დროს, მეურნეობების 52,3% სარგებლობდა რომელიმე სახეობის ტრაქ-ტორით; 7,4% სარგებლობდა ხელის ტრაქტორით; 10,8% – კომბაინით; 23,8% – სატვირთო მანქანით და 10,4% კი სარგებ-ლობდა სხვა მანქანით [10, გვ. 251, 254]. სოფლების უმეტესი ნაწილი მწვავედ განიცდის ტრაქტორების, მისაბმელების, კომბაინების დეფიციტს. ნაკვეთების დაქსაქსულობის, მცირე ზომების გამო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისას იხარჯება მეტი საწვავი, ტექნიკა გამოიყენება არაეფექტიანად. სათანადო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მისაბმელების (სათესი, სასუქის, შხამ-ქიმიკატის შემტანი და სხვ.) ამორ-ტიზებულობის ან უქონლობის შედეგად აგროტექნიკური სამუ-შაოები ხორციელდება არადროულად, ირღვევა აგროვადები. იკვეთება, მექანიზებული სამუშაოების შემცირებისა და ცოც-

ხალი გამწევი ძალით (ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის წილის გადიდების ტენდენცია. ასევე, მნიშვნელოვნად გადიდდა დაუმუშავებელი, გაკორდებული სახნავების წილი. შინამეურნეობის აღნიშნული პრობლემები გავლენს ახდენენ მათ მოსავლიანობასა და პროდუქტიულობაზე.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთლიანად შეიმჩნევა ოჯახური შინამეურნეობების წილების ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილების შემცირების ტენდენცია. ასე მაგალითად, 1998-2009 წწ. ოჯახურ შინამეურნეობათა წილი კულტურათა მთლიან წარმოებაში გაიზარდა: მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები – 88%-დან 96.7%-მდე; სიმინდი – 90%-დან 100%-მდე; ბოსტნეული – 87%-დან 96-%-მდე; ბაღჩეული – 62%-დან 100%-მდე; ხილი – 99%-დან 99,8-%-მდე; ციტრუსი – 98%-დან 99,9%-მდე; ჩაის ფოთოლი – 45%-დან 70,7%-მდე. ამავე დროს, ყურძნის წარმოებაში მისი წილი შემცირდა 97%-დან 94,5%-მდე. ამ პერიდში, შინამეურნეობებს წილი ასევე გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაში 98,5%-დან 99,3%-მდე; ღორის რაოდენობაში 99,2%-დან 100%-მდე. თუმცა, აღნიშნულ წლებში, მათი წილი ცხვრისა და თხის რაოდენობაში შემცირდა 99,2%-დან 94,9%-მდე; ფრინველში – 98,8%-დან 79,3%-მდე [11, გვ. 35,54; 13, გვ. 34, 47, 61]. მეცხოველეობის პროდუქციის მთლიან წარმოებაში ოჯახური შინამეურნეობის წარმოების წილი შეადგენდა (2009): მსხვილფეხა საქონლის ხორცის წარმოებაში 99,5%-ს, ღორის ხორცის წარმოებაში 99,8%-ს, ცხვრისა და თხის ხორცის წარმოებაში 98,6%-ს, რძის წარმოებაში – 98,9%-ს, მატყლის წარმოებაში 96,3%-ს, თაფლის წარმოებაში – 99,5%-ს; შედარებით დაბალი წილი ჰქონდათ ფრინველის ხორცის -83,6% და კვერცხის წარმოებაში – 43,6% [13, გვ. 34, 47, 61, 68].

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს სასოფლო შინამეურნეობების განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის გან-

ხორციელების აქტუალობასა და მნიშვნელობას. თუმცა ფაქ-ტები მეტყველებს, რომ ამ მიმართულებით არ იდგმება სასურველი ნაბიჯები. საქართველოს სოფლის მეურნეობისათ-ვის მთლიანად და სასოფლო შინამეურნეობებისთვის კერძოდ, დამახასიათებელია საშუალო მოსავლიანობისა და პროდუქტი-ულობის შემცირების ტენდენცია. ამ ტენდენციას გარკვეულად ასახავს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურ-ნეობის, ნადირობის, მეტყევეობისა და თევზჭერის წილის შემცირების ტენდენცია; თუ 2000 წ. იგი შეადგენდა 20,6%-ს, 2008 წელს – 8,9%, 2009 წ. – 8,1%; ხოლო 2010 წელს (წინასწარი მონაცემებით) მან შეადგინა 7,3% [11, გვ. 11, 17, 18; 13, გვ. 17].

სასოფლო შინამეუნეობათა დიდი ნაწილის მცირემი-წიანობა, მათში პირუტყვის სულადობის სიმცირე, სამუშაოთა შეზღუდული მასშტაბები და მეტად დაბალი პროდუქტიულობა, ოჯახის ასაკოვანი წევრების მხოლოდ ნაწილის დასაქმების (თვითდასაქმების) შესაძლებლობებს იძლევა; ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ამ მეურნეობებში ნაწილობრივაა დატვირ-თული ან ფაქტობრივად უმუშევარია. ვფიქრობთ, დასაქმებისა და უმუშევრობის დადგენის მოქმედი მეთოდოლოგიური მიდ-გომები, რომლითაც ფიქსირდება მხოლოდ დასაქმების (თვითდასაქმების) თუ შინამეურნეობაში მონაწილეობის ფაქტი, არ გვაძლევს რეალურ სურათს, რადგან მათში არ აისახება სასოფლო შინამეურნეობებისთვის დამახასიათებელი არასრუ-ლი, ნაწილობრივი დასაქმება თუ ფარული უმუშევრობა [6]. ამგვარი ვითარება, ქვეყნის ქალაქებში მაღალი უმუშევრობის დონე და მათში დასაქმების უპერსპექტივობა და პრობლემა-ტურობა, რეალურად ქმნის სოფლის მოსახლეობის მნიშვნე-ლოვანი ნაწილის ქვეყნიდან მიგრაციის საფრთხეებს.

მცირე და საშუალო სასოფლო შინამეურნეობების უმე-ტესი ნაწილი ორიენტირებულია თვითუზრუნველყოფაზე და მთლიანად ახასიათებს მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე. ამ მეურნეობათა შემოსავლების დაბალი დონე, მათში

ფულადი შემოსავლების დაბალი ხვედრითი წილი და ნატურალური შემოსავლების მაღალი ხვედრითი წონა განაპირობებს სასოფლო შინამეურნეობების წარმოების უნივერსალურობის აუცილებლობას და მნიშვნელოვანწილად პირადი მოხმარების ნატურალურ ხასიათს.

მცირე და საშუალო ზომის სასოფლო შინამეურნეობებს მეტად შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ ბანკის კრედიტის აღებასთან დაკავშირებით [4, გვ. 73-88]. კრედიტის აღების შემთხვევაში კი აღსანიშნავია ის მაღალი რისკები, რომელიც დაკავშირებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სირთულეებთან და ფასების მერყეობასთან, რაც ფაქტობრივად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის კრედიტისა და პროცენტის დაბრუნებას.

საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში განუვითარებელია ინფრასტრუქტურები, რომლებიც მოამარაგებენ შინამეურნეობებს თესლებით, შხამ-ქიმიკატებით, სასუქებით და წარმოების სხვა საშუალებებით. ასევე განუვითარებელია სამსახურები, რომლებიც გაუწევენ მათ კონსულტაციებს ახალი აგრო-ტექნოლოგიების დანერგვაში, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდაში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში. უმრავლეს შემთხვევაში, შინამეურნეობების წევრებს აქვთ არასწორი ან არასრული ცოდნა აგროტექნიკურ და ზოოვეტერინალურ საკითხებზე, არა აქვთ სათანადო ინფორმაცია ახალ თესლებზე, პირუტყვის ჯიშებსა და ეფექტურ აგროტექნოლოგიებზე. მრავალი წვრილი, განუვითარებელი შინამეურნეობის არსებობა მეტად ართულებს ერთგვაროვანი ნედლეულის შექმნისა თუ შეკრების შესაძლებლობებს, რაც, ბუნებრივია, სერიოზული ბარიერია სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში.

სასოფლო შინამეურნეობების მეტად მცირე ნაწილი ფლობს ან სარგებლობს მიწის, შრომისა და კაპიტალის

საკმარისი რესურსით, მათ უმეტეს ნაწილს გააჩნია შედარებით ჭარბი ოჯახური სამუშაო ძალა და მცირე ზომის სავარგული (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავი), მაგრამ ფულადი შემოსავლების სიმცირის გამო არ გააჩნია სათანადო შემოსავალი ტექნიკის დასაქირავებლად, თესლების, სასუქების და შხამ-ქიმიკატების შესაძენად. სასოფლო შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი იძულებულია, წინა წლების მარცვლეულის თუ ბოსტნეულის მოსავლის ნაწილი გამოიყენოს სათესლე მასალად და აწარმოოს მინერალური სასუქის, შხამ-ქიმიკატების, მორწყვის გარეშე, ბუნებრივი მოვლენების იმედად. ასეთი წარმოება, ჩვეულებრივ, ძალიან დაბალ მოსავალს იძლევა, ხოლო გვალვების, სარეველების მომძლავრების, მღრღნელებისა თუ მწერების შემოსევის, მცენარეთა დაავადებების შემთხვევებში ისინი საერთოდ უმოსავლოდ რჩებიან.

მიწის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ საქართველოს აგრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს, ერთი მხრივ, სასოფლო შინამეურნეობათა საშუალო ზომის ოპტიმალურად გადიდებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, იგი უნდა ზღუდავდეს მეტად დიდი მეურნეობების და შესაბამისად მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოქმნასა და ფუნქციონირებას. სავარგულების პრივატიზებისა თუ ყიდვისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ და სოფლისმეურნეობრივი გამოცდილების მქონე ფიზიკურ პირებს.

აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციაა წარმოების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს როგორც საბაზრო ძალების ზეგავლენით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. ვფიქრობთ, კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს ოპტიმალური ოჯახური მეურნეობების შენარჩუნებას. იგი არ

უნდა უწყობდეს ხელს არც ძალიან მსხვილი მეურენეობების შექმნას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას.

საქართველოში, გამომდინარე არსებული ვითარებიდან და სასოფლო შინამეურნეობების მდგრადი განვითარების აუცილებლობიდან, საჭირო მიწების გადანაწილების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს შინამეურნეობათა საშუალო ზომების გადიდებას 2-3 ჰა-მდე. ამავე დროს, ადგილობრივი მიწის რესურსებიდან გამომდინარე, რეგიონებისათვის დიფერენცირებულად უნდა განისაზღვროს მეურნეობების საშუალო, მაქსიმალური თუ მინიმალური ზომა, დადგინდეს იჯარით გასაცემი მიწის ზღვრული სიდიდე. გრარული პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების გაერთიანებისაკენ, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნისაკენ. ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მოსახლეობის საჭიროებების და მოთხოვნის შესწავლას, მარკეტინგული მომსახურების განვითარებას, სოფლად აქტიურად მოქმედი საკრედიტო კავშირების ორგანიზებას. ასევე აუცილებელია სოფლის პრობლემების დაძლევის კომპლექსური რეგიონული პროექტების შექმნა და მათი სახელმწიფო დაფინანსება.

სასოფლო შინამეურნეობის განვითარების საფუძველია მათი სპეციალიზაცია. სპეციალიზაციის დროს ხდება შრომის დანაწილება და ფუნქციების გამიჯვნა არა მხოლოდ მარცვლეულის მწარმოებლებსა და პირუტყვის მომშენებლებს შორის, არამედ ასევე სხვა მრავალ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობათა შორისაც. სწორედ სპეციალიზაცია განაპირობებს შინამეურნეობათა სტრუქტურულ ცვლილებებს. შინამეურნეობებში სტრუქტურული ცვლილებების, ტრანსფორმირების ანალიზისას, განიხილავენ 3 ძირითად მიმართულებას, კერძოდ, ესაა: 1. ახალი ბიოლოგიური, ქიმიური და მექანიკური წარმოების საშუალებების გამოყენება; 2. ახალი ტექნიკური და ორგანი-

ზაციული ცოდნის გამოყენება; და 3. შოფლისმეურნეობრივი სასაქონლო პროდუქციის ფართო ბაზრებში შეღწევა [3, გვ. 35].

მეურნეობათა სპეციალიზაცია, ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნა, როდესაც მთავარ ორიენტირად იქცევა სასაქონლო წარმოება, განაპირობებს მათ მიერ 1-2 კულტურის წარმოებაზე ან ერთი სახეობის პირუტყვისა თუ ფრინველის მოშენებაზე რესურსების მიმართვას.

სახელმწიფომ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შინამეურნეობებისათვის განკუთვნილი აგროტექნოლოგიების კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების დაფინანსებას, რომელთაც რეგიონებსა თუ რაიონებში ექნებათ საცდელ-სადემონსტრაციო სადგურები, რომლებიც განახორციელებენ ჯიშთა გამოცდას, შერჩევასა და დარაიონებას, სასელექციო სამუშაოების ჩატარებას. საჭიროა ეტაპობრივად შეიქმნას და განვითარდეს სოფლების საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების და ტექნიკური მომსახურების რაიონული ცენტრები, რომლებიც იტვირთავენ მცირე, საშუალო და მსხვილი შინამეურნეობების ინფორმაციულ, საკონსულტაციო მომსახურებას, ხელს შეუწყობენ ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელებას, დაეხმარებიან ფერმერებს ტექნიკის შეძენასა და რემონტის განხორციელებაში, ახალი ჯიშების და კულტურების დანერგვაში, წარმოების შიდა და გარე ბაზრებზე სწორ ორიენტაციაში.

სახელმწიფო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტულობის გადიდებას. მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება. ამგვარი სასოფლო შინამეურნეობების გაერთიანებანი უნდა უადვილებდნენ მის წევრებს ერთობლივად კრედიტების აღებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო მასალების ერთობლივ

შეძენას, ერთგვაროვანი ნედლეულის წარმოებასა და წარმოებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციას.

რეგიონებში უნდა განვითარდეს სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი, დაწყებული სასოფლო სკოლებიდან, სადაც მოსწავლე დაეუფლება რიგ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს, შეიძენს სათანადო ცოდნასა და შრომით ჩვევებს. ასევე, უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სპეციალიზებული პროფესიული ტექნიკუმების და სპეციალიზებული სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების სისტემა. საჭიროა მომზადდეს და გადამზადდეს კვალიფიციური აგრონომები, ვეტერინარები და ზოოტექნიკოსები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან სასოფლო შინამეურნეობების დახმარებაზე, მცირე და საშუალო მეურნეობების საჭიროებებზე.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას სოფლის მეურნეობაში შეიძლება ახლდეს გარკვეული რისკი. ახალი, გამძლე მაღალმოსავლიანი სახეობების დანერგვა, მიიღება თესლების, სასუქების, პესტიციდების და მთლიანად აგროტექნოლოგიური პროცესების სათანადო ცოდნის კომბინაციით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ მიმართულებით ძალისხმევამ განაპირობა რიგ ქვეყნებში “მწვანე რევოლუცია”. ამ პროცესის წარმატება საქართველოში, დიდადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო სავარულების ირიგაციაზე, ვინაიდან მხლოდ მორწყვის სისტემების დანერგვით შეიძლება შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული გვალვებით გამოწვეული დანაკარგების რისკები.

მოსავლიანობის ამაღლება არ არის დამოკიდებული მხოლოდ წარმოების ახალ საშუალებებსა თუ აგროტექნოლოგიებზე. ტექნოლოგიურ სიახლეებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეთა (გლეხთა, ფერმერთა) გამოცდილებას, რომელიც მიღებულია თაობების მიერ და ეფუძნება მეურნეობრიობის ადგილობრივი პირობების ზედმიწევნით ცოდნას, მათ დაკვირვებებს წარმატებულ თუ წარუმატებელ პერიოდებში.

ისტორიულად, საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი (ყურძნის, მარცვლეულის და პირუტყვის ენდემური ჯიშების სიმრავლე, ადგილობრივ პირობებთან მისადაგება, საუკეთესო გემოვნური თვისებები და სხვა), საუკუნოვანი ბუნებრივი შერჩევისა და ადამიანური ცოდნის დაგროვების ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ამრიგად, სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, სასოფლო შინამეურნეობათა მოსავლიანობისა და პროდუქტულობის გადიდებას; ხოლო, მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობათა მდგრადი განვითარება, ხელი უნდა შეუწყოს მოწინავე აგროტექნოლგიების თუ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პირობების კარგად მცოდნე მეურნეების (გლეხები, ფერმერების) ჩამოყალიბებას. ასევე ხელი უნდა შეუწყოს როგორც სასოფლო შინამეურნეობათა კოოპერატივების შექმნას, ისე, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების თუ გაერთიანებების შექმნასა და განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ჭითანავა ნ. ა.** საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. “საქართველო”, თბილისი, 1993.
2. **Roger D. Norton.** Agricultural Development Policy: Concepts and Experiences. Published: John Willey &Sons Ltd, West Sussex, England, 2004; Cop.: FAO of the UN, 2004 .
3. **T.P. Tomich, P. Kilbey and B.E. Johnston.** Transforming Agrarian Economies, Opportunities Seized, Opportunities Missed. Cornell U-ty Press, Ithaca, New York, 1995.

4. **K. Glenk, J. Pavliashvili, and A. Profeta.** “Preferences for rural credit Systems and their impact on the implementation of credit unions in Georgia”. Journal of Rural Cooperation 37(1), 2009.
5. **Pavliashvili J.** “Land Use Systems and Rural Poverty in Georgia”, Crop Science and Land Use for Food and Bioenergy, edit. R.K Behl and others, Published by Agrobios(International), 2010.
6. **რევიშვილი ზ.** სასოფლო შინამეურნეობების პრობლემები და აგრარული პოლიტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, 2009.
7. **რევიშვილი ზ.** სასოფლო შინამეურნეობებში არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის დადგენის საკითხისათვის, სამეცნიერო შრომათა კრებული III, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.
8. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2001 წ. მდგომარეობით, თბილისი, 2001.
9. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2003 წ. მდგომარეობით, თბილისი, 2003.
10. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურენო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005
11. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

12. საქართველოს შინამეურნეობები 2008, სტატ. პუბლიკაცია. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
13. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, სტატ. პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2010.
14. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010, სტატ. უბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2011.

***Revishvili Zurab***

## THE RURAL HOUSEHOLDS IN GEORGIA: FORMATION, PROBLEMS AND WAYS OF DEVELOPMENT

### SUMMARY

The article shows the formation of rural households in Georgia, issues of agricultural land distribution, the measures of farm sizes, their production facilities. Are emphasized the problems of rural small and medium households – lack of lands, agricultural machinery; difficulties of obtaining credit, etc. Are analyzed the ways of farm sizes increasing, land consolidation, specialization and others, which promote the development of rural households in Georgia.

*თენგიზ ქავთარაძე*

# სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში აბრარული რეფორმების გატარების პირობებში

ცნობილია, რომ ეკონომიკური რეფორმის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს მიწის რეფორმა. ბევრი ავტორი მას რეფორმების განხორციელების ტრეადის – მიწის რეფორმის, პრივატიზების, დემონოპოლიზების – ძირითად შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, რაც სავსებით სწორია. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ყველა ქვეყანაში იწყება მიწის რეფორმით, რომლის ხასიათს ბევრად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებები. აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული წესი განსაზღვრავს ერის მენტალიტეტს, მის დამოკიდებულებას წარმოების სხვადასხვა წესისადმი, საერთოდ სიახლეებისა და მით უფრო ეკონომიკური რეფორმებისადმი.

ამდენად, მიწის რეფორმა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საკითხია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე. მით უფრო რთულია იგი სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალურ სახელმწიფოებში, რომლებშიც ძალდატანებით იქნა შეწყვეტილი სოფლად საბაზრო ურთიერთობათა განვითარების ბუნებრივი პროცესი. მოხდა მიწების ნაციონალიზაცია – სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადება და კოლმეურნეობებზე, საწარმოო კოოპერატივებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე უფასოდ ხანგრძლივვადიან სარგებლობაში გადაცემა. საწინააღმდეგო პროცესსზე, რომელიც ამ ქვეყნებში მიმდინარეობს, დამამუხრუჭებლად მოქმედებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანების შეცვლილი ფსიქოლოგია, დამოუკიდე-

ბელი შრომის უნარის მოდუნება, სოციალური და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მცდელობა.

აგროსასურსათო კომპლექსს საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ახლო წარსულში აქ იწარმოებოდა მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქციის 23%, მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლის 32% და თავმოყრილი იყო ძირითადი ფონდების 24%.

საქართველოში დაწყებულმა აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების განსახელმწიფოებრიობის პროცესი, მოსახლეობისთვის დამატებითი საკარმიდამო, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა. ინტენსიური სავარგულების მთლიანი ფართობიდან 850 000 ჰა ანუ 55% პრივატიზებულია. შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმა რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სწრაფად წარიმართა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

სოფლად რეფორმები განხორციელდა ზედაპირულად, ყოველგვარი ნორმატიული ბაზის მომზადების გარეშე, რის გამოც ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განვლილ პერიოდში წარმოება კატასტროფულად დაეცა (2004 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1980-1990 წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით – 70 პროცენტით).

1993 წელს საპრივატიზაციოდ გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მიწის ფართობი შეადგენდა 287,0 ათას ჰექტარს, 1994 წელს შესაბამისად – 396,1 ათასს, 1997 წელს კი – 930,0 ათას ჰექტარს. პრივატიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულად გამოცხადდა 1997 წლის 1 აპრილს; რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, იგი დიდი დაგვიანებით, თითქმის პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულების ბოლოს შეიქმნა. მაგალითად, 1996 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 1996 წლის 28 ივლისს – საქართველოს

კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, 1997 წლის 7 აპრილს – „აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“ და ა.შ. პირველი ეტაპის დასრულებისათვის (1997 წლის 1 აპრილი) პრივატიზებული უნდა ყოფილიყო 930 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ფაქტიურად აღმოჩნდა 844 ათასი ჰექტარი ანუ 90,7%.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ისინი, ვისაც კერძო საკუთრებაში მიეღოთ მიწის ნაკვეთები, დაიყვნენ სამ კატეგორიად. მოქალაქეებს, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვნენ ფერმერულ მეურნეობაში, უფლება ჰქონდათ მიეღოთ კომლზე 1,25 ჰა მიწის ნაკვეთი; სოფელში მცხოვრებ პირებს, რომელნიც არ იყვნენ ჩართული ფერმერულ მეურნეობაში, ასევე განათლების, კულტურის, საჯარო, ჯანდაცვისა და ა.შ. სისტემებში მოღვაწეთ, შეეძლოთ მიეღოთ 0,75, ხოლო ქალაქში მცხოვრებ პირებს – 0,25 ჰექტარი.

მიწის ნაჩქარევი რეფორმისა და პრივატიზაციის შედეგად საქართველოში მიწის დანაწევრება მოხდა. დაირღვა საყოველთაოდ აღიარებული ნაკვეთის დაუნაწევრობის, განუყოფლობის პრინციპი. 1,25 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი ძალზე მცირეა ფერმის ფუნქციონირების ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობისათვის; საყურადღებოა, რომ აშშ-ში ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ 190 ჰა მიწის ფართობი მოდის; 90-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს თითო კოლმეურნეობაზე საშუალოდ 1800 ჰა მიწის ფართობი მოდიოდა.

მიწის რეფორმის დაწყებამდე უნდა ჩატარებულიყო მიწების სრული ინვენტარიზაცია. უნდა დაედგინათ საზღვრები ცალკეულ ნაკვეთებზე, უნდა შეედგინათ გეგმა-კადასტრი – ნიადაგის ხარისხის თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა და ბოლოს, პასპორტიზაცია. ამას მოითხოვდნენ მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის სპეციალისტები, ამერიკელი კონგრესმენი, აგრარიკოსი კუპერ ევანსი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები: ე.ვ. გილბერტი, ვ.ჯ. არმისონი, ქართველი სპეციალისტები: ლადო ჭანტურია, ოთარ საღარეიშვილი და მრა-

ვალი სხვა. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 1996 წელს გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში, მაგრამ ეს არ მოხდა. სამაგიეროდ, სამუშაოების წარმოება დაიწყეს უკუღმა, პირდაპირ მიწის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი პასპორტების დარიგებით, სადაც მოცემული არ არის საზღვრები, კადასტრის სხვა მონაცემები და ა.შ.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის წინ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა ე.წ. „იმატრიკულაციის წესი“, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწა 10-20 წლის ვადით, გამოცდის მიზნით, პირობით გადაეცემა პიროვნებას, რომელმაც ამ დროის მანძილზე უნდა დაამტკიცოს, რომ იგი კარგი მეურნეა. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მიწა მის საკუთრებაში. საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომ გაეთვალისწინებინათ „იმატრიკულაციის წესი“, ჩვენი სოფლის მეურნეობა დღეს უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ამრიგად, საქართველოში ფუნქციონირებს ძირითადად კერძო წვრილი ოჯახური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა საერთო რიცხვი მილიონზე მეტია, ხოლო მიწის ნაკვეთები 4 მილიონზე მეტი. ფირმის საშუალო სიდიდე დაახლოებით 2,7 ჰა ტოლია, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 92-93% შეადგენს; კერძო სექტორის ხელში მოექცა სოფლის მეურნეობის წარმოება, მაგრამ შედეგი მაინც დაბალია. მცირე ზომის ოჯახური მეურნეობები კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას ეწევიან (მათი მცირე მოცულობის გამო ნაკლებად გამოიყენება მექანიზაცია); ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო ვერ ხერხდება დარგის ტექნიკური შეიარაღება, საწარმოო სიმძლავრეთა განახლება, ვერ ინერგება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, აგრარული სექტორი მხოლოდ 38%-ით აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების სურსათით; ბაზარზე 50%-მდეა იმპორ-

ტული კვების პროდუქტები, ხოლო ზღვრულ დასაშვებ ნორმად მიღებულია 25-30%.

საქართველოს რესპუბლიკას უკავია 69,7 ათასი კმ$^2$ ფართობი, სადაც დაბლობზე მოდის მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 13%, მთის წინებზე 33%, მთაზე 53,6%. სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის მხოლოდ 44%; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში სახნავ მიწებზე მოდის 24,1%, მრავალწლიან ნარგავებზე – 10%, სათიბებსა და საძოვრებზე 65,6%. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 1,6 ჰა დამუშავებაში მყოფი მიწა და 1,2 ჰა სახნავი. ქვეყანა მიწათმოქმედების რისკის ზონაშია მოქცეული. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის მისაღებად რწყვასთან ერთად (აღმოსავლეთ საქართველოში), აუცილებელია დაშრობითი სამუშაოების ჩატარება (დასავლეთ საქართველოში).

საქართველოში იწარმოება მრავალი სახის, როგორც საშინაო მოხმარების, ისე საექსპორტო დანიშნულების პროდუქცია. საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალზე მსჯელობისას უპირატესად იგულისხმება კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა. მისი განვითარების მასშტაბებს განსაზღვრავდა ქვეყნის გეოკლიმატურ პირობებზე დამოკიდებული რესურსული უზრუნველყოფა, ტრადიციები, მოთხოვნები და სხვა ფაქტორები.

ცენტრალიზებული გეგმური სისტემის დეინტეგრაციამდე სექტორში იწარმოებოდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 40%-ზე მეტი. იმ პერიოდის ფასების პარიტეტის გათვალისწინებით საკვები პროდუქტების ექსპორტის ღირებულება ორჯერ აღემატებოდა იმპორტის მოცულობის ღირებულებას. 1983 წლის მონაცემებით, საქართველოში წარმოებული პროდუქციის 25,17% ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და მის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა, ხოლო საქართველოში მოხმარებული პროდუქციის 26,1% იმპორტს შეადგენდა. 1989 წელს ექსპორტირებული იყო 5,5 მლრდ მანეთის პროდუქცია, ხოლო

იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა 3,4 მლრდ მანეთი შეადგინა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში სავაჭრო ბალანსი სალდო დადებითი იყო და იგი 2,1 მლრდ მანეთს შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ბალანსის ფორმირებას, ექსპორტის საკმაოდ დიდ მოცულობასთან ერთად, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირში არსებული ფასებიც. კერძოდ, შიდა ბაზარზე კვებისა და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მსოფლიო ფასებს. მაშინ, როდესაც მსოფლიო ფასებთან შედარებით ენერგომატარებლებსა და ნედლეულზე შიდა ფასები გაცილებით ნაკლები იყო. ამასთან, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის მხოლოდ 6,5% ხვდებოდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ. შიდა ბაზარი მოიხმარდა წარმოებული დაფასოებული ჩაის 1%-ს, ბრენდის (კონიაკის) 8%-ს, ეთერზეთების 10%-ს, შამპანური ღვინოების 25%-ს, ხილბოსტნეული კონსერვების 24%-ს, ყურძნის ღვინოების 36%-ს, მინერალური წყლების 40%-ს. ამდენად, სექტორი მნიშვნელოვანწილად ორიენტირებული იყო საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე და არსებული სამრეწველო პოტენციალის გამოყენების მაღალი დონით ხასიათდებოდა.

ცნობილი პოლიტიკური ხასიათის მოვლენებმა და ეკონომიკური პროცესების მართვაში ჩამოყალიბებულმა გადაუჭრელმა პრობლემებმა განაპირობა დარგის მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი გაუარესება – საქართველოს კვების მრეწველობამ დაკარგა პოზიციები როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზარზე.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 1985-1990 წლებში საქართველოს წილი საკვები პროდუქტებით ვაჭრობაში ყოფილ საბჭოთა სივრცეში 10% შეადგენდა, ხოლო ექსპორტის ღირებულება 1,7-ჯერ აღემატებოდა სხვა დანარჩენი რესპუბლიკებიდან საკვები პროდუქტების იმპორტის საერთო ღირებულებას.

2010 წლის მაჩვენებლებით კი, 1990 წლის დონესთან შედარებით, იწარმოვა დაფასოებული ჩაი 6,1%, კონიაკი (ბრენდი)

– 29,4%, მინერალური წყლები 32,2%, ყურძნის ღვინო – 13,5%, ხილბოსტნეულის კონსერვები – 0,46%, მცენარეული ზეთი – 5,8%.

სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით საგრძნობლად შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა. მაგალითად, ხორცეულის პროდუქცია ერთ სულზე 1990 წელს დაფიქსირებული 5,7 კგ-დან 2010 წელს შემცირდა 0,1 კგ-მდე, რძის ნაწარმი 4,5 კგ-დან 0,7 კგ-მდე, ხოლო ხილბოსტნეულის კონსერვები – 136 პირობითი ქილიდან 5 პირობით ქილამდე.

განსაკუთრებით დაკნინდა ვითარება საკონსერვო მრეწველობაში, რომელსაც შეუძლია გარკვეულად სტრატეგიული ფუნქციაც კი იკისროს არა მხოლოდ ქვეყნის სასურსათო ბალანსის შევსებაში, არამედ საექსპორტო პროდუქციის წარმოებაშიც. ნიშანდობლივია, რომ დარგის წლიური სიმძლავრე შეადგენს 800 მილიონ პირობით ქილას, ხოლო ისტორიული ტრადიციები და ხელსაყრელი კლიმატი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებისათვის.

საგულისხმოა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პიკურ პერიოდში – 1988 წელს – გადამუშავდა 160 ათასი ტონა თესლოვანი და 94 ათასი ტონა კურკოვანი ხილი, 98 ათასი ტონა ციტრუსი, 79 ათასი ტონა პომიდორი, 16 ათასი ტონა ყურძენი, 12 ათასი ტონა ბოსტნეული და სულ იწარმოვა 760 მლნ პირობითი ქილა საკონსერვო პროდუქცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ბოლო ოცი წლის მანძილზე ორჯერ შემცირდა, მნიშვნელოვნად 1992-1994 და 2006-2010 წლებში. ამასთან, თუ პირველი პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა ზრდის ტენდენციას, მეორე პერიოდისათვის დაღმავალი დინამიკაა დამახასიათებელი. 2009 წელს, 2005 წელთან შედარებით, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი 210, ხოლო გასული საუკუნის 80-

იან წლებთან შედარებით 520 ათასი ჰექტარით შემცირდა. აღ-სანიშნავია, რომ საანალიზო წლებში შემცირდა თითქმის ყველა სახის კულტურის ნათესი ფართობი და მთლიანი მოსა-ვალი. მრავალწლოვანი ნარგავობა თითქმის სამჯერაა შემცი-რებული. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება მეცხოველეო-ბაშიც, სადაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა რო-გორც პირუტყვის სულადობა, ისე ხორცისა და მეცხოველეო-ბის სხვა პროდუქტების წარმოება. 2005 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 2010 წელს 155 ათასით, ღორის სულადობა 400 ათასით, ცხვრისა და თხის – 201 ათასი სულით, ფრინველის 850 ათასი ფრთით შემცირდა. ყველა სახის ხორცის წარმოება (დაკლული წონით) თითქმის განახევრდა და 105 ათასი ტონის ნაცვლად 54 ათასი ტონა შეადგინა. რძის წარმოება შემცირებულია 65 ათასი ტონით, კვერცხის 60 მლნ ცალით. ერთადერთი დარგი, რომელიც ამ პერიოდში აღმავლობას განიცდიდა – მეფუტკრეობა იყო. მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურურნეობის ხვედრითი წონა 2005 წ. 14,8%-დან 9%-მდე შემცირდა. სახეზეა ფასების პარიტეტის ცვლილებები სასოფლო წარმოებაში გამოყენებუ-ლი სამრეწველო წარმოშობის პროდუქციის სასარგებლოდ. ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბდა ცოდნის, ახალი ტექნოლოგიების, ფინანსური და მატერიალური რესურსების მწვავე დეფიციტი. მცირე გამონაკლისის გარდა, არ არსებობს წარმოებული პროდუქციის ხელსაყრელ ფასებში გაყიდვის გა-რანტია. სამრეწველო გადამუშავებაში გვხვდება წარმოებული ნედლეულის 8-10%. ჩამოყალიბდა სასოფლო საწარმოების შე-მოსავლების კლების, მათი ნატურალიზაციის, წარმოების თვითორგანიზაციის დაქვეითების ტენდენცია. სოფელმა და-კარგა ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარი, რის გამოც საქართველოში შეწყდა ან მინიმუმამდე შემცირდა თამბაქოს, ეთერზეთების, საადრეო ბოსტნეულის, ჩაის და მრავალი სხვა სახის პროდუქციის წარმოება. აგროპროდუქციის რეალიზა-ციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობე-

ბის ფულად შემოსავლებში კლების ტენდენციით ხასიათდება და მან 2010 წელს 6,1% შეადგინა 2000 წელს არსებული 15,5 და 2005 წლის 12%-ის ნაცვლად. გაუარესდა საკუთარი წარმოების პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. ხორბლით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 10%-მდე შემცირდა 2001 წელს არსებული 32 და 2005 წლის 21%-ის ნაცვლად, ბოსტნეულითა და კარტოფილით თვითუზრუნველყოფამ შესაბამისად 85% შეადგინა ადრე არსებული 100%-ის ნაცვლად. ყველა სახეობის ხორცით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 39%-მდე შემცირდა 2000 წელს არსებული 84 და 2005 წლის 76%-ის ნაცვლად. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცით უზრუნველყოფამ 52, ღორის ხორცით – 39 და ფრინველის ხორცით 25% შეადგინა შესაბამისად 2005 წელს არსებული 87,84 და 46-ის ნაცვლად. ერთადერთი პროდუქცია, რომლითაც საკუთარი წარმოების პროდუქციით მოსახლეობა იყო უზრუნველყოფილი, ესაა ცხვრისა და თხის ხორცი.

ქვეყანა სულ უფრო მეტად იმპორტდამოკიდებული ხდება და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. უფრო მეტიც, იმპორტზე ორიენტაცია სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, რადგან შემოტანილ პროდუქციაზე დარიცხული გადასახადები ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტში შემოსავლების ძირითადი კატეგორია წარმოების მომსახურეობის ზრდიდან მიღებული გადასახადები იყოს. 2010 წელს საქართველოში შემოიტანეს 960 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, მაშინ, როცა წინა წლებში იგი 500-200 მილიონის ფარგლებში მერყეობდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთი პროდუქტების იმპორტს, რომლებიც საქართველოში არ იწარმოება, რჩება 780 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია, რომლის წარმოება შესაძლებელი იყო ანუ ეს არის ბაზრის დამატებითი მოცულობა, რომელიც ქართული პროდუქციით უნდა შევსებულიყო და პროდუქციის იმპორტზე

გაწეული ხარჯები საქართველოში მცხოვრებ მეწარმეთა საკუთრება გამხდარიყო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად ექსტენსიური მეთოდები გამოიყენება. გასარწყავებული მიწების რაოდენობა 150-180 ათას ჰექტარამდე შემცირდა 420-450 ათასი ჰექტარის ნაცვლად; ორგანული და მინერალური სასუქები, პესტიციდები და ჰერბიციდები ადრინდელთან შედარებით 3,5-4-ჯერ ნაკლები გამოიყენება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კოლხეთის დაბლობზე რვაჯერაა შემცირებული და 20-22 ათას ჰექტარს შეადგენს. ძლიერდება მეორადი დაჭაობების პროცესები. ქვეყანაში იზრდება დამლაშებული ბიცობი ნიადაგების ფართობები, დაწყებულია გაუდაბნოების პროცესი, ეროზირებული მიწების ფართობმა 1 მლნ ჰექტარს გადააჭარბა, მცირდება ნიადაგში ჰუმუსის შემცველობა, ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება სახნავი მიწების 50-60% მაშინ, როცა პროდუქციის წარმოების სტრუქტურაში კერძო სექტორზე 90-95% მოდის. საქართველოს არ გააჩნია აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგია. ამიტომაც, ცალკეული სახის ერთჯერადი დახმარებები (სასუქი, საწვავი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა.) ვერ აღწევს სასურველ შედეგს, რადგან მას არა დარგის განვითარების, არამედ პიარაქციებისათვის მიმართავენ. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შემუშავებისას აუცილებელია საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება, რაც ქვეყნის ვერტიკალური ზონალობითაა განპირობებული და რის გამოც შედარებით მცირე ტერიტორიაზე საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა და 8 ქვეზონაა გამოყოფილი.

ქვეყნის ბუნებრივი კლიმატური პირობები მრავალი კულტურის წარმოების საშუალებას იძლევა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის უნდა ვაწარმოოთ ყველა კულტურა. დარგების მრავალრიცხოვნობას მივყავართ მის დაქუცმაცებამდე. ეს კი ამცირებს წარმოების

კონცენტრაციის დონეს, რაც უარყოფითად მოქმედებს მეურნეობრიობის ეფექტიანობაზე. გონივრული სპეციალიზაციის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქმნის წარმოების მთავარი ფაქტორის – მიწის, შრომის, კაპიტალური დაბანდებების, ძიირითადი აქტივების ეფექტიანი გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის პირობას, აგრეთვე ხელს უწყობს წარმოების ინტენსიურ ტექნოლოგიებზე გადასვლას.

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა ქვეყნის სოფლის მეურნეობის სპეციალიზციის დონე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც ქვეყნის მასშტაბით მთლიანად და რეგიონების მიხედვითაც, რეფორმამდე მიღებულ სპეციალიზაციის დონესთან შედარებით დაბალია. მისი მიზეზია ის, რომ ბოლო პერიოდში მთავარი ყურადღება მიექცა მარცვლეულის, კარტოფილისა და მეცხოველეობის პროდუქტების ანუ პირველადი საჭიროების პროდუქტების წარმოებას, ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაღალი სასაქონლო, მაპროფილებელი პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ხილი, ყურძენი, თამბაქო) წარმოება კი კატასტროფულად შემცირდა გასაღების ბაზრების დაკარგვისა და გადამამუშავებელი ბაზის სრული მოშლის გამო. ამის გარდა, მხარეების გამოყოფისას, ერთ რეგიონში მოხვდა მთისა და ბარის რაიონები, რომელთაც მკვეთრად განსხვავებული საწარმოო სპეციალიზაციის მიმართულებები გააჩნიათ. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; მცხეთა-მთიანეთი; სამცხე-ჯავახეთი. სტატისტიკური აღრიცხვის მონცემებით დღეს მათი (მთისა და ბარის) რეგიონების გამოცალკევება შეუძლებელი გახდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო პროფილი რეგიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცხოველეობა – 45,4%, მეკარტოფილეობა – 18,6%, მეთამბაქოეობა – 0,19%, მეციტრუსეობა – 14,2%, მეჩაიეობა – 11,5%; გურია – მეჩაიეობა – 9,9%, მეცხოველეობა – 47%; იმერეთი – მეცხოველეობა – 48%, მე-

მარცვლეობა – 32,6%, მევენახეობა – 8,82%; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – მეცხოველეობა – 56%; შიდა ქართლი – მეცხოველეობა – 35,2%, მეხილეობა – 21%; მცხეთა-მთიანეთი – მეცხოველეობა – 60%, მევენახეობა – 3%; კახეთი – მევენახეობა 5,6%, მემარცვლეობა – 33,9%, მეცხოველეობა – 44,6%; ქვემო ქართლი – მეცხოველეობა – 50,3%, მეკარტოფილეობა – 25%; სამცხე-ჯავახეთი – მეცხოველეობა – 32%, მეკარტოფილეობა – 51%.

კვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის დონის ამაღლების მიზნით არ წარმოებს სათანადო მუშაობა.

ახლა უკვე აღარ კმარა ის, რომ მხოლოდ სწორად განვსაზღვროთ და გავაანალიზოთ სპეციალიზაციის ფაქტიური დონე, მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შედეგები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი შესაძლებლობები, სწრაფი ტემპები და დარგთაშორისი კავშირების განვითარების ტენდენციები აუცილებლად მოითხოვს წინასწარ განისაზღვროს და მეცნიერულად დასაბუთდეს არა მარტო უახლოეს, არამედ შორეულ პერსპექტივაშიც სპეციალიზაციის მიმართულება, კონცენტრაციის დონე და მათ საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მიმართულებები.

სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს ცალკეულ ზონებში არსებულ სასოფლო საწარმოებში განვავითაროთ ისეთი დარგები და კულტურები, რომლებიც მხოლოდ თვალსაჩინო ეკონომიკურ ეფექტს იძლევიან. მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, მისი სპეციალიზაციისა და დარგთა რაციონალური შეთანაწყობის საქმეს.

ეკონომიკურად გაუმართლებელი დარგებისა და კულტურების დასადგენად საჭიროა დავეყრდნოთ არა ერთ, არამედ რამდენიმე წლის მონაცემებს. თუ რომელიმე დარგი ან კულტურა სისტემატურად ზარალიანია და ხელს უშლის მოცემუ-

ლი მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების გზით განვითარებას, მაშინ ის წარმოებიდან უნდა იქნეს ამოღებული.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად სწორად უნდა შეირჩეს მიწები სასოფლო საწარმოებში. დამატებითი და დამხმარე დარგები ორგანულად (ტექნოლოგიურად) დაკავშირებული უნდა იყვნენ ძირითად დარგებთან, ავსებდნენ მათ, უზრუნველყოფდნენ მეურნეობის რაციონალური სტრუქტურის შექმნას. ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ძირითადი დარგების განვითარებას, უზრუნველყოფდნენ მიწების მთლიანად ათვისებას, იძლეოდნენ დამატებით პროდუქციას და გარკვეულ როლს ასრულებდნენ საწარმოთა რენტაბელობაში.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის დონის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად გზად მიჩნეულ უნდა იქნეს დანაკვეთებულ პირობებში მიმოფანტული პატარ-პატარა მიწის ნაკვეთების რაც შეიძლება გამსხვილება, დაბლობში არსებული სავარგულების მასივებად გაერთიანება. სარევლიანი, ბუჩქნარ-ჯაგნარებით დაფარული წვრილ-წვრილი ნაკვეთების გაწმენდა და გაერთიანება, რომელიც მოგვცემს ნათესებისა და ნარგავების გაფართოების დიდ შესაძლებლობას, გააადვილებს ტექნიკის გამოყენებას და აამაღლებს სასოფლო სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას,

დანაწევრებული მიწების კონსოლიდაციის, აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობისა და აგროპროდუქციის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებას სხვადასხვა სახის კოოპერატივების შექმნა წარმოადგენს. ეს პროცესი მთავრობამ უნდა წარმართოს სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მეშვეობით.

ამჟამად სოფლად მსხვილი ფერმერული სასაქონლო მეურნეობის განვითარებისათვის ყველაზე მისაღებ ფორმად უნდა მივიჩნიოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, ვინაიდან იგი ჰგავს ყოფილ კოლმეურნეობას, თუმცა, არ შეიძლება ამ ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმო კოოპერატივის გაიგივება ყოფილ კოლმეურნეობასთან, რადგანაც, რო-

გორც ცნობილია, ყოფილი კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწეოდნენ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე, ხოლო ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს კერძო საკუთრებაში ან იჯარით არებულ მიწაზე; ამასთან ერთად, ყოფილი კოლმეურნეობების ქონება ირიცხებოდა განუყოფელ ფონდში, რის გამოც კოლმეურნეობის წევრს კოლმეურნეობიდან გასვლისას საერთო ქონებიდან არაფრის გატანა არ შეეძლო, ხოლო ამ ახალი ტიპის საწარმოში სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივში იქმნება საპაიო ფონდი და მის წევრებს კოოპერატივიდან გასვლისას შეუძლიათ მიიღო ფული ან ქონება შეტანილი პაის ანგარიშში. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმო კოოპერატივი ისეთი იურიდიული პირი ანუ ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს თავისი ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, პასუხს აგებს ამ ქონებით თავის ვალდებულებებზე, სასამართლოში შეუძლია იყოს მოპასუხეც და სარჩელის შემტანიც.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქვს, გაზ. „ბანკები და ფინანსები", 12 აგვისტო, 2003.
2. ამერიკის ეკონომიკა. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2005.
3. **კუნჭულია თ.** საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. „მეცნიერება", თბილისი, 1997.
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული, 2005, 2009, თბილისი, 2010.
5. **ქავთარაძე თ.** აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება", თბილისი, 2003.

*Kavtaradze Tengiz*

# TENDENCIES OF DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN GEORGIA IN THE CONDITIONS OF AGRARIAN REFORMING

## S U M M A R Y

The issues of land market formation in the conditions of agrarian reform are studied in the article; there are also analyzed problematic issues of distribution and specialization of agriculture; are expressed the opinion that correct solution of distribution and specialization problems of agricultural production is possible by the largening of small farms and the functioning of co-operation of enterprises; modern agrarian production co-operation creates a juridical person or organization that has its own property, independent balance and is guaranteed by its property.

*რამაზ აბესაძე*
*ნანული არევაძე*

# საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი წლების მიჯნაზე

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა, განვითარების დონის მიუხედავად, არის რთული დინამიური საზოგადოებრივი ორგანიზმი მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი მზარდი და განვითარებადი სამეურნეო კავშირებით; შედგება მრავალგვარი სისტემებისა და სტრუქტურების კომპლექსებისაგან; ვითარდება არსებული საზოგადოებრივი წყობისა და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში; ხასიათდება თავისი სტრუქტურით, განვითარების ტემპებით და პროპორციებით; ზემოქმედებს ბუნებაზე სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით და ქმნის საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელ მატერიალურ პირობებს; ემსახურება ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის აღდგენის წინა წლებში ეფუძნებოდა საკუთრების სახელმწიფო, საკოლმეურნეო და კოოპერაციულ ფორმებს, ვითარდებოდა სოციალიზმის პირობებში, იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილი და ძალზე მჭიდროდ მასთან ინტეგრირებული. ამდენად, მისი განვითარება საბჭოთა კავშირის საერთო ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდებოდა.

XX ს-ის 70-იანი და 80-იანი წლების ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებით ირკვევა, რომ 70-იან წლებში საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპები მყარად მაღალი იყო, ხოლო 80-იან წლებში იგი თანდათან იკლებს, 1986-1990 წლებში კი ადგილი აქვს რეცესიას (იხ. ცხრ. 1).

**ცხრილი 1**

**საქართველოს ეკონომიკის საშუალო წლიური ზრდის ტემპები (%-ში)**[11]

| წლები | შრომის მწარმოებლურობა | *ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი* | *ეროვნული შემოსავალი* | მრეწველობის პროდუქცია | სოფლის მეურნეობის პროდუქცია |
|---|---|---|---|---|---|
| 1971-1975 | 4,9 | 6,0 | 5,5 | 6,8 | 3,2 |
| 1976-1980 | 6,3 | 6,9 | 7,5 | 7,0 | 4,4 |
| 1981-1985 | 3,5 | 4,8 | 4,9 | 5,4 | 2,8 |
| 1986-1990 | -0,6 | -0,1 | -0,8 | 0,4 | -1,85 |

მთლიანად 1970-1980 წლებში საქართველოს ეკონომიკის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა შეადგინა: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის – 6,7; ეროვნული შემოსავლის – 6,5; სამრეწველო პროდუქციის – 6,8; სოფლის მეურნეობის პროდუქციის – 3,8%. ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპები 70-იან წლებში განპირობებული იყო 50-იან და 60-იან წლებში წარმოებაში ინოვაციების განხორციელებით, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით.

კრიზისული მოვლენები საქართველოს ეკონომიკაში XX ს-ის 80-იან წლებში დაიწყო, გამოიკვეთა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირების ტენდენცია, ასე მაგალითად, 1981-1985 წლებში, წინა ხუთწლეულთან შედარებით, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის ტემპი – 2,0, ეროვნული შემოსავალის – 2,6, სამრეწველო პროდუქციის – 1,6, სოფლის მეურნეობის პროდუქციის 2 პროცენტულ პუნქტზე მეტად შემცირდა, 1986-1990 წლები კი უკვე წარმოების დაცემით ხასიათდება.

[11] აქ და შემდეგშიც, სადაც მითითება არ იქნება მონაცემები ეყრდნობა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალებს.

მაშასადამე, ეკონომიკის განვითარების ზრდის ტემპების შემცირება 1981-1985 წლებში შეიცვალა ზრდის ტემპების დაცემით მომდევნო ხუთწლეულში და საქართველოს ეკონომიკის კრიზისში შესვლით XX საუკუნის 90-ნი წლების მიჯნაზე, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკური კრიზისებისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ჩვენთან მიმდინარე კრიზისს საფუძვლად ედო როგორც ჭარბწარმოება, ასევე დეფიციტი. ჭარბწარმოება – ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელზედაც საზოგადოებრივი მოთხოვნა დაბალი იყო და დეფიციტი – ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელზედაც საზოგადოებრივი მოთხოვნა მაღალი იყო. ამავე დროს, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიმჩნეოდა თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკური ზრდის ტემპების ხასიათში მათი ინტენსიფიკაციის მიმართულებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. ხდებოდა არსებითი სტრუქტურული ძვრები – ერთობლივ შიდა პროდუქტში მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი იზრდებოდა, ხოლო მატერიალური სფეროსი კი მცირდებოდა ახალი მეცნიერებატევადი დარგების ხვედრითი წილის ამაღლების პირობებში.

XX ს-ის 1985-1990-იან წლებში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ერთდროულად შეიმჩნეოდა სტრუქტურული, სამრეწველო და სოფლისმეურნეობრივი კრიზისები, რომელსაც თან სდევდა ფასების ნახტომისებური ზრდა ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე მათ მძაფრ დეფიციტთან ერთად.

სიტუაცია განსაკუთრებით მკვეთრად გაუარესდა 1989 და 1990 წლებში, რაც საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის აბსოლუტურ შემცირებაშიც გამოიხატა. კერძოდ, 1989 წელს ეროვნული შემოსავალი 3,4%-ით შემცირდა, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა – 1,4%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია – 15,4%-ით. 1990 წელს დაიწყო სამრეწველო

კრიზისი და წარმოებული პროდუქციის მოცულობა წინა წლის მიმართ 5,6; ეროვნული შემოსავალი 4,3; საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა 1,4%-ით შემცირდა. 1991 წელს ყველა ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაუარესდა. მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 22,6%-ით შემცირდა.

1992 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მუშაობა შეწყვიტა საწარმოთა თითქმის ნახევარმა. აქვე მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ წარმოების დაცემის ტემპი გარკვეულწილად ნიველირდებოდა მიწერებისა და ფასების მკვეთრი ზრდის ხარჯზე, ამიტომ დაცემა ფაქტობრივად ბევრად უფრო დიდი იყო. მდგომარეობა უარესდებოდა მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. მაგალითად, 1990 წელს მანგანუმის მადნის წარმოებამ წინა წლის მიმართ 24, მანქანათმშენებლობის პროდუქციისამ 9-21; საშენი მასალებისა 15-30; მსუბუქი მრეწველობისამ 5-23, კვების მრეწველობისამ 3-36% შეადგინა.

კრიზისის გაღრმავება და გაძლიერება გარკვეულწილად განაპირობა არსებული სამეურნეო კავშირების თანდათანობით გაწყვეტამ.

სოფლის მეურნეობაში კრიზისი ყველაზე ადრე, 1980 წელს გამოვლინდა და მომდევნო ათწლეულის განმავლობაში კრიზისული ფაზები გახშირდა. სოფლის მეურნეობის ასეთმა კრიზისულმა დაქვეითებამ მნიშვნელოვნად შეამცირა კვების პროდუქტების წარმოების სანედლეულო ბაზა. თუ 1976-1980 წლებში სასოფლო წარმოების ზრდამ 4,4, მომდევნო 1981-1985 წლებში მხოლოდ 2,8% შეადგინა, 1986-1990 წლებში იგი უკვე უარყოფითი სიდიდე გახდა – 1,8% შეადგინა. ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა პირუტყვის სულადობა, რის შედეგადაც მკვეთრად დაეცა სასოფლო პროდუქტების შესყიდვების მოცულობა. მაგალითად, 1991 წელს წინა წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა 59, რძის 38, კვერცხის 37, მატყლის 35%-ით შემცირდა.

სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოებისა და მისი სახელმწიფო რეზერვებში მიწოდების შემცირება გახდა შემდგომ წლებში კვების პროდუქტების გამოშვების შემცირებისა და მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის გაუარესების საფუძველი.

დარგებისა და მეურნეობის სფეროების ზრდის სხვადასხვა ტემპებმა თავის ასახვა პოვა წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში.

**ცხრილი 2**

**საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიხედვით** (%-ში ფაქტობრივად მოქმედ ფასებში)

| **წლები** | **1970** | **1975** | **1980** | **1985** | **1990** |
|---|---|---|---|---|---|
| სულ მ.შ. | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მრეწველობა | 60,5 | 61,8 | 60,7 | 59,0 | 59,6 |
| სოფლის მეურნეობა | 19,1 | 18,6 | 19,0 | 19,1 | 18,6 |
| მშენებლობა | 11.4 | 9,7 | 8,7 | 10,4 | 9,4 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 2,7 | 2,8 | 2,8 | 3,7 | 3,8 |
| ვაჭრობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, დამზადება და მეურნეობის სხვა ფორმები | 6,3 | 7,1 | 8,8 | 7,8 | 8,6 |

საქართველოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურის (იხ. ცხრ. 2) ანალიზი გვიჩვენებს, რომ წლების განმავლობაში აღნიშნული სტრუქტურა თითქმის უცვლელი რჩებოდა და მრეწველობა იყო მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი დარგი, რომლის წილადაც 1990 წელს მოდიოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის უდიდესი ნაწილი, თითქმის 60%.

საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტრუქტურებშიც ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით სწორედ მრეწველობა იყო წარმოდგენილი.

**ცხრილი 3**

**საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტრუქტურა**

(%-ში ფაქტობრივად მოქმედი ფასებით)

| **წლები** | **1970** | **1980** | **1985** | **1990** |
|---|---|---|---|---|
| ეროვნული შემოსავალი - სულ მ.შ. | 100 | 100 | 100 | 100 |
| 1. მრეწველობა | 40,6 | 41,0 | 41,6 | 36,7 |
| 2. სოფლის მეურნეობა | 32,6 | 29,8 | 29,9 | 30,9 |
| 3. მშენებლობა | 11,6 | 9,2 | 10,8 | 11,9 |
| 4. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 3,4 | 3,0 | 3,3 | 4,2 |
| 5. ვაჭრობა, მომარაგება, დამზადება | 11,7 | 17,0 | 14,4 | 16,3 |

საკუთრივ სამრეწველო წარმოებისათვის იმ პერიოდში დამახასიათებელი იყო შავი მეტალურგიისა და ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია და ისეთი დარგების ხვედრითი წილის ამაღლება, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება და მსუბუქი მრეწველობა. რაც შეეხება კვების მრეწველობას, მისი ხვედრითი წილი რყევადობას განიცდიდა შემცირების მიმართულებით (იხ. ცხრ. 4)

**ცხრილი 4**

**მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა**

**გამომუშავებული პროდუქციის მიხედვით [3.4,5]**

(%-ში ფაქტობრივად მოქმედ ფასებში)

| **წლები** | **1970** | **1975** | **1980** | **1985** | **1990** |
|---|---|---|---|---|---|
| მრეწველობა სულ მ.შ. | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| ელექტროენერგეტიკა | 2,4 | 2,6 | 2,1 | 2,2 | 2,1 |
| შავი მეტალურგია | 6,4 | 6,4 | 4,2 | 4,3 | 4,5 |
| ქიმიური და ნავთობქიმიური მრე-წველობა | 5,0 | 3,8 | 3,9 | 4,0- | 4,9 |
| მანქანათმშენებლობა და ლითო-ნდამუშავება | 12,6 | 10,7 | 13,6 | 14,5 | 15,5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრე-წველობა | 2,8 | 3,4 | 3,0 | 3,7 | 3,4 |
| საშენი მასალების მრეწველობა | 4,7 | 5,2 | 4,2 | 4,8 | 5,3 |
| მსუბუქი მრეწველობა | 18,7 | 19,2 | 22,0 | 22,2 | 23,6 |
| კვების მრეწველობა | 39,9 | 38,8 | 40,3 | 38,3 | 38,5 |

1990 წლის მონაცემებით სამრეწველო წარმოებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით სამომხმარებლო კომპლექსის ორი დარგი – მსუბუქი და კვების მრეწველობა იყო წარმოდგენილი (62,1%). ამ ორი დარგის ხვედრითი წილი 1970-1990 წლებში იზრდებოდა 58,6%-დან 62,3%-მდე, რაც ძირითადად მსუბუქი მრეწველობის ზრდით იყო განპირობებული. მრეწველობის საბაზისო დარგების (ელექტროენერგეტიკა, შავი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება) ხვედრითი წილი კი მცირე იყო – 26,6%.

მაშასადამე, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების წინა პერიოდში იყო დაბალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა.

რაც შეეხება მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურას ძირითადი წარმოებრივი ფონდების მიხედვით, ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების ყოველ ეტაპზე აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობდა კაპიტალურ დაბანდებათა განხორციელების პოლიტიკა. კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურამ განხილულ პერიოდში გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც გამოიხატა არასაწარმოო სფეროში სახსრების დაბანდების ზრდით 1986-1990 წლებში, რის შედეგადაც მისი ხვედრითი წილი 1971-1975 წლების 33,4%-დან, 1986-1990 წლებში 45,3%-მდე ამაღლდა (იხ. ცხრ. 5).

**ცხრილი 5**

**კაპიტალურ დაბანდებათა სტრუქტურის დინამიკა საქართველოს ეკონომიკაში** (%-ში)

| წლები | **1971-1975** | **1976-1980** | **1981-1985** | **1986-1990** |
|---|---|---|---|---|
| კაპიტალდაბანდებები - სულ მ.შ. | 100 | 100 | 100 | 100 |
| საწარმოო სფერო | 66,6 | 69,7 | 70,9 | 54,7 |
| არასაწარმოო სფერო | 33,4 | 30,3 | 29,1 | 45,3 |

დაბანდებათა უდიდესი ნაწილი, ხვედრითი წილის შემცირების მიუხედავად, მაინც საწარმოო სფეროზე მოდიოდა. უნდა ითქვას იმაზეც, რომ მოცემულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში სულ უფრო შესამჩნევი იყო მთლიანად კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპის შემცირება, განსაკუთრებით საწარმოო სფეროში (იხ. ცხრ. 6).

**ცხრილი 6**

**კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპი საქართველოს ეკონომიკაში** (%-ში წინა ხუთწლეულთან)

| წლები | 1976-1980 | 1981-1985 | 1986-1990 |
|---|---|---|---|
| კაპიტალდაბანდებები - სულ მ.შ. | 137,1 | 132,0 | 114,8 |
| საწარმოო სფერო | 143,5 | 134,3 | 111,4 |
| არასაწარმოო სფერო | 124,3 | 126,7 | 123,1 |

საქართველოს ეკონომიკაში ძირითადი ფონდების სტრუქტურის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 1970–1990 წლებში იზრდებოდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ხვედრითი წილი არასაწარმოო სფეროს ფონდების ხვედრითი წილის შემცირების პირობებში, ამასთან ადგილი ჰქონდა, საერთოდ, რო-

გორც ძირითადი ფონდების, ისე არასაწარმოო ფონდების ზრდის ტემპების შემცირებას (იხ. ცხრ. 7).

ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო მრეწველობა და მას ზრდის ტენდენცია ახასიათებდა უკანასკნელი ხუთწლეულის გარდა. თითქმის იგივე ტენდენცია იყო დამახასიათებელი სოფლის მეურნეობისათვის. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის ფონდების ხვედრითი წილი 20 წლის განმავლობაში ფაქტობრივად ერთ დონეზე იმყოფებოდა.

არასაწარმოო სფეროდან მაღალი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო საბინაო მეურნეობა, მაგრამ ხვედრითი წილის აშკარა შემცირების ტენდენციით.

**ცხრილი 7**

**საქართველოს ეკონომიკაში ძირითადი ფონდების სტრუქტურა დარგების მიხედვით [6.5.]** (%-ში წლის ბოლოს)

| მაჩვენებლები | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| ძირითადი ფონდები - სულ მ.შ. | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| ძირითადი წარმოებრივი ფონდები მ.შ. | 60,2 | 62,4 | 64,5 | 66,8 | 66,11 |
| მრეწველობა | 23,9 | 24,4 | 26,9 | 28,4 | 27,4 |
| სოფლის მეურნეობა | 15,7 | 16,2 | 16,3 | 16,5 | 15,9 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 15,3 | 15,7 | 15,4 | 15,5 | 16,0 |
| მშენებლობა | 2,3 | 2,5 | 2,5 | 2,9 | 3,3 |
| ვაჭრობა, საზ. კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა დარგები | 3,1 | 34 | 3.4 | 3,4 | 3,5 |
| არასაწარმოო სფერო მ.შ. | 39,8 | 37,6 | 35.5 | 33,2 | 33,9 |
| საბინაო მეურნეობა | 24,3 | 21,8 | 19,4 | 17,7 | 17,5 |
| კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსა- | 6,6 | 6,3 | 6,6 | 6,2 | 6,8 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხურება | | | | | |
| ჯანმრთელობა | 2,6 | 2,7 | 6,5 | 6,3 | 2,9 |
| განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვა | 6,3 | 6,7 | 3,0 | 3,0 | 6,6 |

1980-1990 წლებში, საერთოდ, ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპი როგორც მთელ მრეწველობაში, ისე მის ყველა ძირითად დარგში მცირდება წინა ათწლეულის მიმართ (106%- დან 68%-მდე). მათ შორის, ელექტროენერგეტიკაში 128%-დან 56%-მდე, ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში 124%-დან 75%-მდე, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში 129%-დან 120%-მდე. მრეწველობის სხვა დარგებში ადგილი ჰქონდა ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპების კიდევ უფრო მნიშვნელოვან შემცირებას. იმავე პერიოდში ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდის ტემპები შედარებით სტაბილური იყო მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში.

ზრდის ტემპების მნიშვნელოვან შენელებას ადგილი ჰქონდა 1985-1990 წლებში. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ზრდის ტემპების შენელება მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში (წინა ხუთწლეულის 79%-ის ნაცვლად მხოლოდ 26% შეადგინა), რამდენადაც ამ დარგში თავმოყრილი იყო რესპუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშაკთა ერთ მეოთხედზე მეტი და, თანაც, სწორედ ამ დარგში ხდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა. ძირითადად იგი განაპირობებდა შრომის მწარმოებლურობის მიღწეულ დონესა და წარმოების ეფექტიანობას მთელ ეკონომიკაში. 1985-1990 წლებში კი ამ დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურაში მცირდებოდა ისეთი ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობების, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამოშვება, რომელთა ტექნიკური დონე საზღვარგარეთულ ნიმუშებს შეესაბამებოდა ან ზოგჯერ სჯობდა კიდეც მათ. ეს

მეტყველებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს მრეწველობის ტექნიკურ ბაზაში არ მომხდარა.

აღსანიშნავია ასევე ის, რომ 1990 წლისათვის საქართველოს მრეწველობაში ძირითადად ექსპლუატაციაში იმყოფებოდა ფიზიკურად და მორალურად (მსოფლიო მიღწევებთან მიმართებით) მოძველებული მოწყობილობები.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება და წარმოების დაცემა შემთხვევითი მოვლენა არ იყო, რამდენადაც ეკონომიკაში დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა სტრუქტურული ხასიათის დისპროპორციები. შენელდა ინოვაციების განხორციელების ტემპები. საწარმოო პოტენციალი ძირითადად რაოდენობრივად იზრდებოდა ტრადიციული ტექნიკის ბაზაზე. შესაბამისად ნელა ხორციელდებოდა პროდუქციის ახალი კონკურენტუნარიანი სახეობების ათვისება და სხვ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ჩიქავა ლ.** საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, "მერიდიანი", ნაწილი I, 1995.
2. **Кудров В. М .** Темпы и пропорции овщественного производства США, Соревнование двух систем. Наука, М., 1986, გვ. 199.
3. საქართველოს სახალხო მეურნეობა სსრკ. 50 წლისთავზე, თბილისი, 1972.
4. Промышленность Грузинской ССР . Тб., 1986.
5. შსს მონაცემები, ფორმა СО, 1990.
6. Технический прогресс в Грузинской ССР. Тб., 1987, გვ. 19.

*Abesadze Ramaz*
*Arevadze Nanuli*

# GEORGIAN ECONOMY ON THE VERGE OF 90-TIES OF XX CENTURY

## SUMMARY

The paper identifies the conditions of georgian economy on the verge of 90-ties of XX century, on the basis of GNP and the increase of main funds and structural.

*როლანდ სარჩიმელია*

# მეცნიერების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები საქართველოში

მეცნიერების ძირითადი შემადგენელი მისი სამეცნიერო კადრებია. ისინი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით, დადებითად ზემოქმედებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის ხარისხობრივ ზრდაზე. ასევე, მრავალ სიკეთესთან ერთად, მნიშვნელოვანია მათი დამაკვალიანებელი გავლენა ბიზნესის წარმატებებზე. მათგან განსხვავებით, პოსტკომუნისტურ საქართველოში მეცნიერების დამოკიდებულება კონკურენციასთან სუსტია. სამეცნიერო კადრისათვის დამახასიათებელი ღრმა ჩართვა საკვლევ პრობლემებში იმასაც განაპირობებს, რომ იგი ვერ იცლის კონკურენციისათვის, თუმცა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაგან შორს არ დგას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეცნიერება არა მარტო შეზღუდულია ფინანსური საშუალებებით, იგი „ტრავმირებულია აგრესიული პრივატიზებით“, რამაც სამეცნიერო დარგების არსებობა ჩვენთან ეჭვის ქვეშ დააყენა. ამის გამოც მეცნიერება გამჭვირვალედ ვერ ავლენს მისთვის დამახასიათებელ მომგებიანობას და სამეცნიერო ინსტიტუტების რაოდენობა და მეცნიერებაში დასაქმებული სამეცნიერო კადრთა რიცხვი საქართველოში სულ უფრო მცირდება, მათი მცირე ნაწილი კი უმაღლესი განათლების სისტემას უერთდება.

წინამდებარე ნაშრომში, მეცნიერების განვითარებისათვის, პოსტსაბჭოთა საქართველოში დახასიათებულია სამეცნიერო კადრების დარგობრივი და კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებები მეცნიერების გლობალიზაციისა და ცოდნის ეკონომიკის გავლენის გათვალისწინებით, ამასთან, განხილულია სინერგიული ეფექტის ზემოქმედებისა და კონკურენტუნარიანობისთვის დამახა-სიათებელი პრობლემები.

**1. სამეცნიერო კადრების დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები.** 60-იანი წლების ყოფილ საბჭოთა კავშირში „კაპიტალდაბანდებები“ ძირითადად მიმართული იყო ქვეყნის სამხედრო კომპლექსის გასაძლიერებლად და მოსახლეობის დასაქმების დაკანონების პოლიტიკის გასატარებლად. მათი გავლენით მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი, სტუდენტთა და მეცნიერებაში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის მექანიკურად იზრდებოდა.

პოსტკომუნისტურ საქართველოში 1960-2000 წლების სამეცნიერო კადრთა (მეცნიერ თანამშრომელთა) რიცხოვნობა 1960 წელს 9,1 ათასი კაციდან 1990 წელს 25,2 ათას კაცამდე იყო გაზრდილი, რომელმაც 1993 წელს 27 ათას კაცს მიაღწია, ხოლო 1999 წელს მისი რიცხვი 17,2 ათას კაცამდე შემცირდა. ასეთი ცვლილებები მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსების მკაცრი შეზღუდვებით იყო გამოწვეული.

ამასთან დაკავშირებით და უფრო დაწვრილებითი ცნობები შეიძლება მიიღოთ სტატიებიდან [1; 2; 3]. საიდანაც მოგვყავს მსჯელობები იმასთან დაკავშირებითაც, რომ 1995-2005 წლების საქართველოს სამეცნიერო კადრთა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თუკი ტექნიკური დარგები მეცნიერ თანამშრომლების რიცხოვნობით დანარჩენ მეცნიერულ დარგებს წინ უსწრებდა, 2005 წლისათვის მათი ადგილი ჰუმანიტარულმა დარგებმა დაიკავა. ფიზიკა-მათემატიკურმა დარგებმა მეორედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეოთხეზე აღმოჩნდა ბიოლოგიური და მეხუთეზე სამედიცინო დარგები. სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დარგმა მეექვსე ადგილი დაიკავა. მეშვიდე – ქიმიურმა, მერვე – ეკონომიკურმა და ა.შ. [2, გვ. 36]. ახალმა სტრუქტურულმა ძვრებმა 2000 წლისათვის დააფიქსირა მეცნიერებაში დასაქმებულ მეცნიერ-თანამშრომელთა მკვეთრი შემცირება. ამის ძირითადი მიზეზი იყო მეცნიერებაში დანახარჯების შემცირება [2, გვ. 36 და 37].

პოსტსაბჭოთა საქართველოში პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღებას საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტების დაშლა მოჰყვა. ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ საგანგაშოა ის, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ინსტიტუტების პრივატიზების შედეგების მიხედვით სამეცნიერო კადრთა ცვლილებები პესიმისტურია.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარებაც მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო მეტი „იხარჯება“ მეცნიერებაზე ამ ქვეყნის მშპ-დან. საქართველოს წარსულის გამოცდილების გათვალისწინებისა და ცოდნის გამოყენების მრავალმხრივი შესაძლებლობები აქვს. მათ შორისაა ისეთებიც, რომლებსაც მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაუკარგავთ. ამ მხრივაც ყურადსაღებია ახლო წარსულიდან ცნობილი მოღვაწეების მეცნიერული შედეგების მოძიება და ახლებური გააზრება, მაგალითად, იხ. [3, გვ. 25].

**2. გლობალიზაციით გამოწვეული პრობლემები საქართველოს მეცნიერებაში.** ერთპოლუსიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნა კაპიტალიზმის ახალ წარმატებას განეკუთვნება. მისი მთავარი ფაქტორია გლობალიზაცია, რომელსაც ძალასა და მიზანდასახულებას განვითარებული ქვეყნები აძლევენ. მათ შორისაა კომპიუტერიზაცია, რომელმაც მსოფლიოში საზოგადოების აქტიური ნაწილის განვითარების ახალ საფეხურზე გადაყვანა დააჩქარა. ამას ისიც დაემატა, რომ მეცნიერული აზროვნება შესაბამისი პარადიგმებით მოსახლეობის დიდ ნაწილში მასობრივად მკვიდრდება, რომელსაც ტექნიკური პროგრესის განვითარების კვალდაკვალ იმპულსებს არა მარტო განათლების სისტემების უწყვეტად მიმდინარე განახლება აძლევს, არამედ მასში გლობალიზაციის მასშტაბების ზრდაც არის ჩართული. ხოლო ცოდნის ეკონომიკით მეცნიერების ავტორიტეტი კიდევ უფრო ძლიერდება.

მსგავსი პროცესების შემდგომი დაკონკრეტება-სრულყოფის შესაბამისად დაისმის პრობლემები მეცნიერებისა და გა-

ნათლების სისტემის კადრებით, მათ შორის მენეჯერებით უზრუნველყოფაზე.

მეცნიერებას აღმოჩენების მისაღებად წამყვანი ფუნქცია ეკისრება. იგი განათლების მიღებისა და ტექნიკური პროგრესის გზის გამკაფავია. ცოდნის ეკონომიკას, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე დარჩენილ ქვეყანაში უჭირს ფუნქციონირება, ანალოგიურ მდგომარეობაშია მეცნიერება, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღმოჩენების შემდგომ, გამოგონებების პრაქტიკაში დანერგვისათვის მას არ ექმნება საჭირო პირობები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მის გარეშე ადვილდება განათლებისა და სპეციალობის მიღების პროცესების მართვა, მაგრამ მათაც სჭირდებათ მეცნიერების მზრუნველობის გააქტიურება და ინოვაციების, როგორც წარმოების ზრდის საფუძვლის ეფექტიანი გამოყენება.

**გლობალიზაციის პირობებში მეცნიერების დაფინანსების სიძნელის ერთ-ერთი ნაწილია ისიც, რომ საქართველოს მეწარმეებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, თავისუფალი ფინანსური სასხრებით დააფინანსონ ახალი სამეცნიერო კვლევები. რეალობა ასეთია, მეწარმეთა უმრავლესობა ქვეყანაში წარმოების დასაწყებად და განსავითარებლად ცდილობს უცხოეთიდან ტექნოლოგიების შემოტანას. ასევე, არც იმის პირობებია პოსტკომუნისტურ საქართველოში, რომ საწარმოებმა დაინტერესება გამოავლინონ ქვეყანაში არსებული მაღალი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გამოსაყენებლად. ისიც რეალობაა, რომ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური დონე ბევრად ჭარბობს სამამულოს და ჩვენი მეწარმეების „თავისუფალი სახსრები“ მნიშვნელოვნად მწირია.**

ასეთ პირობებში, გლობალიზაციის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს თითქოსდა უნდა „დაენერგათ მეცნიერული მიღწევები“ ან თავისივე ინიციატივით ინსტიტუტისათვის დაქვემდებარების უფლების მოპოვებით დაპატრონებოდნენ თითქმის ამორტიზებულ და ნახევრად გაძარცულ საწარმოებს, რაც ვერ განხორციელდა.

**ყოფილ საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფინანსური საშუალებები მიზერული იყო. მათ კერძო საწარმოთა შექმნისა და გაძლიერების რისკზე წასვლის უნარიც კი არ ჰქონდათ, ხოლო კერძო სექტორთან კომერციული ურთიერთობის დამყარების პირობები არ არსებობდა**.

პოსტკომუნისტურ საქართველოს ეკონომიკის საიმედო გამოსავალი ამჟამინდელი მდგომარეობისა და უახლესი მომავლისათვის, გლობალიზაციაა, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, რადგან პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჰუმანურობის მიუხედავად, შეიძლება აღმოვჩნდეთ დიდი რისკის წინაშე. საქმე ისაა, რომ **უცხოეთის სახელმწიფოთა კერძო სექტორის მფლობელები საიმედოდ გამოცდილ გამოგონებებს უსასყიდლოდ არ დაგვითმობენ,** გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც გამოგონებას გვერდითი უარყოფითი შედეგები ახლავს, რაც ჩვენთვის იგი შეიძლება არ იყოს ცნობილი. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, **ინფორმაციის მოძიებისა და საჭიროებისამებრ თავის შეკავების უნარიც უნდა გაგვაჩნდეს. რადგან ის ხომ რეალობაა, რომ მსოფლიოს მდიდარი ქვეყნები დანარჩენი სამყაროს მოსახლეობაზე დახმარებას მხოლოდ „ნარჩენი კაპიტალის“ ნაწილობრივი გამოყენებით ახორციელებენ (ან ცდილობენ).**

ამიტომ, გლობალიზაციაში მხოლოდ ისე არ უნდა ჩავეფლოთ, როგორც დახმარების მიმღებნი. ჩვენც უნდა გაგვაჩნდეს გარკვეული შესაძლებლობები, რასაც შეიძლება მივაღწიოთ მეცნიერების თვითორგანიზებითა და მასში სინერგიული ეფექტის ამაღლებით. **ამაში მნიშვნელოვანია შრომის მწარმოებლურობის ზრდა, ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სინერგიული ძალის ამოქმედება, რაც საბოლოოდ ოპტიმიზაციისაკენ გაიკვლევს გზას, სადაც მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის განვითარების მაგისტრალურ გზაზე მოძრაობას.**

**3. მეცნიერ კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ცვლილებები.** მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ყოფილ საბჭო-

თა კავშირში მეცნიერის მოღვაწეობის ცალკეული შემთხვევებიც კი ახდენდა გავლენას მეცნიერულ შედეგებზე. მაშინ, 60-70-იანი წლებიდანვე, ყურადღება გამახვილდა გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების მასშტაბების ზრდასთან ერთად მეცნიერებაში დამხმარე პერსონალის რიცხოვნობის აღრიცხვის ჩატარების აუცილებლობაზე, ხოლო შემდგომ მეცნიერ-კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის ოპტიმიზაცია გახდა გასარკვევი. სწრაფად იზრდებოდა როგორც უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა, ასევე მათში სტუდენტთა და საერთოდ დასაქმებულთა რიცხოვნობა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, რაც 60-80-იანი წლების პოსტკომუნისტური საქართველოს უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეორგანიზაციაში აისახა, სადაც წამყვანი იყო „მოსახლეობის დასაქმების დაკანონების“ განხორციელებაზე ზრუნვა. ამას ხელს უწყობდა ცივი ომით განპირობებული სამხედრო კომპლექსების გაძლიერების მიზანი და კიბერნეტიკული მეცნიერების, როგორიცაა ეკონომიკური კიბერნეტიკა, სამედიცინო კიბერნეტიკა, ტექნიკური კიბერნეტიკა და სხვ., განვითარების ზედმეტად აფიშირების პირობებიც იქმნებოდა.

ასეთმა პირობებმა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების რიცხოვნობისა და მასშტაბების ზრდა განაპირობა, რომელიც მალე საპირისპიროთი შეიცვალა. კონკრეტულად 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პოსტსაბჭოთა საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რიცხოვნობის „შეკვეცა“ დაიწყო, რასაც ახლდა კერძო კომერციული უმაღლეს სასწავლებელთა რიცხოვნობის ზრდა.

მაშინ სამეცნიერო კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის დადგენა თითქოს აუცილებელი არ იყო, მაგრამ ამაზე მინიშნებებს მაინც ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ ყურადსაღებია პოსტკომუნისტური საქართველოს 70-80-იანი წლების მონაცემებში ასახული ადრინდელი გამოცდილებით დაზუსტებული ინფორმაცია სამეცნიერო კადრების კვალიფიციურ სტრუქტურაზე [1,

გვ. 479-483]. მისი საშუალებით ამჟამადაც „ხერხდება სამეცნიერო კადრების საორიენტაციო კვალიფიციურ სტრუქტურაში” გარკვევა, მაშინ კი „საორიენტაციო ოპტიმალურ სტრუქტურად“ მიიჩნევდნენ: ერთ მეცნიერებათა დოქტორზე 7 მეცნიერებათა კანდიდატს, 22 მეცნიერ თანამშრომელს სამეცნიერო ხარისხის გარეშე და 90 დამხმარე პერსო-ნალს, რაც 120 დასაქმებულზე შემდეგი სტრუქტურით გამოისახა (1 : 7 : 22 : 90).

ორიათასი წლების პერიოდის სამეცნიერო კადრთა კვალიფიციური (საორიენტაციო) სტრუქტურა პოსტკომუნისტურ საქართველოში შემდეგი იყო: ერთი მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, 9 მეცნიერ მუშაკი სამეცნიერო ხარისხის გარეშე, 30 დამხმარე პერსონალი, 20 სტუდენტი სტაჟიორი და პრაქტიკანტები.

ასეთი სტრუქტურა ამჟამად უმაღლესი განათლებით სპეციალისტთა და დამხმარე პერსონალების მიხედვით (1 : 2)-სა და (1 : 3)-ის ფარგლებშია.

სტატიაში [1, გვ. 478] აღნიშნულია, რომ უფროსი თაობის მაღალკვალიფიციური მეცნიერ-კადრის გამოცდილების უგულებელყოფისა და ქვეყნის მართვის ზედა ეშელონებში გაუწვრთნელი ახალგაზრდობის დაწინაურების შედეგად რისკის ისეთი ფაქტორების წილი იზრდებოდა, რომელიც მეტწილად ეკონომიკური ზარალით წარიმართებოდა. ამას ახლდა სამეცნიერო კადრთა კვალიფიციური სტრუქტურის დინამიკის სწრაფი ცვლილებები საქართველოში [1, გვ. 480].

პოსტსაბჭოთა საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების გლობალიზაციის შესაბამისად წარმართვისათვის წამყვანი როლი მეცნიერ-კადრებს ენიჭებათ, კონკრეტულად (და პირველ რიგში), მეცნიერებისა და განათლების სისტემებში მოღვაწეებს, მაგრამ ამ მხრივ საქართველოში მათთვის შესაბამისი სამუშაო პირობებია შესაქმნელი; მეცნიერებაზე პრივატიზაციის მუქარაც კი აფერხებს ახალი წარმატებული შედეგების მიღებას. ცუდადაა ორგანიზებული გრან-

ტის პროექტების განაწილება იმ მეცნიერ-კადრებზე, რომელთაც შეუძლიათ, წარმატებით დაასრულონ და გადაჭრან ქვეყნის განვითარებისათვის დასმული პრობლემები.

**ახლა შევეხოთ ტერმინს მეცნიერ-კადრი**, რომლის ნაცვლად ამჟამად მეტ-წილად სარგებლობენ ტერმინებით „მეცნიერებაში დასაქმებული“ ან „მეცნიერ თანამშრომელი“. ტერმინი მეცნიერ-კადრი შეიძლება ხმარებაში დარჩეს, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნავს მეცნიერებაში მოღვაწე დამსახურებული სახელის მქონე შემოქმედ მეცნიერს, მიუხედავად იმისა, იგი თავისი „პროფილით“ მუშაობს თუ არა. ის შეიძლება უმუშევარი ან პენსიორი იყოს (მეცნიერ მუშაკი, მეცნიერ-კადრი ძველი ტერმინებია. ისინი სამეცნიერო მიმართულებას აკვალიანებენ, ქმნიან სიახლეებს, ამიტომ ვისარგებლებთ ტერმინითაც „მეცნიერ-კადრი“).

**4. მეცნიერ-კადრი, როგორც ქვეყნის განვითარების მონაწილე და მისი გავლენა ცოდნის ეკონომიკაზე.** 21-ე საუკუნიდანვე აშკარა უნდა გამხდარიყო მდგრადი ეკონომიკური განვითარებისაკენ მეცნიერ-კადრთა წამყვანი როლის გათვალისწინების აუცილებლობა საქართველოში. ეს განსაკუთრებულად ეხება მაღალი დონის მეცნიერ ეკონომისტების პერსპექტიულ წინადადებებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელთა მაღალი მეცნიერული პოტენციალის პირობები არ იყო შექმნილი პოსტსაბჭოთა საქართველოში.

მეცნიერების გარეშე დარჩენილი ერი მონობისათვისაა განწირული და უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ მდგომარეობაში საქართველო არ აღმოჩნდება. თუმცა სხვა სახის საშიშროებამ „თავი უკვე იჩინა“. ეს არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური შინაარსის სტრატეგიასთან საქართველოს მეცნიერთა პასიურ დამოკიდებულებაში ჩაყენება, რაც სახიფათოა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

მეცნიერ-კადრი უშუალოდ არის დაკავშირებული როგორც ცოდნის დაუფლებასა და მის მიღებასთან, ასევე აღმოჩენებსა და გამოგონებებთანაც. ზრდის და აღრმავებს რა

ცოდნის გამოყენების მასშტაბებს, ამაში მნიშვნელოვანი როლი ცოდნის ეკონომიკას ენიჭება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოდნის ეკონომიკა მეცნიერების, განათლების და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელ ფუნქციას „კისრულობს“, რასაც ინოვაცია აძლიერებს [5, გვ. 10-14].

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის, როცა წამყვანი პოზიციები, ინვეს-ტორებთან ერთად, მეცნიერებს ენიჭებათ, მაშინ საიმედო ხდება ამ საქმის წარმატებები მენეჯერების თანამონაწილეობით. ბუნებრივია ისიც, რომ მეცნიერ კადრების აქტიური მონაწილეობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, საიმედო მომავალს ქმნის.

ყოველივე ამას განაპირობებს მეცნიერებისა და განათლების დონე, ხოლო მაღალი დონის შედეგები იმ კოლოსალური შრომის შედეგია, რომელსაც თავისივე ქვეყნის პატრიოტი მეცნიერები იძლევიან მათი შემოქმედების მრავალმხრივი გაძლიერების შესაბამისად, ინვესტიციებითა და ინოვაციებით.

ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ცხოვრების დონე დღეს უფრო მა-ღალია ვიდრე საუკუნის წინ, ტექნოლოგიური ცოდნის განვითარებაა, მათი უდი-დესი ნაწილი ფირმებისა და ცალკეული გამომგონებლების კერძო კვლევების შედეგია; ამ შემთხვევაში ცოდნა საზოგადოებრივი საქონელია. „მთავრობა დიდ როლს ასრულებს მეცნიერული კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის ხელშეწყობაშიც“ [6, გვ. 108], რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია კვალიფიციური სტრუქტურის შემდგომ ცვლილებებთან. ამ მხრივ დიდია აშშ-ის მთავრობის მეცნიერული ცოდნის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე ზრუნვა, „რისთვისაც იყენებს მეცნიერების ეროვნული ფონდისა და ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების გრანტებს, აგრეთვე საგადასახადო შეღავათებს იმ ფირმებისათვის, რომლებიც მეცნიერულ კვლევებს აწარმოებენ“. ასე მაგალითად, საპატენტო სისტემა აძლიერებს ინ-დივიდებისა და ფირმების მიერ მეცნიერული კვლევის წარმოე-

ბის სტიმულებს“ [6, გვ. 409]. მათი ეფექტიანი დაფუძნება საქართ-ველოშიც უნდა მოხერხდეს.

მე-20-ე საუკუნის 90-იანი წლების ეკონომიკურმა და სამართლებრივმა პროცესებმა პოსტსაბჭოთა საქართველოში ინოვაციური განვითარების გასაგრძელებლად ისეთი რესურსების „დაკარგვა“ გამოიწვია, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამას მოჰყვა მეცნიერ-მკვლევართა რიცხოვნობის შემცირება, გაურკვევლობა მეცნიერ-კადრთა კვალიფიციურ სტრუქტურაში და „ტვინების გადინება“ უცხოეთში.

ყოველივე ეს და სხვა მრავალმხრივი წინააღმდეგობები მეცნიერების მაღალ-კვალიფიციურ შრომაზე უარყოფითად მოქმედებს, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მაღალი დონის მეცნიერული პოტენციალის გავლენით მეცნიერ-კადრთა კვალიფიციური სტრუქტურა არ გაუარესებულა პოსტკომუნისტურ საქართველოში. თუმცა, მოსალოდნელია, დასაქმებულთა რიცხოვნობის მკაცრად შემცირებამ ქვეყანა მეცნიერების შესაძლებლობების კიდევ უფრო გაუარესების რეალობის წინაშე დააყენოს (თანაც ახლო მომავალში).

მეცნიერება, როგორც სიახლის ძიებისა და მოპოვების კლასიკური საშუალება, ადამიანის გენში დევს, მაგრამ მას **გამოვლენა და სათუთი აღზრდა სჭირდება**.

მეცნიერული ცნობისმოყვარეობის გაღვივება და მისი შემოქმედებისაკენ წარ-მართვა, ახალგაზრდობაში მაღალი დონის კვლევის გამომუშავებასთან ერთად, უმაღლესი სასწავლებლებისა და მისი დოქტორანტურის საპატიო ამოცანაა, რომლის გადაწყვეტას განაპირობებს სწავლების მაღალი ხარისხი და სათანადო წრთვნა.

**5. სინერგიული ეფექტი მეცნიერებისა და განათლების ერთობლივ სისტემაში.** მეცნიერად ჩამოყალიბების საწყისებიდან მთავარია ადამიანში ამაღლდეს რეალობის შემეცნებითი დონე და მისი ცოდნის კულტურის ამოქმედება წარმართოს დასახული მიზნის მისაღწევად, რომელშიც იგულისხმება სპეცია-ლობის შერჩევა და ზრუნვა მათში კვალიფიკაციის ამაღ-

ლებაზე, რაც მეცნიერს შველის პრობლემის დასმასა და მის წარმატებით გადაწყვეტაში.

მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას აღვივებს და მას კლასიკურ ხასიათს აძლევს ტალანტის მოღვაწეობა შედეგით მონოგრაფია, რომელიც „მოაზროვნე მკითხვე-ლისათვის“ არის გამიზნული, შემდგომ მიმდინარეობს მეცნიერთა ჯგუფური აზროვნების შემოქმედებითად დახვეწა.

მეცნიერის მიერ შექმნილ მონოგრაფიას უნდა გააჩნდეს სინერგიის თვისება იმ დონეზე, რომ მან კარგ (გონიერ) წამკითხველზე ახალი შედეგების მისაღებად დამაკვალიანებელი გავლენა იქონიოს, რაც (ნაწილობრივ მაინც) მკითხველებში აღძრავს ახალ სინერგიას და ა.შ. მეცნიერი, მისი მონოგრაფია (ან მონოგრაფიები, წიგნები, სტატიები) მთლიანად შემოქმედება, კონტაქტები კონსულტაციებით და სხვ. იმის საფუძვლებია, რომლებიც მეცნიერ მკვლევარის წარმატებებს განასახიერებს და უკვდავყოფს სამეცნიერო საზოგადოებაში, კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მეცნიერთა შემოქმედებითად „შეკრული კოლექტივი“ სინერგიული დონის მეცნიერულ შედეგებს დახვეწილ სახეს აძლევს, ამარტივებს და ახალი თაობებისათვის გასაგებს ხდის, ისიც შეიძლება, რომ ახალ წინააღმდეგობებსა და პრობლემებს ავლენდეს.

შეცდომის წინაშე აღმოვჩნდებით თუ დავუშვებთ, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მეცნიერების თვითორგანიზებით სინერგიულ დონეზე აყვანა შესაძლებელი გახდება მეცნიერ ტალანტების მოღვაწეობისა და მომგებიანი ეკონომიკის დამკვიდრების გარეშე. აუცილებელია იმის ბოლომდე გაცნობიერება, რომ მეცნიერებაში მომუშავე მეცნიერ ტალანტების 5% ქვეყნისათვის აუცილებელ პერსპექტიულ პრობლემებს გადაწყვეტს, ხოლო დანარჩენი 95% მეცნიერისა და დამხმარე პერსონალის მონაწილეობა საჭიროა თუნდაც იმისათვის, რომ ძველი (მოსალოდნელია ახალიც კი) პრობლემები დაისვას ან გადასაჭრელად

მომზადდეს; შემდეგ კი იგი უფრო დახვეწილად და გასაგებად გადაეცეს ახალ სამეცნიერო ცვლას [11, გვ. 344].

მეცნიერ-კადრი არ შეიძლება მარტო მოღვაწეობდეს, თანაც კომპიუტერის გარეშე. იგი შემოქმედი ახალგაზრდების წრეში უნდა ქმნიდეს შედევრებს. ასეთი სამეცნიერო დონის არმია სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ფორმირდება, რომლის დაქვემდებარებისა და მზრუნველობაში შეიძლება ფუნქციონირებდეს შესაბამისი პროფილის ინსტიტუტი ან მიმართულება. იგი მეცნიერთა ოჯახია, რომელიც მარადიულად უნდა არსებობდეს, მისი მოშლა, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, არა მარტო შეცდომა, არამედ დანაშაულიცაა. მით უფრო ადამიანის თავისუფლებასა და დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე ისეთ ქვეყანაში, როგორიც პოსტსაბჭოთა საქართველოა.

ყოველივე ამისათვის მთავარია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანის კაპიტალის მეცნიერული დონის კიდევ უფრო ამაღლება. იგი მცირე ზომითაც კი გლობალიზაციის პირობებში იწყებს ჩამოყალიბებას. ამას ცოდნის ეკონომიკა აწესრიგებს. აქტიური მეცნიერ-კადრი ყოველთვის ეცდება, რომ გლობალიზაციის ტალღას მიჰყვეს და მსოფლიოს გააცნოს თავისი შედეგები.

რევაზ ჯავახიშვილის სტატიიდან „ადამიანისეული ფაქტორი და მისი აქტივიზაცია პოსტინდუსტრიულ ეპოქაში“ ყურადღებას ვამახვილებთ შემოქმედებითად მოაზროვნე გაბედული ადამიანების ინდივიდუალური ტალანტის და უნარ-შესაძლებლობების (როგორც წარმოების მუშაკის პროფესიული დონის ძირითადი მახასიათებლების) გათვალისწინებაზე შრომის ანაზღაურების დონის ზრდასა და მუშაკთა მატერიალური სტიმულირების გაძლიერებაში [8, გვ. 132-134].

ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ მთავარია ცალკეული სისტემების ორგანული გაერთიანების პირობების შექმნა და უშეცდომო წარმართვა მაღალი დონის სინერგიული ეფექტის

მისაღებად, მაგალითად, მეცნიერებისა და განათლების ერთ სისტემად წარმოდგენის შემთხვევაში.

ცნობისათვის, სინერგიული ეფექტი რეალური ეკონომიკური სისტემების შემადგენელთა ორგანული გაერთიანების შედეგია და მის შემადგენელ ელემენტთა გამოსავლიანობის (ენერგიის) ნამრავლსაც კი ბევრად აღემატება.

ამ მხრივ **პერსპექტიულია სინერგიული დონის პარადიგმების ცოდნის ეკონომიკაზე გავლენის კვლევა** [8, გვ. 127-131]. საიდანაც გამოვყოფთ შემთხვევას, როდესაც მეცნიერება იღწვის მაღალი შინაარსობრივი დონის პარადიგმების გასაერთიანებლად და დასამკვიდრებლად ისე, რომ იგი საზოგადოების განვითარების შესაბამისად თაობებს გადაეცემა.

პოსტკომუნისტურ საქართველოში მეცნიერება ქვეყნის ევოლუციურ გარდაქმნაში მონაწილეობდა, მაგრამ მათი აზრობრივი ხედვა პრივატიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით მაინც არ იქნა ბოლომდე გამოყენებული, რაც ეხებოდა (აგრეთვე) მოსახლეობის მდიდარ ფენასთან ერთად საშუალო ფენის გაძლიერებასაც [8, გვ. 129].

ამჟამად, ჩვენთან მეცნიერებისა და განათლების ერთ სისტემაში გაერთიანება აუცილებელი შეიძლება იყოს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მათი ორგანული შეთანაწყობით. [9, გვ. 122]-დან გამომდინარე გასათვალისწინებელია, რომ, როცა ქვეყანაში სამუშაო პირობების უზრუნველყოფა „ცენტრალიზებულ ბიუროკრატიას აქვს დავალებული“, მაშინ მათ ბოლომდე გასაგებად უნდა მიეცეს მკაცრი მითითება იმაზე, რომ „ერთის ეკონომიკური ზრდა არ ნიშნავს მეორის ზარალს ქვეყანაში“, რომელიც ეკონომიკური განვითარების გზაზე დგას. თუმცა მოსალოდ-ნელია მოგების მიღწევა სხვადასხვა სისწრაფით განხორციელდეს [9, გვ. 124]. ამის ანალოგიურად **საჭიროა, რომ მეცნიერებისა და განათლების ორგანული შეერთებისათვის ღრმად გააზრებული პირობები შეიქმნას, როდესაც ორივე სისტემა იგებს, თუმცა რისკის შემთხვევა გასათვალისწინებე-**

**ლია და საჭიროებისამებრ მის მინიმიზაციაზე ზრუნვაც არის ჩასატარებელი.**

ყოველივე ამაში აუცილებელია მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-კადრთა ჩართვა, მათ შორის მეცნიერ ეკონომისტების, რომლებსაც შეუძლიათ კაპიტალდაბანდებების რაციონალური ხარჯვა ქვეყანაში ბოლომდე გამჭვირვალედ მიიყვანონ. ამას სჭირდება სათანადო დაფასება საზოგადოების მხრიდანაც, რომელსაც (დადებით) იმპულს მთავრობა უნდა აძლევდეს.

**6. კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები მეცნიერებაში.** პოსტსაბ-ჭოთა საქართველოს საბანკო სისტემისა და, საერთოდ, ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთ დამამუხრუჭებლად ითვლებოდა, რაც ამჟამად გამოსწორების გზაზეა. თუმცა სამეურნეო პროცესებში პრიორიტეტები საკმარისი სიღრმით არაა გარკვეული იმ ჩინოვნიკების მიერ, რომლებსაც ევალებათ მეცნიერთა მოღვაწეობის შედეგად მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვა და ქვეყნის მართვის ზედა საფეხურებამდე მიტანა. ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ მეცნიერთა აზრი ქვეყნის განვითარებასა და სიძნელეებზე იგნორირებულია. ქვეყანაში თითქოს წინა პლანზეა დაყენებული პროდუქციის გამოშვების გარეშე ფულიდან ფულის „კეთება“, რაც სამწუხარო რეალობის შემთხვევაში ამწვავებს სამამულო პროდუქტების დეფიციტის არსებობას და ამასთან ხელს უშლის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მექანიზმის დამკვიდრებას. ანალოგიურ (მაგრამ უფრო რთულ) მდგომარეობაშია მეცნიერების კონკურენტუნარიანობის პრობლემაც.

სამართლიანი კონკურენცია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პირობების გათვალისწინებითა და საგადასახადო წნეხის შემსუბუქებით ქვეყანაში პროდუქციის გამოშვების მომგებიანობის გარემოს შექმნის (რასაც დიდი ხანია ელოდება საქართველოს მოსახლეობა), ხოლო ის, რომ მსოფლიოში სა-

ქართველოს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლის მაღალი დონის გამოვლენა ხერხდება, საიმედო რეალობაა [7, გვ. 83-86].

ამის ერთგვარი ანალოგიაა სპორტსმენთა წვრთნაში კონკურენციის გათვა-ლისწინება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. საჭიროა მათი მთლიანობაში განხილვა, რადგან ისინი ერთმანეთს „განაპირობებენ“. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებაც პერსპექტიულია.

ამჟამად, მეწარმეთა მმართველობაში მოქცეული და ფირმების კონკურენციაში გადაზრდილი მეტოქეობა, მომხმარებლების მოთხოვნის გათვალისწინებით, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვით გააქტიურებულია განვითარებულ სახელმწიფოებში. ისინი საბაზრო ეკონომიკის გავლენით სინერგიული ბუნების ხდებიან ისე, რომ დოვლათის წარმოებასთან დაკავშირებით კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე მოთხოვნას ზრდიან. მის სრულყოფაში კი ძირითადად ეკონომიკური მეცნიერება მონაწილეობს.

მეცნიერებაში დასაქმებული, ჩართულია რა შემოქმედებით შრომაში, მიზანმიმართული კონკურენციისათვის ნაკლებად იცლის, თუმცა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე ზრუნვა მის მოღვაწეობას მაინც ახლავს. კონკურენცია მეცნიერული შედეგების გაყიდვის რეალობის შემთხვევაში შეიძლება გააქტიურდეს. იგი იხვეწება ცოდნის ეკონომიკით, თანაც იმისდა მიხედვით თუ სამეცნიერო პროდუქცია მომხმარებელს როგორ მიეწოდება: მონოგრაფიებით, დასკვნებითა და წინადადებებით თუ ფირმების მიერ ახალი ტექნოლოგიით გამოშვებული სასიგნალო პროდუქციით და ა.შ.

კონკურენციის გამწვავებას მეცნიერებაში იშვიათად აქვს ადგილი და მეტ-წილად მაშინ, როცა მეცნიერის სამოღვაწეო პრობლემები სულ უფრო რთულდება და დაუკონკრეტებელი ხდება, ხოლო შრომის ორგანიზება დაბალ დონეზეა და დაფინანსება მწირი.

**საქართველოს მეცნიერებაში კონკურენცია უფრო „შენიღბული“ ხასიათისაა და აქედან გამომდინარე შეიძლება**

**დამკვიდრეს აზრი იმის შესახებ, რომ მეცნიერებაში კონკურენციას არა აქვს ადგილი. კონკურენცია და კონკურენტუნარიანობის ამაღ-ლება მეცნიერებაში სულ სხვა სახის ფენომენია, ვიდრე მაშინ, როცა იგი ფირმის მიერ პროდუქციის გასაღებისათვის ბრძოლას უკავშირდება.**

მეცნიერებაში კონკურენციის ეკონომიკური საფუძვლების დახასიათებისა და მათი შემდგომი დაკვალიანების მიზნით მოგვყავს მსჯელობა [10] ნაშრომის მიხედვით, რომ მეცნიერებაში კონკურენტუნარიანობაზე გავლენას ახდენს მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევა. მისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ მეცნიერის შრომა უშუალოდ და თანაც ინტენსიურად ირთვება წარმოების პროცესში [10, გვ. 22]. ყოველივე ეს ეფექტიანია ისეთ ქვეყანაში, რომელიც ფლობს ბუნებრივ რესურსებს და შესაბამის ეკონომიკურ პირობებსაც. ამით ისინი მსოფლიო ბაზარზე მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას და შესაბამისად კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებას უზრუნველყოფენ [10, გვ. 27]. არსებითია ის, რომ გლობალიზაციის ეპოქაში წარმოიქმნება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შესაძლებლობები, თანაც, როგორც სისტემური მოქმედების კვალობაზე, ერთობ გაძლიერებულია სინერგიული ძალა, ადამიანისეული კაპიტალი, მათი ეფექტიანი გამოყენება ორგანულად გაერთი-ანებული ელემენტების ერთობლიობით წარმოშობს ძლიერ ძალას [10, გვ. 19].

ამგვარად, კონკურენტუნარიანობასთან და მის ამაღლებასთან დაკავშირებით პრობლემები შეიძლება სხვადასხვა შემთხვევებით დახასიათდეს: **ფირმებს შორის კონკურენციაში მეცნიერების დახმარების საფუძვლიანი გამოყენება; კონკურენცია სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის პროცესში და შესაბამისი დაფინანსებით; კონკურენცია განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომელშიც მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ და ა.შ.**

„ცივი ომიდან“ გამომდინარე კონკურენცია მეცნიერებს შორის მსოფლიოში არ გამწვავებულა, რაც ამჟამადაც მნიშვნელოვანია. იგი საიმედოა გლობალიზაციის პირობებში საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობიანი ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენისა და მრავალმხრივი პროგნოზების გათვალისწინებითაც [8, გვ. 99]. ამჟამად **საჭიროა, დაზუსტდეს კონკურენციის მშვიდობიანი მექანიზმის ამოქმედება-გაძლიერების შესაძლებლობები საქართველოს მეცნიერებაში. ასევე აუცილებელია გლობალიზაციასთან შესაბამისობაში აკადემიური მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო სისტემების ერთმანეთთან შერწყმული საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო მოძრაობის ორიენტაციაში გარკვევა.** მთავარია არ დაიკარგოს მეცნიერებათა აკადემიებისა და სასწავლო ინსტიტუტების წარმატებები, რომლითაც ისინი ცნობილი გახდნენ მსოფლიოში. ამ მხრივ მათი პასიურ მდგომარეობაში ყოფნა მხოლოდ დროებით არის დასაშვები.

საქართველოში მეცნიერება ამჟამადაც უმნიშვნელო სფეროდაა ჩათვლილი, თუმცა ნაწილობრივ მაინც უძლებს აგრესიული პრივატიზაციის შემოტევას. ყოვე-ლივე ამის ცალკეული შემთხვევები (უფრო „შენიღბული სახით“) ბევრად ადრე ვლინდებოდა. მე-20-ე საუკუნის ბოლო წლებიდან საქართველოს სტატისტიკურ კლასიფიკატორში მეცნიერება ცალკე არ იყო გამოყოფილი და თითქოს შემთხვევით მიაკუთვნებდნენ „უძრავი ქონების აღრიცხვას“ (?!). შემდგომ იგი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ეგრეთ წოდებულ სხვა ხარჯებში („გაურკვევლად“) იქნა გაერთიანებული, რაც მრავალ უხერხულობას უქმნიდა მეცნიერების დაფინანსებას. ამითაც მეცნიერებაში კონკურენციის შესაძლებლობები უგულველყოფილი იყო. ამას, რიგ სამეცნიერო სტატიებში მოყვანილი ჩვენი ქვეყნის მეცნიერებაზე დანახარჯების ვიზუალურად გაფილტრული საიმედო მონაცემებიც (მაგალითად, იხ. [7, გვ. 122; გვ. 148]) ვერ გამოასწორეს.

ორი ათეული წელი ხდება, რაც პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერების მიღწევების ინფორმაციით საერთაშორისო ცენტრებმა უშუალო დაინტერესება გამოავლინეს. ისინი ამისათვის საკუთარი ექსპერტებისაგან მოპოვებული მონაცემებითა და დასკვნებით მსჯელობდნენ, რაც, უფრო მეტად, ზედაპირულია. არც ისაა გამორიცხული, რომ უცხოელებს მხედველობიდან გამორჩეთ ის, რაც ჩვენთვის არსებითია.

მეცნიერების დაფინანსებასა და დასაქმების სტრუქტურაზე სახელმწიფო მონა-ცემები ამჟამად მწირია. ხოლო საქართველოს მეცნიერთა სტატიების უცხოეთში გამოქვეყნებაზე მონაცემები, მათ შორის ცენტრალურ ჟურნალებში, არ არის საკ-მარისი იმისათვის, რომ შეიქმნას რეალური წარმოდგენა საქართველოს მეცნიერების მიღწევებზე. ამ მხრივ შედარებით უკეთესადაა აღრიცხული განათლების სისტემის მაჩვენებლები.

კონკურენციის გამწვავებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხო ასევე მეცნი-ერების კონკურენტუნარიანობასაც, მსოფლიოში ამჟამად თითქმის ყველგან გავრცელდა „სტრატეგიული აზროვნება ბიზნესში“. მასში მთავარ მამოძრავებელ ძალას ცოდნა წარმოადგენს, რესურსს კი – ინფორმაცია, ხოლო შედეგს – კრეატიული პროდუქტი. კრეატიული ეკონომიკის კონცეფცია აერთიანებს დაცალკევებულ კატეგორიებს – „ინფორმაციული ეკონომიკა“, „ცოდნის ეკონომიკა“ და „ინოვაციური ეკონომიკა“. ჩვენც ყურადღებას ვაფიქსირებთ იმაზე, რომ ბიზნესის კრეატიული ხასიათი განაპირობებს იმასაც, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულებაში უმეტესი ნაწილი შემოქმედებით მდგენელზე მოდის, როგორიცაა მეცნიერება. რეალობაა ისიც, რომ კრეატიულობამ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი პროდუქცია [7, გვ. 18, 19, 78]. ასეთ პირობებში უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც მეცნიერული კვლევით ახალი პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობენ, მეცნიერების კონკურენტუნარიანობის ამაღლების იმედების წინაშე შეუძლიათ დაგვაყენონ.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. **სარჩიმელია რ.** მეცნიერებისა და განათლების თვითორგანიზებადი ეკონომიკური სისტემის ფორმირების წინაპირობები საქართველოში. სამეცნიერო ნაშრომების კრებული, ტომი I. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, „მეცნიერება“, 2000, გვ. 471-485.
2. **ჩარექიშვილი ლ., სარჩიმელია რ.** მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთიანი ეკონომიკური სისტემის შესაძლო ფუნქციონირების სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში. ჟურნალი „მაცნე“, ეკონომიკის სერია, 4, 2001, ტომი 9, გვ. 224-241.
3. **სარჩიმელია რ., ჩარექიშვილი ლ.** მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, 2010, №4 გვ. 35-43.
4. **სარჩიმელია რ., ჩარექიშვილი ლ.** ცოდნის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი. საერთა-შორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“ 2010, №6, გვ. 22-30.
5. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე“, 2006.
6. **მენქიუ გ.** ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, „დიოგენე“, 2000.
7. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკის პროგრამა. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები 2010 წელი 11 ნოემბერი. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი 2010, გვ. 5-19; გვ. 73-79; გვ. 83-86; გვ. 122; გვ. 148.

8. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პ. გუგუშვი-ლის ეკონომიკის ინსტიტუტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსე-ბის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონ-ფერენციის მასალების კრებული: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი, 2011, (21-22 ოქტომბერი), გვ. 97-99, გვ. 125-136.
9. **ოტო გრაფ ლამსდორფი.** თავისუფლება - სიღარიბის საუ-კეთესო წამალი. რეფორმები და თავისუფლება, ახალი ეკო-ნომიკური სკოლა - საქართველო. თავისუფლების ბიბლი-ოთეკა. წიგნი V, 2007, გვ. 118-128.
10. **ჩიქავა ლ.** შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურებები გლობალიზაციის პი-რობებში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადე-მია. შრომები ტ. VIII. თბილისი, „სიახლე“, 2008.
11. **Винер Н.** Я Математик. Москва, „Наука“, 1967 (Сокращенный перевод с английского).

***Sarchimelia Roland***

## DEVELOPMENT PROBLEMS OF SCIENCE IN GEORGIA AND ISSUES OF RISING COMPETIVENESS

## SUMMARY

In the article is viewed the diminishing funding structure of science in post communist Georgia with the analyzing the changed structure and dynamics of the scientific staff. Science system is viewed in connection with educational system.

In the article is examined the difficulties of commercialization of science. Also is presented the ways of achieving higher competitive advantage in terms of globalization which is usually accompanied in the period of post communist transformation processes in Georgian science.

*Ната Давлашеридзе*

# ЗНАЧЕНИЕ НАСЛЕДИЯ ЛАУРЕАТОВ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ В ПРЕОДОЛЕНИИ СОВРЕМЕННОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО КРИЗИСА

Современный экономический кризис представляет собой отнюдь не новое явление, кризисные процессы сотрясают капиталистическую рыночную экономику на протяжении всей ее собственной истории с начала XIX столетия. Кризисы не возникают ниоткуда и не исчезают в никуда. Они являются логичным, неотвратимым следствием взаимодействия определенной комбинации факторов. И то же время нет двух абсолютно идентичных кризисов: каждый из них индивидуален, неповторим, имеет свой набор причин и следствий, свои ни с чем не схожие черты. Известное высказывание видного экономиста и нобелевского лауреата **Пола Самуэльсона**: “О глобальном финансовом кризисе мы знаем только то, что мы знаем о нем совсем немного” с успехом можно применить и к современному экономическому кризису. Отдельные страны проводят разную политику и придерживаются разных подходов к преодолению кризиса. Существует огромная потребность в международной координации мер по противодействию рискам и разрастанию кризиса. Сейчас основные усилия ведущих стран направлены на выработку решений, основанных на едином понимании природы кризиса и путей его преодоления.

В этой связи возрастает роль научных достижений лауреатов нобелевских премий по экономике, имеющих непосредственное отношение к главным проблемам современного этапа экономического развития, в частности, практического применение этих достижений для анализа причин и путей преодоления мирового финансово-экономического кризиса и которые, в определенной степени, можно рассматривать как серьезные предупреждения о предстоящих катаклизмах.

Если обобщить тематику работ, за которые, начиная с 1968 г., была присуждена Нобелевская премия в области экономики, то и тут весьма существенной окажется доля трудов, в той или иной степени касающихся различных проблем кризисных явлений в экономической сфере.

В 1988 году Нобелевскую премию получил **Морис Алле** «за вклад в теорию рынков и эффективного использования ресурсов». Вклад Алле в современную экономическую теорию связан с разработкой четырех разделов: общей теории равновесия и оптимального распределения ресурсов ("rendement social" или "efficacite maximale"), теории капитала и экономического роста, теории денег и цикла и, наконец, теории выбора в условиях рынка. Выводы Алле, несмотря на достаточно абстрактный характер их изложения, нашли практическое применение в практике индикативного планирования во Франции, в частности в замене в государственном секторе экономики методов прямого регулирования методами ценовой политики. Его подход к экономике и к жизни вообще парадоксален (“парадокс Алле”): он, с одной стороны, был убежденным сторонником справедливости и считал, что богатство должно так перераспределяться между людьми, чтобы не порождать незаработанных доходов и не способствовать образованию монополистических и технократических элит. Но, с другой стороны, он был убежден, что лучший механизм для справедливого перераспределения доходов — это рынок. Его **подлинный вклад** в экономическую теорию состоит как раз в формулировании условий, при которых рынок и вправду будет выполнять благородную задачу: честная конкуренция, эффективное противостояние монополиям и рациональное управление областью «всеобщего интереса» со стороны государства. Таким образом, государству отводятся функции: удовлетворение коллективных потребностей (инфраструктура, образование, здравоохранение) и их финансирование; определение границ и правил экономики рынков (антимонопольное законодательство, законодательство о компаниях, о продолжительности рабочего

времени, о социальном обеспечении, о патентах на изобретения и т.д.); кредитно-денежная политика; определение правил перераспределения доходов и их финансирование. Любое государство эти функции выполняет с полной готовностью. Но этого мало: оно должно их выполнять **эффективно**. И если этого не происходит, то «как в любой период ускоренной инфляции в прошлом, развился нездоровый капитализм; возникли скандальные состояния, чаще всего в силу сговора плутократии, политократии и технократии. Под прикрытием демагогических заявлений о равенстве множатся всякого рода темные источники доходов… Во всяком случае, несправедливо, что те, кто «делает» законы, избегают последствий этих законов… Изучение истории говорит нам, что, если демагогия и начинается всегда с эйфории, она неизбежно приводит к хаосу и насилию. Деньги должны зарабатываться трудом, а не доставаться путем получения даровых доходов, независимо от того, проистекают ли они от сверхприбыли на земельную собственность, чистого процента на капитал, прибыли, связанной с инфляцией, или же политических махинаций и интриг. Нужно положить конец эксплуатации людей путем сговора плутократии, технократии и политократии[1]». Отсюда одним из самых верных в современных условиях поиска путей выхода из глубочайшего полисистемного кризиса должна стать установка Мориса Алле: “**Сегодняшний кризис – это, прежде всего, кризис разума. Экономика должна служить человеку, а не человек служить экономике**”.

Вторит ему и лауреат Нобелевской премии по экономике 2006 года, **Эдмунд Фелпс**, ныне возглавляющий аналитический центр "Капитализм и общество" при Университете Колумбии. Он считает, что современный кризис прежде всего находится в области знаний. Фелпс отмечает: "Финансовая инженерия" и денежная политика, "основанная на правилах", где неопределенные знания принято считать определенными знаниями, ведет нас в опасном направлении».

Особую актуальность в современном кризисном периоде приобретают разработки **Джорджа Акерлофа, Майкла Спенса и**

**Джозефа Стиглица,** получившими нобелевскую премию по экономики в 2001 году - «за анализ рынков с несимметричной информацией». Каждый из них со своей стороны исследовал не совсем честные сделки — когда одна сторона знает о продукте или условиях контракта больше другой.

**Джордж Акерлоф** в своей статье «Рынок «лимонов»: неопределенность качества и рыночный механизм» логично показал, как на рынке подержанных машин со временем никуда не годные машины вытесняют вполне пристойные — хотя с расчетной точки зрения продавцу выгодно продавать и нормальные машины тоже. Но продавец не может устоять перед неискушенностью покупателя и его неспособностью быстро оценить качество машины. Выгода от сделки исчезает. А если недобросовестных продавцов становится много, благосостояние общества падает. Акерлоф видел выход в восстановлении доверия между продавцом и покупателем и предлагал различные лицензии в сочетании с видимыми для покупателя вложениями в долговременное обустройство: продавец должен показать клиенту, что он тут надолго и не будет мошенничать ради минутного куша.

Если применить теорию Акерлофа на глобальные финансовые процессы то получается что любой кризис – результат недостатка информации. Между настоящим и будущим всегда есть информационная «асимметрия». Она и провоцирует экономические катаклизмы». «Посвященные» владеют информацией и извлекают из нее доход, превратив ее в ренту». «При отсутствии информации, равной и полной для каждого участника рынка, государство должно устанавливать общественный договор, закрепляющий принципы справедливости и безопасности, действительные для всех, во избежание увеличения неравенства между «посвященными» и прочими, а также инструменты контроля за особой кастой».

**Майкл Спенс** развил эту логическую линию и показал, что продавцы могут увеличить объем продаж, давая покупателям дополнительную информацию о качестве своих услуг: фирменные

знаки, гарантии, рекомендации. Когда речь идет о продаже рабочей силы, пригодятся поручительства и символы квалификации — дипломы, сертификаты и т.п.,то есть предъявляется не квалификация, а ее признаки. А ведь признаки качества — еще не качество. Спенс рассмотрел несколько разновидностей подобной информации: дорогостоящая реклама и обширные гарантии производителей (сигналы о высокой производительности, хотя ее фактический уровень неизвестен); агрессивное снижение цен и распродажи (вроде бы их могут позволить себе только лидеры отрасли); финансирование компании не за счет эмиссии акций, а за счет выпуска облигаций — это (типа) знак высоких доходов; сигнал бескомпромиссного стремления денежных властей справиться с высокой инфляцией — рестриктивная (ограничительная) денежно-кредитная политика. Особое внимание Спенс уделил дивидендам: они служат знаком благополучия корпорации и ее восхитительных перспектив. Рыночные игроки интерпретируют дивиденды как хорошие новости - и курс акций растет.

Для выхода из современного кризиса Спенс предлагает, во-первых, Европе и США заняться восстановлением их финансового баланса. В Европе основные действия должны заключаться в оказании помощи странам, в которых дефицит и долг отрезали доступ на рынок или привели к непомерно высокой стоимости заимствований, а в США – в восстановлении финансового баланса, не повреждая восстановление и дальнейший рост. Во-вторых, Спенс отмечает необходимость ухода от количественного послабления в США, которое ставит страны с развивающейся экономикой перед проблемой наплыва потоков капитала, что вызывает рост товарных цен, инфляцию и пузыри активов. В-третьих, развитые и развивающиеся страны, которые поддерживают хронические профициты, должны избавиться от них. В-четвертых, мировая экономика не сможет достигнуть баланса до тех пор, пока у США будет большой дефицит текущего счета, в связи с чем необходимо уделить достаточное внимание этому вопросу. В-пятых, основные держатели резервов

должны дать согласие на использование их на поддержание глобальной финансовой стабильности и предотвращение слишком резких колебаний обменного курса и движения капитала. Несмотря на то, что все эти пункты довольно трудоемки и потребуют времени, вместе, они помогут уменьшить неопределенность и приведут к стабильности глобальной экономики, считает Спенс.

**Джозеф Юджин Стиглиц** же считает, что всему виной является мощная идеология - основанная на вере в свободные и не имеющие ограничений рынки привела мир на грань разорения. Даже в период своего расцвета с начала 1980-х до 2007 года капитализм американского образца с ослабленным контролем со стороны государства привел к значительному повышению благосостояния только самых богатых в самых богатых странах мира, большинство же американцев наблюдали, как год за годом их доходы либо снижались, либо стояли на одном месте.

Но можно сказать, что самое серьезное предупреждение о предстоящем кризисе , но как то оставшееся незамеченным, прозвучало от лауреатов нобелевской премии по экономике 2004 года **Финна Кидланда** и **Эдварда Прескотта,** авторами работ по теории деловых циклов – науке о том, почему экономический рост неравномерен и разные страны проходят через периоды экономических спадов (рецессий) и подъемов. Эти вопросы приобретают особую актуальность в связи с происходящими в настоящее время процессами в мире.

Но пожалуй самым главным является то, что они разработали методологию анализа динамических стохастических моделей общего равновесия с рациональными ожиданиями агентов. Таким образом, они объединили многие разработки ученых до 1980-х годов в единую систему. Эта система остается базисом для большинства современных моделей и своим названием теория реальных деловых циклов обязана тому, что основным источником экономических колебаний (периодов быстрого и медленного роста, равно как и рецессий) должны быть изменения производительности труда или других "реальных"

факторов, таких, например, как международные цены на нефть. Именно неравномерные изменения в этих переменных, с точки зрения нобелевских лауреатов, ведут к неровному росту экономики. В остальном же экономика находится в устойчивом равновесии, то есть любые отклонения от равновесия (такие как безработица) экономика вылечивает сама, используя рыночные механизмы, если, конечно, ей не мешать. Такой вывод идет в разрез с традиционным кейнсианским подходом, который всегда приписывал краткосрочные колебания экономики изменчивому спросу, движимому необъяснимыми животными инстинктами. Соответственно, практические рекомендации для властей у Кидланда и Прескотта тоже заключаются в минимальном вмешательстве в экономику, из-за чего их и назвали «новыми классиками». Они продемонстрировали, как ожидания последствий будущей экономической политики государства могут привести к неустойчивости и даже к провалу этой самой политики. В своей модели американские экономисты исходили из того, что текущие решения экономических агентов (фирм и домохозяйств) во многом обусловлены их рациональными ожиданиями по поводу последствий объявленной правительством экономической политики. В свою очередь, последствия решений экономических агентов заставляют государство пересмотреть параметры экономической политики; фирмы и домохозяйства реагируют на эти изменения, и т.д. Смоделировав этот процесс при помощи теории игр, Кидланд и Прескотт обнаружили, что экономическая политика, постоянно реагирующая на сложившуюся ситуацию, в конечном счете дает худшие результаты, чем если бы правительство твердо следовало раз установленным правилам экономической политики.

В некоторых случаях «игра» правительства и общества, как показали Кидланд и Прескотт, вообще может привести к дестабилизации экономики. Например, правительство может попытаться стимулировать совокупный спрос путем увеличения денежной массы. Фирмы рационально осознают, что правительство испытывает подобное искушение. В результате они встраивают эти

инфляционные ожидания в свои решения, повышая цены и уровень зарплаты. У правительства, в свою очередь, появляется искушение увеличить предложение денег в еще большей степени, чтобы компенсировать действия фирм. В результате уровень занятости почти не растет, а инфляция набирает новые обороты, – возникает стагфляция. Общий вывод Кидланда и Прескотта таков: если в государственной экономической политике преобладают кратко-срочные цели, то они, даже если кажутся удачными, приносят худшие результаты, чем если бы господствовали долгосрочные цели.

Практический вывод, вытекающий из теории Кидланда – Прескотта и близких к ней исследований (например, модели **Роберта Лукаса** - лауреата нобелевской премии по экономики 1995 г.), заключается в том, что государственная организация, отвечающая за проведение денежно-кредитной политики, должна иметь репутацию приверженца низкой инфляции и быть независимой от политической конъюнктуры. Таким образом, теория Кидланда – Прескотта имеет практическое значение, превращая процесс выработки экономических решений из реагирования на текущие события в системную экономическую политику. Должны ли они управлять экономическими процессами жесткой рукой или, наоборот, вмешиваться в развитие отраслей промышленности и внешнеэкономическую деятельность «точечно» и осторожно — об этом среди экономистов велись, ведутся и, думаю, всегда будут вестись бесконечные споры. Ясно одно: именно от этих политических институтов зависят и развитие страны в целом, и способность ее преодолевать трудности, такие как нынешний мировой финансовый кризис. Хронологически коллеги вначале доказали, что государственная политика, преследующая кратко-срочные цели, противоречит долгосрочным целям. Противоречие возникает потому, что в следующем периоде приходится проводить не только политику этого периода, но расхлебывать последствия предыдущего периода — и бороться с теми, кто продолжает следовать предшествующим целям. Больше того: население и фирмы так и норовят использовать действия правительства в своих

«узконаправленных» интересах. Например, правительство может объявить о стимулировании спроса путем увеличения денежной массы — как сейчас. В ответ предприниматели строят свои планы с опорой на государственную помощь — вместо того, чтобы анализировать допущенные ошибки и искать новые пути развития. Экономика гниет, простите, продолжает стагнировать. У правительства, в свою очередь, появляется искушение влить еще денег — в надежде на то, что предыдущие вливания были не ошибочными, а недостаточными. В результате уровень занятости почти не растет, зато появляется инфляция, — и стагфляция налицо. Страшная болезнь: товаров все меньше, а цены все выше. Такой пошаговый процесс взаимодействия правительства и игроков рынка можно описать как игру, в которой государство начинает и проигрывает. На этом фоне возможности государства выравнивать циклические колебания и спасать тем самым экономику от кризисов выглядят весьма сомнительными. В статье 1982 г. «Время строить и агрегированные колебания» Кидланд и Прескотт совместили анализ темпов долговременного роста и краткосрочных колебаний в развитии экономики. Их исследования показали, что краткосрочные циклы порождаются растущими стандартами потребления и технологическими новшествами, которые призваны эти стандарты соблюсти. Влияние инноваций получилось более значимым, чем воздействие несогласованности спроса и предложения: кризисы и спады оказались следствием задержек во внедрении технологических новшеств.

Подытоживая все выше изложенное, можно сказать, использование научных достижений нобелевских лауреатов по экономике приобретает особую актуальность при разработке мер, направленных на решение многих проблем, связанных с нестабильностью современной финансовой и экономической системы, в частности , в создании универсальных механизмов финансово-экономического регулирования, исключающих возможность возникновения глобальных кризисов.

## ИСПОЛЬЗУЕМАЯ ЛИТЕРАТУРА

1. http://igiti.hse.ru/data/046/314/1234/4_1_1Alla.pdf (СОВРЕМЕННАЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ НАУКА И ФАКТЫ .Maurice Allais. La science économique d'aujourd'hui et les faits // Revue des Deux Mondes, juin 1990, p.54–74.© Revue des Deux Mondes, 1990.
2. ***Edward C. Prescott*** «Общий анализ конкурентного равновесия в экономике с секретной информацией» (General Competitive Equilibria Analysis in an Economy with Private Information, 1984.
3. http://www.nobelprize.org/nobel_prizes/economics/

***Davlasheridze Nata***

## SIGNIFICANCE OF THE HERITAGE OF NOBEL PRIZE WINNERS IN OVERCOMING THE MODERN ECONOMIC CRISIS

### SUM M A R Y

In the conditions of a global economic crisis the role of scientific achievements of winners of the Nobel prize directly related to the main problems of the present stage of economic development increases; and also practical application of these achievements in the analysis of the reasons and in working out of ways of overcoming of world financial and economic crisis.

*ნუნუ ქისტაური*

# საგადამხდელო ბალანსი და მისი სრულყოფის გზები საქართველოში

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში საგადამხდელო ბალანსი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში გვევლინება როგორც ქვეყნის რეალური ინტეგრაციის ამსახველი ფენომენი. მისი მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია შევაფასოთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა, ასევე მოვახდინოთ მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება და ქვეყნის ორიენტირება სათანადო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაზე.

საგადამხდელო ბალანსი გვევლინება სტატისტიკურ ანგარიშგებად, რომელშიც სისტემატიზებული სახითაა ასახული მოცემული ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციათა საერთო მონაცემები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, მოცემული ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან მიმდინარე რეალური და ფინანსური ნაკადები.

საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის შედგენის მეთოდების უნიფიკაცია და მათი შეთანხმება ეროვნული ანგარიშების სისტემასთან. ქვეყნების საგადამხდელო ბალანსების შედგენა ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1993 წელს გამოქვეყნებული რეკომენდაციების საფუძველზე. იგი დგება მოცემული ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში, საბაზრო სავალუტო კურსზე გადაანგარიშებით, ოპერაციის განხორციელების თარიღის შესაბამისად (თუმცა შესაძლებელია რომელიმე ქვეყნის ვალუტაში შედგენაც, მისი ეროვნული ვალუტის არამდგრადობის შემთხვევაში).

ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის აგებისას გამოიყენება რამდენიმე ფუნდამენტალური პრინციპი:

1.ორმაგი ბუღალტრული ჩაწერის სისტემა, ოპერაციის გატარების ორმაგი ჩაწერის მეთოდი. ე.ი. თითოეული ოპერაციის გატარება ხდება ორი ურთიერთშემავსებელი აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი ჩანაწერის საფუძველზე ანუ ყოველი ოპერაცია გამოისახება ანგარიშის დებეტისა და კრედიტის მიხედვით (რომელთა ჯამური მაჩვენებლები ტოლია). ეს სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან ნებისმიერ გარიგებას გააჩნია ორი მხარე. ე.ი. ამ დროს ხორციელდება აქტი, რომლითაც საქონელსა ან მომსახურეობაზე ანუ აქტივებზე საკუთრების უფლება ერთი ქვეყნის რეზიდენტიდან გადადის მეორე ქვეყნის რეზიდენტის მფლობელობაში;

2. ეკონომიკური ოპერაციების შეფასება საბაზრო ფასებში, ამასთან ექსპორტისა და იმპორტის შესაფასებლად, გამოიყენება ე.წ. FOB ფასებში, ე.ი. საქონლის ღირებულება, საერთაშორისო სატრანსპორტო და დაზღვევის ღირებულების გარეშე;

3. დარიცხვის მეთოდის გამოყენება ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვის დროს;

4. რეზიდენტობის კრიტერიუმის ზუსტი და მკაფიო განსაზღვრა (ზოგადად რეზიდენტად მოცემულ ქვეყანაში თვლიან პიროვნებას, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ამ ქვეყანაში).

ზოგადად, საგადამხდელო ბალანსი შედგება ორი ძირითადი განყოფილებისაგან: მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშისაგან. აქედან მიმდინარე ოპერაციების ბალანსი აფიქსირებს მონაცემებს სავაჭრო ბალანსის, მომსახურეობის ბალანსის, შემოსავლებისა და ტრანსფერტების შესახებ, ხოლო კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ქვესისტემა მოიცავს კაპიტალის ანგარიშის ბალანსს და ფინანსური ანგარიშის ბალანსს. ამ უკანასკნელში კი შედის: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები, სხვა ინვესტიციები.

საგადამხდელო ბალანსის ყველაზე ინფორმაციული განყოფილებაა მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი, ვინაიდან საგა-

რეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მოცულობის 80% მოდის ვაჭრობაზე. ამ ბალანსის დადებითი სალდო მიუთითებს მოცემული ქვეყნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე.

საფინანსო ანგარიშის დადებითი სალდო ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებას მიუთითებს და იგი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

საგადამხდელო ბალანსზე გავლენას ახდენს მოცემული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, სამხედრო ხარჯების მდგომარეობა, საგარეო ვაჭრობის განვითარების დონე, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ხარისხი, ინფლაციის დონე და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, საგადამხდელო ბალანსი ზომავს ქვეყანაში ფინანსური ნაკადების შემოსვლასა და გადინებას შორის არსებულ თანაფარდობას, რაც მის რაოდენობრივ მხარეს ასახავს, ხოლო მისი თვისებრივი მხარე მდგომარეობს მსოფლიო მეურნეობაში მისი პოზიციის განსაზღვრაში, მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამიტომ მისი შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგი ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე:

1. საგადამხდელო ბალანსი უნდა განვიხილოთ სისტემის სახით, მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების გათვალისწინებით;

2. მისი შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები აუცილებლად შესადარისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საერთაშორისო სტანდარტებსა და ფასეულობებთან;

3. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ინფორმაციული ხასიათი;

4. აუცილებელია შერჩეული კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების საფუძველზე ხორციელდებოდეს საგადამხდელო ბალანსის შეფასება.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ტენდენციაა ის, რომ მსოფლიო მშპ-ში მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების წილი მცირდება, ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონეთა წილი იზრდება. ეს აიხსნება იმით, რომ მრავალი ჩამორჩენილი ქვეყანა საერთაშორისო ბაზრებზე აქტიურად მონაწილეობს და ეკონომიკურ ზრდას და საგადამხდელო ბალანსის აქტიურ სალდოს აღწევს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა კეთილდღეობა მსოფლიო მეურნეობაში მათი მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება. მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში აქტიური მონაწილეობით ეს ქვეყნები მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ და საგადამხდელო ბალანსის დადებითი სალდოთი ხასიათდებიან. ეს ეხება უპირატესად განვითარებულ და ახალინდუსტრიულ ქვეყნებს (ამ დროს პოსტსაბჭოთა და ჩამორჩენილ ქვეყნებს საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო გააჩნიათ). ე.ი. თანამედროვე პირობებში ქვეყნების კეთილდღეობა დამოკიდებულია მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში მათი მონაწილეობის ხარისხზე. მათი საგადამხდელო ბალანსის სალდო იცვლება ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ხასიათის შესაბამისად. ამიტომ მოცემული ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის თვისებრივი შეფასების ძირითად კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაში მისი მონაწილეობისა და მდგრადობის ხარისხი. მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში ქვეყნის ინტეგრაციაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი მაჩვენებლები: მოცემული ქვეყნის მშპ-ის წილი მსოფლიო მეურნეობის მშპ-ში; ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი; საგადამხდელო ბალანსის მდგრადობის ხარისხი; ქვეყნის კონკურენტუნარიანობა; სავალუტო რეზერვებისა და საგარეო ვალის მდგომარეობა.

მსოფლიო მეურნეობაში არსებული არასტაბილური ტენდენციების (განსაკუთრებით 1998 წლის ფინანსური კრიზისის და 2001 წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ) გამო მნიშვნელოვანი გახდა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე

ეკოლოგიური ფაქტორების ზეგავლენის პრობლემის შეფასება. ამჟამად შეიმჩნევა ეკოლოგიური პროდუქტის ექსპორტის ზრდა და მომსახურეობის სფეროს მკვეთრი გაფართოება. ასეთივე მდგომარეობაა კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებით. ინვესტიციებისათვის უფრო მიმზიდველი ხდება მკაცრ ეკონომიკურ რეგულირებას დაქვემდებარებული დარგები.

ამჟამად ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების ბაზარს გაფართოების უფრო ფართო ტენდენციები ახასიათებთ (ექსპორტის ზრდა მაღალი ტექნოლოგიების ჯგუფის საქონლისთვისაა დამახასიათებელი, რაშიც ლიდერობენ გერმანია, აშშ, იაპონია). მაღალტექნოლოგიური საქონლის წარმოება, ინტელექტუალური პოტენციალის მაღალი დონე ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, მიმზიდველობას კაპიტალის ნაკადებისათვის, რის საუკეთესო მაგალითს იძლევა აშშ-ს განვითარება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ყოველივე ეს ცვლის ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის სტრუქტურას, მისი შეფასების კრიტერიუმებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგადამხდელო ბალანსში ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურეობის ასახვა, ასევე პატენტების, ტექნოლოგიების (მაღალი, დაბალი და საშუალო) სექტორის ექსპორტისა და იმპორტის (ამ სექტორების პროდუქციის სტატისტიკას ახორციელებს გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამა და მსოფლიო ბანკი), ვინაიდან დღევანდელ პირობებში საგადამხდელო ბალანსის მდგრადობის ხარისხი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მონაწილეობს ქვეყანა ეკოლოგიური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური ბაზრების საერთაშორისო ბრუნვაში, პროდუქციით, საქონლითა თუ ინვესტიციებით.

ჩვენი ქვეყანა თანდათანობით ერთვება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ბოლო ათწლეულის კრიზისული პერიოდი საქართველოსაც საკმაო დოზით შეეხო, რამაც სათანადო კვალი დაატყო საგადამხდელო ბალანსის დინამიკას. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკაში

ხასიათდება შემცირების ტენდენციით. ჩვენთან ძალიან მწვავედ დგას საგარეო ეკონომიკური სექტორის განვითარების პრობლემა. ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგალითად, შვეიცარია, ბელგია, ნიდერლანდები, დანია, ჩეხეთი და სხვ) სწორედ საგარეო ეკონომიკური სექტორის მეშვეობით განახორციელეს ბაზრისა და მოთხოვნის გაფართოება, მოსახლეობისა და საწარმოების მაღალი შემოსავლების საფუძველზე სხვა ქვეყნების რესურსების გამოყენება საკუთარი ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისათვის. თუმცა საქართველოში შეიმჩვევა ტრანს-კავკასიის სატრანსპორტო საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედების გაძლიერების, ნავთობის, გაზსადენების და კავშირგაბმულობის სისტემების განვითარების, საქართველოს საერთაშორისო ბიზნესში აქტიური მონაწილეობის გაფართოების ტენდენციები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საერთაშორისო პოზიციები საგრძნობლად დაბალ დონეზეა როგორც გლობალურად, ასევე ამიერკავკასიაში. ამის ძირითად მიზეზებად გვევლინება წარმოების ფაქტორების (შრომის, კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების) გამოყენების ძალიან დაბალი დონე, საწარმოების მეცნიერულ-ტექნოლოგიური განუვითარებლობა, კონკურენციის და შრომის მოტივაციის უაღრესად დაბალი დონე. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა საგადამხდელო ბალანსის შესაბამისი დონე და დინამიკა. იგი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1**

**საქართველოს საგადამხდელო ბალანსი 2005-2010 წლებში**

(მლნ აშშ დოლარი)

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე ანგარიში** | -709.5 | -1174.6 | -2008.7 | -2850.5 | -1210.1 | -1116.5 |
| ა) საქონელი | -1214.2 | -2019.4 | -2895,8 | -3833.2 | -2399.0 | -2567.1 |
| კრედიტი | 1472.4 | 1666.5 | 2088.3 | 2428.0 | 1893.6 | 2459.8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დებეტი | -2686.6 | -3685.9 | -4984.1 | -6261.2 | -4292.6 | -5026.9 |
| ბ) მომსახურება | 83.5 | 158.0 | 161.3 | 27.5 | 339.7 | 534.4 |
| კრედიტი | 715.0 | 885.0 | 1094.1 | 1263.3 | 1313.6 | 1601.6 |
| დებეტი | -631.5 | -727.0 | -932.8 | -1235.8 | -973.9 | -1067.2 |
| გ) შემოსავალი | 62.1 | 163.6 | 39.4 | -106.0 | -117.6 | -182.9 |
| კრედიტი | 263.3 | 341.1 | 481.8 | 488.6 | 422.7 | 416.1 |
| დებეტი | -2012 | -177.5 | -442.4 | -594.5 | -540.3 | -599.0 |
| დ)მიმდ. ტრანსფერტები | 359.0 | 523.9 | 689.3 | 1142.8 | 966.8 | 1099.2 |
| კრედიტი | 413.4 | 587.0 | 769.3 | 1142.8 | 1037.9 | 1184.5 |
| დებეტი | -54.4 | -63.0 | -80.0 | -81.7 | -71.0 | -85.4 |
| **კაპიტ. დაფინანს. ანგ.** | 681.2 | 1232.4 | 2027.2 | 2879..0 | 1159.3 | 1079.5 |
| კაპიტალის ანგარიში | 58.6 | 171.2 | 127.6 | 104.8 | 182.5 | 205.7 |
| კრედიტი | 61.6 | 172.2 | 127.9 | 104.9 | 182.6 | 205.8 |
| დებეტი | -2.9 | -1.0 | -0.3 | -0.1 | -0.1 | -0.2 |
| ფინანსური ანგარიში | 622.6 | 1061.2 | 1899.6 | 2774.2 | 976.8 | 873.8 |
| ა) პირდ. ინვესტიციები | 542.2 | 1185.9 | 1675.7 | 1238.7 | 659.5 | 542.9 |
| საზღვარგარეთ | 89.5 | 15.8 | -74.5 | -41.6 | 1.1 | -5.9 |
| საზღვარგარეთიდან | 452.8 | 1170.1 | 1750.2 | 1280.3 | 658.4 | 548.8 |
| ბ) პორტფ. ინვესტიც. | 15.5 | 140.3 | 21.1 | 692.4 | 12.1 | 267.1 |
| აქტივები | 13.1 | -2.2 | -12.5 | -2.3 | -1.1 | -0.6 |
| პასივები | 2.4 | 142.5 | 33.6 | 694.8 | 13.2 | 267.7 |
| გ) ფინანს. წარმოებ. | 0.0 | 0.0 | 1.1 | 7.8 | 0.6 | 0.8 |
| აქტივები | 0.0 | 0.0 | 1.2 | 11.1 | 1.1 | 1.7 |
| პასივები | 0.0 | 0.0 | -0.2 | -3.3 | -0.5 | -1.0 |
| დ) სხვა ინვესტიციე-ბი | 175.5 | 173.6 | 578.7 | 966.1 | 921.1 | 271.0 |
| აქტივები | -16.2 | -51.8 | -202.0 | -270.8 | 191.5 | -371.9 |
| პასივები | 191.7 | 225.4 | 781.0 | 1236.9 | 729.7 | 642.9 |
| ე)სარეზერვო აქტივე-ბი | -110.6 | -438.6 | -377.0 | -130.8 | -616.4 | -208.0 |
| **წმინდა შეცდ. და გამოტ.** | 28.2 | -58.6 | -21.3 | -28.5 | 50.7 | 37.0 |
| **განსაკ. დაფინანსება, სულ** | 142.5 | 116.2 | 178.7 | 1015.0 | 388.9 | 496.6 |

საკვლევ პერიოდში საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში ხასიათდებოდა უარყოფითი სალდოთი, თუმცა 2009-2010 წლებში მისი შემცირების ტენდენცია შეინიშნებოდა (-1210.1 და -1116.5 მლნ აშშ დოლარი შესაბამისად). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს ტრადიციულად საქონლით საგარეო ვაჭრობა განსაზღვრავდა, რომელიც არსებითად განვითარდა ამ პერიოდში. ამასთან გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტის, ასევე იმპორტის მაჩვენებლები, თუმცა იმპორტის ზრდის მაჩვენებელი ჩამორჩებოდა ექსპორტის ზრდის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში აღინიშნებოდა მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ზრდაც. ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩეოდა ტურისტული მომსახურება, ასევე სატრანსპორტო მომსახურების ზრდის ტემპი დაფიქსირდა. ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა შემოსავლების ანგარიში, თუმცა ბოლო წლებში შემოსავლების ბალანსის ზრდის ტემპმა იკლო, რაც ძირითადად საინვესტიციო შემოსავლების გადინებითაა გამოწვეული. მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსი დადებითია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება ძირითადად. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითი სალდო, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში, განუხრელად იზრდებოდა, თუმცა 2009-2010 წლებში ეს ტენდენცია შეიცვალა და ეს მაჩვენებელი შემცირდა (1159.3 და 1079.5 მლნ აშშ დოლარი შესაბამისად). ამ ანგარიშში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. პორტფელური ინვესტიციები უმნიშვნელო იყო 2006 წლამდე, 2008 წელს იგი შედარებით დიდი სიდიდით აღინიშნა. საფინანსო ბაზარი ჩვენთან ჩამოყალიბების სტადიაშია, ამიტომ ფინანსური წარმოებულების როლი ფინანსურ ოპერაციებში უმნიშვნელოა (ადრე ის პორტფელის ინვესტიციებში შედიოდა) და ჯერჯერობით მხოლოდ სავალუტო სვოპებს მოიცავს. შესამჩნევია სხვა ინვესტიციების მატება 2005-2009 წლებში (2010 წელს შემცირდა 271.0

მლნ აშშ დოლარამდე), რაც ძირითადად სესხებისა და უცხოური დეპოზიტების ზრდამ გამოიწვია.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საგადამხდელო ბალანსი დღემდე უარყოფითი სალდოთი ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია წარმოების განუვითარებლობით, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით, 2006 წლის რუსეთის ემბარგოთი ქართულ საქონელზე, გადატანილი ომებით, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი მსყიდველობისუნარიანობით, შიდა ბაზრის სიმცირით, საკმაოდ დიდი მოცულობის საგარეო ვალით და ა.შ.

ყოველივე ამან უმწვავესი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, რაც უძლიერეს სტიმულს აძლევს ქართულ ეკონომიკას განვითარების ოპტიმალური გზების მოძებნისა და შემდგომი განვითარებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის საგადამხდელო ბალანსზე სოციალური, ინსტიტუციური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის ზემოქმედების გათვალისწინება. ამისათვის მიზანშეწონილია ინვესტიციების უპირატესად სოციალურ და ინოვაციურ სფეროებში განხორციელება. ვთვლით, რომ მრავალი ქვეყნის გამოცდილებით, სწორედ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების, ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებითაა შესაძლებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები 1998-2010.
2. **ვანიშვილი მ., ვაშაკიძე ზ., კიკაჩეიშვილი ნ., ჯუღელი გ.** საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებანი. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 75.
3. **ვეშაპიძე შ., ასლამაზაშვილი ნ., გრიშიკაშვილი ა., კაკაშვილი ნ., ლეკაშვილი ე., ლონდარიძე ა., პაპაჩაშვილი ნ., სეფა-**

**შვილი ე.** ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი და მისი შემადგენელი ნაწილები. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბილისი, 2008, გვ. 126-129.
4. **ლინდერტი პ.** საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე“, 2001, გვ. 234.
5. **საბაური თ.** საქართველოს უარყოფითი საგადასახდელო ბალანსის მიზეზები. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები. ტ. VI, თბილისი, 2002.
6. **Варга В.** Деньги и цены. Мировая зкономика и международные отношения, №12, 1992.
7. Государство и рынок: американская модель. М.: 1999, с. 273-287.
8. **Кругман П.**, **Обстфельд М.** Международная экономика. М., 1997, с. 5-6, 318.
9. **Селивон Е. А.** Сущность и структура платежого баланса. Минск, 2005.
10. **Baceler U., Heingich J., Kox W.** Grundlagen und probleme der Volkswirtschaft Koln, 1995. p. 277-278.

***Kistauri Nunu***

## THE BASIC INDICES OF EVALUATION OF A STRUCTURE OF THE BALANCE OF PAYMENTS

### SUMMARY

In the work there is considered the essence of the balance of payments, its significance for reflecting the real integration of a country into a system of international relations. Is also analyzed a structure of the balance of payments, the main principles of its building. Is emphasized the necessity of reflecting the ecological factors in a structure of the balance of payments.

In the work is also given the analysis of the balance of payments of Georgia of recent years.

*მედეა მელაშვილი*

# საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის შექმნის ეტაპები

სახელმწიფოს მიერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკისა და საბიუჯეტო პოლიტიკის საფუძველზე არის შესაძლებელი სახელმწიფო რესურსების ხარჯვის დაგეგმვა პრიორიტეტების მიხედვით. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია: ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევა და წარმოების დაცემის შეჩერება; ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაძლიერება საგადასახადო დაბეგვრის სრულყოფითა და სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადების მთლიანად ამოღებით; ბიუჯეტის არამწარმოებლური ხარჯების შემცირება; საინვესტიციო აქტივების სტიმულირება და ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ხვედრითი წილის გადიდება; სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე კონტროლის გაძლიერება.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას გააჩნია სამი მიზანი: ეკონომიკის მდგრადი განვითარება, დაბალი დონის ინფლაცია, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდა. ამ მიზნით ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის 2007-2011 წლებისათვის გამოიკვეთა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა;
- ხაზინის განვითარება;
- საფინანსო პოლიტიკა;
- შემოსავლების მობილიზება;
- ინსტიტუციური განვითარება.

ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფო საბიუჯეტო რეგულირებას, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად მარეგულირებელ მიმართულებას.

სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც წესი, საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო პროგრამა და ამასთანავე მისი შესრულების შესაძლებლობების წინასწარი განჭვრეტა. თვით პროგრამა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტი მიზნების და ამოცანების ერთობლიობას და მის მისაღწევად განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემას. ეს უკანასკნელი ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, რეალურ შესაძლებლობებს უნდა ემყარებოდეს. ჩვენი აზრით, სახელმწიფო პროგრამა მიზნად უნდა ისახავდეს უპირველესად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებს მიეცეს პრიორიტეტული ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებული ფორმა. ასევე უნდა აიკრძალოს არასაგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროების (საინვესტიციო კრედიტები, გრანტები) გაუკონტროლებლად, ხაზინის გვერდის ავლით ხარჯვა. აუცილებელია ყველა შემოსავლიდან მიღებული გადასახადების ბიუჯეტში სრულყოფილად ასახვა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება ე.წ. ორმაგ ბუღალტერიასთან.

რეალური ბიუჯეტის შედგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სწორი და ზუსტი პროგნოზირება. სამწუხაროდ, ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია, რადგანაც პროგნოზი ხშირ შემთხვევაში არ ემყარება რეალურ ანალიზს. შედეგად ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები ვერ სრულდება.

პრაქტიკა მოწმობს, რომ შემოსავლების აღრიცხვისა და ბიუჯეტის სტრუქტურაში ხშირი ცვლილებების შეტანა, ისევე, როგორც სახელმწიფო შემოსავლების აღრიცხვიანობის ერ-

თიანი სისტემის მოუწესრიგებლობა, ხელს უშლის მოვლენების ადექვატურ შეფასებას და სწორი პროგნოზის გაკეთებას.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის წინ საქართველოს ეკონომიკაში უკვე შეიმჩნეოდა კრიზისული მოვლენები, რაც განპირობებული იყო ადრე ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევის დაწყებით, ინფლაციური და რიგი ნეგატიური მოვლენების გაღრმავებით. საქართველოში კრიზისული მოვლენები საგრძნობლად გაამწვავა აქ შექმნილმა ურთულესმა პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა ვითარებამ, რაც პირდაპირ აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებზე და დიდად შეაფერხა 1990 წლის საგეგმო დავალებათა შესრულება. ამან, რა თქმა უნდა, გააუარესა 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბაზისო მაჩვენებლები (იხ. ცხრ. 1). ეს პერიოდი შეიძლება პოსტსაბჭოთა საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბების პირველ ეტაპად ჩაითვალოს.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შესრულება 1990, 1991, 1995, 2000 და 2003 წლებში (1990 და 1991 წწ ათასი მან, 1995, 2000 და 2003 წწ ათას ლარებში)

**ცხრილი 1**[12]

| | დაზუსტებული გეგმით | ფაქტობრივი შესრულება | შესრულების პროცენ. |
|---|---|---|---|
| 1990 წელი | | | |
| შემოსავალი | 4942294 | 4978776 | 100.7 |
| გასავალი | 4942294 | 4786338 | 96.8 |
| 1991 წელი | | | |
| შემოსავალი | 6891389 | 6362022 | 92.3 |
| გასავალი | 7891341 | 5939839 | 75.3 |
| 1995 წელი | | | |
| შემოსავალი | 283561 | 271298 | 95.7 |
| გასავალი | 496162 | 449086 | 90.5 |
| 2000 წელი | | | |
| შემოსავალი | 955705.5 | 919512 | 96.2 |

[12] ცხრილების მონაცემები აღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| გასავალი | 1317721.3 | 1158186 | 87.9 |
| 2003 წელი | | | |
| შემოსავალი | 1522200.0 | 1391621.7 | 91.4 |
| გასავალი | 1762701.6 | 1710609.9 | 97.0 |

1991 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო. ფაქტობრივმა შემოსავლებმა გეგმის 92.3% შეადგინა, ხარჯებმა კი - 75.3%. ეს ნიშნავდა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკისათვის რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების დაფინანსება ვერ იქნა უზრუნველყოფილი. კერძოდ, სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯები 24.7%-ით შემცირდა. ასევე სერიოზული ნაკლოვანებები იყო 1992, 1993, 1994 წლების ბიუჯეტის როგორც შედგენისას, ასევე შესრულებისასაც. 1992 წლისათვის დამახასიათებელი გახდა თავდაცვის ხარჯების, სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველი ორგანოების შენახვის ხარჯების საგრძნობი გაზრდა.

1990-1994 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი განიხილებოდა, როგორც საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი. მაგრამ 1995 წლიდან „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ 1996 წლის 29 მაისის კანონისა“ და მისი გაუქმების შემდეგ - „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ 2003 წლის 24 აპრილის კანონის“ შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტი განიხილება როგორც საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი და მასთან კონსოლიდირებულ სპეციალურ სახელმწიფო ფონდებს ანუ ნაერთ ბიუჯეტს პარლამენტი აღარ იხილავს და არ ამტკიცებს. ეს პერიოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შექმნის მეორე ეტაპი.

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში თითქოს დაიწყო პოზიტიური მომენტები და სტაბილიზაცია. მაგრამ ცენტრალური ბიუჯეტი მაინც ვერ შესრულდა, ისევე, როგორც ნაერთი ბიუჯეტი, სადაც შესრულების მაჩვენებელმა შემოსავლების მუხლში – 95.7%, ხოლო გასავლებში – 90.5% შეად-

გინა. მსგავსი სურათი შენარჩუნდა მომდევნო 1996 და 1997 წლებში, სადაც მაჩვენებლები შესაბამისად იყო: 1996 წელს – 92% და 95.9%, ხოლო 1997 წელს – 87.6% და 94.4%.

1998 წლიდან დაიწყო საბიუჯეტო სისტემის ურთულესი, კრიზისული მესამე ეტაპი. ამ წლის პირველ ნახევარში სიტუაცია თითქოს სტაბილური გახდა, მაგრამ მეორე ნახევრიდან მოხდა მკვეთრი უარყოფითი ცვლილებები. დაიწყო წარმოების ზრდის ტემპების საგრძნობი შენელება, მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპის დაცემა, წარმოების მოცულობის ვარდნა მრეწველობაში. ამ წელს ჩამოყალიბდა ქვეყნის საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც მომდევნო წლებშიც შენარჩუნდა. 1998 წელს ნაერთი საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა მხოლოდ 86.1%-ით შესრულდა, 1999 წელს – 77.9%-ით, 2000 წელს – 96.2%-ით.

2001 წლიდან მართალია, ბიუჯეტის მაჩვენებლებში მაინც შეუსრულებლობა ფიქსირდება, მაგრამ გარკვეული წინსვლა შეიმჩნევა. მაგალითად, 2001, 2002 და 2003 წლების ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და 15.7, 15.1 და 13.9%-ით და გეგმის 96.2, 95.9 და 91.4% შეადგინა. საგასავლო ნაწილის შესრულება კი ამ წლებში 87.9, 91.9 და 97.0%-ს უდრის. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ამ წლებში შემდეგია: 2001 წელს საშემოსავლო ნაწილში - 89.4%; ხარჯების ნაწილში - 83.0%; 2002 წელს შესაბამისად: 93.6% და 92.1%; 2003 წელს კი 89.3% და 86.3%.

მართალია, საქართველოში საბიუჯეტო სისტემის რეფორმა დაიწყო ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებში, თუმცა იგი ყოველთვის საჭირო მიმართულებით და ტემპებით არ მიმდინარეობდა. ეს აიხსნება იმით. რომ ეს ურთულესი და შრომატევადი პროცესია. ამიტომ ამ მიმართულებით გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება.

ამ მიმართულებით გატარებული რეფორმებიდან აღსანიშნავია 2005 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო კა-

ნონმდებლობაში შეტანილი რადიკალური ცვლილებები. ვთვლით, რომ სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბების მეოთხე ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ დროიდან ფაქტიურად ამოქმედდა თვისებრივად ახალი სახის საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვით შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის, გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები და სხვა. შემდეგ, 2009 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად გამარტივდა საგადასახადო რეგისტრაცია და საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების პროცედურები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ქვეყნის მდგრად განვითარებას, საერთაშორისო საფინანსო ცენტრების ჩამოყალიბებას და საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციის ამაღლებას. ამასთან ინვესტორებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად განახლდა საქართველოსათვის მისაღები მოდელი „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“, რომლის მიხედვით საქართველოს შეთანხმება გაფორმებული აქვს მსოფლიოს 28 ქვეყანასთან. ბოლო წლებში საქართველოს ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2.

**ცხრილი 2**

**საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შესრულება**
**2006-2010 წლებში** (ათას ლარებში)

| | დაზუსტებული გეგმით | ფაქტობრივი შესრულება | შესრულების პროცენ. |
|---|---|---|---|
| 2006 წელი | | | |
| შემოსავალი | 3601368 | 3139227 | 0.87 |
| გასავალი | 3878542 | 2809427 | 0.76 |
| 2007 წელი | | | |
| შემოსავალი | 3712294 | 4469122 | 120 |
| გასავალი | 3866236 | 3866296 | 100 |
| 2008 წელი | | | |
| შემოსავალი | 5463641 | 5517689 | 101 |
| გასავალი | 5537426 | 5554689 | 100 |
| 2009 წელი | | | |
| შემოსავალი | 5510161 | 4916960 | 0.89 |
| გასავალი | 5251975 | 5367210 | 102 |
| 2010 წელი | | | |
| შემოსავალი | 5363552 | 5421474 | 101 |
| გასავალი | 5607501 | 5466466 | 0.97 |

2006 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა როგორც შემოსავლების (87%), ისე ხარჯების პუნქტში (76%), რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავს იმას, რომ ვერ მოხერხდა საქართველოს ეკონომიკის წინსვლის მიზნით გათვალისწინებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსება. მომდევნო 2006-2007 წლების მაჩვენებლები საკმაოდ გაუმჯობესებულია და გარკვეულ წინსვლაზეც მიუთითებს. მაგრამ ეს პოზიტიური დინამიკა 2008 წელს გასაგები პოლიტიკური მიზეზების გამო ისევ დაირღვა და 2009 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსავლებმა გეგმის მხოლოდ 89% შეადგინა. მართალია, ხარჯვით ნაწილში 102% დაფიქსირდა, მაგრამ ეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი მეტად მწვავე მდგომარეობის გამოსასწორებლად გაწეული განსაკუთ-

რებული ძალისხმევის შედეგია. იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო 2010 წლის შესახებაც (შესაბამისად 101% და 0.97%).

მომავალი უახლოესი პერიოდისათვისაც (2012 წლამდე) არსებულ სარეფორმო სამუშაოების გეგმის სტრატეგიულ მიმართულებათა შორის გათვალისწინებულია საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფა, ასევე ბიუჯეტის მართვის ინსტიტუციური განვითარება, რაც მომავალი განვითარების იმედებს იძლევა, მითუმეტეს, თუ ყურადღება მიექცევა საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის კვლევის მაჩვენებლებს და რჩევებს, რომლებიც წელს (2010 წელს) გამოაქვეყნა საერთაშორისო სამეთვალყურეო ორგანიზაციამ: Independent Budget Partnership (ეს ორგანიზაცია იკვლევს განვითარებად ქვეყნებს, რომელთა რიგს, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოც მიეკუთვნება). ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბიუჯეტის სრულყოფისკენ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. სხვადასხვა რჩევათა შორის ჩვენ აღვნიშნავდით იმას, რომ აუცილებელია საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდეს პარლამენტის საბიუჯეტო მოსმენებში და ბიუჯეტის დამტკიცება ამის გათვალისწინებით ხდებოდეს, ასევე კონტროლის პალატის მიერ ხდებოდეს ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმებების სისტემატური გამოქვეყნება საზოგადოების მიერ შესაბამისი ანალიზის გაკეთების მიზნით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **გამსახურდია თ.** საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის საკითხისათვის. „სოციალური ეკონომიკა“, №6, 2002, გვ. 140-147.
2. **გოგრიჭიანი გ.** საბიუჯეტო პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა და თანამედროვე რეალიები. „ეკონომიკა“, №8-9, 2009, გვ. 17-22.

3. **ზურაბიშვილი ვ**. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში. თბილისი, 2005, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
4. **მესხია ი**. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა. თბილისი, საგამომცემლო სახლი ინოვაცია, 2010.
5. **ნიკოლეიშვილი ო.** სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების კლასიფიკაციის და დაგეგმვის შესახებ, კრებულში: გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ტ. V, თბილისი, ფსკი, 2001, გვ. 46-55.

***Melashvili Medea***

## THE STAGES OF CREATING AND THE WAYS OF IMPROVING A BUDGET SYSTEM OF GEORGIA

## SUMMARY

In the work there is considered a budget policy as a main section of a state economic policy. The appropriate carrying out of the latter ensures the economic development of a country and correspondingly, the improvement of a social-economic state of population.

There are also considered the main tasks, functions and principles of a budget and the ways of its improvement.

*ქეთევან ქველაძე*

# ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მსოფლიოში ბოლო 50 წლის განმავლობაში შეიმჩნევა მასობრივი ტურიზმის გააქტიურება. საქართველოსათვის ტურიზმი შედარებით ახალ ფენომენს წარმოადგენს. მას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

2002 წელს იოჰანესბურგში უმაღლეს დონეზე ჩატარებულ II მსოფლიო სამიტზე დასახულ მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების ღონისძიებებში ტურიზმი ოფიციალურად იქნა ჩართული, როგორც ამ მხრივ მნიშვნელოვანი დარგი.

საქართველოს მთავრობამ ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ სექტორად აღიარა, რაც გულისხმობს ტურიზმის განვითარების დაგეგმვას ყველა დონეზე. ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შემდეგ მაჩვენებლებში გამოიხატება:

1. შემოსული, გასული და ადგილობრივი ტურისტების რიცხოვნობა.
2. ერთი ტურისტის მიერ გაწეული ხარჯები.
3. შემოსავლები, რომლებიც ტურიზმიდან მიიღება.
4. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი ქვეყანაში შექმნილი საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობაში.
5. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, რომელიც შედის ბიუჯეტში.
6. ტურიზმის ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში და საგადამხდელო ბალანსში.
7. სამუშაო ადგილების შექმნა და ზრდა ტურიზმის განვითარების საფუძველზე [5].

ტურიზმის დარგის უნიკალურობას განაპირობებს ის, რომ ტურისტების შემოყვანით იგი მთლიანად ორიეტირებული უნდა იყოს ქვეყნის შიდა ბაზრის გაფართოებაზე.

საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი გახდა. იგი იმართება ეკონომიკური კანონებით და აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკურ ბლოკში მას მიენიჭოს რეალური პრიორიტეტი. მისი განვითარების სტრატეგია მსოფლიოში აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს ემყარება და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების მასშტაბები და ტურისტული სამსახურების ჩამოყალიბება ხელს უწყობს ტერიტორიების უკეთ ათვისებას (ტურიზმის თვალსაზრისით).

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 11 ტურისტულ რეგიონად. დაყოფა მოხდა ერთი მხრივ, ქვეყნის ისტორიული პროვიციების მიხედვით, მეორე მხრივ, რეგიონების ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, ტურისტული თვალსაზრისით, ის მრავალფეროვანი ქვეყანაა.

საქართველოში ტურიზმის რეგიონული სამსახურები ემყარება ქვემოთ მოყვანილ 11 რეგიონად დაყოფას: აჭარა, თბილისი, გურია, კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, მცხეთა-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო (ამჟამად არ არის შეტანილი მე-12 აფხაზეთის რაიონი) [7]. ყოველი რეგიონი უნიკალურია ტურისტული რესურსების მრავალფეროვნებით, რომელიც განსაზღვრავს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სპეციფიკას და გვევლინება შესაბამისი ტურისტული პროდუქტის წარმოების ბაზად. ყოველივე ეს ხელს უწყობს საქართველოს ტურიზმში გახდეს მსოფლიო მასშტაბით მაღალ კონკურენტუნარიანი ქვეყანა.

საქართველოს მრავალფეროვანი ტურისტული რესურსები საუკეთესო საშუალებას იძლევა ქვეყანაში ისეთი ტურისტული მიმართულებების განვითარებისა, როგორიცაა: კულტურული

ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, სამთო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი, ზამთრის ტურიზმი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ქვეყნის შიდა ტურიზმში ჯერ კიდევ დომინირებს ორი ტიპის ტურისტული პროდუქტი: 1. ზაფხულის დასვენება – შავი ზღვის სანაპიროზე (ქობულეთი, ურეკი, ბათუმი) ან მთის ზონაში განლაგებულ კურორტებზე (ბორჯომი-ბაკურიანი) და 2. ზამთრის დასვენება (ბაკურიანი, გუდაური). მესამე ტიპის პროდუქტმა – სამკურნალო ტურიზმმა თავისი ფუნქცია მნიშვნელოვნად დაკარგა. სამკურნალო ტურიზმის შეზღუდვის მთავარი მიზეზებია: ქვეყნის შიგნით მომხმარებელთა დაბალი გადახდის უნარიანობა, სოციალური და დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების არ არსებობა, საკურორტი ობიექტების უმრავლესობაში დევნილთა განთავსება და სხვა. 1990-იანი წლების მონაცემებით, საქართველოს ტურიზმის მთავარი საფუძველი იყო მინერალური წყლები და შვებულების პერიოდში მკურნალობა. ეს იყო დრო, როდესაც საქართველო წელიწადში 4 მილიონამდე ტურისტს იღებდა, მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად შეამცირა უცხოელ ტურისტთა შემოდინება, რამაც განაპირობა ტურიზმის განვითარების დონის საგრძნობი დაცემა. 90-იანი წლების ბოლოდან გამოცოცხლების ნიშნები შეიმჩნევა.

საქართველოში შიდა ტურიზმი მკვეთრად სეზონურია (პიკური სეზონებია: ივლისი, აგვისტო და დეკემბერი, იანვარი, თებერვალი), მაშინ, როდესაც საერთაშორისო „სათავგადასავლო“ ტურები ზომიერი კლიმატის პირობებში ხორციელდება (აპრილი, მაისი, ივნისი, სექტემბერი, ოქტომბერი), ამიტომ დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას ადგილობრივი და საერთაშორისო ტურიზმის შერწყმის პრობლემა.

სტატისტიკის და ტურიზმის დეპარტამენტის მასალებზე დაყრდნობით, საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობამ 2000

წელს 387 258 კაცი შეადგინა, რომელთაგან 16 100 ტურისტული ვიზით იმყოფებოდა. 2001 წელს წინა წლებთან შედარებით ვიზიტორების რაოდენობამ მკვეთრად იკლო, რაც განპირობებული იყო საქართველოში კრიმინოგენული ფაქტორებით, კერძოდ, შემცირდა 85 043 ათასი ვიზიტორით და სულ 302 215 კაცით განისაზღვრა. 2003-2004 წლებში მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა და ვიზიტორთა რიცხვი 368 312-მდე გაიზარდა, აქედან 97 105 იმყოფებოდა რეკრეაციული და 206 203 საქმიანი ვიზიტით. 2005 წელს ქვეყანაში შემოვიდა 560 021 ვიზიტორი. 2006 წელს ვიზიტორთა რიცხვმა რეკორდულს მიაღწია და 983 114 შეადგინა, რაც 423 093-ით მეტია 2005 წელთან შედარებით. 2007 წელს კი 1 051 769-ს მიაღწია, რაც 2006 წელთან შედარებით 68 655 ვიზიტორით მეტია. 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. ტურისტული კომპანიების მონაცემებით, ტურისტული სეზონი ფაქტობრივად ჩავარდა [3]. ტურიზმის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ. 2008 წლის აგვისტოს ომმა და ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ 2009 წელს უცხოურ ტურისტულ ვებგვერდებზე საქართველო სამოგზაუროდ საფრთხისშემცველ ქვეყანათა სიაში მოხვდა. თუმცა, 2010 წლის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მდგომარეობა დადებითი მიმართულებით შეიცვალა. ტურისტების უმეტესი ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდის. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დაკვეთით (I ღ-აი-პი-არ) საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში (2010 წლის 1-22 თებერვლის ჩათვლით) მეზობელი ქვეყნის ტურისტების გარდა ჩამოსულთა შორის გერმანელი, ამერიკელი, ბრიტანელი, ფრანგი და ებრაელი ტურისტები ჭარბობენ. ისინი ძირითადად 10-12 დღის ვადით ჩამოდიან. ტურისტთა 35%-ის ჩამოსვლა საქმიან და პროფესიულ მიზანს უკავშირდება. მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად ტურისტე-

ბის საერთო რაოდენობის 25% ჩამოდის, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით კი 23%. თითოეული ტურისტი საქართველოში საშუალოდ 1502 აშშ დოლარს ხარჯავს, დღიურად – 337, რაც ძირითადად ძვირადღირებულ სასტუმროსა და მგზავრობაზე იხარჯება [6].

ტურისტულ ბიზნესს უდიდესი პოტენციალი გააჩნია სიღარიბის დონის შემცირების დაძლევაში, სამუშაო ადგილების შექმნით. ტურიზმში დასაქმების ძირითად პრინციპებს არეგულირებს მომსახურების ინდუსტრია, რომელიც ძალიან სპეციფიკურია და აქტივობის ფართო სპექტრს მოიცავს.

საქართველოს მიმართ მოგზაურთა ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა, რაზეც მეტყველებს თქმულება არგონავტების შესახებ. დღეს კიდევ უფრო გაიზარდა დაინტერესება საქართველოს მთიანეთისა და ზღვის სანაპიროსადმი. ტურისტებს შეუძლიათ მოინახულონ საქართველოში 35 ათასი ისტორიული ძეგლი, რომელთაგან 5 ათასს სახელმწიფო იცავს. 1994 წლიდან ოთხი მათგანი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შევიდა (1. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი მუზეუმი; 2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI ს.); 3. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში; 4. უშგულის არქიტექტორული ანსამბლი).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტურიზმის იმ სხვადასხვა სახეობებიდან, როგორიც არის: სამეცნიერო, სათავგადასავლო, სამონადირეო, მეღვინეობის და ა.შ., ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგროტურიზმის განვითარებაა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის რეანიმაციას შეუწყობს ხელს.

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი ჩვენი ქვეყნისათვის მეტად რთული და მტკივნეული აღმოჩნდა. სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბება, ადეკვატური მეურნეობების ფორმირება, სათანადო კანონმდებლობისა და სამთავრობო პოლიტი-

კის შემუშავება ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის ხარვეზებით წარიმართა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ჩვენი ქვეყანა კრიზისის წინაშე დააყენა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის სოფლის მეურნეობაში მკვეთრად შემცირდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა, რაც გამოიწვია არასწორმა აგრარულმა პოლიტიკამ, მიწის ნაჩქარევმა პრივატიზებამ, პარლამენტის მიერ მიღებულმა რამდენიმე კანონმა მოშალა საუკუნის მანძილზე შექმნილი უნიკალური სამეცნიერო კვლევითი, საცდელ-საჩვენებელი, სასელექციო, სანაშენე, საჯიშე, სანერგე მეურნეობები, სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო კომპლექსები, გააუქმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და სხვ.

ქვეყანაში შექმნილმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ უარყოფითად იმოქმედა სოფლის ცხოვრებაზე, რასაც ხელი შეუწყო საყოველთაოდ მიმდინარე ურბანიზაციის პროცესმა. სოფლები – განსაკუთრებით მთიან რეგიონებში – დაცარიელდა. ახალგაზრდობამ დატოვა სოფელი, რომელთა უმეტესობა გავიდა საზღვარგარეთ ან მიაშურა ქალაქს. მიგრაციის პროცესს ხელი შეუწყო ქვეყანაში ჩატარებულმა განათლების რეფორმამ, ბევრ სოფელში დაიხურა სკოლები და საბავშო ბაღები. სოფლად დარჩენილი მრავალშვილიანი ოჯახები იძულებული გახდნენ გამოეცვალათ საცხოვრებელი ადგილი, (ბავშვებს სკოლაში მისასვლელად მეზობელ სოფლში რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უხდებოდათ) მიეტოვებინათ მშობლიური კერა და საცხოვრებლად გადასახლებულიყვნენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. შედეგად მივიღეთ დაცარიელებული ან „დაბერებული“ სოფლები. ამჟამად სოფელში დარჩენილი ოჯახები უმეტესად შესდგება ერთი ან ორი მოხუცისაგადნ, რომელთაც სუბიექტური ან ობიექტური მიზეზების გამო არ ძალურთ სოფლის მეურნეობის წარმოების გაძღოლა.

აგროტურიზმი ხელს შეუწყობს საქართველოს მთიანი რეგიონების დაცარიელებული სოფლების გამოცოცხლებას, მოსახლეობას დაამაგრებს სოფლებში, გააუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას, ააღორძინებს სოფლის მეურნეობას (როგორც მემცენარეობას, ისე მეცხოველეობას), გაუჩენს მოსახლეობას დამატებით ფინანსურ შემოსავალს, რაც იქნება ახალგაზრდობის ადგილებზე დასაქმების საფუძველი. ყოველივე ამასთან აგროტურიზმის განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნება ოჯახური სასტუმროების შექმნაზე, არ მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს, ინვესტიციებს და განსაკუთრებულ ინფრასტრუქტურას.

ამიტომ ქვეყნის მთიან რეგიონებში შექმნილი სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება-გაუმჯობესების ერთ-ერთ ფაქტორად აგროეკოტურიზმის განვითარება მიგვაჩნია.

საქართველოში ყველა პირობა არსებობს აგროტურიზმის შეუფერხებელი განვითარებისათვის: საუკეთესო კლიმატური პირობები, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, წყალუხვი მდინარეები და ტბები, უამრავი ისტორიული ღირშესანიშნავი ადგილები უნიკალური ბუნება, ხალხური რეწვის ნიმუშები და სხვ.

1. ტურისტულ რეგიონებსა და სოფლებში სასურველია თუ ჩამოყალიბდება სასოფლო ტურიზმის ან აგროტურიზმის პროფილის ტუროპერატორი, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფლად ამ სეგმენტის განვითარებას. დაეხმაებოდა სოფლის მოსახლეობას „საოჯახო სასტუმტოს“ რეკლამირებაში, ვინაიდან მოსახლეობას არ გააჩნია ამის სათანადო განათლება და არც სახსრები.

2. სასტუმრო და ტურისტული მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა ქვეყანაში განვითარდეს უმაღლესი დონის პროფესიული ტურისტული განათლების

სისტემა, რომელიც ტურისტულ ბაზაარს უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

3. აუცილებლად გასათვალისწინებელია ტურისტული ბიზნესის განვითარების სწორი სტრატეგია გარემოსთან მიმართებაში, რაც რეგიონებში უზრუნველყოფს გაცილებით უსაფრთხო და უვნებელ ეკოლოგიურ ატმოსფეროს.

4. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტურისტული ბიზნესით შეიძლება დასაქმდეს მცირე ბიზნესის და საოჯახო ბიზნესის ყველა წევრი, როგორც მოსწავლეები (მაგ. მეგზურებად), ისე პენსიონერები (საოჯახო სასტუმროებში და რესტორნებში).

5. აუცილებელია შედგეს ტურისტული რესურსების აღრიცხვის ზუსტი სია და და აქედან ექსპლოატაციაში მყოფი რესურსების ზუსტი ნუსხა, აგრეთვე ექსპლოატაციაში მყოფი ყოველი ტურისტული რესურსის რეალური მდგომარეობის შესწავლა, რათა მოხდეს მათი ტურისტული პოტენციალის სწორი და ზუსტი შეფასება, შეცდომის შემთხვევაში მივიღებთ სავალალო შედეგს: დავკარგავთ რესურს, დავაზარალებთ მოსახლეობას და ტურიზმის განვითარებასაც პერსპექტივა არ ექნება.

6. გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს დაინტერესებამ ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვასა და შენარჩუნებაში, ტურიზმის ეკოლოგიზაციის საქმეში, რითაც ხელი შეეწყობა გრძელვადიანი, გეგმაზომიერი და ამასთანავე მომგებიანი ტურიზმის განვითარებას.

7. საჭიროდ მიგვაჩნი აგრეთვე სოფლებში ტურისტულ ობიექტებთან საგზაო-საინფორმაციო ნიშნების დამატება და გზამკვლევი ბუკლეტების ხელმისაწვდომობა, მათი არ არსებობა ბევრ პრობლემებს უქმნის გზა აბნეულ ტურისტებს.

8. საქართველოს მთავრობამ ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობას განვითარებას, როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტს. სოფლის მეურნეობის დასახმარებლად დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრები გამოიყო სათესლე მასალის

შესაძენად და ნათესი ფართობების გასადიდებლად. აგროტურიზმი, თავისი არსით, პასუხობს საქართველოს მთავრობის ეკონომიკის მდგრადი განვითარების პოლიტიკის კურსს სოფლის მეურნეობის აღორძინების კუთხით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **მეტრეველი მ.** ტურიზმი და გარემოს დაცვა, 2004.
2. შემეცნების სამყარო, №88, 2011.
3. **ჩხეიძე თ.** სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2000.
4. **Воскресенский В. Ю.** Международный Туризм. Москва, 2008.
5. **შუბლაძე ვ.** საქართველო და ტურიზმი, თბილისი, 2004.
6. „ტურიზმი“ – http: / ka. wikipedia. / org.
7. **მეტრეველი მ.** „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები“, თბილისი, 2008.



***Kveladze Ketevan***


## THE PROSPECTS OF TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

## SUMMARY


Georgian tourism is comparatively new phenomenon it bears a significant function in the development of economy in the country.

Georgian government has considered tourism as a priority sector of development of national economy. It shall help the reanimation of agriculture. Especially significant is agrotourism the development of which follows the course of sustainable development of economy with regard for agricultural reconstruction.

*თინათინ ქურდაძე*

# საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები და მისი სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

ქვეყნის საერთო ეკონომიკური აღმავლობა პირდაპირ კავშირშია საგადასახადო სისტემის განვითარებასთან. ამიტომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ობიექ-ტურად მოითხოვს საგადასახადო კლიმატის გაჯანსაღებასა და სრულყოფას, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ასევე ქვეყნის სტრატეგიის განსაზღვრას, რომელიც პირდაპირ მიბმულია საერთო გლობალიზაციის პროცესებთან თანამე-დროვე ეტაპზე. ლობალიზაცია, როგორც ცნობილია, საყოვე-ლთაო პროცესია და მოიცავს სახელმწიფო და საზოგადო-ებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. აქედან ნათელია, რომ საკმაოდ დიდი პეროიდის განმავლობაში მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წინა პლანზე წამოწია საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემაში ღრმა ცვლილებების აუცილებლობა და, შესაბამისად, ეკონომიკის რეგულირების საგადასახადო მეთოდებისა და ბიუჯეტური პროცესის სრულყოფის მექნიზმების ფორმირების საკითხების შესწავლის აქტუალობაც.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების განვითარების თვალ-საზრისით საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის უზრუნველყო-ფა ბიუჯეტების გათანაბრების ორი ძირითადი მიმართულებით ხდება – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. საბიუჯეტო ფე-დერალიზმის კონცეფცია გვთავაზობს ვერტიკალურ გათანა-ბრებას და ბიუჯეტების დაბალანსების შესაძლებლობას ხსნის ორმხრივად: 1. მხარჯავი დაწესებულებების დონის მიერ ხარ-ჯების მიხედვით აღებულ ვალდებულებათა მოცულობა; 2. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის პოტენციურ შესაძლებლო-ბათა მოცულობა.

ბიუჯეტების გათანაბრებაზე განსაკუთრებულ როლს, ცხადია, შემოსავლების ზუსტი განსაზღვრა წარმოადგენს, რომელიც უნდა დადგინდეს კონსტიტუციურ საწყისებზე. როდესაც საუბარია ვერტიკალურ გათანაბრებაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს რეგიონული ბიუჯეტების გათანაბრება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. როგორც ჩანს, საბიუჯეტო დაბალანსების ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია ვერტიკალური ფინანსური გათანაბრებით, თუ ის არ არის შერწყმული ბიუჯეტების ჰორიზონტალურ ფინანსურ გათანაბრების პროცესთან.

თეორიული თვალსაზრისით, ფინანსური გათანაბრება არის სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ფინანსური საშუალებების გათანაბრებით ფინანსური მექანიზმების შემუშავება. აქედან გამომდინარე, განსხვავებული დონის ბიუჯეტების ფინანსური გათანაბრების პრობლემის გადაწყვეტა უნდა დავიწყოთ ამ დონის ბიუჯეტების ურთიერთქმედებისა და ერთმანეთისადმი საბიუჯეტო უფლებების მკაცრად დადგენილი პრინციპებით. ამ მხრივ კი საქართველოში ბიუჯეტების ფინანსური გათანაბრების აუცილებლობის პრობლემა დგას. ამ პრობლემის გადაწყვეტის ნათელი მაგალითია, რომ 2011 წლის სექტემბრიდან მთლიანად ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პენსიების ზრდა მ. შ. დედაქალაქში 10 ლარის, რეგიონებში 20 ლარის ოდენობით. ამ გათანაბრებით აღდგენილ იქნება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი სხვადასხვა დაქვემდებარების ბიუჯეტებს შორის, რაც მისასალმებელია და მოითხოვს ამგვარი პოლიტიკის გაფართოებასა და განვრცობას სხვადასხვა მიმართულებებით, რომ ეს იყოს პოლიტიკურთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური კამპანიის მნიშვნელოვანი ელემენტი. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ზრდა შეადგენს მხოლოდ 10%-ს, ამის პარალელურად იზრდება ფასები სასურსათო პროდუქტებზე საშუალოდ 33%-ით, აქედან გამომდინარე, ეს პროცესები უნდა გახდეს შეუქცევადი და მიიღოს პერმანენტული ხასიათი, რათა გაუთანაბრდეს სამომხმარებლო კალათით გათვალისწი-

ნებული თანხების ოდენობას მაინც. სახელმწიფომ კი უნდა შეასრულოს ფასწარმოქმნაში მარეგულირებელი ფუნქცია, რაც ასახული იქნება აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების ზრდისა და პენსიებისა და სხვა სოციალური შედავათების ზრდის სულ მცირე პროპორციულობაში.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობა არის საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი. ვერტიკალური დაბალანსების ურთიერთობაში პირველ რიგში უნდა გამოვლინდეს ფედერალური ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებანი, ფინანსური რესურსების ინფრასტრუქტურული განვითარების კუთხით, ხოლო ჰორიზონტალურ დაბალანსებაში იგულისხმება რაიონებს შორის შემოსავლების გათანაბრებასთან ერთად მოსახლეობისათვის სახელმწიფო მომსახურების გაწევა. ამასთან, ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობას. ასეთ პირობებში საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ყველა სხვადასხვა დონეებს შორის შეთანხმებული ურთიერთზემოქმედებით.

ასევე პარალელურად დგას კონსოლიდირებული (ნაერთი) ბიუჯეტის ანალიზის აუცილებლობა. კონსოლიდირებული ბიუჯეტის ანალიზის გარეშე შეუძლებელია რეალური საბიუჯეტო ვითარების გარკვევა, რადგანაც კონსოლიდირებული ბიუჯეტი მოიცავს ყველა დონის ბიუჯეტების ჯამს. მრიგად, საბიუჯეტო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპი არ ნიშნავს იმას, რომ იგნორირება გავუკეთოთ კონსოლიდირებული (ნაერთი) ბიუჯეტის ცენტრალიზებულ ბუნებას. კონსოლიდირებული ბიუჯეტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი მონაცემები უნდა გამოიყენებოდეს სოციალური და ფინანსური ნორმებისა და ნორმატივების გასაანგარიშებლად. ასეთი ნორმები და ნორმატივები აუცილებელია საბიუჯეტო

დაგეგმვისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განაწილებისათვის.

ამასთანავე, აუცილებელია ბიუჯეტთაშორის ურთირთობებში სატრანსფერო პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც მდგომარეობს ტრანსფერების გამოთვლის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკის სრულყოფის საკითხის გადაწყვეტაში და გულისხმობს საჭირო პარამეტრებში ისეთი შესწორებების შეტანას, რომლებშიც აისახება რეგიონის ფაქტობრივი სოციალური გასავლები (მოსახლეობის ერთ სულზე) მათ ნორმატიულ დონესთან შედარებით, რეგიონის განვითარების დონე და მისი ფინანსური პოტენციალი, არსებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობა.

ამრიგად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ტრანსფერების გაანგარიშების საკითხის გადახედვის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს – დემოგრაფია, განათლება, მაღალმთიანი რეგიონების სპეციფიკა, მრეწველობა და საგადასახადო შემოსავლების აკუმულაციის პირობები.

***დემოგრაფია.*** მოსახლეობის რაოდენობა ხშირად გამოიყენება ტრანსფერის გაანგარიშებებში, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს ტრანსფერის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებაში, არის ადგილობრივი საჭიროების ხარჯების ინდიკატორი. მოსახლეობის რაოდენობის გამოყენება საშუალებას მოგვცემს ასევე გადასახადებიდან შემოსავლების განსხვავებები რეგიონების მიხედვით შევარბილოთ და ყველა რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე ვუზრუნველყოთ ხარჯების ერთიანი დონე. ამ კუთხით არის პრობლემა და აუცილებელია მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რასაც სჭირდება როგორც რესურსები, ასევე ნება. რადგანაც ბოლო ათწლეულების პერიოდში მოსახლეობის აქტიურმა გადინებამ, სრულიად

შეცვალა დემოგრაფიული სურათი, რაც გარკვეული ძალების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებშია.

***განათლება.*** განათლებაზე მოდის ტრანსფერის მიმღები რეგიონული ბიუჯეტის ხარჯების დიდი ნაწილი, როდესაც ცალკეულ სექტორზე შესაძლო გაანგარიშებისას შემოტანილ იქნას სპეციფიკური, ამ სექტორზე დამოუკიდებელი მაჩვენებელი. ამასთან, მასწავლებლების ხელფასების რეგულარული გადახდა თითქმის ყველა რეგიონული ბიუჯეტის სერიოზული პრობლემაა. ამგვარად, მასწავლებელთა რიცხვი მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ხარჯებზე მოთხოვნების განსაზღვრისათვის და არსებულ გაანგარიშებებში გამოიყენება. თუმცა, შესაძლებელია მასწავლებელთა მაჩვენებელი შეიცვალოს მოსწავლეთა მაჩვენებლით ან მოსახლეობის სიდიდით, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მოსწავლეთა სიდიდე შეიძლება სახელდახელოდ განისაზღვროს, რათა გათვალისწინებულ იქნას ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობის არაერთგვაროვანი განთავსება, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ხარჯების დაგეგმვისას. აქვე აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მიმდინარე რადიკალური რეფორმების საფუძველზე, გაიზარდა სერტიფიცირებული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, თუმცა ეს ყველაფერი მათი საშტატო შემცირების ხარჯზე, რითაც დამძიმდა ქვეყანაში არსებული დასაქმების პრობლემა, ასევე სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით შემცირდა მოსწავლეთა საერთო კონტიგენტიც, რაც ასევე ქვეყნიდან მოსახლეობის გადინების უტყუარი მაჩვენებელია. დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ ძალზე რთულია მსგავსი არათანაბარზომიერი მაჩვენებლების საფუძველზე ჩატარებულ იქნეს სწორი ანალიზი და ეს რეფორმა მთლიანად წარმატებულად ჩაითვალოს..

***მაღალმთიანი რეგიონების სპეციფიკა.*** ეს რეგიონები გამოირჩევა თავისებურებებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ

ადგილობრივი მომსახურების გაწევა უფრო ძვირადღირებულია მცირე დასახლებების, დაბალი სიმჭიდროვის, გზების არარსებობისა და მძიმე კლიმატური პირობების გამო. მაღალმთიანი რეგიონები, სხვა რეგიონებთან შედარებით, ხასიათდება სიღარიბის უფრო მაღალი დონითა და ხანდაზმული მოსახლეობის სიმრავლით. აღნიშნული ფაქტორების გამო, მიზანშეწონილი შეიძლება იყოს დამატებითი ტრანსფერები. ბევრ ქვეყანაში, რომლებსაც მსგავსი გეოგრაფიული მახასიათებლები გააჩნია, ეს ფაქტორები ტრანსფერების განაწილების კრიტერიუმებში უნდა იქნეს შეტანილი. აქვე გათვალისწინებული უნდა იქნეს ბოლო წლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მესტიაში, აჭარაში, გუდაურში და სხვა. იმედია ყოველივე ეს მცირედ მაინც შეამცირებს უმუშევრობის მაჩვენებლებს.

***მრეწველობის*** *განვითარების შემცირება.* ამ შემთხვევაში მცირდება შემოსავლები და იზრდება უმუშევრობა. ამასთან, რეგიონულ ბიუჯეტებს უხდება ადრე აშენებული ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილის შენახვა. ეს პრობლემები შეიძლება აისახოს მათ გაანგარიშებაში, რომლის ძირითადი მაჩვენებელი რეგიონში უმუშევრობის დონეა. აქაც არის სიახლეები თბილისისა და ქუთაისის ფარგლებში ამოქმედებული ობიექტების სახით, თუმცა უმუშევრობის მაჩვენებლები მაინც იზრდება.

***საგადასახადო შემოსავლების აკუმულაციის პირობები.*** რეგიონებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება და, შესაბამისად, მოსახლეობის ერთ სულზე ამონაგების დონის სხვადასხვა მაჩვენებელი აუცილებელს ხდის ტრანსფერების გაანგარიშებაში შეტანილ იქნეს ისეთი კომპონენტი, რომელიც რეგიონებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე ამონაგებს გაათანაბრებს და, შესაბამისად, შეინარჩუნებს ხარჯების თანაბარ დონეს.

შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფერების გამოთვლის მექანიზმის სრულყოფა ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირის სისტემის ოპტიმიზაციას გამოიწ-

ვევს. ამასთან, მეტი ყურადღების ქვეშ მოექცევა ადგილობრივი ორგანოების ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებაც. ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს აქვს თავისი გაანგარიშების კრიტერიუმი, რომელთა შესახებაც კვლევა შემდგომშიც გაგრძელდება.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შემოსავლების განაწილებას ამა თუ იმ გადასახადის ფორმირების საქმეში საფუძვლად დაედოს ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის ხარისხი, წინაადმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მმართველი ორგანოები გადასახადების გაზრდით ჩაახშობენ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივასა და სტიმულს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ასეთი დეცენტრალიზებული ხერხები გამოიწვევენ ინფლაციას, უმუშევრობის ზრდასა და ფინანსური ბაზრის არასტაბილურობას.

ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე. ყველაზე გავრცელებული მოსაზრება არის ის, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც ნაკლებია გადასახადები, მით მაღალია ეკონომიკის ზრდის ტემპი. ამასთან, მაგალითისათვის მოჰყავთ აშშ-ის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული რეფორმები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღეისათვის თვით აშშ-ში საგადასახადო რეფორმების – „რეიგანომიკის“ – მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, ხოლო გადასახადებით დაბეგვრის თეორიაში პოსტულატი „დაბალი გადასახადები – მაღალი ეკონომიკა“ დღემდე არ არის დამტკიცებული და დასაბუთებული. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, აშშ-ში შემოსავლების ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყო აგრეთვე იმით, რომ დაბალი გადასახადების გადახდის პირობებში, მდიდარ

ამერიკელებს საგრძნობლად შეუსუსტდათ თავიანთი შემოსავლების დამალვის სტიმული, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა ადრე დამალული შემოსავლების ასახვას ეროვნულ სტატისტიკურ ანგარიშგებაში. ამრიგად, სრულებით არ არის ადვილი იმის გამოთვლა, ნამდვილად შეუწყო თუ არა ხელი საშემოსავლო გადასახადის შემცირებამ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოთვლაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ უსაფრთხოებას. არსებობს შეხედულება, რომ ასეთი მდგომარეობა ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის პირობებში არსებული მაღალი საგადასახადო დატვირთვის შედეგია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის დაცული საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციაში მთავარი – სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი და თითქოსდა შეიმჩნევა მისი მცირეოდენი აღმოფხვრის პროცესებიც. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ის, რაც შეიძლება მისაღებია განვითარებული ქვეყნებისათვის, მიუღებელი იყოს ჩვენთვის.

ჩვენი აზრით, თუ გადასახადის განაკვეთის გაზრდა, სუსტი საგადასახადო ადმინისტრაციისა და პერსონალური (კანონიერი და უკანონო) შეღავათების პირობებში, ზღუდავს ლეგალურ საქმიანობას და მეწარმეებს აიძულებს გადაინაცვლონ „შავ ბაზარზე“, საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ არ შეიძლება სათანადო უკუეფექტი მოგვცეს. აქ საქმე გვაქვს ე.წ. „მოწესრიგების ასიმეტრიულობასთან“, როდესაც უკვე არალეგალურ სფეროში მომუშავე მეწარმეს, საგადასახადო განაკვეთების შემცირების შემთხვევაშიც კი, არ უჩნდება სურვილი, გამოვიდეს ლეგალურ ბაზარზე და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ადრე იხდიდა. საქმია-

ნობის ლეგალიზების აუცილებელი წინაპირობაა ისეთი გარემოს შექმნა, როდესაც ყველა გადამხდელი დარწმუნებული იქნება, რომ გადასახადის გადაუხდელობისათვის საკადრისად დაისჯება ან პირიქით, შეიძლება წახალისებულ იქნეს, რაც ჩვენს პრაქტიკაში ჯერჯერობით მხოლოდ სუბიექტური ხასიათისაა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება ხდება აგრეთვე უცხოური გრანტების მეშვეობით. უცხოური გრანტების ძირითადი წყაროებია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები (მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, გლობალ ფონდი და სხვა), უცხო ქვეყნების მთავრობებიდან და მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები (აშშ, გერმანია, იაპონია, ნიდერლადები, ლუქსემბურგი, უკრაინა, იაპონია, ლატვია, ლიტვა, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი, იაპონია), რომელშიც შედის მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების გრანტები. სწორედ ამ პრობლემებით არის განპირობებული ყოველწლიურად მისაღები გრანტების ოდენობათა ხშირი ცვალებადობა, რაც დამაჯერებლად ჩანს მოცემულ თვალსაჩინოებაში.

| საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გრანტების სტრუქტურული მაჩვენებლები 2004 – 2010 წწ. (ათ. ლ.) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **2004** | **2005** | **2006** | **2007** | **2008** | **2009** | **2010** |
| შემოსავლები და გრანტები | 640256 | 740338 | 818010 | 933055 | 1773731 | 2607867 | 3773203 |
| შემოსავლები | 625929 | 692257 | 795408 | 884647 | 1649029 | 2503376 | 3579231 |
| გრანტები | 14327 | 48081 | 22602 | 48408 | 124702 | 104491 | 193972 |
| | **2000** | **2001** | **2002** | **2003** | **2004** | **2005** | **2006** |
| შემოსავლები და გრანტები | 100.0% | 100.0% | 100.0% | 100.0% | 100.0% | 100.0% | 100.0% |
| შემოსავლები | 97.8% | 93.5% | 97.2% | 94.8% | 93.0% | 96.0% | 94.9% |
| გრანტები | 2.2% | 6.5% | 2.8% | 5.2% | 7.0% | 4.0% | 5.1% |




საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მხრივ მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი გრანტების თვალსაზრისით. ბოლო წლების დინამიკა და სტრუქტურა იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება უფრო და უფრო მეტ იმედს ამყარებდა უცხოურ გრანტებზე. პრობლემა შემდეგშია: გრანტებით არ ხდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომელთათვისაც არის ეს გრანტები გამოყოფილი; გრანტებით ხდება ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება, რაც ყოვლად დაუშვებელია; სწორედ ამ პრობლემებით არის განპირობებული ყოველწლიურად მისაღები გრანტების ოდენობათა ხშირი ცვალებადობა

თუ ეს პრობლემა დიდხანს გაგრძელდა, საქართველოს შეელახება საერთაშორისო ავტორიტეტი, და ბოლოს დარჩება საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა კიდევ ბევრი თვალსაზრისით. შესაბამისი თვალსაზრისით კი ქვეყანა კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე დადგება. როგორც ვთქვით, გრანტები გამოიყოფა ორი ძირითადი დანიშნულებით – მიმდინარე და კაპიტალური. როგორც ვიცით, ამ ორს შორის დამოკიდებუ-

ლება სახელმწიფო ბიუჯეტში არც თუ ისე სახარბიელოა, რადგანაც მიმდინარე დანიშნულების გრანტები მკვეთრად აჭარბებს კაპიტალური დანიშნულების გრანტებს. სწორედ ამიტომ არის საჭირო მკაცრი მიზნობრიობის დაცვა გრანტების მხრივ, რადგანაც არამიზნობრივმა გაფლანგვამ შესაძლებელია, შელახოს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი და იგი გამოეთიშოს საინტეგრაციო პროცესს. ეს კი გლობალიზაციის პირობებში, ძალიან დააზარალებს ქვეყანას და შეუქცევადს გახდის პრობლემების გაუარესების პროცესს.

ამრიგად, სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის მთავარი ამოცანა გულისხმობს, ერთის მხრივ შექმნას მოსახლეობის ჰარმონიული განვითარებისათვის ხელსაყრელი საფინანსო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობები, ხოლო მეორეს მხრივ კი – განამტკიცოს ფისკალური პოლიტიკა, ქვეყნის ეკონომიკასთან ურთიერთკავშირში ინფრასტრუქტურული განვითარების საფუძველზე. დასახული მიზნების რეალიზაციის საშუალებად კი გამოყენებულ უნდა იქნეს ქვეყნის გლობალური საფინანსო-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია კომპლექსურად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **გამსახურდია თ.** საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, 2003.
2. **მესხია ი.** რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანამედროვე პრობლემები. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, №4, 1999, გვ. 25.
3. **პაპავა ლ.** არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისი, 2011.

*Kurdadze Tinatin*

# STAGES OF PAYMENT SYSTEM FORMATION AND ITS IMPROVEMENT TRENDS IN GEORGIA

## SUMMARY

The article discuses the problems of improvement of payment climate in the country to increase economic efficiency at different stages of country development.

The existence of advanced financial system is impossible without the improvement of payment system. Hence, the responsibility of tax authorities of the country is to estimate truly the economic efficiency of payment rates and thus reduce the risks for investors. The main theme of our discussion is the problem of economic efficiency of payment policy and on this bases to make profitable investment decisions.

*გიორგი ბრეგვაძე*

# სამშენებლი სექტორის განვითარების პრობლემები საქართველოში

მშენებლობა ერთ-ერთი უძველესი დარგია. ადამიანმა ათასწლეულების მანძილზე ისწავლა მრავალნაირი შენობების – საცხოვრებელი სახლების, ტაძრების, ციხე-სიმაგრეების, შემდეგ კი ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, გზატკეცილებისა და რკინიგზების აშენება.

ყველა შენობასა და ნაგებობას პირობითად ხუთ ჯგუფად ყოფენ. პირველ ჯგუფში შედის სამოქალაქო შენობები. მეორეში – სამრეწველო შენობები და ნაგებობები, მესამეში ჰიდროტექნიკური ნაგებობები, მეოთხეში სატრანსპორტო ნაგებობები და მეხუთეში – სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. ჯგუფებად დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია და იმით არის გამართლებული, რომ თითოეულ ჯგუფს კონსტრუქცია, მექანიზმები და თავისი მუშაობის მეთოდი ესაჭიროება. ამის შესაბამისად დანახარჯებიც განსხვავებულია.

მშენებლობა ეკონომიკის ერთ-ერთი დარგია. საქართველოში მშენებლობის ხვედრითი წილი ეკონომიკის მთლიან სექტორში სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის შემდეგ 7.2 პროცენტს შეადგენს. ჩვენს ქვეყანაში მშენებლობას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში მშენებლობის ინდუსტრია ძალზედ განვითარებული იყო. მაგალითად, თვით 1990-1991 წწ 2332 ათასი კვადრატული მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი იქნა ექსპლუატაციაში გადაცემული.

1992-1993 წლიდან 1998 წლამდე მშენებლობის ზრდის ტემპმა საგრძნობლად იკლო, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლით, მეორე მხრივ, ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლით. ამ პერიოდში იწყება საერთოდ ეკონომიკის ყველა დარგის დაქვეითება. ამას

ემატება საომარი მოქმედებები ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ აფ-ხაზეთში. 1991 წლის ბოლოდან იწყება სამოქალაქო ომი, რა-საც მოჰყვა თბილისის ცენტრალური უბნების ნგრევა და ქაო-სი. კუპონი, ფულადი ერთეული რომელიც მაშინ იქნა შემოღე-ბული, სწრაფად გაუფასურდა. ქვეყანაში ძირიდათად რუსული რუბლი და აშშ დოლარი მოქმედებდა. სხვადასხვა მაქინაციე-ბის შედეგად მოსახლეობის ანაბრები მთლიანად დაიკარგა, რამაც მათი სრული გაღატაკება გამოიწვია. ასეთ პირობებში ყოველგვარი მშენებლობა, ინდივიდუალური ბინათმშენებლო-ბის ჩათვლით, შეწყდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილების  თავმოყრამ ძირითადად თბილისში ბინების ფასი საგრძნობლად ასწია, მხოლოდ ერ-თეულები – ძირითადად ახალგამდიდრებულები თუ ახერხებენ სახლების აშენებას და თითქმის უკვე აშენებული ბინების ყიდვას. მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გა-მო სახელმწიფომაც ძალზე შეამცირა ინვესტიციები მშენებ-ლობის ძირითად კაპიტალში და თუ, 1990 წელს (შესადარ ფა-სებში) ის 77 მილიონ ლარს შეადგენდა, 1997 წელს – მილიონ ლარამდე შემცირდა.

1995 წლიდან გატარდა ფულადი რეფორმა. შემოვიდა ეროვნული ფულადი ერთეული “ლარი”, რომელიც დღემდე შედარებით სტაბილურ ვალუტად რჩება. ასევე, დაიწყო ეკონო-მიკური რეფორმების გატარება. ჩატარდა და ახლაც ტარდება პრივატიზაცია. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა და სტა-ბილიზაციისათვის შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. გატარებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა კრიმინა-ლური ვითარება. დამყარდა სტაბიულურობა. რამაც საშუალე-ბა მისცა სამშენებლო ბიზნესს განვითარების გზაზე დამდგა-რიყო. ამასთან, თუ 1990 წელს სახელმწიფო სამშენებლო კომ-პანიათა რიცხვი 945 იყო, 1999 წლისათვის 177-მდე შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა არასახელმწიფო სამშენებლო კომპა-ნიათა რიცხვი და მან 463 შეადგინა. მოყოლებული 1998-1999 წლიდან სამშენებლო ბიზნესი 2008 წლის აგვისტომდე, აქტი-

ურად მზარდი ტემპებით ვითარდებოდა. ასევე იზრდებოდა ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობაც. 2007 წელს დასაქმებული იყო 52572 კაცი.

1999 წლიდან მშენებლობის ეკონომიკური მაჩვენებლები ზრდის ტემპებით ხასიათდება, იზრდება ინვესტიციებიც. შესაბამისად შეიქმნა მრავალი დეველოპერული კომპანია. ისეთები, როგორიცაა: "ცენტრ პოინტი", "აქსისი", „არსი", "იბერია", "მაგი სტილი", "ბაგების სითი ჯგუფი" და მრავალი სხვა, რომლებმაც წარმატებით წარმართეს თავიანთი ბიზნესი. თუმცა გაიზარდა ფასებიც, თუ 1995 წელს ახალი შენობის 1 კვ მეტრის ფასი 100-200 აშშ დოლარი იყო, 2008 წელს 1000-1500 აშშ დოლარამდე ავიდა, ხოლო კომერციული ფართების ფასები კიდევ უფრო მეტი გახდა.

სამშენებლო ბიზნესის განვითარებას საქართველოში თავისი მიზეზები გააჩნია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: პირველი, ლტოლვილების დიდი რაოდენობით არსებობა, რაც ზრდის მოთხოვნას ბაზარზე; მეორე, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა, 90-იან წლებში ანაბრების გაუფასურების გამო, ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობა დაიკარგა, ამიტომაც მათ, ვინც სხვადასხვა გზით დიდი ფული დააგროვა, კაპიტალის დაბანდების სტაბილური შემოსავლების მომტან ერთ-ერთ ბიზნესად უძრავი ქონების შეძენა მიაჩნიათ, ვინაიდან ბინებისა და სავაჭრო ობიექტების ფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება მესამე; 2003 წლიდან ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მიმართულია ახლის მშენებლობისა და ძველის რესტავრაციისაკენ, რის შედეგადაც რესტავრაცია ჩაუტარდა ბევრ შენობას და აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მაგალითად: პოლიციის შენობები, სამხედრო ყაზარმები, ჰესები, ასევე გზები, ხიდები (იხ. ცხრილი 1 და 2) სტადიონები და სპორტული დარბაზები, შადრევნები, რკინიგზის სადგურები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროე-

ბი, საწარმოები და რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყალმომარაგებას.

**ცხრილი 1**

**გზები** 01.01.2011

| № | გზის დანიშნულება | საერთო სიგრძე | მთლიანი სიგრძე |
|---|---|---|---|
| 1 | საერთაშორისო | 1495 კმ | 1467 კმ |
| 2 | შიდასახელმწიფოებრივი | 5446 კმ | 3477 კმ |
| 3 | სულ | 6941 კმ | 4944 კმ |

**ცხრილი 2**

**ხიდები** 01.01.2011

| № | გზის დანიშნულება | სულ ც/გრძ. მ. |
|---|---|---|
| 1 | საერთაშორისო | 550/28091 |
| 2 | შიდასახელმწიფოებრივი | 1065/29528.3 |
| 3 | სულ | 1615/57619.3 |

**წყარო:** ცხრილი 1 და 2 შედგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ შეიმუშავა წყალტუბოს, ვანის, ცაგერის, მარტვილის, წალენჯიხის, ლენტეხის, სურამის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ტყიბულის და ბაღდათის წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო პროექტები. აღნიშნულ ქალაქებში ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა მუდმივად ხდებოდა, თუმცა ამ პროექტების საშუალებით მოხდება სისტემების მასშტაბური რეაბილიტაცია, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს წყალმომარაგების პირობებს.

აღნიშნული ქალაქების პროექტებიდან უმრავლესზე მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა ტენდერი უკვე გამოაცხადა. ტენდერის პირობები მოიცავს: ცენტრალური გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციას, სატუმბი სადგურების სარემონტო სამუშაოებს, საქლორატორების კაპიტალურ შეკეთებას, წყალ-

სადენის ქსელების რეაბილიტაციას, სადაწნეო მილსადენისა და სარეგულაციო რეზერვუარების მშენებლობებს.

ტენდერის პირობების თანახმად სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლო მომავალში დაიწყება და 2012-2013 წლებში დასრულდება.

აშენდა და გალამაზდა საქართველოს მრავალი ქალაქი, მათ შორის სიღნაღი, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სამშენებლო ბიზნესში ჩაბმულთა რაოდენობა. სამშენებლო ბიზნესის გაფართოებას მოჰყვა მათი მომიჯნავე დარგების განვითარება, კერძოდ, განვითარდა სამშენებლო და ხე-ტყის მასალების, მეტალოპლასტიკური ნაკეთობების, ცემენტის, აგურის, ბლოკის, კრამიტის საღებავების და სხვა დამხმარე მასალების ბიზნესიც. ღამაც, თავის მხრივ, განაპირობა მრავალი ადამიანის დასაქმებაც. რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახელმწიფომ მარტო 2009 წელს იმერეთში დახარჯა 124, 853, სამეგრელოში – 99,476, კახეთში – 116,170, ქვემო ქართლში 108,650, სამცხე-ჯავახეთში 183,140 მილიონამდე ლარი. ეს პროცესი 2010 და 2011 წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და მილიარდობით ლარია დახარჯული.

გაიზარდა მშენებლობაში დასაქმებულთა შემოსავლებიც, მათი ხელფასები საკმაოდ მაღალია და 2010 წელს 772,9 ლარს შეადგენს. საქართველოში ამჟამად არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით, ეს თანხები მნიშვნელოვნად მეტია და ამ სფეროში დასაქმებულები კარგ ანაზღაურებას იღებენ.

ამ სფეროს განვითარების საქმეში, იპოთეკური კრედიტების გაცემით საბანკო სექტორმაც დიდი როლი შეასრულა. 2007 წლის ჩათვლით ბანკები თითქმის ყველა მსურველზე გასცემდნენ კრედიტს, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა კრედიტის დაფარვის საშუალება, რაც არ შეიძლება სწორ პოლიტიკად ჩაითვალოს, ეს პრაქტიკამაც დაადასტურა. იმის გამო, რომ მოსახლეობა ადრე აღებულ კრედიტებს ვერ ფარავდა და ბანკები ადვილად კრედიტებს ვეღარ გასცემდნენ, –

მშენებლობა ფაქტიურად გაჩერდა. ამასთან, მანამდე ბევრი სამშენებლო კომპანია პირამიდის პრინციპით მოქმედებდა, რაც ამ კომპანიების არასწორი მენეჯმენტისა და არასწორი დაგეგმვის შედეგი იყო. ყოველივე ამან სამშენებლო სფეროში გამოიწვია კრიზისი. შედეგად, თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში დაუსრულებელი შენობები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

მიუხედავად სამშენებლო ბიზნესში შექმნილი სიძნელეებისა, ზოგიერთმა სამშენებლო კომპანიამ მაინც დიდი მოგება ნახა. ეს ეხება იმ კომპანიებს, რომელთაც ლტოლვილებისათვის რამოდენიმე ათასი სახლი ააშენეს.

ამჟამად ხელახალი ომის საშიშროებამ გადაიარა, ბანკები ნელა, მაგრამ სიფრთხილით იწყებენ კრედიტების გაცემას, სახელმწიფოც აგრძელებს სხვადასხვა სახის მშენებლობას. ამასთან, სახელმწიფომ შეიმუშავა ძველი თბილისი რესტავრაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აფინანსებს იმ სამშენებლო კომპანიებს, რომლებიც ძველი თბილისის რესტავრაციას მოახდენენ. დაანგრევენ ძველ, ავარიულ შენობებს და გაიყვანენ მოსახლეობას.

“ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის” მეორე ეტაპში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიები უკვე გამოვლინდა. პროექტის ბიუჯეტი 46 700 000 ლარით განისაზღვრა. გამარჯვებულ პროექტებს დააფინანსებენ: “თიბისი ბანკი”, “საქართველოს ბანკი”, “კორ სტანდარტ ბანკი” და “ბაზის ბანკი”.

“ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის” მეორე ეტაპის განხორციელების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში 223 ოჯახი ახალ და კომფორტულ სახლებში გადავა საცხოვრებლად.

პროექტი, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური პრობლემების დაძლევა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ხოლო რაც შეეხება ახალ ბინათმშენებლობას, ეს პროცესი ასე სწრაფად ვერ აღდგება, ვინაიდან მო-

სახლეობა ამჟამად მშენებარე ბინებში ფულის დაბანდებას ერიდება. ვისაც ფული აქვს, ის უკვე აშენებულს ყიდულობს, რადგან ბინებზე ფასმა იკლო. ხოლო უფულობის დიდი ნაწილი, არასტაბილური სიტუაციის გამო, ერიდება ბინების შესაძენად კრედიტების აღებას, რადგან კრედიტის დაბრუნება საკმაოდ გართულებულია მაღალი პროცენტის მიზეზით. ამის მაგალითია ის რამოდენიმე ათეული ათასი მოქალაქე, ვისაც კრედიტების დაბრუნება ძალიან უჭირს.

იმედია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ისე სამშენებლო ბიზნესი, ნელ-ნელა კრიზისიდან გამოვა, რაც ახლავე შეინიშნება.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში ძალზე სწრაფად ვითარდება ისეთი სახეები, როგორიცაა გზების, ხიდების, სასტუმროების, ძველი შენობების რესტავრაციის, რკინიგზების, აეროპორტების, სპორტული ნაგებობების და სხვა მშენებლობა, რომელთაც აფინანსებს სახელმწიფო. უნდა ითქვას, რომ თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, უახლოესი წლების განმავლობაში მშენებლობაზე დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება. რაც თავის მხრივ დიდად შეუწყობს ხელს რეგიონებსა და დიდ ქალაქებში სიღარიბის დაძლევას, ვინაიდან ამ ადამიანებს გაუჩნდებათ შემოსავალი ხელფასის სახით და დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლები ადამიანი იქნება სიღარიბის ზღვარზე.

ასე რომ, სწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საქართველო გამოდის ეკონომიკური კრიზისიდან და ადგას აღმავლობის გზას, რაზეც მიანიშნებენ ის მსოფლიო რეიტინგები, რომელთა შორის საქართველო სულ უფრო და უფრო წინ მიიწევს. იმედია, ეს წინსვლა გაგრძელდება და მალე საქართველოში მთლიანად თუ არა, მეტნაკლებად დაძლეული იქნება სამშენებლო კრიზისი.

მშენებლობის სექტორის განვითარებისათვის სასურველი იქნებოდა განხორციელებულიყო შემდეგი ღონისძიებები:

მშენებლობაზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად საჭიროა მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალების ბიზნესის განვითარება, რაც ადგილობრივი ნედლეულისა და ახალი ტექნოლოგიების ხარჯზე უნდა მოხდეს

მშენებლობაზე მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად საბანკო სექტორმაც უნდა ფართიდ განავითაროს იპოთეკური კრედიტების გაცემა დაბალი პროცენტებით როგორც სამშენებლო კომპანიებზე, ასევე მოსახლეობაზე. სასურველია სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული შეღავათები იქნეს გაწეული ახალდაქორწინებულ წყვილებზე, რომელთაც ბინის აშენება სურთ.

მშენებლობის ფართოდ გაშლასთან ერთად, საჭიროა უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისება, რაც შეამცირებს მშენებლობის ხარჯებს და ვადებს, სამაგიეროდ, გაზრდის ხარისხს.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს არქიტექტურას და ასევე სეისმო შედეგების საკითხებს. ვინაიდან საქართველო სეისმო აქტიურ ზონაში მდებარეობს, შენობის საიმედოობა მაღალი უნდა იყოს.

სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს თბილისის რეკონსტრუქციის გეგმა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის ვადების დაცვას, ვინაიდან მისი დაუცველობა იწვევს სამშენებლო კომპანიების მიმართ ნდობის დაკარგვას მოსახლეობის მხრივ, რაც გამოიწვევს მოთხოვნილების დაცემას ბინათმშენებლობაში.

სასურველია ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე მშენებლობაში სეზონურობა დაძლეულ იქნეს და მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდეს, რაც უფრო მეტი ხალხის დასაქმების საშუალებას მისცემს სამშენებლო კომპანიებს.

საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი კონტროლი სამშენებლო კომპანიების მიმართ, რათა არ მოხდეს მათ მიერ

არაკეთილსინდისიერი გზებით სახელმწიფო ან მოსახლეობის ფულადი დანაზოგების მითვისება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები, 2010.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999. თბილისი, 2000.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2008.
4. **ჯღამაძე ო.** სიციალური ეკონომიკა, №1, 1999.



***Bregvadze Giorgi***


## THE PROBLEM OF CONSTRUCTION SECTOR DEVELOPMENT IN GEORGIA

## SUMMARY


The problems of development of the construction in Georgia from the period of transformation of the post Soviet Union is analysed in this work.

Are also planned those reasons which will help to develop this sphere.

*მარინე ცუცქირიძე*

# პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესები და მისი შედეგები საქართველოში

გლობალიზაციის ვითარებაში პრივატიზებისა და რესტრუქ-ტურიზაციის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ეფექტიანი საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოების საჭირო ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის შედეგები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე, ამას ის განაპირობებს, რომ პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესების ძირითად მიზანს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანილ საწარმოთა და ამ გზით ჩამოყალიბებული ფირმების შემოსავლების, მოგებისა და რენტაბელობის ზრდა, რომელიც მიიღება საწარმოო და საბაზრო საქმიანობის შედეგად.

იმ ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს შორის, რომელიც საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის დროს მიიღება, ძირითადს წარმოადგენს მათი შემოსავლების, მოგებისა და რენტაბელობის ზრდა, პროდუქციის საბაზრო კონ-კურენტუნარიანობისა და დასაქმების დონის ამაღლება, უმუ-შევრობის დონის შემცირება. მათ შორის ბიზნესის განვი-თარებისა და უმუშევრობის დაძლევის პრობლემას საბაზრო ურთიერთობების დამყარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ეს იმითაა განპირობებული, რომ ეკონომიკურ სის-ტემაში, საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზების საშუალებით წარმოიქმნება და ვითარდება დარგობრივ, საბაზრო პრინციპებზე დამყარებული, ასევე კერძო საკუთრებაში მყოფი ფირმები და მათი გაერთიანებები. ამით კი იქმნება ბიზნესის განვითარებისა და სამუშაო ადგილების ზრდისათვის საჭირო და ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი. ამ პროცესისათვის მართვის სისტემისა და მისი მეთოდების გარდაქმნა და სრულყოფა,

საბაზრო კავშირებთან შესაბამისობაში მოყვანა შემოსავლების ზრდის, დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლების, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მიღწევის საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესის განვითარება და მისი სოციალური მიზნების შესრულება დამოკიდებულია იმ პროცესებზე, რომლებიც განაპირობებენ, ერთი მხრივ ბიზნესისა და მისი გარემოს ფარგლებში მყოფ საწარმოთა ფუნქციონირებას შემოსავლების გადიდების მიზნით და მეორე მხრივ, ახალ წარმოებათა წარმოქმნას და არსებულის გაფართოებას სამუშაო ადგილების ზრდისა და უმუშევართა დასაქმების მიზნით. იგი სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

პრივატიზების პროცესის შედეგად ასევე ხორციელდება მცირე ფირმათა ორგანიზება, რომელიც განაპირობებს ბიზნესის არეთა გაფართოებას, ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებას, იგი წარმოებისა და მომსახურების სისტემის ეფექტიანი სივრცობრივი და დარგობრივი ორგანიზაციის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს და დადებითად მოქმედებს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. საწარმოო და სავაჭრო ობიექტების პრივატიზების სახელმწიფო პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს მათი ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო დახმარების გაწევა, რომელიც მიმართულია პრივატიზებული საწარმოს შემოსავლების ზრდის და წარმოებისა და მომსახურების სისტემის განვითარების მიზნების შესრულებისაკენ.

ბიზნესის სოციალური ფუნქციის რეალიზაცია და მასთან დაკავშირებული პრივატიზების სოციალური შედეგების გაზრდა წარმოებისა და მომსახურების ეფექტიანი სისტემის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. იგი ასევე მოიცავს წარმოებისგან დამოუკიდებლად არსებულ საბაზრო და სოციალურ საქმიანობათა მიზნების რეალიზაციას. ამიტომ რეფორმის ძირითადი მიზნის – საწარმოთა პრივატიზების შედეგად ჩამოყალიბებული წარმოებისა და მომსახურების პროცესების წარმმართველი

ბიზნესსისტემა აქტიურად ზემოქმედებს უმუშევრობაზე – მისი დონის შემცირების მიმართულებით. ამით ბიზნესის საქმიანობა წარიმართება პრივატიზებული საწარმოებითა და მათი ფუნქციონირების შედეგების საშუალებით, რომელთა ძირითადი ელემენტებია: 1. საწარმოო სისტემები (ფირმები და მათი გაერთიანებანი); 2. მომსახურების ობიექტები (მცირე ფირმები), 3. ბიზნეს-გარემო, რომელიც აუცილებელია ბიზნესის სისტემის ეფექტიანობისა და მისი სოციალური შედეგების ამაღლებისათვის. ბიზნესის სისტემის საქმიანობის მასშტაბების გაფართოება და სოციალური მიზნების შესრულება დამოკიდებულია პრივატიზების შედეგად შექმნილი ფირმების, სააქციო საზოგადოებების, კომპანიებისა და კორპორაციების შემოსავლების დონეზე, საგარეო საბაზრო ურთიერთკავშირების არსებობაზე, პროდუქციასა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის სიდიდესა და მათ საბაზრო ტევადობაზე.

წარმოებისა და მომსახურების სისტემა, რომელიც პრივატიზების შედეგად წარმოიქმნება, რეფორმის ძირითად მიზანს ემსახურება და მისი ორგანიზაციის ეფექტიანობის ზრდისათვისაა განკუთვნილი. ამასთან, იგი ასრულებს ძირითად სოციალურ ფუნქციას, როგორიცაა დასაქმების პროცესის ორგანიზაცია. პრივატიზებულ საწარმოთა ფუნქციონირების პროცესის აგება ხორციელდება ამ სოციალურ მიზანთა შესაბამისად. ამიტომ საწარმოო სისტემაში დასაქმებულთა შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს შრომის პროდუქტიულობა წარმოადგენს. ამ კრიტერიუმის მიხედვით, პრივატიზებულ საწარმოთა ეფექტიანობა განისაზღვრება წარმოებული პროდუქციის, მისი ხარისხისა და რესურსების დანახარჯების შეფასებათა საშუალებით, იგი საფუძვლად უნდა დაედოს პრივატიზების სოციალური შედეგების ზრდას. მდენად, სოციალურ ფუნქციასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას იძენს წარმოებისა და მომსახურების სისტემის ორგანიზაციის სოციალურ-ინტეგრაციული ფუნქცია. პრივატიზების პროცესში მაღალი სოციალური შედეგები მიიღება ისეთი საწარმოებით, რომლებშიც დასაქმებულთა ძირითადი

მიზანია საწარმოო და საბაზრო პროცესების ეფექტიანად წარმართავა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. საწარმოებში შრომის ორგანიზაციის ეფექტიანობის ამსახველ მეორე კრიტერიუმს წარმოადგენს დასაქმების სიმჭიდროვისა და მდგრადობის ხარისხი, ამავე დროს, სოციალურ-ინტეგრაციული ფუნქციის შესრულება პრივატიზებულ საწარმოების ფუნქციონირების პროცესში, უკავშირდება შრომის ორგანიზაციის ეფექტიანობის მესამე კრიტერიუმს – დასაქმებულთა შრომითი შედეგებით უზრუნველყოფისა და დაკმაყოფილების დონეს.

ასეთ სოციალურ ფუნქციას ასრულებს პრივატიზების შედეგად წარმოქმნილ წარმოებისა და მომსახურების სისტემა. მის ძირითად მიზანს ისეთი სოციალური შედეგების მიღება წარმოადგენს, რომლებიც განაპირობებენ: დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და ჯანმრთელობაზე, განათლებასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე არსებულ სახელმწიფოებრივი დაცვის პროგრამათა დაფინანსებას. მისი ზრდის პროცესის წარმართვას სოციალურ მიზნებთან და სახელმწიფო სისტემის ფარგლებში არსებულ რესურსებთან ურთიერთშესაბამისად.

წარმოებისა და მომსახურების მასშტაბების გაფართოება საქართველოს ეკონომიკისათვის მიმართული უნდა იქნეს რეფორმის პერიოდში წარმოქმნილი ისეთი უარყოფითი სოციალური შედეგების დაძლევისაკენ, რომელიც უკავშირდება უმუშევრობის და სიღარიბის წარმოშობას. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში უმუშევრობის ზრდის ძირითად მიზეზს ინფლაციის დონის მატება წარმოადგენდა. რაც განპირობებულია უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან მისი მნიშვნელოვანი დაშორებით. ინფლაციური პროცესების გავლენის შედეგად მისთვის ძირითადად დამახასიათებელია შემდეგი გარემოება:

1. უმუშევრობის ფაქტობრივი ზრდა და მისი დაშორება ბუნებრივი უმუშევრობიდან. ინფლაციური პროგრესების გავლენით და პრივატიზების პერიოდში წარმოქმნილი უარყოფითი

მოვლენებით, რაც განაპირობა დარგობრივი და ინსტიტუციური პოლიტიკის ძირეულად შეცვლამ და წარმოების მასშტაბის შეზღუდვამ. არაეფექტური მეთოდებით პრივატიზებამ, დასაქმების მსურველთა დაბალმა კონკურენტუნარიანობამ და სხვა.

2. უმუშევრობის დონის ზრდა საშუალო და მაღალი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე შრომისუნარიანთა შორის, რაც თან ახლავს პრივატიზების პროცესის დასაწყისის პერიოდებს.

3. დასაქმების და შრომის საბაზრო პროცესების რეგულირების შეუძლებლობა პრივატიზების დასაწყისისათვის და მისი ეფექტიანი მეთოდებით წარმართვის შესაძლებლობათა გამოუყენებლობა, რაც რესტრუქტურიზაციის აუცილებლობას განაპირობებს.

აღნიშნულმა გარემოებამ პრივატიზების სოციალურ შედეგებთან მიმართებაში გამოიწვია უმუშევართა დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების ზრდა. ამავე დროს, იგი ცხოვრების დონის ამაღლების და უმუშევრობისა და სიღარიბის დასაძლევად აუცილებელ და მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. ეს პროცესი შესაძლებელია დახასიათდეს პრივატიზებიდან შემოსავლების, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის, ცხოვრების დონისა და უმუშევრებზე გაწეული სოციალური დანახარჯების ამსახველი კოეფიციენტებით.

**პრივატიზებისა და უმუშევრობის დონე საქართველოში**

| წლები | შემოსავალი პრივატიზებიდან | დასაქმების დონე | უმუშევრობის დონე | უმუშევართა სოციალური დანახარჯები |
|---|---|---|---|---|
| 2003 | 0,003 | 0,585 | 0,145 | 0,138 |
| 2004 | 0,007 | 0,566 | 0,126 | 0,066 |
| 2005 | 0,036 | 0,552 | 0,138 | 0,062 |
| 2006 | 0,029 | 0,538 | 0,136 | 0,103 |
| 2007 | 0,007 | 0,518 | 0,133 | 0 |

ამ კოეფიციენტებით ასახულია პრივატიზებიდან შემოსავლების ცვლილება 2003-2007 წლებში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობაში, შრომისუნარიანთა განაწილება დასაქმებულთა და უმუშევართა მიხედვით, სოციალურ დანახარჯებში უმუშევართა დახმარების ზრდის სიდიდე და სხვ.

პრივატიზების შედეგებით უმუშევრობის დონის შემცირება დაკავშირებულია შრომითი რესურსების საბაზრო მიწოდებათა გაუმჯობესებასთან. იგი შესაძლებელია განხორციელდეს:

1. დასაქმების მსურველთა კვალიფიკაციის დონეთა ამაღლებით, მეცნიერულ-ტექნიკურ სიახლეთა წარმოებაში ათვისებისა და სამუშაო ადგილების ზრდის სახელმწიფო და საბაზრო რეგულირებასთან შესაბამისობაში.

2. უმუშევართა სახელმწიფო რეგისტრაციის სრულყოფითა და დასაქმების პროცესის საბაზრო რეგულირების გაუმჯობესებით;

3. სამუშაოდან მოსალოდნელი გათავისუფლებისა და უმუშევრობის წარმოშობისაგან დაცვის მიზნით სოციალური დაზღვევის სისტემის გამოყენება.

4. მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი საბაზრო გარემოს ჩამოყალიბებით.

საქართველოში ბიზნესის განვითარების მიზნით საწარმოთა პრივატიზების როლისა და სოციალური ფუნქციის გაძლიერებას განაპირობებს რეფორმების პროცესში შექმნილი, წარმოებისა და მომსახურების ტერიტორიულ-სივრცობრივი ორგანიზაციის მაღალი დონე; ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი წარმოებისა და მომსახურების სისტემის არსებობა; ბიზნესის მართვის სისტემისა და კონკურენტული პროდუქციის მწარმოებელ ფირმათა ჩამოყალიბებისა და უმუშევართა დასაქმებისათვის ობიექტურ საშუალებათა წარმოქმნის შესაძლებლობა.

საწარმოთა პრივატიზების პროცესში მისი მაღალი შედეგების მიღწევა წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას, იგი მიმართულია ბიზნესის განვითარების, წარმოებისა და მომსახურების

სისტემის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების, წარმოების დანახარჯებისა და რეგიონული რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნების შესასრულებლად. ამჟამად იგი საბაზრო ურთიერთობათა განვითარების, უმუშევრობის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

საბაზრო ურთიერთობებისა და ბიზნესის განვითარების მიზნების შესრულება მოითხოვს წარმოების რესტრუქტურიზაციის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას. ეს პროცესი ისეთ მნიშვნელოვან შედეგებთანაა დაკავშირებული, რომლის დროსაც წარმოიქმნება და ვითარდება: 1. საწარმოო და საბაზრო სისტემები საქართველოში; 2. დარგობრივი საბაზრო ურთიერთობები; 3. დარგობრივი სისტემები, გარდაქმნილი საბაზრო კონკურენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში; 4. წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციულ სისტემაში გაერთიანებული ფირმები; 5. საწარმოები, რომელთა მიზანია პრივატიზების როლის აქტივიზაცია წარმოების შემოსავლების გადიდებაში.

პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესების გავლენით წარმოქმნილი ფირმებით შესაძლებელი ხდება ბიზნესის განვითარების სოციალური და ეკონომიკური მიზნების შესრულება. იგი ამავე დროს აქტიურად უკავშირდება მრეწველობისა და სხვა დარგობრივ სისტემებში საწარმოთა პრივატიზების და რესტრუქტურიზაციის შედეგებს. პრივატიზების პროცესი წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებადი ზარალიანი საწარმოების მნიშვნელოვანი რაოდენობის ეფექტიან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საფუძველს. ამ პროცესის მიხედვით განისაზღვრება რესტრუქტურიზაციის შედეგების გავლენა საწარმოთა კონკურენტუნარიანობის, მისი მოგებისა და შემოსავლების ზრდაზე.

საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის შედეგს წარმოადგენს რეფორმირების გზით მიღებული საწარმოო სტრუქტურის გარდაქმნა და მისი უფრო ეფექტიან კონკურენტუნარიან წარმოებად ჩამოყალიბება. ეს პროცესი საფუძვლად უდევს

საწარმოთა მოგებისა და რენტაბელობის ამაღლების, წარმოების ეფექტიანობისა და საბოლოო შედეგების, საბაზრო გამტარიანობის ზრდის მიზანთა შესრულებას. რესტრუქტურიზაციის პროცესში გაითვალისწინება წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის ცვლილებაც. კაპიტალდაბანდებათა და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზანთა შესრულება უკავშირდება ფირმის საქმიანობის მართვის გაუმჯობესებას, მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისა და საგარეო საბაზრო კავშირების გაფართოებას, ფასების სისტემის მოწესრიგებას. იგი გამოიწვევს სოციალური და არასაწარმოო დანახარჯების შემცირებას, რაც რესტრუქტურიზაციის პროცესში უკავშირდება ბიზნესის ძირითად პრობლემათა გადაჭრას ფირმების საშუალებით. ამ პრობლემათა შორის აქტიური დანიშნულება ენიჭება დარგობრივი საბაზრო ურთიერთობის მოწესრიგებას, რადგან რესტრუქტურიზაციის პროცესის რაციონალურად წარმართვა მოითხოვს პრივატიზების შედეგად ჩამოყალიბებულ საწარმოო სისტემათა შორის საბაზრო კავშირის დამყარებას.

ზოგადად საწარმოთა რესტრუქტურიზაცია ნიშნავს საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების გარდაქმნას და სახელმწიფოს სტრუქტურულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში ბიზნესის ობიექტების საქმიანობის მოყვანას. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების გზით საწარმოო სტრუქტურის გარდაქმნა და ამით – საბაზრო კონკურენტუნარიანობის მქონე ფირმების ჩამოყალიბება. აღნიშნულს თან ახლავს:

1. პრივატიზებულ საწარმოებში დანახარჯების შეზღუდვა, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, მათი ნაწილის გათავისუფლება, რაც უარყოფით სოციალურ შედეგებთანაა დაკავშირებული;

2. რესტრუქტურიზაციისათვის საჭირო ეკონომიკური გარემოს, განსაკუთრებით ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება, იგი განაპირობებს რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარებას და საბაზრო ურთიერთობებში მყოფი საწარმოების გარდაქმნას, მათი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;

3. რესტრუქტურიზაციის პროცესში აუცილებელი ურთიერთკავშირების დამყარება ფინანსური სისტემის ობიექტებთან (ბანკებთან, საკრედიტო და სადაზღვევო, საფინანსო შუამავლობის ორგანიზაციებთან და სხვა).

საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს საწარმოო და საბაზრო დანახარჯების შემცირება ძირითადი საწარმოოო ფაქტორების მიხედვით და წარმოების ეფექტიანობის ზრდა. რესტუქტურიზაციის ეფექტიანობა ძირითადად დაკავშირებულია რეფორმირებულ საწარმოში საწარმოო სტრუქტურის ელემენტებს შორის დამოკიდებულებაზე. ზოგადად იგი შეიძლება დახასიათდეს ფორმულით:

$$E_R = \sum_{i \in J} A_i(t) \cdot \Delta x_i(t) \cdot P_i'(t)$$

სადაც $A_i(t) = y_i^{\circ}(t) - y_i'(t)$ წარმოადგენს *i*-ური სტრუქტურული ელემენტის რომელიმე შედეგობრივ მახასიათებელს განსაზღვრულს რესტრუქტურიზაციის პროცესის შემდეგ $y'(t)$-თი ან მისი დასაწყისისათვის $y^{\circ}(t)$-თი $\Delta x_i(t)$ წარმოადგენს საწარმოო ფაქტორების დასაქმებითა და შემოსავლების, ინვესტიციების, აღნიშნული პროცესის გავლენით მატების სიდიდეს.

$P_i'(t)$ *i*-ური საწარმოო, საბაზრო სტრუქტურული ელემენტის ინფლაციის გათვალისწინებით დადგენილი ფასების მაჩვენებელია.

$E_R$ ასახავს რესტრუქტურიზაციის შედეგად საწარმოში მიღებული ეფექტის სიდიდეს.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარების მიზანშეწონილობამ განაპირობა საწარმოთა რესტრუქტურიზაციის აუცილებლობა. იგი გამოწვეულია გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებით და მასში კონკურენტუნარიანი პროდუქციით მონაწილეობის შესაძლებლობებით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნა-

ვია, რომ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესმა უნდა განაპირობოს:

1. საბაზრო ურთიერთკავშირების განმტკიცება პრივატიზებულ წარმოებათა ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების საფუძველზე; პროდუქციის ხარისხისა და ფასწარმოქმნის სრულყოფა გლობალიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისად.

2. საწარმოთა მართვის მარკეტინგული სისტემის როლის გააქტიურება და ასორტიმენტულ სტრატეგიაზე დამყარებულ საბაზრო წარმოებად მისი ჩამოყალიბება.

3. პრივატიზების გზით ჩამოყალიბებულ ფორმათა მმართველობითი სისტემის რესტრუქტურიზება, რაციონალიზმისა და სიტუაციური მართვის ოპტიმიზებული პროცესების გამოყენება.

აღნიშნული წარმოადგენს წარმოებათა სრულყოფილად რესტრუქტურიზაციის საფუძველს და ამ პროცესის მაღალ შედეგიანობას განაპირობებს. ეს გამოიხატება უფრო რენტაბელურ წარმოებათა ზრდასა და საექსპორტო ოპერაციების გაფართოებაში, საწარმოო ფაქტორების პროდუქტიულობის ამაღლებაში. იგი დარგობრივ საწარმოო სისტემათა შემოსავლების ზრდას და რესტრუქტურიზაციის წარმატებით განხორციელებას უდევს საფუძვლად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება, თბილისი, „მერიდიანი", 2006.
2. **ბერულავა გ.** საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის შესახებ, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. II, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
3. **მენქიუ გრ.** ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, „დიოგენე", 2000.
4. **პაპავა გ.** სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ტ. I, თბილისი, 1998.

5. **პაპავა ვლ.** არატრადიციული ეკონომიქსი, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
6. **ცუცქირიძე მ.** მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება საბაზრო ურთიერთობების პირობებში, თბილისი, „მეცნიერება", 2004.
7. **წერეთელი გ.** საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები, სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. II, თბილისი, „მეცნიერება", 2002.

***Tsutskiridze Marina***

## THE PROCESSES OF PRIVATIZATION AND RESTRUCTURIZATION AND ITS RESULTS IN GEORGIA

### SUMMARY

The article discusses actual issues of the results of processes enterprise privatization and restructurization in Georgia. There are given the characteristics of results business development process.

The article includes main theoretical problems of business organization in market economy.

*რამაზ აბასაძე*
*ვახტანგ ბურდული*
*ლინა დათუნაშვილი*

# ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგულირების პროგლემები

1996 წელს რომში მსოფლიო კონფერენციაზე სურსათის შესახებ მიღებული იყო დეკლარაცია სრულიად მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც იმავე წელს იყო მოწონებული სურსათის პრობლემების შესახებ უმაღლეს დონეზე მსოფლიო შეხვედრაზე. ამ დოკუმენტში სასურსათო უსაფრთხოება განიმარტებოდა, როგორც უსაფრთხო და კალორიული საკვებით მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სიცოცხლის აქტიური და ჯანმრთელი წესის დაცვისათვის საჭირო განსაზღვრული ოდენობის და ხარისხის კვების პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით [6].

ამ პერიოდში გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო კომისიის ექსპერტები ძირითადად იყენებდნენ ტერმინს "საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოება", მაგრამ გაჩნდა აზრი, რომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობებით. ამიტომ, ბევრ ქვეყანაში დაიწყო იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურსათო უსაფრთხოებას ეროვნულ დონეზე. ამ ფაქტორების რიცხვში, კერძოდ, შეტანილი იყო ისეთები, როგორიცაა: ძირითადი სასურსათო საქონლით თვითუზრუნველყოფის დონისა და იმპორტის კრიტიკული ზღვრის განსაზღვრა; სამამულო სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ზომების კომპლექსის ფუნქციონირება; სურსათის, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულის, გარდამავალი და სადაზღვეო მარაგების შექმნა და შენარჩუნება. უფრო ახალ კვლევებში სთავა-

ზობდნენ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებას: სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და მდგრადობის დონე; სამამულო წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფის დონე; იმპორტის მასშტაბები; სასურსათო ბაზრების ღიაობის დონე; სასურსათო მარაგების მოცულობა [10]. ჩვენი აზრით, სასურსათო უსაფრთხოების ცნების განსაზღვრებაში ასევე უნდა შედიოდეს პარამეტრები, რომლებიც ახასიათებენ ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის ადამიანის ჯამრთელობისათვის უვნებლობის ხარისხს. მაგალითად, კარგადაა ცნობილი, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელისუფლების დროიდან დაიწყო მრავალი სასურსათო პროდუქტის "ქიმიზაცია" (ნატურალური კომპონენტების ხელოვნური სუროგატებით შეცვლა), რის გამოც ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საბჭოთა კავშირში 90-იანი წლების დასაწყისისათვის დაახლოებით თხუთმეტი წლით შემცირდა (მართალია, საქართველოს ეს პროცესი თითქმის არ შეეხო, რადგან მოსახლეობა ძირითადად იკვებებოდა საკოლმეურნეო ბაზრებზე შესყიდული ნატურალური პროდუქტებით). განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მრავალი სტანდარტი, რომელიც აკონტროლებს ამა თუ იმ სასურსათო პროდუქტის ადამიანის ჯამრთელობისათვის უსაფრთხოებას. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ზოგიერთი საჭირო სტანდარტი ჯერ არაა შემოღებული.

მეცნიერული მიდგომები სასურსათო უსაფრთხოების არსის განმარტების სფეროში ჯერ კიდევ შემუშავების სტადიაზეა: არ არსებობს მისი საბოლოო ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება. მაგრამ საკმაოდ მკვეთრად განსაზღვრულია მისი მიკრო- და მაკროეკონომიკური შემადგენლები, მიუხედავად ამისა, ეს მიმართულებაც მოითხოვს დახვეწას, განსაკუთრებით, ცალკეული ქვეყნების სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინების თვალსაზრისით. "ძირითად შემადგენლებში იგულისხმება სურსათის სტრატეგიული მარაგები, მწარმოებლური სოფლის მეურნეობა, სურსათის ექსპორტსა და იმპორტს შორის ქვეყნისათვის ოპტიმალური თანაფარდობა, გან-

ვითარებული სატრანსპორტო და სავაჭრო ქსელები” [7, გვ 166] და სხვა.

რომის დეკლარაციაში ფაქტობრივად ფორმულირებულია სასურსათო უსაფრთხოების მიზანი, რომელიც მდგომარეობს მოსახლეობის საკმარისი და მდგრადი კვებით უზრუნველყოფაში. ცალკეული ქვეყნების დონეზე ეს უნდა ხორცშესხმული იყოს მოსახლეობის მდგრად უზრუნველყოფაში ეკოლოგიურად საკმარისად სუფთა და ჯამრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტებით, ერის ჯამრთელობის მაღალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების (კერძოდ, სრულფასოვანი ხანგრძლივი სიცოცხლის) მისაღწევად. მაგრამ, სასურსათო უსაფრთხოების ცნების შინაარსში უნდა შედიოდეს არა მხოლოდ მიზნის განსაზღვრა, არამედ მისი რეალიზაციის უზრუნველყოფის სისტემის განმარტებაც (მისი შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი ასპექტების მოცვით). ამიტომ მნიშვნელოვანია ტერმინის “სასურსათო უსაფრთხოება” განმარტება აღნიშნული მიზნის რეალიზაციის საშუალების თვალსაზრისითაც. ამ ასპექტში შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი საკმაოდ ტევადი ფორმულირება, რომელშიც სასურსათო უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც “ქვეყნის მოსახლეობის სურსათში მოთხოვნილების იმ დონეზე დაკმაყოფილების უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველმოქმედებას” [8, გვ. 5]. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სურსათის სტრატეგიული მარაგების და რეზერვების შექმნა, საკუთარი წარმოების სურსათსა და მის იმპორტს შორის ოპტიმალური თანაფარდობის ფორმირება, მოსახლეობის ძირითადი მასისათვის სურსათზე ხელმისაწვდომი ფასების ფორმირება, სანიტარული კონტროლი სოფლის მეურნეობაში, კვების მრეწველობასა და სურსათით ვაჭრობაში, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების და შესაბამისი სავაჭრო ქსელის საწარმოების განვითარება და ა. შ.

მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოება, ერთი მხრივ, წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, მისი პროდუქციის გადამამუშავებელი დარგების, ლოგისტიკის უზრუნველყოფის (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა როგორც იმ ნედლეულის და მასალების სფეროში, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, ასევე იმ სტრატეგიული მარაგების სისტემაში, რომელთა ფორმირება ხდება როგორც საკუთარი წარმოების, ასევე იმპორტირებული სურსათის ხარჯზე), გასაღების დარგების (საქონელწაწევა ბაზრებზე) პრობლემას, მეორე მხრივ კი, მიეკუთვნება იმ მაკროეკონომიკურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობასთან, მოსახლეობის შემოსავლების დონესთან და დიფერენციაციასთან, დასაქმებასთან, უმუშევრობასთან და ა.შ.

როგორც ითქვა, სასურსათო უსაფრთხოების ტერმინის შინაარსის დაზუსტების დროს საჭიროა ასევე ცალკეული ქვეყნების კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინება. ასე მაგალითად, საქართველოში, როგორც მცირე ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები და ამის გამო მისი მეურნეობა სპეციალიზებულია სასურსათო პროდუქციის განსაზღვრულ სახეობებზე, გრძელვადიან პერიოდში სასურსათო უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სასურსათო პროდუქციის იმპორტის საკმარისი მოცულობისა და მისი ექსპორტის გაფართოების პირობებში. ამასთან, განსაზღვრული სახეობების სასურსათო პროდუქტების იმპორტის (განსაკუთრებით მარცვლეულის) კომპენსაცია უნდა ხდებოდეს სხვა პროდუქტების ექსპორტის ხარჯზე, რომლებზეც სპეციალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობა. ამის გარდა, საჭიროა სასურსათო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინება. საჭიროა, მაგალითად, მეცხოველეობის განვითარება იალაღებსა (მთის საძოვრები) და ვაკეებში თესლბრუნვის აღდგენის შედეგად გაფართოებული საკვებო ბაზის ხარჯზე. მარცვლეულის იმპორტის შენაცვლება მოხდება მეც-

ხოველეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მეხილეობის და ა. შ. პროდუქციის ზრდის და ექსპორტის ხარჯზე. ესე იგი გრძელვადიან ასპექტში სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის და მომიჯნავე დარგების დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის აუცილებლობა.

ზემოთ მოყვანილიდან ნათელია, რომ სასურსათო უსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და, ეროვნულ დონეზე, საბაზრო კოორდინაციის ცალკე სეგმენტი (ისევე, მაგალითად, როგორც სამრეწველო პოლიტიკა ან ენერგოეკოლოგიური სექტორის რეგულირება, თუმცა ეკოლოგიური ფაქტორი სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტსაც წარმოადგენს).

სოფლის მეურნეობა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი კომპონენტია, მაგრამ მის მდგომარეობასა და დინამიკაზე გავლენას ახდენს მრავალი სხვა კომპონენტი (ფაქტორი, შემადგენელი), შიდა- და გარეეკონომიკური, როგორც დაკავშირებული მომიჯნავე და საუზრუნველყოფო დარგების მდგომარეობასთან, ასევე მაკროეკონომიკურ, სახელმწიფოთაშორის, რეგიონულ სახელმწიფოთაშორის და გლობალურ ფაქტორებთან. თანამედროვე პირობებში, ქვეყნის დონეზე სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, შეუძლებელია, რომ არ გავითვალისწინოთ გლობალიზაციის ფაქტორი. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის რაციონალური ფორმირება და რეალიზაცია მსოფლიო სამეურნეო მოქმედებასაქმიანობის სხვა მონაწილეების, მათ შორის გლობალური და რეგიონული სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების, პრიორიტეტების და ქცევის ნორმების გათვალისწინების გარეშე.

ამ ასპექტში, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, სასარგებლოა, ურთიერთკავშირში მომიჯნავე დამამუშავებელ და საუზრუნველყოფო (ლოგისტიკა, საქონელწაწევა, კონსალტინგი და სხვა) საწარმოებთან, ორგანიზა-

ციებთან და დარგებთან, სოფლის მეურნეობის საბაზრო კოორდინაციის და სახელმწიფო რეგულირების სისტემის განხილვა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესების გათვალისწინებით. საბაზრო კოორდინაციის სისტემაში საჭიროა ყურადღების გამახვილება ორგანიზაციის და მართვის თანამედროვე ქსელური მეთოდების განვითარებაზე (მეწარმეთა ასოციაციები, წარმოების ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობის ქსელური ფორმები, სასურსათო პროდუქციის ბაზრის აგენტებს შორის ურთიერთმოქმედების და ურთიერთკავშირების თანამედროვე ფორმები). სახელმწოფო რეგულირების ფორმების განვითარება უნდა ხდებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების განაწესების გათვალისწინებით, ამასთან სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი ელემენტი ასევე იძენს ქსელურ ფორმას, მაგალითად, ბაზრის აგენტებთან სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობა (ურთიერთკავშირი) მეწარმეათა ასოციაციების მეშვეობით.

გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიმჩნევა ნატურალურ გამოსახულებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დონის დაქვეითება. ასე მაგალითად, ხორბლის წარმოებამ 2002 წ. შეადგინა 199,7 ათასი ტონა, 2009 წ. კი მხოლოდ – 53,9 ათასი ტონა, სიმინდის წარმოებამ, შესაბამისად, – 400,1 ათასი და 291,0 ათასი ტონა, კარტოფილისა – 415,3 ათასი ტონა და 216,4 ათასი ტონა (არსებითად გაიზარდა მხოლოდ ყურძნის წარმოება); მცირდება პირუტყვის სულადობაც. ასე მაგალითად, 2002 წ. ქვეყანაში იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 1216,0 ათასი, 2009 წელს კი – 1014,7 ათასი სული, ღორების სულადობა იმავე პერიოდში შემცირდა 446,1 ათასიდან 135,2 ათასამდე; 2002 წ. გამოყენებაში იყო ნა-

თესი ფართობების 577,0 ათასი, 2009 წ. კი – მხოლოდ 308,3 ათასი ჰა [1; 2]. საკვები პროდუქტებისა და ცოცხალი ცხოველების იმპორტის მოცულობა გაცილებით უფრო დიდია ვიდრე ექსპორტის მოცულობა და, ამასთან, იგი იზრდება უფრო სწრაფად. ასე, მაგალითად, ხსენებული საქონლის იმპორტი გაიზარდა 361546 ათას დოლარიდან 2005 წ. 584679 დოლარამდე 2009 წ., ექსპორტი კი, შესაბამისად, 134286 ათასიდან 168451 ათას დოლარამდე [2]. მაშასადამე, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფაში იზრდება იმპორტის ხვედრითი წილი.

ცხადია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობის შემცირების ტენდენცია გავლენას ახდენს იმ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ხარისხზე, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს. უარესდება ექსპორტ-იმპორტის სალდო, რაც მომავალში აუცილებელს გახდის ახალი საგარეო სესხების აღებას, გააძნელებს უკვე არსებული სახელმწიფო და კერძო ვალდებულებების მომსახურებას. შემცირდება შემოსავლები მიღებული სოფლის მეურნეობაში და სექტორში, რომელშიც წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება, რაც გავლენას მოახდენს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის და შიდა საქონელბრუნვის შემცირებაზე, საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებაზე, იმ მაჩვენებლების გაუარესებაზე, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს.

არსებობს შიდა და საგარეო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დონის შემცირებაზე.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: ა) სოფლის მეურნეობის და მისი პროდუქციის გასაღების ინფრასტრუქტურის ინსტიტუციური და საწარმოო ორგანიზაციის არასრულყოფილება, და, ასევე, განსაზღვრულ ზომაში,ზოგიერთ იმ საწარმოს ჩამორჩენილობა და დაბალი კონკურენტუნარიანობა, რომელიც ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას.

კერძოდ, ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების არასრულყოფილება ასახვას პოულობს კოოპერატივების და შედარებით დიდი ფერმების მცირე რიცხვში, მცირე ფერმების და სოფლად შინამეურნეობების ტექნიკური და საკონსულტაციო მხარდაჭერის ორგანიზაციების და საწარმოების (ასევე მათი მხარდაჭერის სხვა ელემენტების) ფაქტობრივ უქონლობაში ან მცირე ოდენობაში. გასაღების ინფრასტრუქტურის განვითარებისას საკმაო დონით არ ითვალისწინებენ იმ სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოებულია ქვეყნის ფარგლებში. საწარმოების ნაწილი, რომელიც ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას, არაა საკმარისად კონკურენტუნარიანი (ფასების, ტექნოლოგიების დონის მიხედვით) იმ საგარეო ფირმებთან შედარებით, რომლებიც აწარმოებენ ანოლოგიურ საქონელს, ნაწილი კი ორიენტირებულია უფრო იაფი იმპორტული ნედლეულის გადამუშავებაზე; გარკვეულ ფარგლებში ზოგიერთ დარგში იგრძნობა გადამამუშავებლების მონოპოლიზმი; ბ) ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის სუსტ ტექნიკურ აღჭურვილობას. იგრძნობა არა მარტო იმ ტექნიკის მწვავე უკმარისობა, რომელიც საჭიროა მიწის დამუშავებისათვის, არამედ იმ ტექნიკისაც, რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აკრეფისა და პირველადი დამუშავებისათვის; გ) სუსტია სოფლის მეურნეობის სუბსიდირების სისტემა იმ შეზღუდვების ფარგლებშიც, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გარკვეული ხასიათის სუბსიდიების გაცემაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, სუსტია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა იმ მიმართულებებით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამინდელ ეტაპზე საწვავის და სასუქების გაძვირებისა და საწარმოების სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში; დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციური მხარდაჭერის სისუსტე (მაგალითად, შემცირდა მოთხოვნა სანაშენო და სასელექციო მეურნეობების პროდუქციაზე, რამაც გამოიწვია მა-

თი მუშაობის ხარისხის ვარდნა საფინანსო სახსრების დეფიციტის პირობებში), კერძოდ, სოფლად ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისუსტე (ამასთან, ასეთი ხასიათის მხარდაჭერას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები აძლევენ მწვანე შუქს); ე) სოფლის მეურნეობის ინვესტიციური პოტენციალის სისუსტე.

საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებმაც გამოიწვიეს სოფლის მეურნეების პროდუქციის გამოშვების ჩავარდნა და აფერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შიდა წარმოების განვითარებას, მიეკუთვნება: სასურსათო პროდუქციის იმპორტის ზეწოლა შიდა ბაზარზე; საგარეო ბაზრებზე სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წაწევის სისტემის განუვითარებლობა. არასაკმარისად გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების ის ზომებიც კი, რომლებიც ხელმისაწვდომია შიდა ბაზრის დაცვისა და ექსპორტის მხარდაჭერისათვის იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა იმიტომაც წარმოადგენს უკიდურესად აქტუალურ ამოცანას, რომ მსოფლიოში 2005 წლიდან დაიწყო ფასების სწრაფი ზრდა მცენარეული და მეცხოველეობის პროდუქციის რიგ სახეობაზე. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ორი გარემოებით. პირველი, ბევრ ქვეყანაში იზრდება ბიოსაწვავის წარმოების მოცულობა, რისთვისაც გამოიყენება რიგი მარცვლეული და სხვა კულტურა, ძირითადად საკვები, რის გამო იზრდება ფასებიც ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე. მაგალითად, ბრაზილია საკუთარი ნავთობით ფარავს თავის მოთხოვნების ნახევარს, მოთხოვნების მეორე ნახევრის უზრუნველსაყოფად კი იყენებს ეთილის სპირტს, რომელსაც ღებულობს სიმინდიდან [3, გვ. 51]. სხვა ქვეყნებიც (აშშ, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, შვედეთი, ჩინეთი, მალაიზია, ინდონეზია, ინდოეთი, სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა) ასევე ზრდიან ბიოსაწვავის წარმოებას, ამასთან, ამი-

სათვის იყენებენ სხვადასხვა კულტურას – შაქრის ლერწამს (რომლისაგან აწარმოებენ ყველაზე იაფ ბიოსაწვავს), სიმინდს, ხორბალს, შაქრის ჭარხალს და სხვას [3, გვ. 51]. მეორე, მოსახლეობის საშუალო ფენების ზრდამ ზოგიერთ სწრაფად განვითარებად ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთსა და ინდოეთში, განაპირობა მაღალხარისხიანი შედარებით ძვირი კვების პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა და ამ ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზრებზე ასეთი პროდუქციის სულ უფრო მზარდი მოცულობით შესყიდვა. ეს პროცესი ასევე ახდენს გავლენას საკვები პროდუქციის გაძვირების ტენდენციაზე.

განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების და სასურსათო კომპლექსის რეგულირებისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა ხერხი და მექანიზმი, თუმცა სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირების დონემ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სუბსიდირების დონემ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიზანდასახულობების შესაბამისად, საგრძნობლად იკლო. ამასთან, არსებობს არა მარტო სახელმწიფო რეგულირება, არამედ კოორდინაცია მეწარმეების მხრიდან.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ფარგლებში პირდაპირი სუბსიდირებისა და ზოგიერთ სხვა ფორმასთან ერთად ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებულში, არსებობს სოფლის მეურნეობაში და მისი პროდუქციის ბაზრებზე წაწევის ქსელში მეწარმეობის რეგულირების (მხარდაჭერის) სხვადასხვანაირი ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმა. ასე მაგალითად, სასურსათო ბაზრის რეგულირებას კანადაში ახორციელებს მწარმოებელთა 330 ასოციაცია (ხორბლის, შვრიის, კარტოფილის, რძის, ხორცის და მრავალი სხვა) და აკონტროლებს 120 პროვინციული სავაჭრო დეპარტამენტი. ამასთან, ერთი და იგივე ფერმერი შეიძლება იყოს რამდენიმე მწარმოებელთა ასოციაციის და რამდენიმე სავაჭრო გაერთიანების წევრი. ასოციაციების მეშვეობით ნაწილდება (მიიმართება) სუბსიდიები და დოტაციები, ასევე,

ასოციაციებს აძლევენ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის სამინისტროს გარანტიებს კრედიტებზე [5, გვ. 25].

სხვა ქვეყნებში სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ხელშეწყობისათვის ასევე გამოიყენება სხვადასხვა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმა. ესპანეთში, საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყანაში ამ ამოცანის გადაწყვეტა ხდება საბითუმო სასურსათო ბაზრების მეშვეობით. ნიდერლანდებში სასურსათო ბაზრის რეგულირება ხორციელდება ორ დონეზე: ევროკავშირის საერთო სასურსათო ბაზრის ჩარჩოებში და ეროვნულ დონეზე. ღეგულირებას ძირითადად ახორციელებენ დარგობრივი აგროსამრეწველო ორგანიზაციები (კავშირები), რომლებშიც წარმოდგენილია სასურსათო კომპლექსის ყველა რგოლის ინტერესი – მწარმოებლებიდან მომხმარებლებამდე [5, გვ. 25, 26].

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, სასურსათო სექტორის სამამულო მეწარმეების სახელმწიფო მხარდაჭერის შიდა ზომები რეგლამენტირდება ეგრეთ წოდებული "ყვითელი", "ცისფერი" და "მწვანე კალათების" დებულებების მეშვეობით (იხ., მაგ., [9, გვ. 127-128]).

"ყვითელი კალათა" მოიცავს სამამულო მეწარმეების საფინანსო სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ზომებს, რომლებიც დაქვეითებას ექვემდებარება. ძირითადად ესაა სუბსიდიები და დოტაციები, რომელიც მიმართულია კონკრეტული პროდუქტების წარმოების ზრდაზე. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის სხვა წესებით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის სუბსიდიების უკიდურესი დონეც, რომელიც შეადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 10% (სხვა წყაროების მიხედვით – 5%).

"ცისფერი კალათა", რომელიც აქტუალურია მხოლოდ ყველაზე განვითარებული ქვეყნებისათვის, სახელმწიფოს აძლევს ნებას, რომ მან არ შეუზღუდოს სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს იმ თანხების გადახდა, რომლებიც დაკავშირე-

ბულია წარმოების მოცულობის შეზღუდვის პროგრამებთან ფიქსირებული საბაზო დონეების მიხედვით.

“მწვანე კალათა”, რომლის მოცულობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით არ იზღუდება და დამოკიდებულია მხოლოდ ქვეყნის შესაძლობებზე, მოიცავს სახრებს, რომლებიც მიიმართება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამეცნიერო გამოკვლევებზე, განათლებასა და სწავლებაზე, საკონსულტაციო მომსახურებაზე, რეგიონული განვითარების პროგრამებზე და სხვა. ამავე “კალათაში” შედის მწარმოებლებისათვის იმ თანხების გადახდა, რომლებიც არ არის დაკავშირებული წარმოების მიმდინარე მოცულობასთან.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად არ შეიძლება უარის თქმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირების იმ ხერხების მაქსიმალური ზომით გამოყენებაზე, რომლებიც დაშვებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის “ყვითელი კალათით”. ასეთი ზომების გამოყენება დღევანდელ პირობებში ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას მოკლევადიან ასპექტში. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამუშავების პროდუქტების შიდა ბაზრის დასაცავად გამოყენებული უნდა იქნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებული ყველა სატარიფო და არასატარიფო მეთოდები და, ასევე, ის მეთოდი, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ არ რეგლემენტირდება.

როგორც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შიდა გასაღების და ექსპორტის ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგულირების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმების განვითარებას. ბუნებრივია, ეს უნდა ხდებოდეს კერძო საკუთრების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამუშავების პროდუქციის სისტემის მინიმალური სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერით.

სასოფლო-სამეურნო წარმოების მოკლევადიან ასპექტში გამოცოცხლებისა და, განსაკუთრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გრძელვადიან ასპექტში მდგრადი განვითარების, მოდერნიზაციისა და შიდა და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საფინანსო ღონისძიებების გამოყენებას, რომლებსაც მოიცავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის "მწვანე კალათა". ასეთი მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის ყველა ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმის მოდერნიზაციის სტიმულირება; ინოვაციების, მეცნიერების, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსება; კონსალტინგური საქმიანობის მხარდაჭერა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა (ან მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობა); სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა ისეთი საწარმოების ორგანიზაციაში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ მომსახურებას; სახსრების გამოყოფა მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით; სახსრების გამოყოფა ცხოველების ავადმყოფობებთან და მცენარეების მავნებლებებთან ბრძოლისათვის; სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსება.

როგორ ავუაროთ გვერდი საჭიროების შემთხვევაში ლეგალურად "ყვითელი კალათის" მოთხოვნებს? ზოგიერთ სფეროში შეიძლება სახელმწიფო ან შერეული საწარმოების შექმნა (ტექნიკური მომსახურება, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება). უშუალო მწარმოებელი ამ შემთხვევაში გადაიხდის მომსახურების საფასურს საბაზრო ფასების შესაბამისად და, მაშასადამე, სახელმწიფო მხარდაჭერის ფაქტს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება. ამიტომ, ადგილობრივი კერძო მეწარმეების წრეებში საფინანსო რესურსის ან სამეწარმეო ინვესტიციური აქტიურობის (გაუბედაობა დიდი რისკების გამო) უკმარისობის პირობებში, საჭიროა საფონდო ბაზარში და საკუთრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის გაზრდა, სახელმწიფოს წილის

შეძლებისამებრ შემდგომი მიყიდვით კერძო სექტორისათვის. “ყვითელი კალათის” გვერდის ავლის სხვა გზას წარმოადგენს საქონელწაწევის კერძო სისტემების განვითარება, სასურსათო კომპლექსის საწარმოების საქმიანობისა და ურთიერთ-მოქმედების პროგრესული ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმების შექმნა. პირველიც და მეორეც კარგად ჩაჯდება წარმოების ორგანიზაციის და მართვის ამჟამად სწრაფად განვითარებად ქსელურ ფორმებში.

მაშასადამე, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება დავსახოთ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი გზები ქვეყნის სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო რეგულირების და საბაზრო კოორდინაციის სრულყოფისა და მომიჯნავე დარგებთან და საქმიანობის სახეებთან ერთად, სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ბაზაზე. ამისათვის საჭიროა:

– აგრარული სექტორის და ბაზრის მონაწილეების ორგანიზაციის, მართვის და ურთიერთკავშირების ქსელური ფორმების განვითარება, მათ შორის საუზრუნველყოფო ფირმებთან (ტექნიკური, მიწის რეკულტივაციის და სხვა მომსახურების), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებთან, შიდა და საგარეო ბაზრებზე საქონელწაწევის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან (საბითუმო ქსელები, გასაღება, ტრანსპორტირება, პროდუქციის შენახვა, მარკეტინგი და სხვა) ურთიერთმოქმედების სფეროში;

– ქსელური ფორმების გამოყენება რეგულირებაში სახელმწიფო ორგანოების მხრიდანაც, მწარმოებლებთან და ბაზრის სხვა აგენტებთან მეწარმეების ასოციაციების მეშვეობით ურთიერთკავშირის გზით;

– სამამულო სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის (საფინანსო დახმარება, სატარიფო პოლიტიკა, საგადასახადო შეღავათები და სხვა) შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენება იმ შეზღუდვების ფარგლებში, რომელიც დაწესებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ;

– სასურსათო პროდუქციის ჯამრთელობისათვის სარგებლიანობის დონის სანიტარული კონტროლის სისტემის განვითარება, განვითარებულ ქვეყნებში მიღებული სტანდარტების საკანონმდებლო წესით შემოღება (საჭიროების შემთხვევებში სრულყოფის თვალსაზრისით მათი გადასინჯვით);

– სასურსათო კომპლექსის სახელმწიფო მხარდაჭერის იმ ფორმების უფრო ფართო გამოყენება, რომლებიც თავმოყრილია "მწვანე კალათაში", არაა შეზღუდული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის განაწესებით და დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს საფინანსო შესაძლებლობებზე;

– სასოფლო-სამეურნეო ბიზნესში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის გაზრდა (განსაკუთრებით ტექნიკური მომსახურების სფეროში) სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმაში (ბიზნესის გაძღოლა ნებისმიერი სუბიექტის, მათ შორის სახელმწიფოს, მიერ არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს საერთოშორისო ორგანიზაციების მხრიდან), შემდგომი თანდათანობითი გამოსყიდვით კერძო მეწარმეების მიერ;

– სასურსათო პროდუქციის ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობის თანდათანობითი ოპტიმიზაციის განხორციელება ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების, მისი სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციისა და, ასევე, სასურსათო პროდუქციის საჭირო სახეების იმპორტის სპეციალიზაციის დარგების პროდუქციის ექსპორტით კომპენსაციის აუცილებლობის გათვალისწინებით;

– სამამულო მწარმოებლების მიმართ პროპაგანდისტული, მარკეტინგული და საკონსულტაციო გავლენის განხორციელება იმ მიზნით, რამ მათ გააფართოვონ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და ამისათვის გამოიყენონ სასელექციო, სანაშენო და სხვა შესაბამისი მეურნეობების მომსახურება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2009.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2010.
3. **Архипов В**. К вопросу о мировом продовольственном кризисе. – Экономист, 2009, №3.
4. **Горбачева А. А., Меринов М. А.** Макроэкономические императивы обеспечения продовольственной безопасности России. – Экономический вестник Ростовского государственного университета. – 2008, т. 6, №4, ч. 4.
5. **Добросоцкий В.** Государственное регулирование продовольственного рынка (зарубежный опыт). – МЭиМО, 2000, №9.
6. Итоговые документы мирового саммита. – Рим: всемирная конференция по продовольствию, 1996.
7. **Кузин В. Н.** Продовольственная безопасность как научная категория и практическая проблема. – Вестник Поволжской академии государственной службы, №1 (22), 2010.
8. **Оболенцев И.А., Корнилов М. Я., Синюков М. И.** Продовольственная безопасность России: еще один взгляд на проблему. – М.: Изд-ство РАГС, 2006.
9. **Резникова О. С., Ермаков А. Е.** Интеграция Украины в ВТО, как процесс глобализации, затрагивающий продовольственную безопасность страны. – Труды одиннадцатой международной конференции студентов и молодых ученых «Управление развитием социально-экономических систем: глобализация, предпринимательство, устойчивый экономический рост». Часть 4. Донецк: ДонНУ, 2010.
10. **Ушачев И.** Продовольственная безопасность страны: проблемы и решения. – АПК: Экономика и управление, 2006, №3.

***Ramaz Abesadze***
***Vakhtang Burduli***
***Lina Datunashvili***

# THE PROBLEMS OF REGULATION OF ENSURING OF FOOD SECURITY IN COUNTRY

## SUMMARY

The essence of term “food security” on national level is exposed and its micro- and macroeconomic components are considered. The food security is the separate segment of state regulation and market coordination of economics. Among the components of the market coordination of food complex on national level the article means guaranteeing of development of institutional and organization form of the private property, the systems of interrelations between associations of owners, the interrelations between associations of owners and government bodies. For safeguarding in perspective of food security of country in the conditions of globalization it is necessary to accelerate development of agriculture and adjacent (adjoining) productions ensuring logistics, technical, marketing and consulting service, processing of agricultural products and goods movement to internal and external markets. In the article the internal and external economic factors influencing on decline of agricultural output in Georgia are shown. For revival and steady development production in agriculture and adjacent branch of economy it is necessary to neutralize of influence of these factors by means activization of State regulation and renovation of mentioned aspects of market coordination, in particular, on the basis of development of contemporary network methods of organization and management of production. The ways of organization of State regulation of food complex are given taking into account of instructions of World Trade Organization. In the article a great deal of attention is being given to the issues of optimization of ratio between export and import of food products subject to the conditions of globalization.

*თამარ ბაჩიაშვილი*

# საბაზრო ურთიერთობების სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე კულტურული და რელიგიური ფაქტორების გავლენის შესახებ

საბაზრო საწყისებზე დამყარებულ საზოგადოებაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარება ის ძირითადი ბერკეტია, რომელიც ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ჩვენი აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური სტრუქტურის გართულება, სოციალური და გეოგრაფიული მობილურობის ზრდა, ღირებულებითი ორიენტაციის სტრუქტურის ცვლილებები დაკავშირებულია სახელმწიფო დონეზე მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ეფექტიანობის პრობლემას სულ უფრო აქტუალურად წარმოაჩენს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში "ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია არა მარტო ბუნებრივ, სანედლეულო და საწარმოო რესურსებთან, არამედ ისე ძნელად საზომ ფაქტორებთან, როგორიცაა ხალხთა ტრადიციები, რელიგიური აღმსარებლობა და კულტურული ღირებულებანი, წეს-ჩვეულებები, სამართლებრივი კულტურა და ეკონომიკური საქმიანობის წარმოების სამართლებრივი პირობები" [1, გვ. 197].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ყურადღებას იმსახურებს გაცვლისა და წარმოების ეკონომიკურ პროცესებზე კულტურის გავლენის შესწავლა, ასევე მნიშვნელოვანია კულტურის რეგულატორული როლის კვლევა.

ეკონომიკა, როგორც ცნობილია, დაინტერესებულია წარმოების პროცესის ელემენტებით: სამუშაო ძალით, კაპიტალით, მიწით, ნედლეულით და ა.შ. მისი ყურადღების მიღმა რჩება ამ ელემენტების დაკავშირების წესი, რომელზეც გავლენას ახ-

დენს ამა თუ იმ კულტურის შიგნით არსებული დოვლათის შექმნასთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემა.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური ცხოვრება სოციალურის გარეშე არ არსებობს, და ამდენად მისი გაგება შეუძლებელია საზოგადოების ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების (ანუ ზოგადად – კულტურის) ანალიზის გარეშე.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა ფაქტორები უნდა იყოს და რა ფაქტორები არ უნდა იყოს ჩართული კულტურულ ახსნაში?

როგორც ცნობილია, ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაში არსებობს გარკვეული მზა კულტურული მოდელი, რომლის საშუალებითაც სოციოკულტურული გარემო გავლენას ახდენს შიდა სამუშაო კულტურაზე, რაც ასახვას პოვებს საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაზე.

ხაზგასასმელია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც კულტურის სფეროში იკვლევენ: პატერნალიზმი, ძალაუფლებრივი დისტანცია, გაურკვევლობისაგან გაქცევა, ერთობისადმი ლოიალურობა და მასკულინობა – ფემინურობა.

“1. პატერნალიზმი წარმოადგენს კულტურულ თავისებურებას, რომელიც გულისხმობს ოპოზიციას “მმართველი – ქვეშევრდომი” და ძირითადად ტრადიციულ აღმოსავლურ კულტურებს ახასიათებს. იგი აღწერს როგორც სტრატიფიცირებულ სოციალურ კულტურას, ისე მმართველ ქვეშევრდომთა უამრავ როლს.

2. ძალაუფლებრივი დისტანცია (Hofstede-ს გაგებით), რომელიც აღწერს ძალაუფლებრივ იერარქიას – უთანასწორობის მისაღებობის ხარისხს საზოგადოებისთვისაც და მისი ინსტიტუტებისთვისაც.

3. მასკულინობა-ფემინურობა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ცხოვრების სტილად მიჩნეული ინდივიდუალური ღირებულებები. მასკულინურ საზოგადოებაში წამყვანია დოგმატურობა, წარმატება, ფულის მოპოვება-დაგროვება და სხვა მატერიალური ღირებულებები, ფემინურში კი – ინტერპერსო-

ნალური ჰარმონიულობა, თანასწორობა და სხვებზე ზრუნვა" [2, გვ. 185].

კულტურულ გარემოთა განსხვავების გამოსავლენად ჩატარდა კვლევა კანადაში, ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში.

მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებით საინტერესოა მოცემული ქვეყნების კულტურული ღირებულებების შედარებისას გამოვლენილი განსხვავებები.

კერძოდ, ინდოეთი, როგორც კვლევებმა აჩვენა, ორიენტირებულია პატერნალიზმსა და ერთობისადმი ლოიალურობაზე.

როგორც ინდურ, ასევე კანადურ კულტურაში მასკულინურზე მეტად, ანუ ფულსა და სხვა მატერიალურ ღირებულებებზე ორიენტაციის ნაცვლად, გამოიკვეთა ფემინური ელემენტების სიჭარბე.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობს ძლიერი კავშირი:

1. პატერნალიზმსა და ძალაუფლებრივ დისტანციას შორის;

2. ადგილობრივ კონტროლსა და სამსახურებრივ პასუხისმგებლობას შორის;

3. წარმატების მნიშვნელობას და დაჯილდოვების მრავალფეროვნებას შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სოციოკულტურული გარემო გავლენას ახდენს მართვის მოდელებზე, რაც, თავის მხრივ, თავს იჩენს საზოგადოებრივი რესურსების მართვის პრაქტიკაში.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კულტურული არგუმენტები ერთ-ერთი დომინანტურია როგორც ჩინური, ასევე იაპონური მენეჯმენტის ინტერპრეტაციისას.

იაპონიისაგან განსხვავებით, სადაც ფირმისადმი ლოიალურობა უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, ჩინური ლოიალურობის იდეალი უმეტესად ვრცელდება არა ფირმაზე, არამედ ოჯახური საწარმოების ქსელზე.

“ნათესაური კავშირები მნიშვნელოვანია თანამედროვე ჩინეთის ეკონომიკური სისტემის ბუნების გასაგებადაც. წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში (სინგაპური, მალაიზია, ინდონეზია, ჰონკონგი, ტაივანი) მცხოვრები ჩინური დიასპორა, წარმოშობით, ძირითადად, ჩინეთის სამხრეთი პროვინციებიდან – ფუცზიანიდან და ფუანდუნიდან არიან და დღემდე ინარჩუნებენ ნათესაურ კავშირებს ჩინეთთან. ამ პროვინციებში ეკონომიკური განვითარება მეტწილად ოჯახური და საგვარეულო ორგანიზაციების გავლით ჩინური კაპიტალის შემოდინებით იყო განპირობებული. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობა ეპატიჟება ბიზნესმენებს ამ ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ტაივანიდან, რომელიც სამხრეთ პროვინციებს ესაზღვრება, და სთავაზობს საკმაოდ შეღავათიან პირობებს ბიზნესის საწარმოებლად. ამგვარი ნათესაური კავშირების არსებობა კუნძულის ჩინურ დიასპორას გარკვეული სტაბილურობის შეგრძნებას უჩენს ჩინურ ეკონომიკაში ინვესტიციების შემთხვევაში. ეს ფაქტი გასაგებს ხდის, თუ რატომ წარმოადგენენ ოკეანის მიღმა ჩინელი ინვესტორები სხვა უცხოელი – იაპონელი, ამერიკელი და ევროპელი – ინვესტორებისთვის დასაყრდენს” [3, გვ. 111].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ ჩინეთს, არამედ იაპონიას, ტაივანს უფრო მეტი საერთო აქვთ კულტურულ ასპექტებში, ვიდრე ეს მათი ეკონომიკების მოწყობაზე აისახება.

მოცემულმა კულტურებმა განიცადეს ბუდიზმის, კონფუციანიზმის გავლენა. თუ ასევე გათვალისწინებული იქნება კულტურულ ღირებულებათა სისტემები, შეიძლება ისინი მოვიაზროთ, როგორც ერთი კულტურის არეალი.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების შესწავლის საკითხში კულტურალური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მაგრამ ასევე ხაზგასასმელია რელიგიური ფაქტორების გავლენა საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ “ახლა მსოფლიო ეკონომიკა ნებისმიერი რიგითი მოქალაქისთვის აღარაა წმინდა გონებაჭვრეტითი მეცნიერება. ადამიანები მუდმივ კონტაქტში არიან სხვადასხვა ქვეყნის და ცივილიზაციის წარმომადგენლებთან. მეგაეკონომიკურ გარემოში ისინი ახლოვდებიან, წარმართავენ საერთო ბიზნესს, ერთობლივ გამოკვლევებს, მოგზაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში და, ბოლოს, ურთიერთობა აქვთ ინტერნეტით. ყოველივე ამისათვის სასარგებლოა, და აუცილებელიც კი, იცნობდე შენს პარტნიორს. ხოლო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო და ქცევის რეაქციის პროგნოზირება მოახდინო, უნდა იცოდე მისი ფასეულობათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილურ იდეოლოგიასა და რელიგიაში დევს” [1, გვ. 202].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სწორედ კულტურასა და რელიგიაში, როგორც სოციალურ ინსტიტუტებში არსებული მსოფლმხედველობის საფუძვლების შესწავლა არის აუცილებელი, რათა უკეთ გავიგოთ თუ როგორი ღირებულებითი ორიენტაციის სისტემაა ჩამოყალიბებული სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, რელიგიური მოღვაწეები ხშირად იღებენ მონაწილეობას დებატებში, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ სამართლიანობასთან; კონსერვატიული რელიგიური მიმდინარეობები ხელს უშლიან ქალების მონაწილეობას შრომის ბაზარზე; მიგრაციის პროცესებთან დაკავშირებით განსხვავებული რელიგიები და ასევე ეთნიკური ჯგუფები განსხვავებულ ნიშებს იკავებენ ეკონომიკურ ბაზრებზე.

ჩვენი აზრით, მოცემული დაყოფის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ე.წ. ცხოვრების სტილი, რომელიც მოიცავს გარკვეული სახის სოციომორალურ ორიენტაციებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ “რელიგიაში, როგორც ღირებულებით კატეგორიაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციალური კოგნიციების იმ სისტემას, რომელიც თავად კონ-

კრეტული რელიგიის მსოფლმხედველობიდან თუ დოგმიდან მომდინარეობს. სოციალური კოგნიცია კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს ორ პარამეტერს: პირველი, რამდენად არის სუბიექტისათვის ობიექტივირებული და რაციონალიზებული დოგმა და მეორე, რამდენად წარმართავს სოციალური კოგნიცია, ანუ უფრო მარტივად, ღირებულების კოგნიტური კომპონენტი ქცევას" [4. გვ. 268].

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კულტურული და რელიგიური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე და მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სოციალური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ.** მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2008.
2. **სურმანიძე ლ.** კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური საზოგადოებები. ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბილისი, გამომცემლობა "ნეკერი", 2001.
3. **კუპრავა თ.** ჩინური ოჯახის სტრუქტურა. ჟ. „ბიზნესი", 2008, №11. თბილისი, 2008.
4. **ჩიტაშვილი მ.** რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

*Bachiashvili Tamar*

# ABOUT THE INFLUENCE OF CULTURAL AND RELIGIOUS FACTORS ON THE SOCIAL AND ECONOMIC EFFECTIVENESS OF MARKET RELATIONS

## SUMMARY

The influence of cultural and religious factors on the social and economical effectiveness of market relations is discussed in the scientific article.

The influence of social and cultural environment upon the management models, which in its turn occurs in the management practice of public resources, is analyzed in the article.

The scientific article also discusses the importance of religious factors in the issues of studying the economical processes and events, which has an influence on economical, social and political processes taking place in the society.

*ლია დვალიშვილი*

# მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები

მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპებზე ბუნებრივი რესურსები ამოუწურავად ითვლებოდა და მთავარი ყურადღება საწარმოო სიმძლავრეთა ზრდას ეთმობოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მართალია, მხედველობაში მიიღებოდა რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები, მაგრამ მათი სრულყოფილი განხორციელება არ ხდებოდა. ბოლო პერიოდში ეკონომიკა შედის მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტადიაში, რომელიც დღესაც გრძელდება. საერთოდ, აღნიშნულ პრობლემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისიდან მიექცა.

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი [8].

მდგრადი განვითარება აერთიანებს ბუნებრივი ეკოსისტემების პროდუქტიულობის საზრუნავს, კაცობრიობის მიმართ სოციალურ გამოწვევასთან ერთად. 1970-იან წლებში "მდგრადობა" გამოიყენებოდა იმისათვის, რომ აღეწერათ ეკონომიკა "ძირითადი ეკოლოგიური უზრუნველყოფის სისტემების თანაფარდობაში". ეკოლოგები მიუთითებდნენ "The Limits To Growth" და წარმოადგენდნენ "მყარი მდგომარეობის ეკონომიკის" ალტერნატივას, რათა მიექციათ ყურადღება გარემოს საზრუნავი-

სადმი. მდგრადი განვითარების სფერო შესაძლოა კონცეპტუალურად დაიყოს სამ შემადგენელ ნაწილად: ეკოლოგიური მდგრადობა, ეკონომიური მდგრადობა და სოციოპოლიტიკური მდგრადობა.

მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

როგორც აღინიშნა, მდგრადი განვითარების არსში იგულისხმება განვითარების ისეთი მოდელი, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდება როგორც ახლანდელი, ისე მომდევნო თაობის ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, ყოველ ადამიანს შეექმნება პირობები თვითრეალიზაციისათვის, მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს და რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ნაწილი, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა სახელმწიფო მმართველობის გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, მაინც ექვემდებარება ამ საერთაშორისო პროცესს.

1995 წლის კონსტიტუციით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას.

1996 წელს მიღებული იქნა კანონი გარემოს დაცვის შესახებ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კოორდინაციითა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესი.

გარემოს დაცვის პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის უპირველესია. იგი ქვეყნებს არ აძლევს საშუალებას, ინტეგრაციის დროს აირჩიონ მათთვის ხელსაყრელი პირობები ან შეარჩიონ შესაფერისი პარტნიორები. ყველა ქვეყნისათვის

აუცილებლობას წარმოადგენს, ამიტომ იგი გლობალურ ხასიათს იძენს.

დღესდღეობით გლობალიზაციისაგან გვერდზე გადგომა შეუძლებელია და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოვებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და ა.შ.

გლობალური ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. დღეს განვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის დეფიციტი სიჭარბემ შეცვალა, ხოლო პრიორიტეტული მიმართულება გარემოს დაცვა და ცხოვრების კომფორტული პირობების შენარჩუნება გახდა. მწარმოებლურობის ზრდის ნაცვლად მდგრადი განვითარება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის უმთავრეს მიზნად არის აღიარებული – ეს ნიშნავს, რომ მდგრადობის პრინციპების გავლენის შესწავლას წარმოების სისტემის რელევანტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც გააჩნია აღნიშნულ ქვეყანას.

ბუნებრივი პირობებისა და რესურსების განსაკუთრებული სიუხვე და მრავალფეროვნება შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და ტერიტორიების ბუნებრივი პირობების თავისებურებებით, არამედ ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური მოვლენებითა და პროცესებით. ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი

მოიცავს ბუნების, ჰავის, რელიეფის, ნიადაგების, წყლის საფარის, მცენარეული, გეოლოგიური აგებულების, სასარგებლო წიაღისეულის, მათი მარაგების და ა.შ. დახასიათებასა და შეფასებას. წიაღისეულს ქვეყნის ეკონომიკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა სასარგებლო წიაღისეული გააჩნია ქვეყანას და როგორ გამოიყენება იგი. განსაკუთრებით დიდი პოტენციალი გააჩნიათ ქვეყნებს, სადაც ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს უკავია, ქვეყანა მდიდარია საკურორტო ადგილებით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰიდროენერგეტიკულ რესურსებსა და მინერალურ წყაროებს. ეგზოგენურ ენერგორესურსებს მიეკუთვნება ისეთი განახლებადი რესურსები, როგორიცაა ჰიდრორესურსები, ქარისა და მზის ენერგია. დღეისათვის ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მიწის რესურსების ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გატარება. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნებისათვის აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების შედეგად ბუნებრივი რესურსებით ღარიბი მაღალტექნოლოგიური ქვეყნები (მაგალითად, იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური და სხვა) წარმატებით იყენებენ სხვა ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები უპირატესობით სარგებლობენ მაღალტექნოლოგიურ, მაგრამ ბუნებრივი რესურსებით ღარიბ ქვეყნებთან შედარებით. საერთოდ, ბუნებრივი რესურსების გარეშე შეუძლებელია არათუ ეკონომიკის განვითარება, არამედ არსებობაც კი.

ეკონომიკურ განვითარებაზე ბუნებრივი რესურსების ზეგავლენა გამოიხატება იმაში, რომ: ეკონომიკური საქმიანობის დროს ხდება ახალი სახეობების რესურსების ათვისება (მაგ. ატომური ენერგია, მზის ენერგია, ბიოენერგია და ა.შ.), რომელსაც ხშირად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის; ბუნებრივი რესურსები, როგორც განახ-

ლებადი, ისე არაგანახლებადი, უშრეტი არ არის, რის გამოც, აუცილებელია მათი რაციონალური გამოყენება – განახლებადი რესურსებისა ისე, რომ მოხერხდეს მათი განახლება, ხოლო არაგანახლებადისა – მაქსიმალური ეკონომიურობით, რათა რაც შეიძლება დიდხანს იქნეს შესაძლებელი მათი მარაგების გამოყენება. ამასთანავე, აუცილებელია არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული წყაროების ძებნა, რათა კაცობრიობა პირისპირ არ დადგეს მათი ამოწურვით გამოწვეული მოსალოდნელი კატასტროფის საფრთხის წინაშე. ეკონომიური განვითარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნების კანონთა მოქმედება, ვინაიდან მათი შეცვლა ადამიანს არ შეუძლია; ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელი ხდება ეკონომიკის შესაბამისი დარგების წარმოშობა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სტრუქტურაზე, რაც თავისთავად იწვევს პროგრესულ ცვლილებებს ეკონომიკაში.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიური მექანიზმების შექმნას და ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას წარმოების ეკოლოგიზაციაზე. მაღალგანვითარებული მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას ამ პრინციპების დაცვით. ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში. სტრატეგიული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მთავარი პრიორიტეტების გამოყოფას, მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დასაბუთებას და საბოლოო შე-

დეგებზე ორიენტირებული განხორციელების ოპტიმალური გზების ძიებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთ შედეგიან პრიორიტეტად მიიჩნევა განახლებადი ენერგორესურსების მაქსიმალური გამოყენება (წყლის, მზის, ქარის, ზღვის ტალღების, გეოთერმული წყლების, ბიო მასის და სხვა). ეს განსაკუთრებით პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისათვის, რამდენადაც მას გააჩნია უზარმაზარი ჰიდრორესურსები, რომლის გამოყენების კოეფიციენტი დღევანდელი მდგომარეობით ძალიან მოკრძალებულია. ეს საკითხი მნიშვნელოვან აქტუალობას იძენს დღეს ქვეყნის აღმშენებლობის გრანდიოზული მასშტაბებიდან გამომდინარე, რაც შემდგომში აუცილებლად მოითხოვს უფრო მეტ ენერგორესურსს. აღნიშნული მაგალითი ასაბუთებს განვითარების სტრატეგიის იმ მთავარ მიზანს, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსი, რათა მან ჩაანაცვლოს ეკოლოგიურად არასასურველი პროდუქტი და მიიღოს მაღალი ეკონომიური სარგებელი.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. იგი არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტია როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ისე მისი შემადგენელი სექტორები და ელემენტები. ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდწილად განაპირობებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია მძლავრი ბიძგი მიეცეს ეროვნულ წარმოებას, რათა შემცირდეს უცხოურ პროდუქციაზე დამოკიდებულება.

როგორც გამოჩენილი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ "ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს". ამისათ-

ვის საჭიროა ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ უპირატესობათა დანახვა, დაფასება და გამოყენება. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემუშავებულ იქნეს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ფუნქციონირების და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზებას, რათა მოხდეს სოციალურად პასუხისმგებელი ეკონომიკის განვითარება, მომავალი თაობებისათვის რესურსული ბაზის შენარჩუნების პირობებში.

მდგრადი განვითარების კონცეფცია უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1. მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი რესურსები ბუნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე.

2. ცოცხალი რესურსებით სარგებლობისას არ მიადგეს ზიანი ბიო მრავალფეროვნებას და დასახული იქნეს გზები მისი აღწარმოების და გამრავალფეროვნებისა.

3. უნდა მოიცავდეს რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სამომავლო რისკები.

4. არსებული რესურსების ბაზაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება.

5. ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ მთავარი პრიორიტეტების გამოყოფა და სრულყოფა.

6. ტრადიციული ენერგორესურსების ნაცვლად განახლებადი ენერგო რესურსებით ჩანაცვლება შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარების გზით. მდგრადი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად სწორედ განახლებადი ენერგეტიკა უნდა იქნეს მიჩნეული.

7. ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის და გამოყენების ჰარმონიზაცია.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. იგი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას. დღეს აქცენტი კეთდება რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენებიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქტის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა.შ. დღეს საერთაშორისო საბაზრო ქსელი არის დიდი სათამაშო ველი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნისათვის თავისებურ კომპასს წარმოადგენს: რა გზას დაადგეს, რომელი დარგების განვითარებას მიანიჭოს უპირატესობა, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია და ა.შ.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროებში მომხდარი უდიდესი ცვლილებები მეტნაკლები ზომით აისახა ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

დიდი ილია ბრძანებდა: "ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს – ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნი. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებას და ვერც აზრს".

სწორედ ამ დროების ქერქში ჩაჯდომით უნდა ვეცადოთ საბუთი ვუპოვოთ ცხოვრებას, შეძლებისდაგვარად, წინ აღვუდგეთ სახელმწიფოებრივობის, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დამანგრეველ გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა გარეშე გართულდება შიგა, ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი [9].

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., არევაძე ნ., სარჩიმელია რ., მელაშვილი მ.** ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი, 2004.

2. **ასათიანი რ.** საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. ლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბილისი; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 და სხვა.
3. **ვეშაპიძე შ., გრიშიკაშვილი ა., ლეკაშვილი ე., ასლამაზიშვილი ნ.** მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი, 2008.
4. **მოვსესიანი ა., ოგინცევი ს.** მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტ. I, რუსულიდან თარგმნა შ. ვეშაპიძემ. თბილისი, 2003.
5. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა სიახლე, 2006.
6. **ჭავჭანიძე ი.** აი ისტორია. თხზ. ტ. IV. თბილისი, 1955, გვ. 66.
7. **ჭინჭარაული გ.** ეკონომიკური თეორია (ეკონომიქსის ასპექტი). თბილისი, 2006.
8. **Булатов А.С.** Мировая Экономика. Москва, Экономист, 2007.
9. www.wikipedia.org.ge
10. www.googleusescontent.com

***Dvalishvili Lia***

## CONCEPTUAL BASIS OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT

## SUMMARY

Sustainable development means that demands of today's and future generations will be satisfied, all citizens will be given chances to realize their potential not regarding the country of origin and the social group.

Strategic plan of sustainable development should be based on the principles of sustainable development and at the same time this plan must

ensure the development of economy based on these principles. These measures also include: assessment of economic projects in advance based on economic effectiveness and taking into consideration the effects on environment in the borders of sustainable development principles.

*ზურაბ რევიშვილი*

# საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება

პლანეტის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა XXI საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენს, რომლის გადაუდებელი გადაწყვეტის საჭიროება ეჭვს არ იწვევს. მსოფლიო მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი, გლობალური დათბობის პროცესი, ბიოსფეროს ანთროპოგენური დაბინძურება, ოკეანეთა პლანქტონის მოცულობის კლება, ეკონომიკის მილიტარიზაცია, განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობის ზრდის შეზღუდული შესაძლებლობები, განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაბალ-პროდუქტიულობა და დაბალნაყოფიერი მიწების ჩართვის რესურსების სიმცირე, მკვეთრი განსხვავებანი ქვეყანათა ტექნოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და ა.შ. განაპირობებს და კიდევ უფრო აღრმავებს მსოფლიოს სასურსათო პრობლემას. სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, უპირველეს ყოვლისა, განიხილება გლობალურ პრობლემათა რანგში, მათზე გავლენას ახდენს: სურსათზე მსოფლიო საბაზრო ფასები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რყევები, რეგიონული თუ ლოკალური კონფლიქტები, კლიმატის ცვლილებების გავლენები და ა.შ. ამავე დროს, მათი განსაზღვრა, დადგენა, ყოველი კონკრეტული ქვეყნისათვის უნდა ხდებოდეს. საურსათო უსაფრთხოების კვლევის უდავო აქტუალურობასთან ერთად, უნდა აღინიშნოს რომ, ეკონომისტებს შორის არსებობს განსხვავებული მიდგომები სასურსათო უსაფრთხოების რიგი მეთოდოლოგიური თუ თეორიული საკითხების მიმართ, რაც განაპირობებს მათი შემდგომი შესწავლის გაგრძელების და გაღრმავების საჭიროებას.

ცნება "სასურსათო უსაფრთხოება" საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, მარც-

ველულის მოუსავლიანობით გამოწვეული სასურსათო კრიზისული მოვლენების შემდგომ. სასურსათო უსაფრთხოებაზე საუბრისას, პირველ რიგში იგულისხმება სურსათის უკმარისობასთან დაკავშირებული საფრთხეები, რომელთა ნეიტრალიზებაც, მთლიანად მსოფლიოში თუ კონკრეტულ ქვეყანაში, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. სასურსათო უსაფრთხოება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სურსათის ნაკლებობის, დეფიციტის საფრთხის თავიდან აცილების ღონისძიებების, სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, რომლებიც გაანეიტრალებენ, შეამცირებენ ამ საფრთხეებს. ამასთან, სურსათის დეფიციტში, ნაკლებობაში იგულისხმება ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობის დამაზიანებელი, არსებობისათვის ზიანის მიმყენებელი საფრთხეები. ქვეყნის თუ ადამინთა მოდგმის სურსათის ნაკლებობისგან, უკმარისობისგან დაცვა გულისხმობს ადამიანებისათვის ნორმალური საარსებო პირობების გარანტიების შექმნას.

სურსათის დეფიციტში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოხმარების დეფიციტი, ამდენად სურსათის ნაკლებობის, უკმარისობის საფრთხის ლიკვიდაცია უფრო ფართოდ უნდა იყოს განხილული, ვიდრე უბრალოდ ადამიანის ფიზიოლოგიური გადარჩენა. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სურსათის მოხმარების ისეთი საკმარისობა, როდესაც უზრუნველყოფილია ადამიანის ჯანსაღი და აქტიური არსებობა.

ქვეყნის სურსათის სათანადო რაოდენობით უზრუნველყოფა არ არის საკმარისი მისი მოსახლეობის ყველა წევრის უზრუნველსაყოფად, ასევე საჭიროა, რომ ქვეყნის ყოველ წევრს ჰქონდეს ამ სურსათის მოხმარების შესაძლებლობა. ეს კი გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას საჭიროებს, როდესაც მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას აქვს ისეთი შემოსავლები და აუცილებელი კვების პროდუქტებზე არის იმგვარი ფასები, რომ მოსახლეობის ყველა წევრისათვის ისინი ხელმისაწვდომია. ამრიგად, ფართო გაგებით,

სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს ქვეყანაში სასურსათო რესურსების საჭირო რაოდენობის არსებობას  და საზოგადოების ყველა წევრისათვის მის ხელმისაწვდომობას.

საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების შედარებებისას სურსათის საკმარისობაზე მახვილდება ყურადღება. ხშირად საკმარისობის განხილვისას აქცენტი კეთდება ისეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, როგორიცაა მარცვლეული. მიჩნეულია, რომ სწორედ მარცვლეული უზრუნველყოფს მსოფლიოში სასურსათო მდგომარეობის სიმყარეს და რომ მარცვლეულის სათანადო მარაგები ქმნის გარანტიებს საგანგებო მდგომარეობის შემთხვევებში. უსაფრთხოდ ითვლება მარცვლეულის გარდამავალი მარაგების ისეთი რაოდენობა, რომელიც შეესაბამება მარცვლეულის საჭირო მოხმარების 60 დღეს, ანუ მთელი მოხმარების 17%-ს.

ქვეყნის მარცვლეულის მარაგი უდავოდ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებას მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ადამიანს ესაჭიროება როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის პროდუქტებით, ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, საჭირო ვიტამინებითა და მიკროელემენტებით დაბალანსებული კვება.

სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. მათზეა დამოკიდებული ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფოებრივი პოზიციების განმტკიცება. ამ თვალსაზრისით სასურსათო უსაფრთხოება განიხილება ქვეყნის ეროვნული უშიშროების მნიშვნელოვან ელემენტად.

სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა, მნიშვნელოვან წილად, ამა თუ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მათი ზემოქმედებით არ განისაზღვრება სასურსათო უზრუნველყოფა. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოე-

ბის შინაარსში ასევე განიხილება უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფისა და ამ პროდუქტების მოხმარების იმპორტზე დამოკიდებულების მაჩვენებლები.

თუ ქვეყანა საკუთარი რესურსების ხარჯზე უზრუნველყოფს მოსახლეობას აუცილებელი კვების პროდუქტებით როგორც ნორმალური მოხმარების დროს, ისე საგანგებო მდგომარეობის შემთხვევების შექმნისას, მისი სასურსათო უსაფრთხოება მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. შასურსათო უსფრთხოების ზღვრად მიიჩნევენ სურსათის წარმოების ისეთ დონეს, როდესაც საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფილია ფაქტობრივი საჭიროებების არანაკლებ 90 პროცენტი [1, გვ. 8].

სურსათის უსაფრთხოება, ფართო გაგებით, გულისხმობს პროდუქტის ეკოლოგიურ უსაფრთხოებასაც, პროდუქტში ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების არარსებობას ან დასაშვებ ნორმებში ყოფნას. უკანასკნელ ათწლეულებში, პესტიციდების და არარორგანული სასუქების, ასევე საკვების კონსერვანტებისა და ქიმიური დანამატების ინტენსიურად გამოყენების შედეგად, სოფლისმეურნეობრივ პროდუქტებსა და სურსათში მიკროტოქსინების, ნიტრატებისა და სხვა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებების მატების ტენდენცია შეიმჩნევა. ამასთან ერთად, გაჩნდა და ვითარდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების პროდუქტებზე.

სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის დონეზე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანის კვების ფიზიოლოგიური და ეკოლოგიური ნორმებით განსაზღვრული, სურსათის სტაბილური საკმარისობა, მოსახლეობის ყოველი სოციალური ფენისათვის მისი ხელმისაწვდომობა, მაქსიმალური თვითუზრუნველყოფისა და იმპორტზე დამოუკიდებლობის განსაზღვრული დონის პირობებში.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელთა სისტემა ფართო წრეს მოიცავს. მათში განიხილება: კვების პრო-

დუქტების ენერგეტიკული მახასიათებლები, კალორიების მიღების წყაროები – მცენარეული თუ ცხოველური წარმოშობის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის პროდუქტების უვნებლობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება, კვების ძირითადი პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარების დაახლოება ფიზიოლოგიურად რეკომენდებულ ნორმებთან, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, იმპორტზე დამოკიდებულება, ადგილობრივი სოფლისმეურნეობრივი მწარმოებლების დაცულობის მახასიათებლები და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს განმაზოგადებელ მაჩვენებელს წარმოადგენს მოხმარებული პროდუქტების კალორიულობა, ამასთან, ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოხმარებული პროდუქტების სტრუქტურას, ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების სათანადო პროპორციას, ასევე ვიტამინებისა და ორგანიზმისთვის აუცილებელი სხვა ელემენტების მიღებას. გარკვეული სიზუსტით გლობალური სასურსათო პრობლემის დახასიათება რთულია, რადგან საბაზისო გათვლები დამოკიდებულია არჩეულ კრიტერიუმებზე, რომლებიც საკმაოდ პირობითია. უპირველეს ყოვლისა, სირთულეს წარმოადგენს პლანეტის მთელი მასშტაბით კვების "საშუალო" ნორმის დადგენა, რადგან დედამიწის ზონები და რეგიონები, ბუნებრივ-კლიმატური თუ სხვა მიზეზების გამო, მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანის ცხოველმყოფელობისათვის საჭირო ენერგიის ხარჯვის საჭიროების მიხედვით. ბუნებრივია, ჩრდილოეთით განთავსებულ, ცივი კლიმატის მქონე ქვეყნებში ადამიანებს მეტი კალორიების მიღება სჭირდებათ, ვიდრე სამხრეთულ, თბილ ქვეყნებში. თუმცა სპეციალისტები თვლიან მისაღები კალორიების საშუალო ნორმას პლანეტაზე. FAO-ს ("გაერო"-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) შეფასებით, ეს ნორმა მიჩნეულია 2600 კკალ დღე-ღამეში, პეციალისტების მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ ნორმა უნდა შეადგენდეს 2700-2800

კკალ, ზოგიერთების აზრით კი იგი უნდა უტოლდებოდეს 3000 კკალორიას [5, გვ.134].

ენერგიის მიღების კრიტერიუმის თვალსაზრისით გამოყოფენ მოხმარების სიცოცხლიუნარიანობის სამ დონეს: ოპტიმალურს, არასრულყოფილს და კრიტიკულს. ოპტიმალურად ითვლება დღეში 2500-3500 კკალორიის მიღება; არასრულყოფილად – 1500-2500 კკალორიის, ხოლო კრიტიკულად – 1000-1500 კკალორიის მიღება. FAO-ს კრიტერიუმებით, საშუალოდ ზრდასრული ადამიანისათვის 2150 კკალორიის მიღება ითვლება შიმშილობის ზღვრად, ხოლო მოშიმშილეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ზრდასრული ადამიანები, რომლებიც დღეში მოიხმარენ 1520 კკალორიას ან უფრო ნაკლებს [3, გვ.2].

კალორიულობის მაჩვენებლის შედარებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ კალორიების მომცემი წყაროები, რადგან კალორიები, მიღებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან და მეცხოველეობის პროდუქტებიდან, განსხვავდებიან თავისი კვებითი ღირებულებით. რაციონების შედარებისას სასურველია, ყველა მოხმარებული სასურსათო პროდუქტი დაყვანილი იყოს ერთ მნიშვნელზე, მაგალითად, მემცენარეობის პროდუქტების კალორიებზე, ამ მიზნით გამოიყენება "გადაყვანილი კალორიები"-ს მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ ადამიანი ცხოველური საკვებიდან 1 კალორიის მისაღებად საშუალოდ ხარჯავს მემცენარეობის 7 კალორიას, მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის პროდუქტზე ამისათვის იხარჯება 11 კალორია, ფრინველისა და კვერცხის მიღებისას – 4 კალორია [5, გვ. 134-137].

ტერმინი სურსათის "უკმარისობა" გულისხმობს არა მხოლოდ კვების არასაკმარისობას, კალორიების სიმცირეს, არამედ ცილის უკმარისობასაც. პროტეინული შიმშილი შეიძლება გაჩნდეს საკვების არასაკმარისი კალორიულობის შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ იგი დაბალანსებულია ცილებით. დაბალკალორიული კვებისას ორგანიზმი ითვისებს ცილების

მხოლოდ 30-40%, მაშინ, როცა სრულფასოვანი კვებისას ხდება 50-60% ცილების შეთვისება [5, გვ. 135].

2000-2007 წწ. მსოფლიოს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სურსათის დღიური (იგულისხმება სადღეღამისო) მიწოდება (მთლიანი კალორიულობა) 2,6%-ით გაიზარდა და შეადგინა 2796 კკალ. აქედან 82,8% შეადგენდა მემცენარეობის, ხოლო 17,2% მეცხოველეობის პროდუქტებიდან მიღებულ კალორიებს. პროტეინის მიწოდება ამ პერიოდში გაიზარდა 3,6, ხოლო ცხიმების მიწოდება 10,1%-ით; ევროკავშირის ქვეყნებში ამ პერიდში ეს მონაცემი გაიზარდა 1%-ით და შეადგინა 3466 კკალორია, 2007 წ. მეცხოველეობის პროდუქტების წილი მთლიან მიწოდებაში შეადგენდა 29,5%-ს; ამავე დროს, ამ ქვეყნებში პროტეინის მოხმარება გადიდდა 1,2%-ით, ხოლო ცხიმების მოხმარება – 1,7%-ით. ამავე პერიოდში, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში სურსათის მიწოდების კალორიულობა საშუალოდ ერთ სულზე გაიზარდა 6,5%-ით და შეადგინა 2157 კკალორია; აქედან მეცხოველეობის პროდუქტების გარკვეული ზრდის მიუხედავად, მთლიან მოხმარებაში მისი წილი მხოლოდ 7%-ს შეადგენდა [7] აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ქვეყნებში კალორიულობის ზრდა ძირითადად განხორციელდა მაღალი ხარისხის პროდუქტების მოხმარების ხარჯზე.

მოხმარების (კალორიულობის) სტრუქტურის თვალსაზრისით განსხვავებანი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსაკუთრებით დიდია. 2007 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ცილების (პროტეინი) დღიური მოხმარება საშუალოდ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 105,6 გრამს, რომლიდანაც 58,8%-ზე მეტი ცხოველური წარმოშობის იყო, დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის ეს მონაცემები საშუალოდ შეადგენდა 53,5 გრამს და 20,2%-ს; საშუალოდ მსოლიოში ამ დროს პროტეინის დღიური მიწოდება შეადგენდა 77,3 გრამს, რომლის 61,2% ცხოველური წარმოშობის იყო [7].

საქართველოს სურსათის მიწოდების არსებული მდგომარეობის გასააზრებლად საინტერესოა მისი მონაცემების შედა-

რება ზონალობის თვალსაზრით, მსგავს ან მიახლოებულ პირობებში მყოფი ქვეყნების მონაცემებთან. ხმელთაშუა ზღვისპირეთის და შავი ზღვისპირეთის რიგ ქვეყნებში სურსათის დღიური მიწოდება 2007 წელს საშუალოდ ერთ სულზე შეადგენდა: საბერძნეთი – 3717 კკალ, მათგან 23% ცხოველური წარმოშობისა იყო; თურქეთი, შესაბამისად – 3517 კკალ და 11,9%; რუმინეთი – 3455 კკალ და 25,8%; ბულგარეთი – 2766 კკალ და 21,7%; საქართველო – 2859 კკალ და 17,2%. ამავე დროს, შესაბამისი მაჩვენებლები შეადგენდნენ: შვეიცარია – 3465 კკალ და 33%; უნგრეთი – 3465 კკალ და 29,7%; პოლონეთი – 3421 კკალ და 27,2%; სერბეთი – 2710 კკალ და 35,4%; პორტუგალია – 3421 კკალ და 27,3%. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველო მოხმარებული კალორიების მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება აქ მოყვანილი ქვეყნების უმეტესობას, მოხმარებული კალორიებით ის მხოლოდ ბულგარეთსა და სერბეთს უსწრებდა, თუმცა მეცხოველეობის პროდუქტების მოხმარების წილით ეს ქვეყნები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე საქართველო. მხოლოდ თურქეთს აქვს მეცხოველეობის პროდუქტებიდან მიღებული კალორიების საქართველოზე დაბალი მაჩვენებელი; კერძოდ, თურქეთი მოიხმარდა (დღიურად) საშუალოდ ერთ სულზე მეცხოველეობის პროდუქტებით მიღებულ 74 კკალ ნაკლებს, ვიდრე საქართველო; ამავე დროს, საქართველო მოიხმარდა თურქეთთან შედარებით 732 კკალ ნაკლებ მემცენარეობის პროდუქტებს [7].

2000-2007 წლებში სურსათის მიწოდების (ერთ სულზე, დღიური კალორიულობა) მაჩვენებელი საქართველოში გაიზარდა 20,4%-ით და შეადგინა 2859 კკალ, ამავე პერიოდში აზერბეიჯანში იგი გადიდდა 23,1%-ით და შედგინა 2961 კკალ; ხოლო სომხეთში გაიზარდა 6,9%-ით და შეადგინა 2280 კკალ. 2007 წელს საქართველო, კალორიულობის აღნიშნული მაჩვენებლით, ჩამორჩებოდა აზერბაიჯანს 102 კკალ-ით, ხოლო სომხეთთან შედარებით მოიხმარდა 579 კკალ-ზე მეტს. თუმცა, ამ დროს სომხეთის მოხმარებულ კალორიებში 24% მეცხოველეო-

ბის პროდუქტებს (544 კკალ) ეჭირა, შესაბამისი საქართველოს მაჩვენებელი შეადგენდა 17,2% (491 კკალ); ხოლო აზერ-ბაიჯანისა – 13,2% (390 კკალ). პროტეინის დღიური მოხმარე-ბით (სულზე გრამი) საქართველო (76,3 გრ) ჩამორჩებოდა აზრბაიჯანს (86,9 გრ) და ამეტებდა სასომხეთს (71,6 გრ.); თუმცა სომხეთში მოხმარებული პროტეინის 43% მეცხოველე-ობის პროდუქტებზე მოდიოდა; საქართველოში ეს მაჩვენებელი 37,2%-ს, ხოლო აზერბაიჯანში კი – 35,5%-ს შეადგენდა [7]. მო-ნაცემები მეტყველებს, რომ სომხეთის ჩამორჩენა მთლიანად მოხმარებული კალორიების მიხედვით, საქართველოსა და აზერბაიჯანისგან გარკვეულად კომპენსირდება მიწოდებული სურსათის ხარისხობრივი მახასიათებლებით, მეცხოველეობის პროდუქტებიდან მიღებული კალორიების მაღალი ხვედრითი წონით, განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის პროტეინის მაღალი წილით.

2000-2010 წწ. საქართველოს ძირითადი სასურსათო პროდუქტების ბალანსი – მარაგების, წარმოების, იმპორტისა და ექსპორტის, მოხმარების (მოსახლეობის ერთ სულზე) და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების (იხ. ცხრილი 1) დინამი-კის ანალიზი გვიჩვენებს, ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცის (ფრინველის გარდა), რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხის მოხმარების შემცირების ტენდენციას. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად მცირდებოდა ხორბლის, ხორცის მთლიანად, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტ-ყვის, ღორის, ცხვრისა და თხის და ფრინველის ხორცით თვითუზრუნველყოფა. მონაცემები გვიჩვენებს კარტოფილით, რძით და რძის პროდუქტებით და კვერცხით თვითუზრუნველ-ყოფის უკეთეს მდგომარეობას.

სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ხორბლით (ხორბლის ფქვილით) თვით-უზრუნველყოფის დაბალ დონეზე. 2010 წელს ადგილობრივი წარმოება ფაქტობრივი მოხმარების მხოლოდ 6%-ს ფარავდა. საყურადღებოა, რომ ამ დროს მოხმარებული ბოსტნეულის

23%, მთლიანად ხორცის 48% (მათ შორის მსხვილფეხა პირუტყვის ხორცის – 23%, ღორის ხორცის – 51%, ფრინველის ხორცის – 78%) იმპორტირებული იყო.

სასურსათო უსაფრთხოების დასადგენად მნიშვნელოვან სურათს იძლევა კვების ძირითადი პროდუქტების ფაქტობრივი მოხმარების შედარება მეცნიერულად რეკომენდებულ, ფიზიოლოგიურ ნორმებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ნორმები მეცნიურული კვლევებისა თუ კონიუნქტურული ინტერესების გავლენით, ექვემდებარება ცვლილებებს. ასე მაგალითად, XX საუკუნის 80-იანი წლების პერიოდში კვების ჰიგიენის საკავშირო ინსტიტუტის რეკომენდაციით, საქართველოსთვის საშუალო წლიური მოხმარების ნორმა მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა: პური და პურპროდუქტები (ფქვილზე გადაანგარიშებით) – 140 კგ, კარტოფილი – 66კგ, შაქარი – 36კგ, ბოსტნეული და ბაღჩეული – 119კგ, მცენარეული ზეთი – 7,3 კგ, ხორცი და ხორცპროდუქტები – 70კგ, თევზი და თევზპროდუქტები – 10,2 კგ, რძე და რძის პროდუქტები – 330 კგ, კვერცხი – 219 ცალი. შემდგომ რეკომენდებული ნორმები შეიცვალა და შეადგინა: პური და პურპროდუქტები (ფქვილზე გადაანგარისებით) – 120,5კგ, კარტოფილი – 96,7 კგ, ბოსტნეული და ბაღჩეული – 146კგ, ხილი – 110 კგ, შაქარი – 36,5, ხორცი და ხორცპროდუქტები – 73 კგ, თევზი და თევზპროდუქტები – 18,3 კგ, რძე და რძის პროდუქტები – 434კგ, მცენარეული ზეთი – 7,3 კგ, კვერცხი – 365 ცალი.

2010 წელს ფაქტობრივი მოხმარების მაჩვენებლების შედარება რეკომენდებულ ნორმებთან გვიჩვენებს, რომ: საქართველოში პურისა და პურპროდუქტების მოხმარება (სიმინდის ფქვილის ჩათვლით) 4,6%-ით აღემატებოდა რეკომენდებულ ნორმას; კარტოფილი მოიხმარებოდა ნორმის – 45,6%, ხორცისა და ხორცპროდუქტები – 37%, რძისა და რძის პროდუქტები – 31,6% და კვერცხი მოიხმარებოდა ნორმის 26,6%. ამრიგად, მხოლოდ პურისა და პურპროდუქტების მოხმარება, რომელიც მნიშვნელოვანწილად იმპორტირებულ ხორბალზეა

დამოკიდებული, აჭარბებს მოხმარების რაციონალურ ნორმას, ხოლო დანარჩენი უმნიშვნელოვანესი, განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების მოხმარება დიდად ჩამორჩება რეკომენდებულ ნორმებს. ამგვარი ვითარება მეტყველებს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკულ მდგომარეობაზე.

2005-2010 წწ. საქართველოში იმპორტი (რაოდენობრივი მაჩვენებელის მიხედვით) გაიზარდა: ხორბლისა 2,2-ჯერ (ამავე დროს ადგილი ჰქონდა პურის ფქვილის იმპორტის შემცირების ტენდენციას), ბრინჯი – 36,7%-ით, სულ ხორცი (ფრინველის გარდა) – 63,7%-ით, ფრინველის ხორცი – 2,12-ჯერ, თევზი (კონსერვების ჩათვლით) – 79%-ით, შეუსქელებელი რძე, კეფირი და იოგურტი – 8,7%-ით, მცენარეული ზეთი 42,5%-ით, მარგარინი – 40,7%-ით, ბოსტნეული – 2,42-ჯერ და ხილი (ციტრუსის გარდა) – 4,94-ჯერ. ამავე დროს შემცირდა იმპორტი: კარტოფილისა – 2,55-ჯერ, შაქრის – 2,42-ჯერ, შესქელებული რძისა და რძის ფხვნილის – 47,5%-ით, კარაქის – 3,1-ჯერ, კვერცხისა – 8,8-ჯერ [9]. კარტოფილის, შესქელებული რძისა და რძის ფხვნილის, კარაქის და კვერცხის იმპორტის შემცირება მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი წარმოების გადიდების და იმპორტჩანაცვლების პროცესების შედეგია. ამავე დროს, მონაცემები ცხდადყოფს, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება, განსაკუთრებით ხორბლით, ყველანაირი ხორცით, მცენარეული ზეთით, მარგარინით და სხვა ცხოველური წარმოშობის რიგი პროდუქტებით უზრუნველყოფა დიდწილად იმპორტზეა დამოკიდებული. უარყოფით ტენედენციად უნდა მივიჩნიოთ, რომ 2005-2010 წწ. მკვეთრად იზრდება ბოსტნეულისა და ხილის (ციტრუსის გარდა) იმპორტი, რაც აფერხებს ამ პროდუქციის ადგილობრივი წარმოების განვითარების შესაძლებლობებს. მთლიანად საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის იმპორტი (რაოდენობრივად) შემცირდა 33,4%-ით, ხოლო ექსპორტი გაიზარდა 64,6%-ით, შედეგად, თუ 2000წ. იმპორტი ჭარბობდა ექსპორტს 18-ჯერ, 2010 წელს ამეტებდა – 7,5-ჯერ

[9]. ამ მიმართულებით პოზიტიური ტენდენციები აშკარაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ჯერ კიდევ მნიშვნელოვნადაა სურსათის იმპორტზე დამოკიდებული, რაც ამცირებს მის სასურსათო უსაფრთხოებას და გლობალური თუ ლოკალური საფრთხეების შემთხვევაში, ზრდის სასურსათო უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ რისკებს.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ინფლაციურ პროცესებზე, სურსათის ფასების ზრდაზე. 2005-2010 წწ. საქართველოში ფასების საშუალო ზრდამ შეადგინა: ძროხის ხორცზე – 35,5%, ღორის ხორცზე – 40,4%, ქათმის ხორცზე – 37,2%, ძეხვი მოხარშული – 42,1%, თევზი გაყინული – 46%, მზესუმზირის ზეთი – 37,3%, ახალი რძე – 25%, ყველი იმერული – 47%, კვერცხი – 40,5%, შაქარზე – 97%, ხორბლის ფქვილზე – 38,9%, მაკარონი – 73,2%, კარტოფილი – 64,8%, კომბოსტო – 42,1%, ხახვი – 145,8%, ვაშლი – 75,8% და ლობიო (ხმელი) – 93,1% [9]. ძირითადი კვების პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვანი მატება, პირველ რიგში, ამცირებს დაბალშემოსავლიანი სოციალური ჯგუფების, ოჯახების მსყიდველობით უნარს, ამცირებს მათ სურსათზე ხელმისაწვდომობას და აუცილებელი საარსებო პროდუქტების ფაქტობრივ მოხმარებას.

ძირითად კვების პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებლები და სურსათზე ფასების მატება მნიშვნელოვნად განპირობებულია სოფლის მეურნეობის განვითარების სტიმულების არარსებობით თუ პრობლემებით, რომლებიც გადაულახავ ბარიერებს ქმნის სურსათის ადგილობრივი წარმოების განვითარებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2005-2010წწ. შემცირდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 23,3%-ით, მათ შორის ფურისა და ფურკამეჩისა – 36,8%-ით; 3,6-ჯერ შემცირდა ღორის რაოდენობა; 19,5%-ით შემცირდა ცხვრისა და თხის რაოდენობა; 47,4%-ით შემცირდა ფრინველის რაოდენობა [9]. ამავე პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშე-

ბით ხორბლის წარმოება შემცირდა 4-ჯერ, სიმინდისა – 3,1-ჯერ, კარტოფილის – 2-ჯერ, ბოსტნეულის – 2,6-ჯერ, ხილის – 2,2-ჯერ, ყურძნის – 2,2-ჯერ, სულ ხორცისა – 1,9-ჯერ, რძის – 1,3-ჯერ, კვერცხის – 1,2-ჯერ [12, გვ19; 13, გვ.18].

რომის დეკლარაციაში მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების შესახებ (1996) აღნიშნულია, რომ: სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების შეუსრულებლობის ძირითად მიზეზია, ხოლო განუხრელი პროგრესი სიღარიბის აღმოფხვრის საქმეში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს სურსათის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში [4]. 2004-2008წწ. პერიოდში მთლიანი შემოსავლების განაწილების უთანაბრობის მაჩვენებელი (ჯინის კოეფიციენტი) საქართველოში გაიზარდა 0,46-დან 0,48-მდე, ხოლო მთლიანი მოხმარების განაწილების მაჩვენებელი გადიდდა 0,39-დან 0,41-მდე, რაც მეტყველებს ქვეყანაში მთლიანი შემოსავლებისა და მოხმარების განაწილების მაღალ აბსოლუტურ უთანაბრობასა და მისი გადიდების ტენდენციაზე [10, გვ.92,93; 11, გვ. 59]. განსხვავება საქართველოს შინამეურნეობების უკიდურესი დეცილური ჯგუფების შემოსავლებში (2008) შეადგენდა 27:1-თან [11, გვ. 63]. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი სხვაობა უკიდურეს დეცილურ ჯგუფებს შორის დამახასიათებელია შემოსავლების დიფერენციაციის ზეპოლარული მოდელისათვის.

სიღარიბით გამოწვეულ სასურსათო უკმარისობას თან ახლავს არასასურველი დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებთან დაკავშირებული შედეგები, ისეთი, როგორიცაა, მიგრაცია, მოსახლეობის გადაბერება, სიღარიბის ავადმყოფობების ზრდა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, ინტელექტუალური კაპიტალის გადინება და ა.შ.

მარცვლეულის და სხვა ძირითადი კვების პროდუქტების დაბალი თვითუზრუნველყოფა, სურსათის მოხმარების იმპორტზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემცირების, დაცემის ტენდენცია, სურსათზე

ფასების მკვეთრი ზრდა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის არასრულფასოვანი კვება, მოსახლეობაში ღარიბი და ღატაკი სოციალური ფენების მნიშვნელოვანი ნაწილის არსებობა და საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების პროცესი მეტყველებს საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მდომარეობის გაუარესების ტენდენციაზე და ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის სათანადო სამთავრობო პოლიტიკის გატარების მწვავე აუცილებლობაზე.

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების შესახებ რომის დეკლარაციაში (1996) ხაზგასმულია სასურსათო უსაფრთხოების განხორციელებაში სოფლის მეურნეობის, თევზის სარეწების, სატყეო მეურნეობების და სასოფლო რაიონების განუხრელი განვითარების მნიშვნელობა მაღალი თუ დაბალი პოტენციური შესაძლებლობების ტერიტორიებზე, რომლებიც კვების პროდუქტების საიმედო მიმწოდებლებს წარმოადგენენ მეურნეობის, სახელმწიფოს, რეგიონისა და მთლიანად მსოფლიოს დონეებზე [4, გვ.1-2].

სასურსათო პრობლემის სიმწვავის შერბილება და სიღარიბის დაძლევა საჭიროებს პოლიტიკური ნების არსებობას, სწორი, მეცნიერულად არგუმენტირებული ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის შემუშავებას და შესაბამისი გრძელვადიანი, საშუალო და მოკლევადიანი პროგრამების შექმნას, ამ პროგრამების განხორციელების მექანიზმების ამოქმედებას, სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო მექანიზმების ეფექტიან შეხამებას. სასურსათო უსაფრთხოება მოითხოვს, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, დამაკმაყოფილებელი სასურსათო რესურსებისა და მარაგების შექმნას, მეორე მხრივ – საზოგადოების ყველა სოციალური ფენისათვის, წევრისათვის მათი ხელმისაწვდომი პირობების შექმნას.

ცხრილი 1

**საქართველოს ძირითადი სასურსათო პროდუქტების ბალანსი 2000–2010წ.წ.[13,გვ.81-92;14,გვ.81-92]**

| | მარაგი წლის დასაწყისში (ათასი ტ) | | | ადგილობრივი წარმოება (ათასი ტ) | | | იმპორტი (ათასი ტ) | | | მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლ.) (ათასი ტ.) | | | მათ შორის ექსპორტი (ათასი ტ) | | | მოხმარება ერთ სულზე (კგ) | | | თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი %-ში | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2000 | 2006 | 2010 | 2000 | 2006 | 2010 | 2000 | №№ | 2010 | 2000 | 2006 | 2010 | 2000 | 2006 | 2010 | 2000 | 2006 | 2010 | 2000 | 2006 | 2010 |
| **ხორბალი** | 146 | 172 | 35 | 89 | 70 | 48 | 832 | 798 | 797 | 1067 | 1040 | 880 | 13 | 38 | 36 | 118* | 112* | 108* | 10 | 8 | 6 |
| **სიმინდი** | 90 | 92 | 46 | 296 | 217 | 141 | 0 | 42 | 16 | 386 | 351 | 203 | 0 | 28 | 10 | 30* | 29* | 18* | 100 | 94 | 96 |
| **კარტოფილი** | 194 | 204 | 25 | 302 | 169 | 229 | 18 | 24 | 2 | 514 | 397 | 256 | 25 | 1 | 8 | 49 | 44 | 44 | 102 | 88 | 103 |
| **ბოსტნეული** | 93 | 144 | 8 | 354 | 180 | 176 | 3 | 52 | 67 | 450 | 376 | 251 | 4 | 3 | 14 | 75 | 55 | 51 | 100 | 79 | 77 |
| **ყურძენი** | 314** | 193** | 178** | 210 | 162 | 121 | 3 | 6** | 2** | 527 | 361 | 301 | 24** | 24** | 32** | 51 | 37 | 31 | 111 | 112 | 133 |
| **ხორცი სულ:** | 1,7 | 1,8 | 1,9 | 107,7 | 83,3 | 56,4 | 20,6 | 32,1 | 61,9 | 130 | 117,2 | 120,2 | 3 | 0,9 | 0,7 | 28 | 26 | 27 | 84 | 73 | 48 |
| **მსხვილფ. რქ. პირ. ხორცი** | 0,7 | 0,6 | 0,4 | 48,3 | 33 | 26,7 | 2 | 8 | 7,8 | 51 | 41,6 | 34,9 | 0,1 | 0,1 | 0 | 11 | 9 | 8 | 96 | 81 | 77 |
| **ღორის ხორცი** | 0,4 | 0,4 | 1,2 | 36,9 | 31,1 | 12,8 | 1,5 | 8,6 | 13,2 | 38,8 | 40,1 | 27,2 | 0,1 | 0,1 | 0 | 9 | 9 | 6 | 96 | 79 | 49 |
| **ცხვრისა და თხის ხორცი** | 0,3 | 0,4 | 0,1 | 8,8 | 7,6 | 4,9 | 9,3 | 0,1 | 0,1 | 0,1 | 8,1 | 5,1 | 0,1 | 0 | 0 | 2 | 2 | 1 | 100 | 99 | 98 |
| **ფრინველის ხორცი** | 0,3 | 0,4 | 0,2 | 13,7 | 11,2 | 11,6 | 17 | 15,4 | 10,8 | 31 | 27 | 52,6 | 0,5 | 0,7 | 0,7 | 7 | 6 | 12 | 45 | 43 | 22 |
| **რძე და რძის პროდუქტები** | 20 | 18 | 16 | 619 | 606 | 588 | 352 | 136 | 48 | 991 | 760 | 652 | 0 | 2 | 6 | 214 | 162 | 137 | 64 | 82 | 93 |
| **კვერცხი(მლნ ცალი)** | 11 | 11 | 4 | 361 | 249 | 445 | 296 | 49 | 10 | 668 | 305 | 452 | 0 | 0 | 0 | 135*** | 60*** | 97*** | 55 | 85 | 98 |

* ფქვილის სახით

**ღვინო ყურძენზე გადაანგარიშებით

***ცალი

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **მოდებაძე ნ., გარაყანიძე ზ.** სასურსათო უსაფრხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბ., 1998.
2. **კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ.** სასურსათო პრობლემიდან სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბილისი, "მერანი", 2003.
3. **ჯაბნიძე ნ.** სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები და მისი უზრუნველყოფის პრობლემები. ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები: საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტკონფერენცია. http://itp-cof.ge/uploads/2011/04/3-10.pdf
4. Римская декларация о всемирной продовольственной безопасности и План действии Всемирной встречи на высшем уровне по

проблемам продовольствия. http://www.rau.su/observer/N3-4_97/019.htm
5. **Григорян К. А.** Стратегия продовольственного обеспечения и сокращения бедности в республике Армения. Annals of Agrarian Science vol. 9, N2, www. agroscience.ge, гл. ред. **Т.Ф. Урушадзе**
6. FAO Statisiucal Yearbook, Food and Agriculture Organization of the United Nations. Roma, 2006, pp.3-10, 15-18, 281-288.
7. http://faostat.fao.org/site/368/destopdefault.aspx.
8. http://www.rcicd.org/key-sectors/food-security-and-agriculture/
9. საქართველო: სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა, ტენდენციები ციფრებში, სტატისტიკური ბიულეტენი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, 2009; http://www.statistics.ge/
10. საქართველოს სატისტიკური წელიწდეული 2005. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2005.
11. საქართველოს შინამეურნეობები 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
12. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიცკაცია 2008. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
13. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია 2009. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2010.
14. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური პუბლიკაცია 2010. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2011.

***Revishvili Zurab***

# FOOD SAFETY OF GEORGIA

## SUMMARY

The article shows conception, methodological and theoretical aspects of researching of food safety. There are given comparative analyzes of consumption of food products (in kcal) in Georgia and some developing and developed countries.

The article analyzes a lot of different dates of food safety; is shown weak points of food safety in Georgia.

*ლეილა ღუდუშაური*

# BUSINESS UNIT MANAGEMENT, ანუ ბიზნეს-ერთეულების მართვის ტექნოლოგია საბანკო სფეროში

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საბანკო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია მართვის ე. წ. წრფივი-ფუნქციური სისტემის გამოყენება. იგი გულისხმობს ფინანსური მაჩვენებლების (მათ შორის რისკების დონის) განსაზღვრას მთლიანად ბანკის ან მისი ცალკეული ქვედანაყოფისთვის და არ ახდენს მათ „მიბმას" ბიზნეს-ჯაჭვზე, რომელსაც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტის უფლებები გააჩნია, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა სახეობის რისკი ახასიათებს.

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრის აღნიშნული მეთოდი, სამწუხაროდ, ბანკის საქმიანობის კონსოლიდირებული მაჩვენებლების ფორმირების დეტალურ სურათს არ იძლევა და, შესაბამისად, სახიფათო ტენდენციებზე, ანუ რისკ-ფაქტორებზე მენეჯერთა დაგვიანებულ რეაგირებას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, ბანკს სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს.

რისკის ნებისმიერ სფეროში ბანკის პოზიციის დეტალური სურათის მიღების საშუალებას იძლევა მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში საკმაოდ პოპულარული ე.წ. Business Unit Management, ანუ ბიზნეს-ერთეულების მართვის ტექნოლოგია[13].

იგი გულისხმობს ბანკის დაყოფას ფინანსური პასუხისმგებლობის ლოკალურ ცენტრებად, რომლებიც საკმაოდ

---

[13] იხ.: 1 Management in Banking, Coult. H. 2007; 2. Commercial Bank Management. Producing and Selling Financial Services. **Peter. S. Roze.** 2002; 3. Commercial Bank Financial Management in the financial service industry. **Sinkey J.F. Jr.** NY. 2006; 4. **Лунин В. А.** Минимизация рисков с помощью распределения его между подразделениями (бизнес-единицами) с помощью технологии Business Unit Management. М., 2001; 5. **Томпсон А., Стрикленд А.** Стратегический менеджмент. М., Банки и биржи. 1998.

ოპერატიულად რეაგირებენ რისკ-ფაქტორებზე და ამით ბანკის ხელმძღვანელობას უბიძგებენ პრობლემის ლოკალიზაციის ქმედითი ღონისძიებების შემუშავებისა და დანერგვისკენ, რითაც ფინანსურ რისკებს მინიმუმამდე ამცირებენ.

Business Unit Management ტექნოლოგია საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს შორის საერთო საბანკო რისკების დივერსიფიკაციის საშუალებას იძლევა, აგრეთვე რისკების კონტროლის მოტივაციას უზრუნველყოფს და, ამგვარად, ბანკს უფრო მდგრადსა და გადახდისუნარიანს ხდის.

Business Unit Management ტექნოლოგიის დანერგვა ბანკს საშუალებას აძლევს განახორციელოს:

- დანახარჯების ოპტიმიზაცია;
- შრომის მოტივაციის სისტემის ფორმირება;
- ბანკში სრული სამეურნეო ანგარიშიანობის სისტემის დანერგვა;
- საერთო საბანკო რისკების გადანაწილება ქვედანაყოფებს შორის;
- თვითგანვითარებადი ბიზნეს-გარემოს ფირმირებისათვის ნორმატიული ბაზის შექმნა;
- კლიენტურის. ქვედანაყოფებისა და საბანკო პროდუქტების რენტაბელობის ფინანსური დიაგნოსტიკისა და ოპერატიული მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა;
- პერსონალის შემოქმედებითი და რაციონალიზატორული პოტენციალის რეალიზაციის ქმედითი პირობების შექმნა;
- სხვა ბანკების სპეციალისტებთან თანამშრომლობა, ინოვაციების ათვისება-დანერგვა;
- ბანკის კონკურენტუნარიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება.

ზემომგებიანი ფინანსური ინსტრუმენტების არ არსებობა, რეფინანსირების განაკვეთების შემცირება და რეალურ სექტორში ინვესტირების საიმედო ობიექტების უკმარისობა საბან-

კო ბიზნესის შემოსავლიანობის შემცირებას განაპირობებს. ამასთან ერთად, აღინიშნება საბანკო საქმიანობის ხარჯების ზრდა, რაც ბანკის ხელმძღვანელობას აიძულებს რენტაბელობის ამაღლების გზები გამოძებნოს. ამ ამოცანის გადაჭრას ბევრი ბანკი საკუთარი ბიუჯეტური სისტემის დანერგვის გზით ცდილობს, რაზეც საკმაო დროსა და ფინანსურ რესურსებს ხარჯავს. ამგვარად, ისინი მრავალი ცდისა და შეცდომების გზით ცდილობენ შექმნან ფინანსური მართვის ოპტიმალური მეთოდიკა, რომელიც კარგა ხანია არსებობს მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში და საკმაო წარმატებითაც ფუნქციონირებს. მას ეწოდება ფინანსური მართვის სისტემა - Business Unit Management.

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა კონკურენციას ასტიმულირებს. თუ კონკურენციას ბანკის შიგნით გადავიტანთ, შევძლებთ ქვედანაყოფების (როგორც ბანკის შიგა ბაზრის სუბიექტების) განვითარების სტიმულირებას. ეს პოსტულატი საფუძვლად უდევს Business Unit Management ტექნოლოგიას, რომელიც გულისხმობს ბანკში საბაზრო ურთიერთობების პრინციპების დანერგვას და შესაბამისად კონკურენტული ბიზნეს-გარემოს განვითარებას. შიგა კონკურენცია ქვედანაყოფებს რენტაბელობის ზარდისა და საბანკო პროდუქტების სრულყოფისკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, მთლიანად ბანკის კონკურენტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს.

Business Unit Management სისტემა ბანკის ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ობიექტური ინფორმაცია ქვედანაყოფების რენტაბელობის, მათი ფულადი და სავალუტო პოზიციების (on line რეჟიმში) შესახებ და ოპერატიულად მიაწოდოს შესაბამისი ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებანი.

Business Unit Management ტექნოლოგიის დანერგვის პროცედურების სტანდარტიზაცია საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიაფდეს იგი და, ამავე დროს, შემცირდეს და-

ნერგვის ვადები (საშუალოდ 3-დან 12 თვემდე). აღსანიშნავია ამ ტექნოლოგიის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობაც: საერთო საბანკო ხარჯები დაახლოებით 10-დან 40%-მდე მცირდება.

განვიხილოთ Business Unit Management სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი რგოლები, მათი დანერგვის პროცედურები და ფუნქციონირების თავისებურებანი.

## 1. მართვის ოპტიმალური საორგანიზაციო სტრუქტურის შერჩევა

მსოფლიო საბანკო მენეჯმენტის გამოცდილება ცხადყოფს ფინანსური შედეგების მჭიდრო კავშირსა და პირდაპირ დამოკიდებულებას ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურის ტიპზე. იმ ქართულმა ბანკებმა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მენეჯმენტის კულტურას, შეძლეს ბოლო წლების კრიზისული პერიოდები შედარებით უმტკივნეულოდ გადაელახათ, მაგრამ ასეთები უმცირესობაა. უმრავლესობა იძულებულია ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი არამდგრადობის მიზეზები გააანალიზოს და უფრო ეფექტიან საორგანიზაციო ფორმაში ტრანსფორმირების კონკრეტული გზები გამოძებნოს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კომერციულ ბანკებში საკმაოდ გავრცელებულია მართვის სტრუტურის ე. წ. წრფივი-ფუნქციური ტიპი, რომლის დროსაც სტრუქტურული რგოლები მხოლოდ საორგანიზაციო ფუნქციებს ასრულებენ, ხოლო მართვას ზემდგომი დონეები ახორციელებენ (იხ. სქემა 1).

**სქემა 1. ბანკის აგების წრფივი-ფუნქციური სტრუქტურა**




წრფივი-ფუნქციური სტრუქტურის გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზრის კონიუნქტურა ნაკლებად ცვალებადია, ხოლო ბანკის პერსონალის საერთო რაოდენობის ძირითად ნაწილს უბრალო შემსრულებლები (დაახლოებით 80%) შეადგენენ. წრფივი-ფუნქციური სტრუქტურის ნაკლოვანებანი, რომელიც საშუალებას არ აძლევს მას შეეგუოს ბაზრის სწრაფად ცვალებად პირობებს, აფერხებს ინფორმაციის გავრცელებას. ეს ეხება როგორც ჰორიზონტალურ კომუნიკაციებს, როდესაც სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს უბრალოდ არ შეუძლიათ ერთმანეთის სიტუაციებში გარკვევა, ვინაიდან განსხვავებულ ენებზე საუბრობენ, ასევე ვერტიკალურ რგოლებსაც.

გარდა ამისა, არსებობს სხვა მიზეზებიც: ჯერ-ერთი, საკმად ნელა მიიღება გადაწყვეტილებანი, ვინაიდან პრობლემის განხილვა მიმდინარეობს ქვემოდან ზევით ყველა იერარქიული საფეხურის ფუნქციურ განყოფილებებში, მეორეც, უმაღლეს საფეხურზე მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი განისაზღვრება არა იმდენად მათი ხელმძღვანელების კომპეტენტურობით (ისინი შესაძლოა საკმაოდ კომპეტენტურებიც კი იყვნენ), რამდენადაც მიღებული ინფორმაციის სისწორითა და საიმედოობით. ვინაიდან საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა ეძლევათ ზემდგომი მენეჯერების გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინონ საკუთარი ფუნქციური სამსახურების ინტერესების შესაბამისად, ამიტომ წრფივი-ფუნქციური სტრუქტურა ქმნის „უწყებრიობას“ ბანკის შიგნით.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კლასიკური წრფივი-ფუნქციური სისტემა დამახასიათებელია მხოლოდ მცირე და საშუალო ფირმების უმნიშვნელო ნაწილისთვის. მსხვილი ფირმებისთვის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დომინირებული გახდა მართვის სტრუტურის ე.წ. დივიზიური ტიპი, რომლის დროსაც სტრუქტურულ რგოლებს მართვის ფუნქციები სრულად ან ნაწილობრივ გადაეცემა (იხ. სქემა 2).

ამერიკელი ექსპერტების გათვლებით, აშშ-ის 500 უმსხვილესი კომპანიის 95% მართვის წრფივი-ფუნქციურიდან დივიზიურ სტრუქტურაზე გადავიდა. მიზეზები, რის გამოც მართვის ათწლეულობით გამოცდილი მოდელიდან მსხვილი კომპანიების გადასვლა განხორციელდა, ბიზნესის ზრდად დივერსიფიკაციასა და ერთი ცენტრიდან სხვადასხვა ან გეოგრაფიულად დაშორებული სტრუქტურული რგოლების მართვის სირთულეებში მდგომარეობს.

**სქემა 2. ბანკის აგების დივიზიური სტრუქტურა**




მართვის დივიზიური სისტემა წარმოადგენს კონსტრუქ-ტორს, რომელიც ბანკში სტრუქტურის შეუცვლელად ახალი ბიზნეს-მოდულების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. დივი-ზიების მუშაობის სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპი ბან-

კის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ვინაიდან დივიზიის წარუმატებლობამ მხოლოდ მისი ლიკვიდაცია შეიძლება გამოიწვიოს, რაც ბანკს მთლიანობაში სერიოზულ ზარალს ვერ მოუტანს. დივიზიურ სტრუქტურებში ფუნქციების ნაწილის დელეგირება დაბალ სტრუქტურულ რგოლებში ქვედანაყოფებს საშუალებას აძლევს სრულად ან ნაწილობრივ აიღოს პასუხისმგებლობა პროექტების რელიზაციაზე. ამის შედეგად ბანკის ზედა ეშელონების მმართელობითი რესურსები სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად გამოთავისუფლდება.

მართვის დივიზიური სისტემა თვითრეგულირებადი მექანიზმია, რომელსაც უნარი შესწევს ავტომატურად შეეგუოს გარემო ფაქტორების ცვალებად პირობებს. კრიზისულ პერიოდებში იცვლება ფინანსური ინსტრუმენტების ჩვეული შემოსავლიანობა. დივიზიური სისტემა აფიქსირებს ქვედანაყოფების მუშაობის ფინანსური შედეგების ცვლილებებს და შესაბამისად არარენტაბელური ფაქტორების ლიკვიდაციას, ხოლო ეფექტიანის სტიმულირებას ახორციელებს. თვითრეგულირების ასეთი მექანიზმი ბანკის ხელმძღვანელობას ექსტრემალურ სიტუაციებში ათავისუფლებს ოპერატიული პრობლემების გადაწყვეტისაგან და აქცენტს სტრატეგიულ ამოცანებზე აკეთებს.

## 2. ბანკის ფინანსური სტრუქტურიზაცია.

Business Unit Management ტექნოლოგია ემყარება ფინანსური მართვის სისტემის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვას, აღრიცხვას, ანალიზსა და კონტროლს მართვის ობიექტების ჭრილში მათი საქმიანობის რენტაბელობის ამაღლების მიზნით.

არსებობს ტექნოლოგიის დანერგვის ორი ძირითადი მიდგომა:

- ფინანსური სტრუქტურიზაციის საფუძველზე;
- ბიზნეს-პროცესების ნორმირების საფუძველზე.

პირველი მიდგომა ითვალისწინებს ბანკის ფინანსური სტრუქტურის შექმნას და ფინანსური აღრიცხვის ცენტრების (ბიზნეს-ერთეულების), როგორც საკუთარი ბიუჯეტური სისტემის, გამოყოფას (იხ. სქემა 3).

Business Unit Management დანერგვის დაწყება მიზანშეწონილია ფინანსურ სტრუქტურიზაციაზე დაყრდნობით, ვინაიდან ეს მას საშუალებას მისცემს მოკლე დროში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიოს. ფინანსური სტრუქტურა ბანკს ყოფს არა ცალკეულ ფუნქციურ რგოლებად, არამედ ფინანსური აღრიცხვის ცენტრებად, რაც მას საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს ფულადი საშუალებების მოძრაობას და აკონტროლოს შემოსავლებისა და ხარჯების წარმოშობის წაყროები. აღრიცხვის ასეთი დეტალიზაცია ბანკის მდგომარეობის მაქსიმალურად ობიექტური დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა.

Business Unit Management ტექნოლოგია ეფუძნება მართვის ე.წ. დივიზიურ პრინციპს, ანუ მმართველობითი ფუნქციის დელეგირებას შუალედური სტრუქტურული რგოლების დივიზიებისთვის, რომლებიც ფინანსური აღრიცხვის ცენტრებია. არსებობს 3 სახეობის ფინანსური ცენტრი:

1. **პროფიტ-ცენტრები** - ქვედანაყოფები, რომლებიც მოგებას ღებულობენ. აღნიშნული ცენტრების ხელმძღვანელები ინდივიდუალურად უთანხმებენ ბანკის მმართველობას საქმიანობის შედეგების (როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების) საპროცენტო გადანაწილებას. ასეთი სისტემა ხელს უწყობს პროფიტ-ცენტრების გააქტიურებას და, ამასთანავე, აიძულებს მათ დიდი ყურადღება მიაქციონ რისკების დაზღვევას, ვინაიდან ზარალი მათივე ბიუჯეტიდან იფარება.

**სქემა 3. ბანკის ფინანსური სტრუქტურა**




2. **ვენჩერ-ცენტრები** - ქვედანაყოფები, რომლებიც ბიზნესის ახალ სახეობებს ნერგავენ და ამის გამო თავიანთ ხარჯებს ჯერ-ჯერობით ვერ ფარავენ. მათ დაფინანსებას ბანკი საკუთარი ბიუჯეტიდან ახორციელებს. ვენჩერ-ცენტრი შეიძლება ჩამოაყალიბოს ბანკის ნებისმიერმა სპეციალისტმა, თუ იგი ბანკისათვის ახალი საინტერესო და პერსპექტიული მიმართულების ბიზნეს-გეგმას წარადგენს.

3. **დანახარჯების ცენტრები** - ბანკის დანახარჯების ქვედანაყოფები, რომლებიც ვენჩერული და პროფიტ-ცენტრების მოთხოვნებიდან გამომდინარე ფორმირდება და მათვე ემსახ-

ურება. დანახარჯების ცენტრები ფინანსდება პროფიტ-ცენტრების ხარჯზე.

ბანკის საქმიანობის რეგლამენტირება კონკრეტული ფინანსური სტრუქტურის დადგენით, ლიცენზიების გაცემითა და ლიმიტების დაწესებით ხორციელდება. პროფიტ-ცენტრებს მიეცემათ შიგა ლიცენზიები საქმიანობის კონკრეტულ სახეობაზე. თითოეული ფინანსური აღრიცხვის ცენტრი თანაბარი უფლებებით სარგებლობს და მოქმედებს დამოუკიდებლად, მიღებული ლიცენზიებისა და ლიმიტების გათვალისწინებით. ფინანსური აღრიცხვის ცენტრებს შორის ყალიბდება კომერციულ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც მომსახურების ჰორიზონტალურ გაყიდვას ითვალისწინებს. ამრიგად, იქმნება კონკურენტული ბიზნეს-გარემო, რომელიც ინოვაციურ საქმიანობას ასტიმულირებს.

## 3. ბანკის პროფიტ-ცენტრების ფინანსური შედეგების აღრიცხვის თავისებურებანი

### 3.1. ხარჯები

ბანკის პროფიტ-ცენტრების ფინანსური შედეგების გასაანგარიშებლად გამოიყოფა შემდეგი სახეობის ხარჯები: პირდაპირი შიგა; პირდაპირი საგარეო; არაპირდაპირი შიგა; არაპირდაპირი საგარეო; ზედნადები (საერთო-საბანკო).

**პირდაპირ შიგა ხარჯებს** ადგენს პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელობა, ამტკიცებს ბანკის მმართველობა და აფიქსირებს პროფიტ-ცენტრების ბიუჯეტში. პირდაპირ შიგა ხარჯებში, ჩვეულებრივ, შედის: პროფიტ-ცენტრის თანამშრომელთა ხელფასი; პროფიტ-ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო დანახარჯები, რომელიც ფინანსდება პროფიტ-ცენტრის ხარჯზე (მაგალითად, ბუღალტრის ხელფასი, რომელიც ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ოპერაციების აღრიცხვას და, რომელიც საფონდო ბირჟაზე მომუშავე პროფიტ-ცენტრის ხარჯებს მიეკუთვნება); შიგა რესურსების ღირებულება; საიჯარო გადასახდელი (სხვაობას რეალურ საიჯარო გადასახდელს,

ანუ შენობების შენახვასა და შიგა საიჯარო გადასახდელს შორის ადგენს ფინანსური აღრიცხვის ცენტრი--„კაპიტალი”); სხვა პროფიტ-ცენტრების მომსახურების ანაზღაურება (ფასი დგინდება პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებს შორის შეთანხმების საფუძველზე).

**პირდაპირ საგარეო ხარჯებში** აღირიცხება: პროფიტ-ცენტრის მიერ მოწყობილობებისა და სხვა მასალების ღირებულება: საგარეო მომსახურების ღირებულება: საგარეო რესურსების ღირებულება: სააგენტო და ა.შ. მომსახურების ღირებულება.

**არაპირდაპირ შიგა ხარჯებს** ბანკის მმართველობა პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელების რეკომენდაციების საფუძველზე განსაზღვრავს. ჩვეულებრივ, პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებს სათათბირო ხმის უფლება აქვთ. არაპირდაპირი შიგა ხარჯები გადანაწილდება პროფიტ-ცენტრებს შორის საშუალო კვარტალური პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად. მუდმივი ხარჯების საერთო რაოდენობა აისახება პროფიტ-ცენტრის ბიუჯეტში, ხოლო ერთდროული დანახარჯების მოცულობა გაითვალისწინება კვარტალის დასასრულს ფინანსური შედეგების გაანგარიშების დროს.

**არაპირდაპირ შიგა ხარჯებს მიეკუთვნება:** ცენტრების ბიუჯეტების დანახარჯები, რომელიც არაა მიბმული კონკრეტულ პროფიტ-ცენტრებთან (იურიდიული განყოფილება, ცენტრალური ბუღალტერია და ა.შ.); ბანკის მმართველობის გადაწყვეტილებით შექმნილი ვენჩერ-ცენტრების ბიუჯეტები.

**არაპირდაპირი საგარეო ხარჯები** განისაზღვრება და გადანაწილდება ისევე, როგორც შიგა ხარჯები. იგი, ჩვეულებრივ, მოიცავს: ბანკის სარეკლამო კამპანიის ანაზღაურებას: სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურებას: სემინარების, პრეზენტაციების, დღესასწაულების და ა.შ. ღონისძიებათა ორგანიზების ხარჯებს.

სასაწყობო ხარჯები განისაზღვრება ბანკის მმართველობის მიერ პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელებთან შეთანხმე-

ბით და ფიქსირდება პროფიტ-ცენტრების ბიუჯეტებში, როგორც აბსოლუტური თანხა. უნდა აღინიშნოს, რომ პროფიტ-ცენტრის ხელმძღვანელობისთვის ზედნადები ხარჯები, არაპირდაპირი დანახარჯებისაგან განსხვავებით, არ კონკრეტდება. კვარტალის ბოლოს განისაზღვრება რეალურად გაწეული ზედნადები ხარჯები, რის შედეგადაც პროფიტ-ცენტრის ზედნადები ხარჯები შეიძლება შემცირდეს რეალური ეკონომიის თანხით, რომელიც პირდაპირი ხარჯების პროპორციულად გადანაწილდება.

**ზედნადებ ხარჯებს მიეკუთვნება**: ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარჯები; ბანკის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელთა ხელფასი; ბანკის მმართველობის კონსულტანტთა მომსახურების ანაზღაურება.

## 3.2. შემოსავლები

ბანკის პროფიტ-ცენტრების ფინანსური შედეგების გაანგარიშების მიზნით გამოყოფენ შიგა და საგარეო შემოსავლებს.

**შიგა შემოსავლები** მოიცავს: ბანკის სხვა პროფიტ-ცენტრებისთვის გაწეული მომსახურების (cross-selling) ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში ფასი განისაზღვრება პროფიტ-ცენტრების ხელმძღვანელების შეთანხმების საფუძველზე, ალტერნატიული საგარეო კონტრაგენტების არსებობის პირობებში; ცენტრალური ხაზინისთვის მიყიდული რესურსების ღირებულებას.

**საგარეო შემოსავლებს** მიეკუთვნება: ბანკის კლიენტებისთვის შეთავაზებული მომსახურების ანაზღაურება (საკომისიოს სახით); ბანკის კლიენტთათვის მიყიდული რესურსების ღირებულება.

## 3.3. ფინანსური შედეგი

პროფიტ-ცენტრის ფინანსური შედეგი (ნეტო-შემოსავალი) განისაზღვრება ყოველკვარტალურად, როგორც სხვაობა კვარტალში მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ დანახარჯებს

შორის. კვარტალის განმავლობაში ქვეგანყოფილებების მიერ მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები აისახება ფულად პოზიციაში. პროფიტ-ცენტრის ფულადი პოზიციის დეფიციტი იფარება ფინანსური აღრიცხვის ცენტრის--„კაპიტალის" ფულადი პოზიციის ხარჯზე გეგმურ საფუძველზე. პროფიტ-ცენტრის ხელმძღვანელთა ანაზღაურება ხორციელდება ცენტრის ნეტო-შემოსავლის პროცენტების სახით. კვარტალის ბოლოს პროფიტ-ცენტრის ფულადი პოზიციის დაბალანსება ხდება დადებითი სხვაობის გადარიცხვით „კაპიტალის" ფულად პოზიციაში ან „კაპიტალის" ფულადი პოზიციიდან უარყოფითი სხვაობის დაფარვით.

## 4. ცენტრალური ხაზინის შექმნა.

***ცენტრალური ხაზინის ძირითადი ფუნქციებია:*** ბანკის საერთო ლიკვიდობის უზრუნველყოფა; რესურსების შიგასაბანკო გადანაწილება; რესურსების შიგასაბანკო (სატრანსფერო) ფასის განსაზღვრა.

ხაზინის ბაზაზე ფუნქციონირებს ფულადი რესურსების შიგა აუქციონი. პირველ რიგში ფული მიეცემა იმ ქვედანაყოფებს, რომლებიც ყველაზე მაღალ ფასს სთავაზობენ. მსგავსი სისტემა ასტიმულირებს ბუნებრივი გადარჩევის პროცესს, რომლის დროსაც ყველაზე ძლიერი იმარჯვებს. არამომგებიანი ქვედანაყოფები კარგავენ ეკონომიკურ ეფექტიანობასა და ლიკვიდობას. ევოლუციური გადარჩევის შედეგად ბანკში რჩებიან საუკეთესოები, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას არსებობისთვის. შიგაკონკურენცია ქვედანაყოფების მიერ ინოვაციების დანერგვასა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებას ასტიმულირებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბაზარზე ბანკის საერთო კონკურენტიანობის ამაღლებას. მაგალითად, პროფიტ-ცენტრს გარკვეულ დღეს არ შეუძლია შიგა აუქციონზე კონკურენტუნარიანი ფასის შეთავაზება და რესურსებიც, ბუნებრივია, მას არ ხვდება. ვინაიდან ქვედანაყოფს ხარჯები

ყოველდღე ერიცხება, ხოლო შემოსავალი ჯერ არ მიუღია, ამიტომ ცენტრის მოცემული დღის ბალანსი ზარალით იხურება. ანალოგიური სიტუაციის განმეორების შემთხვევაში შესაძლოა რენტაბელობა მკვეთრად დაეცეს. პროფიტ-ცენტრის ხელმძღვანელი ასეთ მდგომარეობაში იძულებულია სასწრაფოდ გამოძებნოს რენტაბელობის ამაღლების გზები. ნეგატიური ტენდენციის შესაცვლელად რეკომენდებულია: ხარჯების შემცირება; პროფიტ-ცენტრში კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც შეძლებენ ახალი კლიენტურის მოზიდვას ან ახალი მომგებიანი ბიზნესის წამოწყებას (შიგა ლიცენზიის ფარგლებში).

შიგაკონკურენტიანობის ამაღლების ყველაზე ეფექტიანი ნაბიჯია ბაზარზე ახალი პროდუქტების გატანა, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ახალი სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებასა და მასზე მონოპოლიური მდგომარეობის დამკვიდრებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ნოვატორის მონოპოლიური მდგომარეობა საშუალებას იძლევა საკუთარ პროდუქციაზე მაქსიმალური ფასი დაწესდეს და ამით, ასე ვთქვათ, „ნაღები მოიხადოს". თავის მხრივ, ბაზარზე პროდუქციის მაღალ ფასად გაყიდვის შესაძლებლობა ბანკის შიგა აუქციონზე უმაღლესი ფასის შეთავაზების საშუალებას იძლევა, რაც საჭირო რესურსების მიღების გარანტიაა.

ამრიგად, რესურსების განაწილების სააუქციონო პრინციპი სტიმულს აძლევს ინოვაციურ საქმიანობას და ამით ხელს უწყობს ბანკის ინტენსიურ განვითარებას.

ცენტრალური ხაზინა იქმნება ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის, პროფიტ-ცენტრის სახით. ბანკის შიგნით რესურსების გადანაწილება მხოლოდ ცენტრალური ხაზინის საშუალებით ხორციელდება (იხ. სქემა 4).

ცენტალური ხაზინის მაქსიმალურად დასაშვები მარჟა, ანუ სხვაობა რესურსების მოზიდვისა და განთავსების ფასებს შორის, ბანკის დებულებით განისაზღვრება. თუ საბანკო დღის შედეგებით რეალურად მიღებული მარჟა მაქსიმალურად და-

საშვებ დონეზე მაღალი აღმოჩნდა, მაშინ იწყება რესურსების შეფასების გადასინჯვა ბანკის სხვა ქვეგანაყოფების სასარგებლოდ. რესურსების გადანაწილება ხორციელდება, ერთი მხრივ, ბიზნეს-ცენტრებს შორის და, მეორე მხრივ, ცენტრალურ ხაზინასთან გარიგებების დადების გზით. გარიგების პირობები ფიქსირდება სპეციალურ პროგრამაში „დილინგი", რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ბანკის საერთო ფულადი პოზიცია, ცალკეული ფინანსური აღრიცხვის ცენტრების ფულადი პოზიციები, ბანკის ლიკვიდობა, აგრეთვე ფულადი საშუალებების მოძრაობა.

**სქემა 4. რესურსების მოძრაობის სქემა**




## 5. ფინანსური აღრიცხვის ცენტრის ბალანსის წარმოება

ბანკის ფინანსური სტრუქტურის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს თითოეული ფინანსური ცენტრისთვის საკუთარი ბალანსის წარმოება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკის ოპერაციების აღრიცხვა თითოეული ფინანსური აღრიცხვის ცენტრის ჭრილში. ეს მიიღწევა ცენტრებისთვის პირადი ანგარიშების გახსნის საშუალებით. უნდა აღინიშნოს,

რომ ერთი და იგივე პირადი ანგარიშის გამოყენება რამდენიმე ცენტრის მიერ დაუშვებელია. ყოველივე ამის შედეგად, თითოეული ფინანსური აღრიცხვის ცენტრისთვის ბანკის საოპერაციო დღის განსახორციელებლად დგება ბალანსი, ჩვეულებრივი პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში.

### 6. ფინანსური აღრიცხვის ცენტრის საქმიანობის დაგეგმვა

ნებისმიერი ფინანსური აღრიცხვის ცენტრი ფუნქციონირებს მისთვის დამტკიცებული შემოსავლებისა და ხარჯების, ანუ ბიუჯეტის ფარგლებში. იგი მტკიცდება ყოველი კვარტალისათვის „ფინანსური აღრიცხვის ცენტრის ბიუჯეტის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და მის რეალიზაციაზე კონტროლის შესახებ" ბანკის დებულების საფუძველზე.

კონტროლს ბიუჯეტის შესრულებაზე განახორციელებს ფინანსური აღრიცხვის ცენტრი სპეციალური პროგრამის – „ხარჯების ვიზირების ფურცლების" საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ Business Unit Management ტექნოლოგია უაღრესად ეფექტიანია, ვინაიდან საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს შორის საერთო საბანკო რისკების დივერსიფიკაციის საშუალებას იძლევა, აგრეთვე რისკების კონტროლის მოტივაციას უზრუნველყოფს და, ამგვარად, ბანკს უფრო მდგრადსა და გადახდისუნარიანს ხდის.

*Gudushauri Leila*

# BUSINESS UNIT MANAGEMENT TECHNOLOGY IN BANKING SECTOR

## SUMMARY

The article discusses the world's banking practice is quite popular Business Unit Management technology, which enables a bank risk diversification, risk control, as well as the motivation and, therefore, banks are more liquid and solvent.

*ვენერა გოგავა*

# ტურისტული ინდუსტრიის შესაძლებლობები საქართველოში

თბილისს მთაწმინდიდან თუ გადმოხედავთ, თვალწინ გადაგეშლებათ მდინარე მტკვარზე გაშენებული ქალაქის ულამაზესი პანორამა, ქალაქისა, რომელშიც ასე ჰარმონიულად არის შერწყმული მისი ისტორია და თანამედროვეობა. უძველესი დროიდან ეს ქალაქი სავაჭრო და სამხედრო ცენტრი იყო. აქ გადიოდა სატრანზიტო საქარავნო გზა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა.

ავკასია, მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო, უძველესი დროიდანვე დიდი სახელმწიფოების ყურადღების არეალში იყო მოქცეული. საქართველოს, როგორც კავკასიის ერთ-ერთ უმთავრეს სახელმწიფოს, ოდითგანვე უხდებოდა ომების წარმოება საკუთარი ტერიტორიებისა და ინტერესების დასაცავად.

თბილისის, ამ მდიდარი სახელმწიფოს დედაქალაქის დაპყრობას საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ როგორც ახლო, ისე შორეული მეზობლები. თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა ჯურის ურიცხვ მტერთა მიერ, ქალაქი ორმოცჯერ იქნა დანგრეული, დარბეული, გაძარცვული და გადამწვარი, მაგრამ იგი ზღაპრული ფენიქსივით ორმოცივეჯერ წამოდგა ნაცარტუტიდან. თუმცა 2008 წლის აგვისტოში 41-ჯერ კვლავ შეიქმნა თბილისის აღების საშიშროება ოკუპანტი ქვეყნის მიერ. რომ არა ქართული ჯარის თავდადება და უცხო სახელმწიფოთა ჩარევა, ვინ იცის, საით შეტრიალდებოდა საქართველოს მომავალი.

საქართველო თავისი სანახაოებებით ნებისმიერი უცხოელისთვის არის საინტერესო. მსოფლიოს ახალგაზრდა მეცნიერები, ქართველ მეცნიერებთან ერთად იკვლევენ სამეფო დი-

ნასტიის ქვეყანაში უძველესი მართვის სისტემას, ბრძოლების ისტორიას, მონაწილეობენ არქეოლოგიურ გათხრებში, რელიეფის, ლანდშაფტის, ხუროთმოძღვრების, არქიტექტურის, ხელოვნების, ფერწერის, ჭედურობის, ხელსაქმის, მეწარმეობის, მარცვლეულის მოყვანის, მეჭურჭლეობის და ა. შ. შესწავლის მიზნით. არქეოლოგიური გათხრების შედეგად უძველეს სამარხებში ნაპოვნია პირველი ევროპელები – ზეზვასა და მზიას სახით. ამოღებულია ოქროს ყელსაბამები, სამაჯურები, გულსაბნევები, მედალიონები, ბეჭდები, ჭურჭლები, შრომისა და ბრძოლისათვის საჭირო ხელსაწყოები.

საქართველოს რეგიონები სავსებით პასუხობს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა აუცილებელია ზოგიერთ პრობლემათა მოგვარება:

* ტრანსპორტირება ქვეყნის შიგნით;
* ტურისტული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება;
* ენობრივი ბარიერი;
* პროფესიონალიზმი;
* უსაფრთხოების პრობლემები;
* ტურიზმში ინვესტიციების დიდი მოცულობა;
* ტურიზმის ბიზნესის პრობლემები;
* ტურისტული ბაზრის მოთხოვნები;
* ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევა;
* რეკლამა;
* კონკურენცია და გამჭვირვალობა;
* ქვეყნის დადებითი იმიჯი;
* ინფრასტრუქტურის განვითარება ტურისტთა მისაღებ ობიექტებში.

ჯერჯერობით რეგიონთა შორის შეიძლება დავასახელოთ აჭარა, კერძოდ – ბათუმი, სადაც ტურიზმისათვის შესაფერისი პირობებია შექმნილი. კახეთის რეგიონიდან სიღნაღი და ყვარელი, სვანეთი. თითქმის საქართველოს ყველა რეგიონში

შეძლებისდაგვარად მიმდინარეობს აღმშენებლობა. ჩვენ არჩევანი თბილისზე – როგორც საქართველოს დედაქალაქზე შევაჩერეთ, სადაც ტურიზმის განვითარება შეიძლება სამი მიმართულებით განვიხილოთ:

1. თბილისი – როგორც შიდა და საზღვარგარეთელი ტურისტების მიმღები პუნქტი;

2. თბილისი – როგორც თავისი შემოგარენით მეტად საინტერესო აგლომერაცია;

3. თბილისი – როგორც საქართველოს დედაქალაქი და სატრანზიტო ფუნქციების მატარებელი ობიექტი.

„ტურიზმის გლობალურ ეთიკური კოდექსი" მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეა (სანტიაგო, ჩილი 1999 წლის 1 ოქტომბერი) ტურიზმს განიხილავს, როგორც:

* ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს;

* მდგრადი განვითარების ფაქტორს;

* სფეროს, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და

შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;

* საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში

მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის. თანამედროვე მოთხოვნების

შესაბამისად ტურიზმის განვითარება ქვეყანას, კონკრეტულ რეგიონს,

ქალაქს უქმნის სტიმულირების ნაირსახეობას:

* ახალი სამუშაო ადგილები და საწარმოები;

* დამატებითი შემოსავლები;

* ახალი გასაღების ბაზრები ადგილობრივი პროდუქციისათვის;

* ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაცია;

* ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები;

* საზოგადოების მიერ გარე სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა;

* ინოვაციები სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში.

ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს, იყოს დამზოგავი და ისტორიულ – კულტურული მემკვიდრეობის შემნახავი. ე.ი ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო კომპონენტებია:

* ღირსშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები;

* მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა;

* სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

* ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა;

* მოგზაურობის ორგანიზება;

* ტურისტული პროდუქციის ბაზარზე გატანა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა.

**"დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის",** რომელშიც მოცემულია ტურიზმის მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს: ზემოქმედებას ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ სფეროებზე; შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას; სამუშაო ადგილებს – ადგილობრივ და საერთაშორისო ტურიზმში; რეგიონში უცხოური ვალუტის შემოსვლას და ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას.

**მცირე ექსკურსი ჩვენი ქალაქის ისტორიიდან, თბილისს ამშვენებს: გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი,** რომელიც დაარსდა 1966 წელს. იგი პირველი ეთნო-

გრაფიული მუზეუმია კავკასიაში. იგი წარმოადგენს საქართველოს მინიატურულ მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. ტერიტორია მოიცავს 50 ჰექტარს და დაყოფილია 11 ზონად.

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი** დაარსდა 1852 წელს, სადაც თავმოყრილია უმდიდრესი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები. აქ არსებული მილიონნახევრამდე ექსპონატი ასახავს საქართველოსა და კავკასიის ახლო აღმოსავლეთის ბუნებას, ქართველი და კავკასიელი ხალხების ყოფას და კულტურას უძველესი დროიდან დღემდე. პალეონტოლოგიურ გამოფენაზე წარმოდგენილია "პირველი ევროპელების" – ევრაზიაში მცხოვრები უძველესი ადამიანების ნაშთები, რომელთა ასაკი 1.8 მილიონ წელს აღწევს.

**აბანოთუბანი** მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. X საუკუნის არაბი გეოგრაფი იბნ ჰაუკალი "გზათა და სამეფოთა წიგნში" აღნიშნავს: "ქალაქში /თბილისში/ ტიბერიადის აბანოების მსგავსი აბანოებია, რომელთა წყალიც უცეცხლოდ დუღს."

**მეჩეთი თბილისში** ნარიყალას ძირში მდებარეობს, ბოტანიკური ქუჩის ბოლოს. ის ემსახურება როგორც სუნიტური, ისე შიიტური მიმართულების მუსულმანებს.

**სიონი** მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. სიონის ტაძარში ინახება მართმადიდებელი ეკლესიის უდიდესი სიწმინდე – წმ. ნინოს ჯვარი, ასევე წმ. დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი სასწაულმოქმედი მადლის ქვა. სიონის ტაძარს მრავალტანჯული თავგადასავალი გააჩნია, მიუხედავად ქართველებმა დიდი ძალისხმევით გადაარჩინეს და შემოგვინახეს იგი.

**თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – ქარვასლა** დაარსდა 1910 წელს. წარსულის ამსახველ მასალასთან ერთად თბილისის ისტორიის მუზეუმი წამოგვიდგენს თანამედროვე ხელოვნებასაც.

**ბოტანიკური ბაღი** ერთ-ერთი უძველესთაგანია, მისი ისტორია 1636 წლიდან იწყება. ამჟამად ბაღში ფლორის, ასევე მსოფლიოს მრავალი კუთხის 3500-მდე ნაირსახეობაა გაშენებული, როგორც ადგილობრივი ბაღი უნიკალურია და დიდ გაფრთხილებას საჭიროებს.

**ზოოლოგიური პარკი** მდებარეობს მდ. ვერეს ხეობაში, სადაც ბინადრობენ არა მარტო საქართველოსთვის დამახასიათებელი, არამედ უცხოეთიდან შემოყვანილი ცხოველები და ფრინველები.

**მთაწმინდის პარკი** 1930 წელს გაშენდა. მისი ფართი 100 ჰექტარს აღემატება და თბილისის ყველაზე მაღალი პარკია. მალე გახდება ევროპული დონის გასართობი ცენტრი მრავალი ატრაქციონით.

**მეტეხი** ისტორიული უბანია მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ ეკლესია და ციხესიმაგრე აღმართა, რომელიც, მეფის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. ლეგენდის თანახმად, ეს იყო ადგილი სადაც V საუკუნეში წმ. შუშანიკ წამებული დაკრძალეს. მეტეხი მრავალჯერ გადაურჩა დანგრევას და მიწასთან გასწორებას. მიჩნეულია, რომ მეტეხის კლდე აბოს წამების ადგილი უნდა იყოს. ასეთი ადგილები უდიდეს სიწმინდეებად ითვლება საქართველოში.

**დარეჯანის სასახლე** ჩიტის ბუდესავით მოჩანს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. დარეჯანი გახლდათ ქართლ-კახეთის მეფის – ერეკლე II-ის მეუღლე. მისი წასვლის შემდეგ ეს სასახლე მრავალჯერ გადაკეთდა და მამათა მონასტერი დაარსდა. ამ მონასტერში კეთდება სხვადასხვა საეკლესიო საქმეები. 2008 წლის იანვრის თვეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მონასტრის ტერიტორიაზე გაიხსნა მოწყალების სახლი და სამრევლო სასწავლებელი.

**ანჩისხატის ტაძარი.** ეს ტაძარი VI საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანისთანავეა აგებული. როცა ქართლში ვახტანგ გორგასლის შვილი,

დაჩი უჯარმელი მეფობდა. აქ აღმოჩენილია ქვის ორი ფილა, რომელიც ადასტურებს ფაქტს "უფალო, მეფე დაჩის შეეწიე". ძველად მას ზარების ტაძარსაც უწოდებდნენ.

**მთაწმინდის მამადავითის სახელობის ეკლესია.** თბილისის დასავლეთით აღმართული მთის ფერდობზე კლდეში სენაკი გამოუკვეთია მამა დავით გარეჯელს და მის ახლოს პატარა სამლოცველო გაუმართავს. აქვე მოედინება პატარა წყარო სნეულთა განსაკურნებლად. ქალაქის მკვიდრთ განსაკუთრებული მოწიწება და პატივისცემა ჰქონიათ მამა დავითის მიმართ და მის პატივსაცემად მთას მამადავითი უწოდეს. ცნობილია, რომ IX საუკუნეში აქ ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია იდგა. ამიტომაც ათონის მთის მსგავსად, მამადავითს მეორე სახელად – მთაწმინდა დაერქვა. მოგვიანებით, XVI საუკუნეში, ათონის მთიდან ჩამოსულმა ორმა ბერმა – დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა დაზიანებული ეკლესიის ადგილას ღვთისმშობლის სახელზე მონასტერი ააგეს და მთაწმინდის ძირას მდებარე მიწები შესწირეს. ამ მონასტერს დიდი ისტორია აქვს. აქ არის დაკრძალული დავით X, რუსეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, აქ ცხოვრობდა შვილის დაკარგვით დამწუხრებული მეფე ერეკლე II გარკვეული წლების მანძილზე აქაურობა ძალიან უყვარდა საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-საც. შემდგომში მონასტერი ბევრჯერ დაზიანდა და შეკეთდა. ამჟამად ამ წმინდა ადგილას მთაწმინდის პანთეონი მდებარეობს, სადაც ქვეყნისთვის ღვაწლმოსილი მრავალი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ღირსეული ადამიანია დასაფლავებული. ყოველ წელიწადს, წმინდა დავით გარეჯელის გარდაცვალების დღეს, ამაღლების მომდევნო ხუთშაბათს, თბილისში მამადავითობა აღინიშნება.

**ლურჯი მონასტერი** ერთ-ერთი უძველესი საყდარია თბილისში. იგი აშენებულია XII საუკუნის ბოლოს, ძველი ეკლესიის ადგილზე.

**ქაშუეთის ეკლესია** დანგრეული ეკლესიის ადგილზეა აღმართული. XX საუკუნის დასაწყისში აგებული ახალი ტაძარი,

არსებითად შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ხუროთ-მოძღვრული ძეგლის, სამთავისის (1030 წ) აგებულებას იმეორებს.

**წმინდა ნიკოლოზის ეკლესია** და მრავალი სხვა.

რუსთაველის პროსპექტზეა განთავსებული ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი.

**ქართლის დედა** თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით სოლოლაკის ქედზე 1958 წელს აღიმართა. იგი სიმბოლოა ქართული სტუმართმოყვარეობისა და მტრის წინააღმდეგ შეურიგებლობისა. ეს მონუმენტი განსაკუთრებული ადგილმდებარეობის გამო შორიდანვე იქცევს ყურადღებას.

**სამების საკათედრო ტაძარი** აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. ამ გრანდიოზული ტაძრის მშენებლობა განხორციელდა შემოწირულობებით, იგი შეიძლება მივიჩნიოთ II ათასწლეულის სიმბოლოდ, რითაც საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ხუროთმოძღვარ არჩილ მინდიაშვილის თქმით, სამების საკათედრო ტაძარი არის თანამედროვე ხურითმოძღვრული ძეგლი, რომელშიც ქართული ეკლესიათმშენებლობის დღემდე არსებული ყველა ტრადიცია არის დაცული, რომელსაც თან ერთვის თანამედროვე ნიუანსები. სასულიერო პირებმა ტაძრის საძირკველს ჩააყოლეს წმინდა ადგილებიდან ჩამოტანილი სიწმინდეები.

მესამე ათასწლეულის პირველი ქრისტეშობა ქართველმა ერმა წმინდა სამების მშენებარე ტაძარში აღნიშნა. 2003 წლის 6 დეკემბერს სამების ტაძარზე 7.5 მეტრის სიმაღლის მოოქროვილი ჯვარი დაიდგა, რომელიც 2 ტონას იწონის.

თბილისში სამხატვრო გალერეაში გამოფენილია ქართველ მხატვართა ნამუშევრები. ქართველ მხატვართა სურათები მსოფლიოს არაერთ ცნობილ მუზეუმს ამშვენებს.

თბილისი მრავალეროვანი ქალაქია. აქ მეგობრულად ცხოვრობენ ქართველები, ებრაელები, სომხები, აზერბაიჯანე-

ლები, ბერძნები, რუსები, გერმანელები, ქურთები და სხვა. მართმადიდებლური ტაძრების გვერდით დგას მეჩეთი, სინაგოგა, სომხური ტაძარი, კათოლიკური ეკლესია. არავის ეკრძალება თავისი სარწმუნოება.

ძველი თბილისი ცნობილია ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობებით; დედაქალაქში არის ეროვნული ბიბლიოთეკა, სპორტის სასახლე, ფილარმონია, სტადიონი, ქორწინების სახლი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები. ყოველი წლის ოქტომბრის თვეში იმართება თბილისობის დღესასწაული, მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სანახაობებით.

**ქართული** დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და იგი თითქმის 2500 წლისაა. ქართული მწერლობა კი-15 საუკუნეს ითვლის. თითქმის მსოფლიოს ყველა ენაზეა თარგმნილი XII საუკუნის უკვდავი ქმნილება, შოთა რუსთაველის – **„ვეფხისტყაოსანი".**

საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას. განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობას. მგონი არც ერთ ქვეყანას არა აქვს რწმენისა და ვაზის ასეთი საკვირველი სიმბოლიკა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ქართველთა პირველ განმანათლებელს IV საუკუნეში "ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა". გადმოცემათა მიხედვით, მან საქართველოს სამხრეთ საზღვარზე თავისივე თმებით შეკრა ეს ჯვარი და ასე შემოვიდა ივერიაში. მნახველის აღტაცებას დღესაც იწვევს სვეტიცხოვლის, სამთავისის, იყალთოს, ზარზმის, ბედიის, გელათის, ნიკორწმინდის, ვარძიის და უთვალავი ჩვენი ძველი ტაძრების ზვიადად აღმართულ კედლებზე ელვარე ქვაში აყვავებული უკვდავი ვაზის ყლორტები. ვაზისადმი ასეთმა უსაზღვრო სიყვარულმა შექმნა ჩვენს პატარა მიწაზე ვაზის ხუთასი სხვადასხვა სახეობა და ჯიში. ქართულმა ვაზმა ისეთივე ჯოჯოხეთი გამოიარა არსებობის გრძელ გზაზე, როგორც თვით ქართველმა ხალხმა თავის ტრაგიკულ ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ დღეს ქართული ღვინოები თავისი საუცხოო თვისებების მეოხებით, აღიარებითა

და პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. საერთა-შორისო გამოფენებზე, კონკურსებსა და დეგუსტაციებზე უცხოელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართული ღვინის ზოგიერთი სახეობა, რომელთაც მინიჭებული აქვთ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები.

რომელი ერთი აღვნიშნოთ. საქართველო თავისი მდებარეობითა და ინფრასტრუქტურით ნებისმიერი უცხოელისთვის არის მიმზიდველი და საინტერესო, რაც წარმოადგენს ტურიზმის განვითარების საფუძველს. აქ მხოლოდ დათვალიერებისა და დასვენების მიზნით იშვიათად ჩამოდიან უცხოელები. მათ უჩნდებათ განმეორებით ჩამოსვლის, ინვესტიციების დაბანდების, ახალი ინოვაციების, ტექნოლოგიების, კრედიტების და თუნდაც დახმარების სურვილი, რათა ხელი შეუწყონ ამ უნიკალური ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას.

ჩამოსულ სტუმრებს უჩნდებათ თბილისის შემოგარენის დათვალიერების სურვილი 50-70 კმ ფარგლებში. მაგალითად, საქართველოს პირველი დედაქალაქის – მცხეთის, რომელსაც ამშვენებს ჯვრის მონასტერი /VI-VII სს/, სვეტიცხოველი /X-XII სს/, რომლის საძირკველში მაცხოვრის კვართია დაფლული. აქვე უნდა აღინიშნოს შიო მღვიმე, დავით გარეჯი, ბეთანია, დიდგორი, ქვათახევი, შავნაბადა, ქოროღლის ციხე, ზედაზენი, საგურამო, სადაც მდებარეობს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. თბილისში მახათას მთაზე შენდება გიგანტური საეკლესიო კომპლექსი. თითქმის არც ერთი უბანი და კვარტალი არ არის დარჩენილი ეკლესიის გარეშე და ყველა ამ ეკლესიას საკმარისზე მეტი მრევლი ჰყავს, რაც ადასტურებს იმას, რომ ხალხი თანდათან თავისუფლდება კომუნისტური მენტალიტეტისგან და ღვთისმშობლის კურთხეულ მიწაზე უბრუნდება მართლმადიდებლურ ცხოვრებას და სულიერი სიწმინდეების პატივისცემას.

ტურიზმი გახდა პოპულარული და იქცა გლობალურ საქმიანობად. საკმაოდ დიდი თეორიული და პრაქტიკული მუშაობაა საჭირო, რომ თბილისი გადაიქცეს მულტიკულტურულ

ქალაქად, სადაც ჩამოყალიბდება: თბილისური ცხოვრების წესი; მოდერნიზმი და თბილისი; თბილისი – ქართული ლიტერატურის ცენტრი; სახვითი ხელოვნება და თბილისი; თეატრალური თბილისი; თბილისი კინემატოგრაფიული ცენტრი; მუსიკალური თბილისი; თბილისი, როგორც სოც. რეალისტური ფენომენი; თბილისური აბანო; სპეციალიზებული ტურიზმი, შეიძლება მოვიაზროთ მეცნიერების სხვადსხვა დარგები. ქ. თბილისს ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი რესურსი გააჩნია. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდულ ტურიზმს, თემატურ მარშრუტებს, ფეხით მოსიარულეთა, საცხენოსნო, სათხილამურო, სანაოსნო და მრავალ სხვა სახეობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი დიდ ყურადღებას უთმობს ტურიზმის, უმუშევრობის აღმოფხვრის და ცხოვრების დონის ამაღლების საკითხებს.

ტურიზმისათვის ყველაზე პოპულარული რეგიონია ევროპა 2/3, შემდეგ აშშ, რომლის წილად მოდის ტურისტების 20%, აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებზე მოდის 10%, აფრიკაზე 3%. 2010 წელს მსოფლიო მასშტაბით 940 მილიონი საერთაშორისო ტურისტული ჩასვლა განხორციელდა, რაც 6.6%-იანი ზრდა იყო 2009 წელთან შედარებით. 2010 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მირებულმა შემოსავალმა 919 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა /693 მლრდ ევრო/, რაც წინა წელთან შედარებით 4.7%-იანი ზრდა იყო.

თბილისში დღეისათვის ფუნქციონირებს 60-ზე მეტი ტურისტული კომპანია, რომლებიც ემსახურებიან როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმს. განსაკუთრებით საყურადღებოა მომსახურების სფეროს უზრუნველყოფა. სერვისის ეს ინდუსტრია მოიცავს სატრანსპორტო გადაზიდვების, ავიაციის, საკრუიზო გემების, ტაქსების და ა. შ. გამასპინძლების სერვისს, როგორიცაა ბინით უზრუნველყოფა, გასართობი ადგილები, პარკები, კაზინოები, სავაჭრო ცენტრები, მუსიკალური დაწესე-

ბულებები, თეატრები და სხვა. საინტერესოა თბილისი თავისი შემოგარენით; შესაძლო მარშრუტებით, მოგზაურობის ფორმებითა და გეოგრაფიული მდებარეობით: თბილისი – საგურამო – ზედაზენი; გლდანი – მამკოდა; მცხეთა – არმაზის ხეობა; დავით გარეჯი; მთაწმინდა – კუს ტბა; წყნეთი - კოჯორი; თელეთის ქედი – შავნაბადა; მთაწმინდის ქვედა პლატო.

მიუხედავად სტუმარ-მასპინძლობის მაღალი დონისა, საქართველოსა და მის დედაქალაქში ტურიზმისათვის შესაფერისი კომფორტული სერვისი ჯერჯერობით არ არის საკმარისი.

- საჰაერო ტრანსპორტის უმეტესი რეისები სრულდება გვიან ღამით ან გამთენიისას, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის როგორც ტურისტებისათვის, ისე ადგილობრივი დამხვედრისათვის;
- სარკინიგზო ტრანსპორტი ჯერჯერობით მთლიანად ანტიტურისტულია;
- საავტომობილი ტრანსპორტი ნაკლებადაა ადაპტირებული, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ტურისტებისათვის;
- შიდა და სატრანზიტო გზები, ბილიკები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული;
- კავშირგაბმულობის საშუალებები თბილისში მოწესრიგებულია მაღალ დონეზე;
- ტურისტების კვებით უზრუნველყოფის საკითხი ერთი შეხედვით თითქმის მოგვარებულია, თუმცა შეიმჩნევა ასორტიმენტის ნაკლებობა;
- ქალაქის საექსკურსიო ტრანსპორტი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე მოწესრიგებული;
- დაბალია გიდების მომსახურების დონე და კვალიფიკაცია;
- არსებობს ენობრივი ბარიერი;

• საჭიროა თბილისის შემოგარენში ტურისტებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა და უსაფრთხოების წესების გაუმჯობესება.

პრობლემათა ჩამონათვალი ამოუწურავია, მაგრამ გამოსწორებადი. მთავარია, პროცესი დაწყებულია და გრძელდება. ფართოვდება ტურიზმის სახეები და გეოგრაფია. იზრდება ტურისტული ინდუსტრიის შესაძლებლობები საქართველოში.

***Gogava Venera***

## ABILITIES OF TOURISM INDUSTRY IN GEORGIA

## SUMMARY

Georgia is interesting place for any foreigner with its location. Young scientists of the world, tougether with the Georgians investigate ancient government system, history of struggles and the rules of getting harvest and producing fields of agriculture in the country of Royal Dynasty. Foreigners seldom arrive here only to see sights and have a holiday. They have desire to visit once more again for capital investment, innovations, technologies, credits and assistance aims, in order to give advantage to economic development of this rare country.

Tourism became world-wide popular, global activity. Tourism has vital meaning for many countries: France, Egypt, Greece, Spain, United States of America, United Kingdom, Italy etc. These countries are distinguished by high travel services.

Tourism development turned into prior direction in Georgia. Abilities and interests of tourism industry increase.

So far we focused our choice on the capital of Georgia, Tbilisi.

1. Tbilisi – as recipient of internal and foreign tourists;
2. Tbilisi – as interesting agglomeration with its backyards;
3. Tbilisi – as the capital of Georgia and unit of transit functions.

*ნარგიზა ქარქაშაძე*
*იულია ონიანი*

# მეორადი ავტომობილების ბაზრის კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები იმერეთის რეგიონში

საქართველოში არსებულმა მდგომარეობამ, ქვეყნის და მეცნიერულ-ტექნიკური დონის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლამ მოითხოვა ბაზრის კვლევის მეთოდების ფართოდ გამოყენება. ასეთი მეთოდების მეშვეობით შესაძლებელია ცალკეულ დარგში კვლევის მაქსიმალურად დადებითი ეფექტის მიღება.

ბაზარი შედგება მყიდველებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გემოვნებით, სურვილითა და მოთხოვნილებებით. მთავარი ისაა, რომ თითოეული მათგანი ყიდულობს საქონელს, ხელმძღვანელობს რა სრულებით განსხვავებული მოტივაციით. მომხმარებლების მოტივაცია კი შეიძლება გამოწვეულ იყოს მათი მოთხოვნების სხვადასხვა ვარიანტებით, რასაც საფუძვლად შეიძლება დაედოს ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და მრავალი სხვა ფაქტორი. სწორედ განსხვავებული მოტივაციები განასხვავებენ სხვადასხვა სეგმენტებს.

ბაზრისათვის უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: საქონლის დანიშნულება, ფასი, შეთავაზებული მომსახურების სახეობა, მომხმარებელთა დანახარჯების მოცულობა, სეზონურობა და ა.შ.

იმერეთის რეგიონში მეორადი ავტომობილების ბაზრის უფრო ღრმა სეგმენტაციისათვის მნიშვნელოვანია ფაქტორთა შემდეგი ჯგუფების გამოყოფა: დემოგრაფიული, სოციალური და ფსიქოლოგიური.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შეუძლებელია ყოველი მომხმარებლის კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. შესაბამისად, აუცილებელია გამოიყოს მომხმარებელთა ისეთი ჯგუფები, რომლებსაც ერთნაირი სოციალური ქცევა, სამომხმა-

რებლო ჩვევა ან სხვა განმასხვავებელი კრიტერიუმი გააჩნიათ. ამის საფუძველზე შესაძლებელია ყურადღების ფოკუსირება სამომხმარებლო ბაზრის ცალკეული სეგმენტისადმი ან მარკეტინგული პროგრამის დიფერენცირება მომხმარებელთა სხვადასხვა სეგმენტების მაქსიმალური რაოდენობის დაკმაყოფილების მიზნით. პირველი გადაწყვეტილება გაცილებით ეკონომიურია, სწორად დაგეგმვის შემთხვევაში უზრუნველყოფს მაღალეფექტურობას. მეორე შემთხვევა კი მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს მისი განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, თუმცა საბოლოოდ იძლევა უფრო კარგ შედეგს.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, სადაც განვაზოგადეთ სხვადასხვაფასიანი ავტომობილები, ფაქტობრივად იგი დავყავით სამ ტიპად: ძვირადღირებული (BMW X5, MERCEDES-BENZ), საშუალოფასიანი (OPEL, VOLKSWAGEN), შედარებით იაფფასიანი (HONDA, MITSUBISHI).

ბაზრის სეგმენტირების საფუძველია იდეა იმის შესახებ, რომ მომხმარებლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და შესაბამისად ბაზარიც განიცდის დიფერენციაციას. სეგმენტირების მეშვეობით მეორადი ავტომობილების ბაზარზე მყოფმა ფირმებმა თუ კერძო პირებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ პირობებზე:

1. მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება;
2. საქონლის და მწარმოებლის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება, კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება;
3. ბაზრის აუთვისებელი სეგმენტების ათვისება და, შესაბამისად, კონკურენტული ბრძოლისათვის თავის არიდება;
4. მარკეტინგული საქმიანობის მიმართვა კონკრეტული მომხმარებლის ინტერესებისადმი.

გამოკითხვა ჩატარდა იმერეთის რეგიონში (კერძოდ, ქ. ქუთაისში, მეორადი ავტომობილების ბაზრის კვლევისას). ანკეტა შეიცავდა შემდეგ კითხებს:

- მეორადი ავტომობილების ბაზრის მიერ მომხმარებელთა დაკმაყოფილების ხარისხი.
- საყვარელი მარკისადმი ერთგულება;
- ფასებისადმი მომხმარებლის მგრძნობელობა;
- შეთავაზებული კომფორტი;
- ეკონომიურობა ექსპლუატაციისას.

გამოკითხვის შედეგად მიღებულ იქნა შედეგები, რომლებიც მნიშვნელოვანია მარკეტინგული სტრატეგიის დაგეგმვისას მეორადი ავტომობილების ბაზრისათვის.

ავტომობილების ფლობისადმი მისწრაფება წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური დიფერენცირების ერთ-ერთ მაჩვენებელს. ამასთანავე, ავტომობილის ყოველი ნაირსახეობისათვის დამახასიათებელია მოყვარულთა საკუთარი ჯგუფი და მათი მოხმარების შესაბამისი კულტურა. იმერეთის რეგიონში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქუთაისის განყოფილების მონაცემებზე დაყრნობით, 2007 – 2010 წლებში BMW-ს; HONDA-ს; MERCEDES-BENZ-ის; MITSUBISHI-ს; OPEL-ის; VOLKSWAGEN-ის მარკის – 19.743 ცალი მეორადი ავტომანქანა იქნა რეგისტრირებული, რომელთა შორის 1451 – BMW-ს მარკისაა, 894 – HONDA-ს, 4534 – MERCEDES-BENZ – ის, 1585 – MITSUBISHI-ს, 4688 – OPEL-ის, ხოლო 2413 – VOLKSWAGEN-ის მარკის.[14]

კვლევის ჩატარების პროცესში იმერეთის მასშტაბით გამოკითხული იქნა 200 ადამიანი. გამოკითხვისას გამოიკვეთა მომხმარებელთა ოთხი ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა შორის შეფარდებას შემდეგი სახე გააჩნია: 20-დან – 25 წლამდე – 80;

[14] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქუთაისის განყოფილების ოფიციალური მონაცემები, 2011 წელი.

25-დან – 30 წლამდე – 66; 30-დან – 40 წლამდე – 26; 40 და მეტი – 28.

გამოკითხულთა უმეტესობას, საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, 35 წლამდე მომხმარებელი წარმოადგენს (73%). მეორადი ავტომობილები, როგორც მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე იმერეთის რეგიონში, წარმოადგენს საკმაოდ პოპულარულ და მიმზიდველ ბაზარს.

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მომხმარებლები იყოფიან სამ ჯგუფად – პირველი ჯგუფი უპირატესობას ძვირადღირებულ და ჯიპის ტიპის ავტომობილებს ანიჭებს. ისინი შეადგენენ 30%-ს; მეორე ჯგუფი კი უფრო საშუალოფასიან ავტომობილებს, რომელთა მომსახურების საერთო დღიური ხარჯი შედარებით დაბალია პირველი ჯგუფთან შედარებით დაშეადგენენ 50%-ს; ხოლო მესამე, 20%-იან ჯგუფში შემავალი მომხმარებლები, უპირატესობას ანიჭებენ მცირეფასიან და მცირელიტრაჟიან ავტომობილებს. ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქუთაისის განყოფილების მონაცემებიც (იხ. ცხრილი 1) [1].

**ცხრილი 1**

| **მოდელები** | მერსედესი | BMW X3 და X5 | ოპელი | ფოლკსვაგენი |
|---|---|---|---|---|
| ჯიპი | 586 | 263 | 2079 უნივერსალი | 43 |
| სედანი | 3699 | 1105 | 1157 | 1584 |
| ჰეჩბეკი | 184 კუპე | 18 | 1336 | 717 |

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ჯიპის ტიპის ავტომობილებს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: უსაფრთხოება; მაღალი გამავლობა; კომფორტი; სხვებისაგან განსხვავებულობის სურვილი.

მომხმარებელთა ნაწილი კი, უპირატესობას ანიჭებს საშუალოფასიან და საშუალოტევადობის ავტომობილებს: საშუალო ხელმისაწვდომი ფასი; ეკონომიურობა; კომფორტი.

მესამე ჯგუფი კი, უპირატესობას შედარებით მცირეფასიან, მცირელიტრაჟიან ავტომობილებს ანიჭებს, რადგან მათი აზრით, მთავარია: ეკონომიურობა; შედარებით იაფი ფასი; გადაადგილების საშუალება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პირველ ჯგუფში შემავალი მომხმარებელი მზადაა, გადაიხადოს ძვირი თანხა, მაგრამ უნდა მიიღოს უმაღლესი კომფორტი, მაქსიმუმამდე უნდა იყოს აყვანილი უსაფრთხოება, ამასთანავე, არ გამორიცხავს ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში გადაადგილების შესაძლებლობას და ამიტომაც უპირატესობას ანიჭებს მაღალი გამავლობის კომფორტულ ავტომობილებს.

მეორე ჯგუფში შემავალი მომხმარებლისათვის მთავარია შედარებით ხელმისაწვდომი ფასი, საშუალო და საშუალოზე მაღალი კომფორტი, ამიტომაც არჩევანს აკეთებს სოლიდურ, უფრო კლასიკურ ავტომობილებზე, როგორიცაა: “მერსედესი” – “სედანი”, “კუპე”: “ბმვ 520” – “525”; “აუდი ა4” - “ა6”; “ფოლკსვაგენი პასატი”, “ბორა”, “ჯეტა”.

მესამე ჯგუფში შემავალი მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს ეკონომიურობას, შეძენისას შედარებით იაფ ფასს მათთვის მანქანა წარმოადგენს გადაადგილებისათვის აუცილებელ საშუალებას და ყურადღებას არ ამახვილებს მის უსაფრთხოების დაბალ ნორმებსა და კომფორტზე. ისინი შეიძენენ DAIHATSUS, CHIKVACHENTO-ს, OPEL CORSA-ს, NISAN MICRA-ს და ამგვარი ტიპის ავტომანქანებს, რომლებიც გამოირჩევიან ზეეკონომიურობით, ქალაქში მანევვრირებით და როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი ავტომანქანის შეძენა ხელმისაწვდომია შედარებით იაფ ფასად [2].

კვლევამ გამოავლინა მომხმარებელთა სამი სხვადასხვა კატეგორია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკური ფაქტორებით - შემოსავლის დონით, კულტურული

და ფსიქოლოგიური ფაქტორებით, მოთხოვნილებით ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

მეორად ბაზარზე ავტომანქანების შეძენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მყიდველთა ასაკს. 20-დან 30 წლამდე ასაკის მომხმარებლები უპირატესობას სპორტულ საშუალოფასიან, საშუალოლიტრაჟიან, საშუალოტევადობის ავტომანქანას ანიჭებენ. მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მანქანის ვიზუალურ სახეს, ძრავის მოცულობას, სალონის მდგომარეობას, მუსიკალური ინსტრუმენტის არსებობას და მის მარკას, დისკის მოდელს და ა. შ. ამგვარი მყიდველისათვის მანქანის სისწრაფე გადამწყვეტ როლს თამაშობს ყიდვის პროცესში.

30-დან 40 წლამდე ასაკის მყიდველები კი ყიდვის პროცესში უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ავტომანქანის ასაკს, გამავლობას, ძრავის ეკონომიურ მოცულობას, ვიზუალურ სახეს, საბურავის და დისკის ზომას, მანქანა არ უნდა იყოს გარემონტებული და ა. შ.

ინდივიდუალური კვლევის შედეგად, იმერეთის რეგიონში მეორადი ავტომობილების ბაზარზე გამოვლინდა 30 - მდე მეორადი ავტომანქანების გადმომყვანი (ავტომანქანებით მოვაჭრე), მათ მიერ სხვა ქვეყნებიდან (გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი, დუბაი, იაპონია) ერთ თვეში დაახლოებით 80-დან 120 ავტომანქანამდე გადმოიზიდება, თუმცა, ამ ავტომანქანათა უმეტესობა (70–80%), რუსთავის ავტობაზრობაზე იყიდება, რაც განპირობებულია იმერეთის რეგიონში რეალური ავტობაზრობის არარსებობით. ქუთაისში ავტოქარხნის ტერიტორიაზე განთავსებული შემოღობილი სადგომი ავტობაზრობად იწოდება. აღნიშნულ ტერიტორიაზე გასაყიდი ავტომობილების მხოლოდ მეოთხედი თუ დაეტევა, ხოლო შემოღობილს გარეთ ავტომობილების გაყიდვას საპატრულო პოლიცია და მერიის ადმინისტრაცია, რბილად რომ ვთქვათ, დაჯარიმებით ემუქრება. ამიტომ ავტომოვაჭრეები იძულებულნი არიან ავტომანქანები რუსთავის ავტობაზრობაზე წაიყვანონ გასაყიდად. ამ ფაქტორს

ემატება იმერეთის რეგიონში მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობის დაბალი დონე, ავტომანქანის განბაჟების განსაზღვრული ვადა და მყიდველთა მცირე რაოდენობა, რის გამოც ავტომოვაჭრეები იძულებულნი არიან ავტომანქანები რუსთავის ავტობაზრობაზე წაიყვანონ გასაყიდად.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იმერეთის რეგიონის მომხმარებელიც ავტომანქანის შეძენას რუსთავის ავტობაზრობაზე არჩევს. მხოლოდ გამოკითხულთა 20% იძენს ავტომანქანას ქუთაისის ავტობაზრობაზე.

გამოკითხულთა შორის ჭარბობს 20-25 წლამდე ასაკის მომხმარებელი (30%), რომელთა ქცევა ძირითადად არაპროგნოზირებადია, მათი უმრავლესობა დაუსაქმებელია, უმეტესობა სტუდენტია და საკუთარი შემოსავალი იშვიათად გააჩნია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი შესაძლებელია განვიხილოთ მეორადი ავტომანქანების პოტენციურ მყიდველებად.

კვლევებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმერეთის რეგიონს გააჩნია საკმაო პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად ათვისებული. მეორადი ავტომანქანების ბაზარი შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ პერსპექტიულ დარგად, მაგრამ არის პრობლემები, კერძოდ:

1. არ არსებობს კონკრეტული ადგილი (ბაზარი), სადაც შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ ამ ბიზნესით დაკავებული პირები (გამყიდველები) და მყიდველები (ფაქტიურად, ქუთაისის ავტობაზრობა ვერ ჩაითვლება სერიოზულ ავტობაზრად, სადაც შეიძლება ნორმალურმა ბიზნესმენმა აწარმოოს ბიზნეს მოლაპარაკებები).

2. არ არსებობს სახელმწიფო ხელშეწყობა კონკრეტულად ამ ბიზნესის ხელშეწყობის სტიმულირებისათვის.

3. საზღვარგარეთ გასვლა ავტომობილის შესაძენად და საქართველოში ჩამოსაყვანად ძალიან რთულია. არსებობს სერიოზული ბარიერები ვიზებთან დაკავშირებით.

4. ბანკების მიერ უშუალოდ ამ ბიზნესით დაკავებული პირებისათვის არ არსებობს სპეციალური საკრედიტო შეთავაზება.

5. პოტენციურ მყიდველებში არის რწმენა, რომ რუსთავის ავტობაზრობაზე შეიძლება უფრო უკეთესი ავტომანქანის შეძენა და შედარებით უფრო იაფად.

6. ქუთაისის ავტობაზრობაზე არჩევანის ნაკლებობაა.

7. პრობლემაა მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლის დაბალ დონესთან, მათი სურვილების სრულყოფილად არ ცოდნასა და სხვა, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი წინადადებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეორადი ავტომანქანების ბაზრის გაფართოვებასა და განვითარებას:

- აუცილებელია გაუმჯობესდეს მეორადი ავტომანქანების სადგომების კეთილმოწყობა. აშენდეს შენობა, სადაც აღნიშნული ბიზნესით დაკავებული პირები და მყიდველები ნორმალურ ატმოსფეროში შეძლებენ გარიგების წარმოებას. რასაკვირველია, ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გარკვეული თანხის დაწესებით (1, 5 ლარიდან 2 ლარამდე) შესაძლებელი გახდება აღნიშნული შენობის შენახვა.
- აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან იყოს გარკვეული ხელშეწყობა ამ ბიზნესისადმი, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს განბაჟების გადასახადების შემცირებაში, სავიზო რეჟიმის გამარტივებაში. ეს კი თავისთავად მოხსნის ვიზებთან დაკავშირებულ ბარიერებს.
- აუცილებელია საქართველოში ფუნქციუნირებადმა ბანკებმა ამ ბიზნესით დაკავებული პირებისათვის შეიმუშაონ სპეციალური საკრედიტო შეთავაზებები, რაც შეამცირებს ბიზნესმენების რისკის ფაქტორს.
- აუცილებელია ამ ბიზნესით დაკავებულმა ფირმებმა რეგულარულად ჩაატარონ მომხმარებელთა გამოკითხვა მათი

მოთხოვნილების შესასწავლად. აღნიშნული კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემთ, მოახდინონ ისეთი ავტომობილების შემოყვანა, რომლებზეც არსებობს მომხმარებელთა რეალური მოთხოვნა, რაც ააცილებს მათ ფინანსური რისკის გაწევის შესაძლებლობას.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესწავლის შედეგად და მათი რეალურად გათვალისწინებით, ქუთაისის ავტობაზრობაზე აღარ იქნება არჩევანის ნაკლებობა და მომხმარებელთა სურვილები მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული. ამასთან, იმერეთის რეგიონის მეორადი ავტომანქანების ბაზარი იქნება კონკურენტუნარიანი სხვა რეგიონის ავტობაზრებთან შედარებით. რაც გაზრდის მყიდველთა რაოდენობას და საბოლოოდ გააუმჯობესებს როგორც რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას, ისე თავად ამ ბიზნესით დაკავებული ფირმების და კერძო პირების.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქუთაისის განყოფილების ოფიციალური მონაცემები, 2011 .



***Karkashadze Nargiza***
***Oniani Iulia***


## RESEARCH OF THE MARKET OF SECONDARY AUTOMOBILES AND STRATEGY OF ITS DEVELOPMENT IN IMERETI REGION

## SUMMARY


In clause the marketing research of the market of secondary automobiles is submitted. The conditions interfering to development of the specified market are formulated; the offers and advices are given which will promote increase of competitiveness of the market of secondary automobiles.

*თამარ ბაჩიაშვილი*

# უმუშევრობა და სიღარიბე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

საბაზრო ეკონომომიკაზე გარდამავალ პერიოდში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შორის სიღარიბეს და უმუშევრობას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავიათ. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია.

ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ უმუშევრობის გამოვლენილი და ლატენტური შედეგები. გამოვლენილი შედეგები დაკავშირებულია ცხოვრების ფინანსურ მხარესთან, ლატენტური კი მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან [1, გვ. 242]. მიგვაჩნია, რომ სამუშაოს დაკარგვა ადაკავშირებულია თვითშეფასების პიროვნული იდენტურობის განცდისთან, რაც გარკვეულწილად ზრდის სოციალურ იზოლაციასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ფრუსტრაციას.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ როდესაც უმუშევრობის დონე დაბალია, შრომის ბაზარი გაჯერებულია და ხდება შრომის ანაზღაურების გაზრდა. ანალოგიურად, როდესაც უმუშევრობა მაღალია, შრომის ანაზღაურება მცირდება, რადგან სამუშაოს მაძიებლები თანახმანი არიან დაბალ ანაზღაურებაზე.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ როდესაც პოლიტიკის გამტარებლები ცდილობენ უმუშევრობის შემცირებას, აწყდებიან ინფლაციის ზრდას და პირიქით, როცა ინფლაციის შემცირებას ცდილობენ, სავარაუდოა უმუშევრობის ზრდა.

როგორც ცნობილია „თანამედროვე გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად დააჩქარა სიღარიბის ზრდის პროცესი მთელ მსოფლიოში, რაც ძირითადად უმუშევრობის მასშტაბების გაფართოებასთანაა დაკავშირებული. 2010 წლის მონაცემებით. უმუშევრობა, რომ არაფერი ვთქვათ მის მასობრივ და ქრონიკულ ხასიათზე განვითარებად

რეგიონებში, განვითარებულ ქვეყნებში 9% შეადგენს, მ.შ. აშშ-ში 10%-ს, ხოლო ესპანეთში 20%-ს, მაშინ, როდესაც მისი ბუნებრივი დონე 5-6 პროცენტის ფარგლებშია“ [2, გვ.93].

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში უმუშევრობის დონის გაზრდამ, ლოგიკურად გამოიწვია სიღარიბის ზრდის პროცესის დაჩქარება. როგორც ცნობილია, სწორედ რადიკალური ეკონომიკური რეფორმების შედეგად იზრდება იმ ფაქტორების რიცხვი, რომლებიც იწვევენ მოსახლეობის გაღარიბებას. ასევე დაბალი განათლების დონე, ისევე როგორც არაპრესტიჟული პროფესია თითქმის პირდაპირ განაპირობებენ დაბალ შემოსავალს და ე. ი. სიღარიბეს. კარგად არის შესწავლილი, თუ ცხოვრების რომელ პერიოდებში ემუქრება ნებისმიერ ადამიანს ხელმოკლეობა ყველაზე მეტად – ეს არის, პირველ რიგში, მოხუცებულობა პენსიაზე გასვლის შემდეგ და ახალგაზრდა ოჯახის შექმნის პირველი წლები.

სწორედ სიღარიბის კატეგორიის შიგნით არსებული იერარქიის აღიარების შედეგად 1960-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა „ქვეკლასის“ (Underclass) თეორია. მოცემული თეორიის დამაარსებლის გ. მირდალის და მისი მიმდევრების თანახმად „ქვეკლასი“ წარმოადგენს სტრატიფიკაციული სისტემის ყველაზე დაბალ ფენას, რომელსაც მიეკუთვნებიან ისინი, ვინც გარკვეული მიზეზების გამო საზოგადოებაში არსებული ყველაზე დაბალი კლასის წევრებზედაც კი ვერ ჩაითვლებიან. აუცილებელია ხაზი გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სინამდვილეში „ქვეკლასის“ თეორია, უპირველეს ყოვლისა, შავკანიანებს უკავშირდებოდა, თუმცა შემდგომში მათ ლათინური ამერიკული წარმოშობის ემიგრანტებიც შეუერთდნენ.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ადგილი ჰქონდა „ქვეკლასის“ თეორიის გამოყენების მცდელობას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რომელიც უკავშირდება ე. წ. „ახალი სიღარიბის“ წარმოშობას.

ჩვენი აზრით, „ახალი სიღარიბე“ განიხილება როგორც სტრუქტურული ფენომენი, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება ფართოდ გავრცელდეს, მაგრამ ყოველივე ეს გამოწვეულია ეკონომიკის რეფორმირებით და ამიტომ დროებით ხასიათს ატარებს. მის ძირითად მიზეზეს ხშირად რეფორმების მოულოდნელობა და შესაბამისად, მოსახლეობის მათდამი მოუმზადებლობა წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში  რეფორმების შედეგად თითქმის ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში აღინიშნა მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება და შესაბამისად სიღარიბის დონის ზრდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა შვიდ (7) ქვეყანაში (ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, სლოვაკეთი და უნგრეთი).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ახალი ეკონომიკური წესების გავლენის შესწავლა არა იმდენად ეთნიკურ უმრავლესობაზე, რამდენადაც ეთნიკურ უმცირესობებზე.

გამოკვლევის შედეგად უნდა შემოწმებულიყო ჰიპოთეზა: გამოიწვია თუ არა მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მდგომარეობის გაუარესება, ვიდრე ამა თუ იმ ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისა და, შესაბამისად, შეიძლება თუ არა საუბარი იმის თაობაზე, რომ ტრანსფორმაციული პროცესების შედეგად ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში „ქვეკლასი“ ჩამოყალიბდა.

ხაზგასასმელია „ქვეკლასის“ დამახასიათებელი სხვა ძირითადი ნიშნები:

1. უკიდურესი სიღარიბე, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და რომელსაც არ გააჩნია „სოციალური გამართლება“ - ე.ი. „უღირსი სიღარიბე“;

2. შრომისუნარიანთა ქრონიკული უმუშევრობა;

3. განათლების დაბალი დონე;

4. ტერიტორიული სეგრეგაცია, რომელიც იწვევს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ იზოლაციას;

5. „სიღარიბის კულტურა“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „ქვეკლასის“ არც ერთი ფაქტორი არ გვხდება საქართველოში, ასევე ადგილი არა აქვს ეთნიკური ჯგუფების მიერ ტერიტორიულ სეგრეგაციას და მათ იზოლაციას დანარჩენი საზოგადოებისაგან.

სოციალური, კულტურული და ტერიტორიული იზოლაციის არარსებობა შეუძლებელს ხდის ჩამოყალიბდეს „სიღარიბის კულტურა“.

ჩვენი აზრით, საქართველოში ძირითადად ადგილი ჰქონდა ტრანსფორმაციული პროცესებით გამოწვეულ უმუშევრობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ „ქვეკლასის“ თეორიის გამოყენება საქართველოს პირობებში გამართლებული არ არის, ვინაიდან ეს თეორია შეიქმნა განსხვავებული სინამდვილის პირობებში და ტრანსფორმაციული პროცესების გათვალისწინებითაც კი ასე ადვილად ვერ „მოერგება“ ქართულ სინამდვილეს.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ „ქვეკლასის“ არსებობა შესაძლებელია ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, განსაკუთრებით იქ, სადაც დიდია ბოშა მოსახლეობის რაოდენობა და სადაც ეს მოსახლეობა კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობს, კერძოდ, რუმინეთში, ბულგარეთსა და უნგრეთში.

უნგრელი სოციოლოგების მიერ აღწერილი იქნა შემთხვევები, როდესაც ბოშა მოსახლეობის წარმომადგენლები უარს ამბობდნენ არასახარბიელო პირობების გაუმჯობესებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ არ სურდათ თავიანთი ცხოვრების შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ქვეკლასის“ კონცეფცია, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველაზე უფრო რელეფანტური სწორედ აშშ-სთვისაა.

მოცემული კონცეფციის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ის ძირითადი პროცესები, რომლებიც იწვევენ სიღარიბეს ან აძლიერებენ მას. ესენია: იზოლაცია, მიგრაცია და მარგინალიზაცია. აშშ-ში ეს პროცესები ძირითადად შავკანიანებს უკავშირდება და ამიტომ ეთნიკურად და რასობრივად არის დატვირთული.

ჩვენი აზრით, სიღარიბე მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების დონესთან, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტ-ნაკლებად იგი ყოველთვის იარსებებს, მაგრამ იცვლება მისი გამოვლენის ფორმები.

უმუშევრობა და სიღარიბე თანამედროვე გლობალურ სამყაროში წარმოადგენენ მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სწორი და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **მეზვრიშვილი ლ.** ეკონომიკური სოციოლოგია. ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო. სოციალურ მეცნიერებათა სერია. თბილისი, 2001.
2. **ჩიქავა ლ.** მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები: "ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში" (21-22 ოქტომბერი, 2011). თბილისი: "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა". 2011.

*Bachiashvili Tamar*

# UNEMPLOYMENT AND POVERTY IN THE TRANSITIONAL PERIOD TO MARKET ECONOMICS

## SUMMARY

The scientific article is about the unemployment and poverty in the transitional period to market economics.

The reasons causing the rising process of the poverty are analyzed in the article.

The theory of “Subclass” and the attempt of its usage in the post- socialist countries, which is connected with, so called, the origin of “new poverty”, what is the direct result of transformational processes, are also discussed in the scientific article.

*იზა ნათელაური*
*თამარ თაფლაძე*

# საგარეო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებები და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყანაა. თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან და ანვითარებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების როგორც ტრადიციულ (საგარეო ვაჭრობა, უცხოური ტურიზმი და სხვ.), ისე ახალ (საწარმოები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, თავისუფალი ეკონომიკური ზონები და სხვ.) ფორმებს.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, საქართველოში ექსპორტი ტრადიციულად სანედლეულოა, იმპორტი კი წარმოდგენილია ძირითადად შუალედური და ერთჯერადი მოხმარების საქონელით. ექსპორტზე გადის ფეროშენადნობები, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ცემენტი, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი სასუქები და სხვ. საქართველოში იმპორტირდება ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, გადამცემი აპარატურა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის, ნახშირბადიანი ფოლადის წნელები, კომპიუტერები და მათი ბლოკები და სხვ. [1,2,4,5]. ექსპორტს რაოდენობრივად ბევრად ჭარბობს იმპორტი. დეფიციტი ქრონიკული და წლიდან წლამდე მზარდია. 2010 წელს წმინდა ექსპორტის მაჩვენებელმა შეადგინა – 3512,2 მლნ. აშშ დოლარი, 2009 წელს – 3229,5 მლნ. აშშ დოლარი, 2008 წელს – 4808,2 მლნ. აშშ დოლარი, 2007 წელს – 3983 მლნ. აშშ დოლარი, 2006 წელს – 2742 მლნ. აშშ დოლარი, 2005 წელს – 1624 მლნ. აშშ დოლარი, 2004 წელს – 1197 მლნ. აშშ დოლარი, 2003 წელს – 680 მლნ. აშშ დოლარი [წყარო: 4,5]. 2000-2010 წწ. დეფიციტის ზრდის

ტემპი =3512 / 386,7 = 9,083; საშუალო წლიური ზრდის ტემპი = $\sqrt[11]{9,083}$ = 1,2221 (122,21%); საშუალო წლიური ნაზრდის ტემპი = 22,21 %.

განსაკუთრებული განსჯის საგანია თანამედროვე საქართველის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია და პარტნიორთა წრე. 2008-2009 წლების მონაცემებით [5] საქართველო თანამშრომლობს 150-ზე მეტ ქვეყანასთან, მ.შ. 134-ში ახორციელებს ექსპორტს, 158-დან კი იმპორტს. ჩვენი ქვეყნის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი, გერმანია, უკრაინა, აზერბაიჯანი, აშშ, იტალია, საფრანგეთი, სომხეთი, ავღანეთი და ა.შ. საქართველოს მხარისთვის მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების ფინანსური დახმარება, არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის რეგულირებაში და მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფაში.

გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის ქვეყნებთან, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებთან – სავაჭრო კავშირების გაფართოების ხაზით; 2003-2010 წლებში საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მზარდია ქვეყნების ოთხივე ჯგუფის მიხედვით. სტატისტიკა მეტყველებს საქართველოს სავაჭრო თანამშრომლობის ევროპულ ორიენტაციაზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც გადაუჭრელ პრობლემად რჩება ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურული ოპტიმიზაციის საკითხი.

რაც შეეხებათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართულ-რუსული ურთიერთობები, სავაჭრო ეკონომიკური კავშირების ჩათვლით [1,3,6]. 2004 წლამდე, ათეულობით წლის განმავლობაში, საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთთან თანამშრომლობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები – პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული, რელიგიური

... ატარებდა ისტორიულ ხასიათს. საქართველო და რუსეთი, როგორც ორი მეზობელი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, წლების მანძილზე ვითარდებოდნენ ერთიანი, ტერიტორიულად დიდი და ეკონომიურად ძლიერი ქვეყნის – სსრკ-ს შემადგენლობაში. ორივე ქვეყანას მინიჭებული აქვს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი და მსგავსი სასტარტო პირობებით ორიენტირებული არიან ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე, საქართველო მცირე ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე, რუსეთი კი დიდი ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე. საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მაღალი იყო 2004 წლამდე. 1998-2004 წლებში რუსეთზე მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 19,46%, ექსპორტის საერთო მოცულობის 22,89% და იმპორტის საერთო მოცულობის 18,08%. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ხორციელდებოდა 97 სასაქონლო პოზიციის მიხედვით. ექსპორტში დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით წარმოდგენილი იყო მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, კაკალი, მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები და სხვ.; იმპორტში – ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია, ხორბლის ფქვილი, საკონდიტრო ნაწარმი, სამკურნალო საშუალებები და სხვ. 2002-2004 წლებში აღინიშნებოდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდა. ექსპორტის ზრდის ტემპმა 2003 წელს 2002 წელთან შედარებით შეადგინა 144%, 2004 წელს 138,3% 2003 წელთან შედარებით და 199,2% 2002 წელთან შედარებით. Iმპორტის შესაბამისი მაჩვენებლები ტოლი იყო: 136%-ის, 172%-ის და 234%-ის. წლიური ზრდის ტემპები მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთიდან იმპორტი საქართველოში იზრდებოდა უფრო სწრაფად ვინემ საქართველოს ექსპორტი რუსეთში. 2005 წლიდან დაწყებული რუსეთთან საქართველოს ექსპორტიცა და იმპორტიც კლებადი აქვს. მან, 2007 წელს, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, ბულგარეთი,

არაბთა გაერთიანებული ემირატები, ჩინეთი და თურქმენეთი) მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

2003-2009 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით [3,4,5] საქართველოს პროდუქცია ექსპორტირდება ევროპის 41, აზიის 42, აფრიკის 19,ამერიკის 29 და ოკეანეთის 3 ქვეყანაში, სულ მსოფლიოს 134 ქვეყანაში. ქართული პროდუქციის მომხმარებელთა პირველ ათეულში შედიან: თურქეთი, აშშ, ავღანეთი, სომხეთი, კანადა, ბულგარეთი, გერმანია, რუსეთი, თურქმენეთი და გაერთიანებული სამეფო. საქართველოში ძირითადად იმპორტირდება შუალედური საქონელი და სამომხმარებლო საქონელი [4] კაპიტალურ საქონელთან ერთად, შუალედური საქონელის ხვედრითი წილის მაჩვენებელმა იმპორტის საერთო მოცულობაში შეადგინა 2007 წელს – 63,5%, 2006 წელს – 69,8%, 2005 წელს – 60,8%, 2004 წელს – 62,4%, 2003 წელს – 65,7%; სამომხმარებლო საქონელმა შესაბამისად, 2007 წელს – 36,1%, 2006 წელს – 38,0%, 2005 წელს – 37,7%, 2004 წელს – 35,6% და 2003 წელს – 33,9%.

ამრიგად, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის ქრონიკულად მზარდი დეფიციტის პირობებში ობიექტური მიზეზებით გამოწვეული, ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა აქვს. იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება. მოხმარებულ მშპ-ში იმპორტი დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: 2007 წელი – 51,2%, 2006 წელი – 47,3%, 2005 წელი – 38,8%, 2004 წელი – 36,0%, 2003 წელი – 29,6% [4,5] და სტრუქტურულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთჯერადი მოხმარების საქონელისაგან შედგება. არც ერთი და არც მეორე მაჩვენებელი ახალი არ არის – ასე იყო საბჭოთა პერიოდში და ასეა ახლაც. განსხვავება იმაშია, რომ იმპორტს საბჭოთა პერიოდში საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამჟამად კი მასზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანწილად, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ბედი. რაც შეეხ-

ება ექსპორტს, გასული საუკუნის 90-იან წლებში საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყეისთანევე, დაიწყო აქტიური მუშაობა ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაფერი დასრულდა ცმობილი მოვლენებით. დამოუკიდებელ ქვეყნებში დაიშალა ეკონომიკური სისტემები. იმპორტმა შეიძინა სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამან კი მოითხოვა ექსპორტის სანედლეულო სტრუქტურის შენარჩუნება. ამასთან, დეფიციტურმა სამომხმარებლო ბაზარმა და მომხმარებელთა დაბალმა შემოსავლებმა, არსებულ სტრუქტურაში ასტიმულირა იმპორტირებული პროდუქციის დაბალი ხარისხი. კიდევ უფრო გაუარესდა იმპორტის სტრუქტურა და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოში საგარეო ვაჭრობა, როგორც რაოდენობრივად ისე სტრუქტურულად, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსაც და სტაბილურობის დამოუკიდებელ ფაქტორსაც. 2003 წელს, ხელისუფლების ერთი ჯგუფის მიერ მინიმალური ხელფასების გაზრდის ინიციატივას სწორედ სამომხმარებლო იმპორტის გაფართოვება ედო საფუძვლად [1].

პერსპექტივაში საქართველოს, მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის მსგავსად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშემწყობი საგარეო სავაჭრო კავშირები სჭირდება, რაოდენობრივადაც და სტრუქტურულადაც.

საგულისხმოა, რომ საგარეო (საერთაშორისო) ვაჭრობა, მსოფლიო ბანკის ანგარიშების მიხედვით, ბიზნესის კეთების სიმარტივის ინექსში ერთერთია, თანაბარი წონებით წარმოდგენილ 10 ინდიკატორს შორის [2].

ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში საქართველოს პირველი ადგილი უკავია ევროპისა და ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც მოსახლეობის სიმჭიდროვე არის საშუალო, შემოსავლები კი საშუალოზე დაბალი. რაც შეეხება ინდიკატორებს, პირველი ინდიკატორია საწარმოების რეგისტრაცია (ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველო 5-ე ად-

გილზეა, ახალი ზელანდიის, კანადის, ავსტრალიისა და სინგაპურის შემდეგ); მეორეა მშენებლობის ნებართვის მიღება (საქართველო 7-ე ადგილზეა); მესამე – სამუშაო ძალის დაქირავება (9-ე ადგილზე ვართ); მეოთხე – ქონების რეგისტრაცია (2-ე ადგილზე ვართ საუდის არაბეთის შემდეგ); მეხუთე – დაკრედიტება (30-ე ადგილი გვიკავია); მეექვსე – ინვესტიციების დაცვა (41-ე ადგილი გვიკავია); მეშვიდე – დაბეგვრა (64-ე ადგილი გვიკავია); მერვე – საერთაშორისო ვაჭრობა (30-ე ადგილი გვიკავია; მეცხრე – კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა (41-ე ადგილი გვიკავია); მეათე – წარმოების ლიკვიდაცია (95-ე ადგილი გვიკავია).

ოცდამეათე ადგილი საგარეო ვაჭრობის ინდიკატორის მიხედვით, საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების რეალურ შესაძლებლობაზე მიუთითებს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ საგარეო ვაჭრობის ინდიკატორების (ექსპორტისა და იმპორტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა, დრო და ღირებულება) მაჩვენებლებით საქართველო წინ უსწრებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონსაც და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასაც.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **ნათელაური ი.** საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მცირე ღია ეკონომიკით (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, ”მეცნიერება”, 2004.
2. **ნათელაური ი., ნათელაური ნ.** საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ჟ. ეკონომისტი, № 4, 2010.
3. **ნათელაური ი., თაფლაძე თ.** საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში და მისი გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. II, თბილისი,

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
4. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი, თბილისი, 2008.
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009 საქართველოს ეკონომიკური. განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.
6. **წერეთელი გ., ნათელაური ი., ბიბილაშვილი ნ.** საქართველო რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე", ეკონომიკის სერია, თბილისი, 2004, ტ. 3-4.

***Natelauri Iza***
***Tapladze Tamar***

## REGULARITIES OF FOREIGN TRADE DEVELOPMENT AND THE WAYS OF THEIR IMPROVEMENT IN GEORGIA

## SUMMARY

Are analyzed the export, import and net export indices in Georgia for 2003-2010 period; based on the tendencies of their changes; are estimated the possibilities of index projection of foreign trade in Georgia in short-time perspective.

# ა ვ ტ ო რ ე ბ ი

| | | |
|---|---|---|
| 1. | **აბესაძე რამაზ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი |
| 2. | **არევაძე ნანული** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ |
| 3. | **ბაჩიაშვილი თამარ** | – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის დოქტორანტი |
| 4. | **ბერულავა გიორგი** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი |
| 5. | **ბიბილაშვილი ნანა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ |
| 6. | **ბრეგვაძე გიორგი** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 7. | **ბურდული ვახტანგ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ |
| 8. | **გოგავა ვენერა** | – თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სრული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი |

| | | |
|---|---|---|
| 9. | **დავლაშერიძე ნატა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 10. | **დათუნაშვილი ლინა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი |
| 11. | **დვალიშვილი ლია** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი |
| 12. | **თაფლაძე თამარ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი |
| 13. | **თეთრაული ციცინო** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი |
| 14. | **კაკულია ეთერ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 15. | **კვარაცხელია მურმან** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი |
| 16. | **კურატაშვილი ალფრედ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი |
| 17. | **ლაზარაშვილი თეა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების |

| | | |
|---|---|---|
| | | გამგე, ემკ |
| 18. | **მელაშვილი მედეა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი |
| 19. | **ნათელაური იზა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ |
| 20. | **ნოზაძე ზურაბ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი |
| 21. | **ონიანი იულია** | – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი |
| 22. | **პაპავა ვლადიმერ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფესორი |
| 23. | **რევიშვილი ზურაბი** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 24. | **სარჩიმელია როლანდ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ |
| 25. | **სისვაძე აზიკო** | – საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის |

| | | |
|---|---|---|
| | | სრული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი |
| 26. | ქავთარაძე თენგიზ | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 27. | ქარქაშაძე ნარგიზა | – აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი |
| 28. | ქველაძე ქეთევან | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი |
| 29. | ქისტაური ნუნუ | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 30. | ქურდაძე თინათინ | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |
| 31. | ღუდუშაური ლეილა | – თსუ ასოცირებულინ პროფესორი |
| 32. | ჩხეიძე თინათინ | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი |
| 33. | ცუცქირიძე მარინე | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |

| | | |
|---|---|---|
| **34.** | **ხუსკივაძე მამუკა** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ |
| **35.** | **ჯავახიშვილი რევაზ** | – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ |

## A U T H O R S

| | | |
|---|---|---|
| **1.** | **ABESADZE RAMAZ** | – Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciencies, professor |
| **2.** | **AREVADZE NANULI** | – Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **3.** | **BACHIASHVILI TAMAR** | Doctorant of Iakob Gogebashvili Telavi State University |
| 4. | **BERULAVA GEORGE** | – Doctor of Economic Sciencies, professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **5.** | **BIBILASHVILI NANA** | – Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **6.** | **BREGVADZE GIORGI** | – Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **7.** | **BURDULI VAKHTANG** | – Doctor of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |

| | | |
|---|---|---|
| **8.** | **CHKHEIDZE TINANIN** | – Doctor of Agricultural Sciences, professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **9.** | **DATUNASHVILI LINA** | – Candidate of Economic Sciencies, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **10.** | **DAVLASHERIDZE NATA** | – Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **11.** | **DVALISHVILI LIA** | – Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **12.** | **GOGAVA VENERA** | – Full Professor of Tbilisi Institute of Market Economy and Law, Doctor of Economics |
| **13.** | **GUDUSHAURI LEILA** | Associated Professor of TSU |
| **14.** | **JAVAKHISHVILI REVAZ** | – Candidate of Economic Sciencies, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **15.** | **KAKULIA ETER** | – Candidate of Economic Sciencies, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **16.** | **KARKASHADZE NARGIZA** | – Guest Specialist of Akaki Tsereteli Kutaisi State University |
| **17.** | **KAVTARADZE TENGIZ** | – Candidate of Economic Sciencies, Chief of lab. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **18.** | **KHUSKIVADZE MAMUKA** | – Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of |

| | | |
|---|---|---|
| | | Economics of TSU |
| **19.** | **KISTAURI NUNU** | – Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **20.** | **KURATASHVILI ALFRED** | – Doctor of Economic Sciencies, professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **21.** | **KURDADZE TINATIN** | – Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **22.** | **KVARATSKHELIA MURMAN** | – Doctor of Economic Sciencies, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **23.** | **KVELADZE KETEVAN** | – Candidate of Economic Sciencies, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **24.** | **LAZARASHVILI TEA** | – Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **25.** | **MELASHVILI MEDEA** | – Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **26.** | **NATELAURI IZA** | – Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **27.** | **NOZADZE ZURAB** | – Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **28.** | **ONIANI IULIA** | – Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University |

| | | |
|---|---|---|
| **29.** | **PAPAVA VLADIMER** | – Doctor of Economic Sciencies, professor, Principal Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Corresponding member of National Academy of Georgia |
| **30.** | **REVISHVILI ZURAB** | – Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **31.** | **SARCHIMELIA ROLAND** | – Doctor of Economic Sciencies, professor, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **32.** | **SISVADZE AZIKO** | – Full Professor of the Georgian University of International Relations, Doctor of Economics |
| **33.** | **TAPLADZE TAMAR** | – Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **34.** | **TETRAULI TSITSINO** | – Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |
| **35.** | **TSUTSKIRIDZE MARINE** | – Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU |

## ს ა რ ჩ ე ვ ი


*რამაზ აბესაძე*
პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები
და თავისებურებები საქართველოში **5**

*ვლადიმერ პაპავა*
ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების როლი საქართვე-
ლოს ეკონომიკის პოსტკომუნისტურ ტრანსფორ-
მაციაში **18**

*ვახტანგ ბურდული*
საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა ეკონომი-
კური საქმიანობის სახეების მიხედვით და მისი
სრულყოფის პერსპექტივები **30**

*გიორგი ბერულავა*
საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირების კა-
ნონზომიერებები და მისი სრულყოფის
პერსპექტივები **49**

*Альфред Кураташвили*
**КАПИТАЛИЗИМ И ГЛОБАЛЬНЫЕ КРИЗИСЫ** **63**

*ნანული არევაძე*
საქართველოს მრეწველობა და მისი განვითარე-
ბის პერსპექტივები **70**

*აზიკო სისვაძე*
ცოდნა, როგორც ბიზნესის ინტელექტუალური
რესურსი **80**

*რევაზ ჯავახიშვილი*
ადამიანის როლი წარმოებაში თანამედროვე
მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და
ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში **92**

*რამაზ აბესაძე, ნანა ბიბილაშვილი,*
*ციცინო თეთრაული* **104**

მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის
კანონზომიერებები საქართველოში

*იზა ნათელაური*
საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების
ძირითადი მიმართულებები და გზები **118**

*თინათინ ჩხეიძე, ზურაბ ნოზაძე*
ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოშობი-
ლი გარემოს დამაბინძურებელი წყაროები **126**

*თეა ლაზარაშვილი*
სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობა და მისი
ამაღლების გზები საქართველოში **137**

*მურმან კვარაცხელია*
თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზი-
სის თავისებურებები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში
და მისი დაძლევის გზები **147**

*ლინა დათუნაშვილი*
მემცენარეობის განვითარების თავისებურებები
საქართველოში **155**

*მამუკა ხუსკივაძე, ლია დვალიშვილი*
საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითა-
რების პერსპექტივები ბუნების კვლავწარმოების
პროცესებთან შესაბამისობაში **168**

*ეთერ კაკულია*
მეწარმეობის განვითარების კანონზომიერებები
საქართველოში **179**

*ზურაბ რევიშვილი*
სასოფლო შინამეურნეობების ფორმირების
თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები
საქართველოში **202**

*თენგიზ ქავთარაძე*
სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები **216**

საქართველოში აბრარული რეფორმების
გატარების პირობებში

*რამაზ აბესაძე, ნანული არევაძე*
საქართველოს ეკონომიკა XX საუკუნის 90-იანი
წლების მიჯნაზე **231**

*როლანდ სარჩიმელია*
მეცნიერების განვითარებისა და კონკურენტუნა-
რიანობის ამაღლების პრობლემები საქართველოში **243**

***Ната Давлашеридзе***
**ЗНАЧЕНИЕ НАСЛЕДИЯ ЛАУРЕАТОВ
НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ В ПРЕОДОЛЕНИИ
СОВРЕМЕННОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО КРИЗИСА** **263**

*ნუნუ ქისტაური*
საგადამხდელო ბალანსი და მისი სრულყოფის
გზები საქართველოში **273**

*მედეა მელაშვილი*
საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში
საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის
შექმნის ეტაპები **283**

*ქეთევან ქველაძე*
ტურიზმის განვითარების პერსპექტივები
საქართველოში **292**

*თინათინ ქურდაძე*
საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები
და მისი სრულყოფის მიმართულებები
საქართველოში **301**

*გიორგი ბრეგვაძე*
სამშენებლი სექტორის განვითარების პრობლემები
საქართველოში **313**

*მარინე ცუცქირიძე*
პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესები **322**

და მისი შედეგები საქართველოში

*რამაზ აბასაძე, ვახტანგ ბურდული, ლინა დათუნაშვილი*
ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგულირების პრობლემები 333

*თამარ ბაჩიაშვილი*
საბაზრო ურთიერთობების სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაზე კულტურული და რელიგიური ფაქტორების გავლენის შესახებ 350

*ლია დვალიშვილი*
მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები 357

*ზურაბ რევიშვილი*
საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება 367

*ლეილა ღუდუშაური*
**BUSINESS UNIT MANAGEMENT**, ანუ ბიზნეს-ერთეულების მართვის ტექნოლოგია საბანკო სფეროში 384

*ვენერა გოგავა*
ტურისტული ინდუსტრიის შესაძლებლობები საქართველოში 402

*ნარგიზა ქარქაშაძე, იულია ონიანი*
მეორადი ავტომობილების ბაზრის კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები იმერეთის რეგიონში 415

*თამარ ბაჩიაშვილი*
უმუშევრობა და სიღარიბე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში 424

*იზა ნათელაური, თამარ თაფლაძე*
საბარეო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებები და მისი გაუმჯობესების გზები საქართვე- 430

ლოში
ავტორები 437

## CONTENTS

*Abesadze Ramaz*
**STAGES AND PECULIARITIES OF POST-COMMUNIST TRANSFORMATION IN GEORGIA** **5**

*Papava Vladimer*
**THE ROLE OF THE BRETON WOODS INSTITUTIONS IN POST-COMMUNIST TRANSFORMATION OF THE GEORGIA'S ECONOMY** **18**

*Burduli Vakhtang*
**STRUCTURE OF ECONOMY IN GEORGIA BY KINDS OF ECONOMIC ACTIVITY AND PERSPECTIVES OF ITS IMPROVEMENT** **30**

*Berulava George*
**THE PATTERNS OF BUSINESS ENVIRONMENT FORMATION AND PERSPECTIVES OF ITS ENHANCEMENT IN GEORGIA** **49**

*Kuratashvili Alfred*
**CAPITALIZM AND GLOBAL CRISIS** **63**

*Arevadze Nanuli*
**GEORGIAN INDUSTRY AND ITS DEVELOPMENT PROSPECTS** **70**

*Sisvadze Aziko*
**KNOWLEDGE AS AN INTELLECTUAL RESOURCE OF BUSINESS** **80**

*Javakhishvili Revaz*
**MAN'S ROLE IN THE INDUSTRY BY OVERCOMING** **92**

**WORLD ECONOMIC CRISIS AND USING NEW TECHNOLOGIES**

*Abesadze Ramaz, Bibilashvili Nana, Tetrauli Tsitsino*
**REGULARITIES OF DYNAMICS OF MACROECONOMIC INDICES IN GEORGIA** **104**

*Natelauri Iza*
**THE MAIN DIRECTIONS AND WAYS OF INCREASE OF COMPETITIVENESS IN GEORGIA** **118**

*Chkheidze Tinatin, Nozadze Zurab*
**ENVIRONMENT POLLUTION SOURCES AS A RESULT OF ECONOMIC ACTIVITY** **126**

*Lazarashvili Tea*
**EFFECTIVENESS OF STATE ENTERPRISES AND THE WAYS OF ITS INCREASE IN GEORGIA** **137**

*Kvaratskhelia Murman*
**PECULIARITIES OF CURRENT GLOBAL ECONOMIC CRISIS IN POST-COMMUNIST COUNTRIES AND THE WAYS TO OVERCOME IT** **147**

*Datunashvili Lina*
**PECULIARITIES OF PLANT-GROWING DEVELOPMENT IN GEORGIA** **155**

*Khuskivadze Mamuka, Dvalishvili Lia*
**PERSPECTIVES OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA ACCORDING TO PROCESSES OF NATURE REPRODUCTION** **168**

*Kakulia Eter*
**REGULARITIES OF ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN GEORGIA** **179**

*Revishvili Zurab*
**THE RURAL HOUSEHOLDS IN GEORGIA: FORMA-** **202**

**TION, PROBLEMS AND WAYS OF DEVELOPMENT**

*Kavtaradze Tengiz*
**TENDENCIES OF DEVELOPMENT OF AGRICULTURE IN GEORGIA IN THE CONDITIONS OF AGRARIAN REFORMING** **216**

*Abesadze Ramaz, Arevadze Nanuli*
**GEORGIAN ECONOMY ON THE VERGE OF 90-TIES OF XX CENTURY** **231**

*Sarchimelia Roland*
**DEVELOPMENT PROBLEMS OF SCIENCE IN GEORGIA AND ISSUES OF RISING COMPETIVENESS** **243**

*Davlasheridze Nata*
**SIGNIFICANCE OF THE HERITAGE OF NOBEL PRIZE WINNERS IN OVERCOMING THE MODERN ECONOMIC CRISIS** **263**

*Kistauri Nunu*
**THE BASIC INDICES OF EVALUATION OF A STRUCTURE OF THE BALANCE OF PAYMENTS** **273**

*Melashvili Medea*
**THE STAGES OF CREATING AND THE WAYS OF IMPROVING A BUDGET SYSTEM OF GEORGIA** **283**

*Kveladze Ketevan*
**THE PROSPECTS OF TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA** **292**

*Kurdadze Tinatin*
**STAGES OF PAYMENT SYSTEM FORMATION AND ITS IMPROVEMENT TRENDS IN GEORGIA** **301**

*Bregvadze Giorgi*
**THE PROBLEM OF CONSTRUCTION SECTOR** **313**

**DEVELOPMENT IN GEORGIA**

*Tsutskiridze Marina*
**THE PROCESSES OF PRIVATIZATION AND RESTRUCTURIZATION AND ITS RESULTS IN GEORGIA** **322**

*Abesadze Ramaz, Burduli Vakhtang, Datunashvili Lina*
**THE PROBLEMS OF REGULATION OF ENSURING OF FOOD SECURITY IN COUNTRY** **333**

*Bachiashvili Tamar*
**ABOUT THE INFLUENCE OF CULTURAL AND RELIGIOUS FACTORS ON THE SOCIAL AND ECONOMIC EFFECTIVENESS OF MARKET RELATIONS** **350**

*Dvalishvili Lia*
**CONCEPTUAL BASIS OF SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT** **357**

*Revishvili Zurab*
**FOOD SAFETY OF GEORGIA** **367**

*Gudushauri Leila*
**BUSINESS UNIT MANAGEMENT TECHNOLOGY IN BANKING SECTOR** **384**

*Gogava Venera*
**ABILITIES OF TOURISM INDUSTRY IN GEORGIA** **402**

*Karkashadze Nargiza, Oniani Iulia*
**RESEARCH OF THE MARKET OF SECONDARY AUTOMOBILES AND STRATEGY OF ITS DEVELOPMENT IN IMERETI REGION** **415**

*Bachiashvili Tamar*
**UNEMPLOYMENT AND POVERTY IN THE TRANSITIONAL PERIOD TO MARKET ECONOMICS** **424**

*Natelauri Iza, Tapladze Tamar* **430**

**REGULARITIES OF FOREIGN TRADE DEVELOPMENT AND THE WAYS OF THEIR IMPROVEMENT IN GEORGIA**

**AUTHORS** **441**

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი **“ეკონომისტი”** (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რ. აბესაძე).

ჟურნალში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად დაიბეჭდება რეცენზიები, ეკონომიკური მიმოხილვები და სხვადასხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.

ავტორთათვის ჟურნალში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.

2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში მათთვის დამახასიათებელ მასშტაბებთან. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).

4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარ-

მოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.

5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

* * *

## თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან ფუნქციონირებს გამომცემლობა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე – გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება;

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები;
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები);
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები.
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი

სესილი ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას –
ქაღალდის ზომა –
პირობითი ნაბეჭდი თაბახი –
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი –

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა
თბილისი, გ. ქიქოძის № 14
99 68 53, 93 22 60
ელ-ფოსტა: economics_institute@yahoo.com